# ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№9 (51)
სექტემბერი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

ნომრის ავტორები
ოთარ ჯიერკვალიშვილი & ანისურ რაჰმანი

პოეზია
გიორგი ლობჟანიძე
ნიკა ჯორჯანელი
თორნიკე ჭელიძე
გიო ლომიძე

პროზა
დიმიტრი წიკლაური

ახალი თარგმანები
ტუმას ტრანსტრომერი
იურეკ გეკერი
შერვუდ ანდერსონი



**№9 (51) სექტემბერი, 2017 წელი**

# ახალი საუნჯე

## ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ოთარ ჯირკვალიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, მანანა მათიაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ნიკა ჯორჯანელი, თორნიკე ჭელიძე, გიო ლომიძე, დიმიტრი წიკლაური, ზვიად რატიანი, დავით კაკაბაძე, გიორგი გოკიელი

**გამომცემლობა «საუნჯე»**
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

# 1. ნომრის ავტორები

# ოთარ ჯირკვალიშვილი

# ეკა ქევანიშვილი – ჭურჭლის, ფორმის და შინაარსის ამბავი

*ოთარ ჯირკვალიშვილთან პირველივე შეხვედრისას ლიტერატურაზე ვიკამათეთ. მაშინ გადაიკვეთა ჩვენი გზები და, მგონი, ნაწილობრივ გაიყო კიდეც – ოთარი ფიქრობს, რომ სინამდვილე არც ისე ღრმაა, რომ მასზე ვწეროთ, მე კი პირიქით – რეალობაზე საინტერესო სამყაროს გამოგონების არ მჯერა. რომ ფორმა განაპირობებს ნაწარმოების შინაარსს, მე კი ამბები მიყვარს და უფორმო ამბავმაც შეიძლება წამაკითხოს თავი. თუმცა ის გზა, რომელსაც ოთარ ჯირკვალიშვილი, როგორც ავტორი დაადგა და ამით მიიქცია კიდეც თავიდანვე ყურადღება, ჩემი აზრით, სხვა თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი ავტორებისგან მაინც განსხვავდება. გზა, რომელიც მან აირჩია, მგონია, რომ დასაწყისშივე იმის ნიშანია, რომ ის ყველას მწერალი ვერ იქნება. მოდი, ასე ვიტყვი, «ხალხის» მწერალი. თუმცა მან, სავარაუდოდ, იცის რა სვლებს აკეთებს და ამაში მოჭადრაკის პროფესიაც ეხმარება. ცოტა ფილოსოფია, თეოლოგიური ნაკადი, ინტელექტუალური პროზის პაროდირება – ინტელექტუალური პროზის შექმნის მიზნით – როგორც უკვე ერთხელ დახასიათდა მისი ტექსტები, მკითხველისთვის დატოვებული ინტერპრეტაცია და სტილი – ასეთია მისი ტექსტები. ოთარ ჯირკვალიშვილს არ უყვარს ამბავზე გადატანილი*

*აქცენტები, მასთან ამბები ყოველთვის რაღაც სხვა მიზანს ემსახურება, რაღაც უფრო დიდი სათქმელისთვის სჭიდება და ცდილობს, თავის მკითხველს არცთუ ტკბილი «კანფეტები» შესთავაზოს.*

**ოთარ, როგორ ირჩევ თემებს წერისას? ირჩევ იმას, რაც აქტუალურია დღეს, ის, რაც გაწუხებს და პირადია თუ, რა არის ის მთავარი განმსაზღვრელი, რაც შენი წიგნების შინაარსს განსაზღვრავს?**

«რას ნიშნავს ლიტერატურაში სიტყვა «აქტუალური»? ამ საკითხში ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ. სოციალურად აქტუალურს ვგულისხმობთ, ეთიკურად, ესთეტიკურად, ეგზისტენციალურად თუ საერთოდ მეტაფიზიკურად? მაგალითად, ჟოზე სარამაგუ ან აწ გარდაცვლილი უმბერტო ეკო რა თემებსაც ირჩევდნენ, არის აქტუალური? უელბეკი უდავოდ თანამედროვე და აქტუალურია, მაგრამ მისი პროზის სიცოცხლისუნარიანობის მიმართ უკიდურესად სკეპტიკურად ვარ განწყობილი – მგონია, რომ დროს ვერ გაუძლებს. თემებს ვირჩევ არა აქტუალობის, არამედ განწყობის, შინაგანი რიტმის, მუსიკის მიხედვით. მოვლენები არ განაპირობებს არჩევანს, უფრო პირიქით. დიდ ქართველ ფილოსოფოსს, ზურაბ კაკაბაძეს არ მოსწონდა მკითხველი, რომელიც ფიქრობდა, რომ «თითქოს შინაარსის, პრობლემატიკისა და შინაგანი განცდის ტონების მხრივ ლიტერატურა არსებითად იგივე დარჩა; შეიცვალა მხოლოდ გარეგნული ფორმა და ეს, სხვათა შორის, ისევე უწყინარად მოხდა, როგორც იცვლება ხოლმე ტანსაცმლის მოდა: ჯერ ვიწრო შარვლებს იცვამდნენ, მერე ფართო ჩაიცვეს და ა. შ.» ჩემი მთავარი თეზისია: არა «ხელოვნება ხალხისთვის» არამედ «ხელოვნება ხელოვნებისთვის». ანუ ფორმა ქმნის და

განაპირობებს ნაწარმოების შინაარს. მე, პირადად, წიგნების შინაარსს მარჩევინებს ნაწარმოების ფორმა, რომელიც რაღაცნაირი აფექტების, იმპულსების და ირაციონალური აფეთქების შედეგია. «შინაარსი» ყოველთვის პირობითია, მთავარი სხვა რამ არის. ადამიანის სულში მიმდინარე პროცესები, რომელიც გაცილებით ტრაგიკულია, ხშირად არ ემთხვევა ადამიანის ცხოვრებისეულ თავგადასავალს. ამიტომ, ჩემი აზრით, ტრადიციულ-კლასიკურ-რეალისტური მწერლობა არაადეკვატურია. ის ასახავს გარეგან მოვლენებს და ხშირად მხედველობიდან რჩება ის არსებითი, რაც ამ მოვლენებს განაპირობებს. რა რჩება მკითხველს მოთხრობილი ამბიდან? მომინდებოდა მივბრუნებოდი ერთსა და იმავე ამბავს ორჯერ ან სამჯერ? არადა, წიგნის ავკარგიანობა სწორედ იმით განისაზღვრება, გვინდება თუ არა მასთან მიბრუნება. გავიმეოროთ ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმე და ის გაქრება. ჯერ გაცვდება, შემდეგ საზრისისგან დაიცლება და ბოლოს გაუჩინარდება. დარჩება მხოლოდ წმინდა ბგერა. ამბები შინაარსობრივად ერთნაირია, ფორმა კი ყოველთვის მნიშვნელოვანი. ამიტომ მთავარია, «როგორ» ვყვებით და მხოლოდ ამის შემდეგ – «რას» ვყვებით. სამწუხაროდ, ქართული პროზა ღარიბია აბსტრაქტულ-ფორმალისტური ესთეტიკით შესრულებული ნაწარმოებებით, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტილს. გარკვეული არქეტიპულ-ლოგოცენტრული ინერციის გამო აქ თავს ესხმიან ასეთ «პრობლემურ» ტექსტებს».

**როგორ ფიქრობ, რა აჩენს კარგ შინაარსს, ან როგორც ავტორი, როგორ ხვდები, რომ ეს კარგი შინაარსია წიგნისთვის, რომ ეს «ათიანში» გაარტყამს?**

მახსენდება ბიბლიის და «ვეფხისტყაოსნის» დასაწყისი: «მიწა იყო უ ს ა ხ ო და უდაბური»; «ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ ს ა ხ ე ყოვლისა ტანისა». თუ ამ ორ ფრაზას დავაკვირდებით, შემოქმედი არის ის, ვინც სრულყოფილ ფორმებს (სახეებს) ქმნის. თქვენი შეკითხვის პლატონური პერიფრაზი კი, ალბათ, ასეთი იქნებოდა: რა განაპირობებს ჭურჭლის შიგთავსს? მისი ფორმა. ამიტომ რა შინაარსიც არ უნდა შევიტანოთ ჭურჭელში, რა სითხეც არ უნდა ჩავასხათ მასში, ის ყოველთვის ისეთ ფორმას მიიღებს როგორიც ჭურჭელს აქვს. ამიტომ ხელოვანი ის კი არ არის, ვინც ჭურჭელში წყალს ასხამს, არამედ ის, ვინც ჭურჭელს ქმნის, – მასალას ფორმას აძლევს (სწორედ აქ ჩნდება არსებითი განსხვავება ჟურნალისტიკასა და ლიტერატურას შორის, რაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრ ადამიანს ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია). ათიანში არტყამს ის, ვინც არ ძალადობს, არ თვალთმაქცობს და ნიჭიერია.

**რისი ცოდნა გჭირდება ახალი წიგნის დაწყებამდე ამ წიგნის შესახებ – რა არის ის, რაშიც ყველაზე მეტად გიჭირს ხოლმე ჩამოყალიბება?**

წიგნის დაწყებამდე აუცილებლად მჭირდება იმის ცოდნა, რომ ამ წიგნის შესახებ ჯერჯერობით რაციონალურად და კონკრეტულად ბევრი არაფერი ვიცი. ვიცი მხოლოდ რაღაც ძირითადი, რომელსაც წერის პროცესში ხორცი უნდა

შევასხა. ამ ძირითადის (ბირთვის) მუდმივი ძლიერი შეგრძნება აუცილებელია. ჩამოყალიბება მიჭირს ხოლმე იმ საკითხში, თუ რომელ რვეულში დავიწყო წერა, ცალხაზიანში, მათემატიკის თუ სულაც, კომპიუტერში ავკრიფო ტექსტი. წერის რომელ ტექნიკურ კატეგორიას ესადაგება ის, რის დაწერასაც ვაპირებ. ამ თვალსაზრისით აცდენა არ უნდა მოხდეს.

**რას ჰგავს შენთვის წერის პროცესი – რას შეადარებდი, ამ მხრივ, რა თვისებები გახასიათებს?**

ამის სიტყვებით გადმოცემა გაჭირდება. ამ ავადმყოფობის მხოლოდ ერთ-ერთ სიმპტომს გეტყვით: მუსიკალური შეტევა ტვინზე, რომელიც გიქმნის ნამდვილობის ცრუ განცდას. ხომ ამბობდა ერთი ანტიკური დროის ფილოსოფოსი, ნორმალური ადამიანი ლექსს ვერ დაწერსო (სხვათა შორის ეს შენც გეხება). ჩვენ ვწერთ, მაშასადამე...

**შენ თვითონ რა რჩევა გექნებოდა მწერლების მიმართ – რაც შენივე გამოცდილებიდან მოდის?**

მწერლებს ვერანაირ რჩევას ვერ მივცემ, რადგან ყველა მიდგომა ინდივიდუალური და თავისებურია. მხოლოდ ერთს ვისურვებდი, ამას უპირველესად ჩემს თავს ვეუბნები, ვიკითხოთ ბევრი და ვწეროთ ცოტა. მოგეხსენებათ, ხარისხს რაოდენობა არ განსაზღვრავს.

**წერა ენერგიით გავსებს თუ უფრო გფიტავს და გღლის?**

სასიამოვნოდ მღლის, ანუ ენერგიით მავსებს.

**როგორ ფიქრობ, ვის შეუძლია იყოს მწერალი? მწერლად იბადები თუ ხდები?**

ალბათ საკამათო რაღაცას ვამბობ, მაგრამ მწერლობას არ განვიხილავ, როგორც პროფესიას (თუმცა, რა თქმა უნდა, არც მის გასაკრალურებას ვემხრობი. ეს ძალიან სასაცილოა). მწერლობიდან არც წასვლა შეიძლება და არც დაბრუნება. ეს რომელიმე შპს ან სახელმწიფო დაწესებულება ხომ არ არის. ყველა დიდი მწერალი და კომპოზიტორი გენიალური დილეტანტია. ცოტათი მწერალი ყველა არის, უბრალოდ, კარგი მწერალია ცოტა. წეროს ყველამ, ვისაც ეწერინება, რა პრობლემაა.

**რას ნიშნავს შენთვის ლიტერატურული წარმატება?**

ჩემთვის ლიტერატურული წარმატება განისაზღვრება ერთადერთი კრიტერიუმით, რომელსაც ჰქვია: ლიტერატურული ნაწარმოების ხარისხი. როდესაც დაწერის შემდეგ ცოტა ხანი კმაყოფილი ხარ, შემდეგ ხელს ჩაიქნევ და იტყვი: დავმარცხდი, არ გამომივიდა! და დაიწყებ ახალზე ფიქრს. ეს უკვე წარმატებაა.

**წიგნის წერის დაწყებამდე რამდენ ხანს გრძელდება ხოლმე კვლევა მასალის მოძიება?**

მასალის მოძიებას იმ შემთხვევაში ვიწყებ თუ ტექსტი დამარწმუნებს, მომთხოვს და მიმიყვანს ამა თუ იმ საკითხზე მეტი ინფორმაციის მოძიების აუცილებლობამდე. ამ დროს ვიწყებ მოძიებას, ოღონდ ეს თითქმის ყოველთვის წერის პროცესში ხდება და არა დასაწყისში. ჩემი აზრით, მშრალი ინფორმაციის და ფაქტების დომინირება ანადგურებს შემოქმედებით იმპულსებს. ინფორმაცია არ უნდა ძალადობდეს თხრობაზე. გუგლში ძრომიალს მაინც სჯობს, ადრე წაკითხულ და ჩვენებურად გადამუშავებულ ინფორმაციას ვენდოთ. ოდნავ არაზუსტი რომც იყოს, არაუშავს. ფრანც კაფკა ამ თვალსაზრისით ხშირად სცოდავდა. მას აქვს

რომანი «ამერიკა», სადაც ჩანს, რომ მან არ იცის და არც აინტერესებს ამერიკის გეოგრაფია, შეცდომებს უშვებს ნიუ-იორკის გარეუბნების ტოპოგრაფიაში, მცდარად აღნიშნავს სან-ფრანცისკოს ადგილმდებარეობას და ა. შ. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან «კაფკას ინტერესების სფერო ზოგადადამიანური სტრუქტურებია. კაფკას ადამიანის მოდელები «მოქმედებენ» სადღაც და ოდესღაც.» – ამბობს ბატონი ნოდარ კაკაბაძე.

**დღეში რამდენ ხანს მუშაობ ხოლმე, თუ წერა, ცხადია, შენი ყოველდღიური საქმიანობაა?**

წერა არ არის ჩემი ყოველდღიური საქმიანობა. შეიძლება რამდენიმე დღე გადაბმულად ვწერო, მაგრამ შემდეგ რამდენიმე კვირა გავჩერდე.

**შენი გმირების სახელებს როგორ არჩევ ხოლმე?**

ჩემს ნაწარმოებებს გმირები არ ჰყავს და, შესაბამისად, არც სახელები აქვთ. ისინი თოჯინები არიან, სულის ჩრდილები, პირობითი ინიციალებით, რომლებიც ძლივს არსებობენ.

**შენი ოჯახი რამდენად სერიოზულად აღიქვამს შენს მწერლობას, ან თუ მონაწილეობს ამ პროცესში საერთოდ?**

ჩემი ცოლი, ნინო კლდიაშვილი ძალიან დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების ადამიანია. «კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი» დაამთავრა. ახლა გადავურეკავ და შევეკითხები, რამდენად სერიოზულად აღიქვამს... ხედავ, კიო, მითხრა. ბედნიერი ვარ! რაც შეეხება ჩემს სამ მცირეწლოვან შვილს, ისინი ძალიან აქტიურად მონაწილეობენ წერის პროცესში, სამივე ცდილობს, რაც შეიძლება იხმაუროს და მაქსიმალურად

შემიშალოს ხელი, თუმცა ზოგჯერ, ალეკო შუღლაძის არ იყოს, «გადამალვას» მაინც ვახერხებ ხოლმე.

**საკუთარ თავს გუგლავ ხოლმე?**

რამდენიმე ხნის წინ, ერთმა მეგობარმა მითხრა, რომ ფორუმზე გლანძღავენ და გემუქრებიან, შენს მოთხრობაში, «კანფეტში» «მართლმადიდებლობის» შეურაცხყოფის გამოო. ჰოდა, მაშინ დავგუგლე პირველად და წავიკითხე ჩემ შესახებ «მარგალიტები». ვერ ვიტყვი, რომ მას შემდეგ ძალიან მივეჩვიე, მაგრამ ზოგჯერ საფრთხეების კოეფიციენტის გასაზომად ვგუგლავ ხოლმე.

**რამ გადაგაწყვეტინა მწერალი გამხდარიყავი?**

იმან, რომ, როგორც ლუთერი და ტოლსტოი ამბობდნენ, სხვაგვარად არ შემეძლო.

**მუსიკა თუ სიჩუმე – რომელია შენი წერის პროცესის თანხმლები?**

შეიძლება იყოს სიჩუმეც, მაგრამ ეს სიჩუმე ძალიან მუსიკალური უნდა იყოს.

**როგორ ფიქრობ, შენი წიგნები მოიცავს გაკვეთილებს? აქვს მათ მორალური ხასიათი?**

როგორც ჩემი მეგობარი, პაატა შამუგია ამბობს ხოლმე, ეს ტექსტები არც მორალურია და არც ამორალური, არამედ

მათ მიღმა მდგარი. ძალიან ზოგადად და ფილოსოფიურად თუ ვიმსჯელებთ, პრინციპს, რომლის მიხედვითაც შედგენილია ჩემი წიგნები (ჯერ მხოლოდ ორია), ინტერპრეტაციების დაუსრულებლობა და შესაძლებლობების მრავალფეროვნება ჰქვია. არავითარი დიდაქტიკა, მორალისტობა, მანერულობა და არავითარი პრეტენზია ჭეშმარიტების ფლობაზე.

**წიგნის რომელი ნაწილი უფრო გიყვარს – პროლოგი, ეპილოგი...**

საერთოდ, დასაწყისში ჩანს ხოლმე რა დონის მწერალთან გვაქვს საქმე. გავიხსენოთ გენიალური სერვანტესის «დონ კიხოტის», ბულგაკოვის, მარკესის, კამიუს, კაფკას ნაწარმოებების დასაწყისები და ყველაფერი ნათელი გახდება... წიგნის პროლოგი უფრო მიყვარს.

**შენს რომელიმე გმირთან დროის გატარების შესაძლებლობა რომ მოგეცეს, რომელთან ერთად გაატარებდი ამ დროს და რატომ?**

გალაკტიონთან (მოთხრობაში «კანფეტი» მაქვს აღწერილი მისი და ტერენტი გრანელის შეხვედრა) ერთად დავჯდებოდი სიამოვნებით მარჯანიშვილის რომელიმე მიწისქვეშა დუქანში, ასე, ერთ ლიტრ ღვინოს დავლევდი და სიამოვნებით მოვუსმენდი მის ნერვიულ, არტისტულ, ცინიკურ ლაპარაკს. ასევე მარიამ მაგდალინელთან (ისიც მყავს გამოყვანილი მოთხრობაში «ლაზარე») შეხვედრაზეც არ ვიტყოდი უარს. შეკითხვებს დავუსვამდი. საინტერესო იქნებოდა.

**რა იყო ყველაზე მწარე კრიტიკა, რაც შენ, როგორც ავტორს, მიგიღია? და პირიქით, შექება?**

იყო ერთი ლიტერატურული პორტალი literatura.ge, სადაც ადრე ბავშვობაში რაღაც ლექსები დავდე, რომლებიც მაშინ კარგი მეგონა. არის ძალიან კარგი ლიტერატორი მიშა რატიანი, რომელმაც ერთი ჯიგრულად «გამომლანძღა» მაშინ, ჰოდა, ბავშვი ვიყავი და მეწყინა, გავბრაზდი (ახლა მეცინება იმ ლექსებზე). მოგვიანებით მე და ბატონი მიშა დავმეგობრდით, ახლაც ვმეგობრობთ. შემდეგ ჩემი პროზაული კრებულის, «ლაზარეს» რედაქტორობა შევთავაზე, რაც გაუკვირდა, მაგრამ დამთანხმდა და ისე გამოვიდა, რომ მე და ბატონმა მიშამ ამ წიგნში 2016 წელს ერთად ავიღეთ «საბა». მოკლედ, ეს ისტორია კრიტიკასაც შეიცავს და შექებასაც, მე ორივე მახსოვს და მომწონს. სხვა ისეთი რელევანტური კრიტიკა არ მახსენდება. შექებას რაც შეეხება, ბევრიც მომისმენია, კიდეც გამხარებია და თავშიც არ ამვარდნია. სულ ბოლოს ბატონი ლაშა ბუღაძის მოსაზრებები მოვისმინე რუსთავი 2-ზე «ლაზარესთან» დაკავშირებით და ამან ძალიან გამახარა!

**შენი გმირები რამდენად ემყარებიან რეალურ ადამიანებს?**

ჩემი გმირები, ჩემი აზრით, ცნობიერების სიღრმეებში მიმდინარე ურთულეს სტატიკურ სქემებს და წინააღმდეგობრივ პროცესებს გამოხატავენ, ამიტომ მათზე, როგორც პიროვნებებზე ლაპარაკი, ვფიქრობ, რომ შეუძლებელია. ხშირად ისინი უბრალო სიმულაკრები არიან.

**რა იყო ყველაზე დიდი სიურპრიზი, სიხარული თუ აღმოჩენა, მას შემდეგ, რაც მწერალი გახდი და შენი**

**წიგნები გამოიცა?**

აღმოჩენა და სიხარული იყო ის, რომ ასეთი ტიპის პროზას, არც ისე ბევრი ადამიანი, მაგრამ მაინც, თურმე კითხულობს საქართველოში. გამიხარდა.

არსებობს ისეთი წიგნი, რომლის ავტორიც დაუფიქრებლად იქნებოდი?

დიახ, არის ასეთი წიგნები. ორს დავასახელებ: «ძმები კარამაზოვები» და «რიოში მარგალიტებით თამაში».

**შენს თავს წარმატებულ მწერლად თვლი?**

«წარმატებული მწერალი» არის ოქსიმორონი.

**როგორ ფიქრობ, რომელი ლიტერატურული ჟანრისაა მომავალი ლიტერატურაში?**

შორეულ მომავალზე თუ ვიმსჯელებთ, მე მგონია, რომ საბოლოოდ ყველა ჟანრი დამარცხდება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან კონკურენციაში. მეცნიერებამ დაახლოებით 1013 კილომეტრით გაუსწრო ლიტერატურას. რამე ახალი ჟანრი გვჭირდება, ეს საკმარისი არ არის.

**ვინ არის ყველაზე ცნობილი მწერალი, ვისაც ცხოვრებაში ცოცხლად შეხვედრიხარ და ვისაც შეხვდებოდი?**

მინახავს ორჰან ფამუქი. სიამოვნებით შევხვდებოდი მარიო ვარგას ლიოსას.

**ლაშა ბუღაძემ «სტილის ავტორი» გიწოდა და თქვა, რომ არადამთრგუნველი, მაგრამ საინტერესო ინტელექტუალიზმით არის დატვირთული შენი ტექსტები – ეთანხმები ამ შეფასებას?**

ბატონი ლაშა, გარდა იმისა, რომ უმაღლესი კლასის მწერალია, არის ასევე შესანიშნავი მკითხველი და

ინტელექტუალი. ჩემი აზრით, მან ძალიან სწორად დაინახა და ზუსტად შეაფსა ჩემი შემოქმედება. დიახ, სწორედაც სტილის ავტორად და ფორმალისტად ვთვლი ჩემს თავს. ჩემთვის მთავარია სინტაქსი, თხრობის დინამიკა, მუსიკალობა და ა. შ. რაც შეეხება ინტელექტუალიზმს, ვცდილობ, ინტელექტუალური პროზის პაროდირების მეთოდის გამოყენებით შევქმნა ინტელექტუალური პროზა. ასე რომ, ვეთანხმები ბატონ ლაშას.

**რელიგიის თემა შენს ტექსტებში – არსებობს ერთი კონკრეტული მიზეზი, რის გამოც ამ თემაზე და ასე წერ (ვგულისხმობ იმ თეორიულ-ფილოსოფიურ ნარატივს, რასაც ნარატივის პაროდიაც კი უწოდეს)?**

მიმაჩნია, რომ ამ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვები სწორედ ღმერთს უკავშირდება და ყველა დიდი ნაწარმოები რაღაცა აზრით თეოლოგიურია. ამიტომ მიკვირს იმ მწერლების, რომლებიც თეოლოგიურ და მეტაფიზიკურ საკითხებს «გვერდს უვლიან». გარდა ამისა, რომ ვაკვირდები საქართველოში «მართლმადიდებლობამ» (მე მას განვიხილავ, როგორც ინსტიტუციას, არ ვეხები რელიგიის საკრამენტალურ და მისტიკურ მხარეს) გამოაცხადა მონოპოლია ჭეშმარიტებაზე, რაც, ჩემი აზრით, ჩვენს ქვეყანაში აბრკოლებს ევროპული ღირებულებების ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას და ზოგადად ქვეყანას ხელს უშლის განვითარებაში. შეხედეთ რა ხდება საპატრიარქოში, განა ეს სახარებისეული ქრისტიანობის დაცინვა არ არის?! (ვფიქრობ, ეს მოვლენები, რაღაცა აზრით, აღვწერე და გადმოვეცი მოთხრობაში «კანფეტი»). ეს ხომ ამ რელიგიის ნაყოფია. მე არ ვებრძვი არცერთ მსოფლმხედველობას, თუ ის ძალადობისკენ მოწოდებაში არ გადადის. ისიც კარგად ვიცი, რომ რელიგიური კუთვნილება ადამიანის

პირადი არჩევანის საქმეა, სადაც სხვას არაფერი ესაქმება, უბრალოდ ვცდილობ, ჩემს ნაწარმოებებში ხალხს შევათავაზო სამყაროს აღქმისა და ინტერპრეტაციის სხვა მოდელებიც.

**თქვეს ისიც (გიგი თევზაძემ), რომ შენი ლიტერატურა ლიტერატურის და ფილოსოფიის ზღვარზეა. თუ ეს ასეა, როგორ გგონია, ვინ არის შენი მკითხველი?**

მართალია ბატონი გიგი. ...რას ვიზამ, მე ეგეთი ბედი მაქვს, ყოველთვის განსწავლული მკითხველი მხვდება. მართლაც, რომ ვაკვირდები ჩემს მკითხველში განსწავლულები დომინირებენ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, უფრო სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, ამ საკითხთან დაკავშირებით მახსენდება თომას მანის და ჰერმან ჰესეს მიმოწერა, სადაც თომასი ეუბნება ჰერმანს, რომ «ყოველთვის ნაკლებად ვცემდი პატივს იმ ხელოვანებს, რომლებიც მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფზე აკეთებენ გათვლას, ეს მე ვერასდროს დამაკმაყოფილებდა. მე «სულელებიც» მჭირდება.» (სიტყვა «სულელი» აქ შეურაცხყოფის მიზნით არ არის ნათქვამი). მართალია, ჩემს პროზაში ძლიერია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაკადი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. თუ რატომ, ამაში თავად უნდა დარწმუნდეს მკითხველი და რომ დარწმუნდეს, უნდა წაიკითხოს...

**თუმცა შოთა იათაშვილმა დაწერა, რომ შენი ტექსტები გაჟღენთილია სპეკულაციურობით. სპეკულაციური აზროვნება მოდებულია აქ ყველაფერს, ზოგჯერ აუტანლადაც კი. და სწორედ კვაზიფილოსოფიური თუ კვაზითეოლოგიური მეტყველება თუ რიტორიკა განაპირობებს სწორედ იმას, რომ ტექსტი იყოს მხატვრული და არა ფილოსოფიური თუ თეოლოგიურიო...**

მართალია შოთა იმაშიც, რომ ეს აუტანელი სპეკულაციურობა და კვაზი-მიმართებები განაპირობებს იმას, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი შთანთქმული და ჩაძირულია წმინდა ლიტერატურაში. ამიტომ არის ეს ტექსტები მხატვრული და არა ფილოსოფიური ნაშრომები.

**შენ თვითონ რას ეძებ ხოლმე ტექსტებში – რაც მოგწონს, რა ჰქვია იმას, რაც მოგწონს ლიტერატურაში და პირიქით, რაც არ მოგწონს? სულ მახსენდება შენი ხმამაღლი სიტყვები, რაშიც მე პირადად, არ გეთანხმები, რომ მაგალითად, სვეტლანა ალექსიევიჩი მწერალი არ არის. ეს ნიშნავს, რომ ნონფიქშენს არ აღიარებ ლიტერატურად თუ ასე მარტივადაც არ უნდა შევხედო ამ ამბავს?**

მხატვრულ ტექსტებში არ მომწონს ამბები, ანუ სიმძიმის ცენტრის გადატანა საინტერესო ამბების გადმოცემაზე (ეს უფრო ჟურნალისტიკის საქმეა). უნდა გვახსოვდეს, რომ ამბავი მეორადი მნიშვნელობისაა. მთავარია სტილი, ფორმა, თხრობის დინამიკა და ა. შ. არც ტექსტში და არც ცხოვრებაში არ მიყვარს ჯახირი. რაც შეეხება სვეტლანას და ნონფიქშენს, შეიძლება მომავალი ლიტერატურაში მართლაც ნონფიქშენისაა, მაგრამ სვეტლანას ადგილს იქ ვერ ვხედავ. მისი ადგილი უფრო სხვაგან არის, ისტორიის სხვა ფურცლებზე, ის დიდი ადამიანია. მომწონს მისი დამოკიდებულებები ბევრ საკითხთან დაკავშირებით და

ბევრ რამეში მის სამოქალაქო პოზიციას ვიზიარებ. სულ რამდენიმე დღის წინ საქართველოშიც იმყოფებოდა და კიდევ უფრო შემიყვარდა ეს ნობელიანტი ქალბატონი, მაგრამ ლიტერატურა სხვა ამბავია. ასე რომ, მოგვიწევს მე და შენ მომავალშიც სვეტლანას დიდ მწერლობასთან დაკავშირებით კამათის გაგრძელება.

**თანამედრივე ქართველი მწერლებიდან ვინ მოგწონს ყველაზე მეტად? თუ შენც მრავალთა მსგავსად თავს შეიკავებ მათი დასახელებისგან, ვინმეს რომ არ ეწყინოს?**

არ მიყვარს შეკითხვებზე თავის არიდება. თან ეს არდასახელების სტერეოტიპიც დავამსხვრიოთ. უბრალოდ, უნდა შევთანხმდეთ, რომ უფრო მეტად მოწონება არ ნიშნავს სხვების არმოწონებას და მით უმეტეს იმას, რომ სხვა უფრო სუსტი ან ცუდი მწერალია. მაშ ასე, ახლო წარსულში გარდაცვლილთაგან ყველაზე მეტად მომწონს ჯემალ ქარჩხაძე. რაც შეეხება ცოცხლებს (ჩამონათვლის თანმიმდევრობა არ ნიშნავს რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭებას): – ლაშა ბუღაძე, ზაზა ბურჭულაძე, ალეკო შუღლაძე და ნაირა გელაშვილი. მიხარია, რომ პოეტებზე არ მკითხე...

**პრემია «საბამ» შეცვალა შენი ცხოვრება რამენაირად?**

კი, უფრო თავმდაბალი და უჟმური გავხდი.

**სხვა რამეზეც ვილაპარაკოთ. მე და შენ ერთი საერთო მაინც გვაქვს – რაჭა. მომიყევი შენს რაჭაზე.**

ჰო, ეგ დიდი რამ გვაერთიანებს. გეთანხმები, ყველას თავის რაჭა აქვს. ჩემს რაჭას ობიექტურადაც და სუბიექტუარადაც ჰქვია «გლოლა». ეს ულამაზესი და საშიში სოფელი რაჭის ზემო ნაწილში მდებარეობს, მთის რაჭის სამი სოფლიდან ერთ-ერთია. ეს სოფელია ჩემი

შემოქმედების და პიროვნული ჩამოყალიბების ქვაკუთხედი. იქ ბევრი მოჩვენებაა. აჩრდილებს ყოველღამე შეხვდები, განსაკუთრებით სანახშოებზე, სადაც ნაკვერჩხლის სიმხურვალე ბოლომდე მინავლებული არ არის, და მჟავე გაზიან წყლებთან, რომლებიც დროდადრო ურჩხულებს ბადებს მთის ჩქარი მდინარის სანაპიროებზე. ეს სოფელი რაღაცით მაკონდოს ჰგავს, რომელსაც თავის ჯადოსნური სამყარო აქვს. ამ სოფელს ჰყავს თავის ბუენდიები, ბრმა წინასწარმეტყველი პავლე, რომელიც თითქოს გარდაიცვალა, მაგრამ არა მგონია, ჩემს ტექსტებში ძალიან ცოცხლად გამოიყურება. ასევე, მოხეტიალე გრძნეულები, ცირკი, მწყემსები და ა. შ. მინდა და მჯერა, რომ ეს სოფელი საბოლოოდ მაკონდოს ბედს არ გაიზიარებს, მაგრამ ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, ის სამყარო არსებობას არასდროს შეწყვეტს, რადგან ერთხელ უკვე არსებობდა.

**ტრადიციულ კითხვას ბავშვობაზე შენც დაგისვამ – აი, მაშინ რას აკეთებდა ოთარი, როცა არც ეს ტექსტები იყო და არც ამდენი მსჯელობა მის ტექსტებზე?**

ჩემი ბავშვობა იყო «გლოლის» უცნაურ და მდუმარე სამყაროსთან თამაშით დახუნძლული. მეც ძირითადად ჩუმად ვყოფილვარ, რაც ბედნიერების მაჩვენებელია. ახლა ქაოსია.

**მაინც, ყველაზე მეტად რისი თამაში გიყვარდა ბავშვობაში? რის გაფუჭება ან პირიქით, კეთება? რამის**

**განსაკუთრებული ნიჭი თუ გქონდა?**

ხუთი წლის ვიყავი, როდესაც მამამ მასწავლა ჭადრაკის თამაში და რამდენიმე თვეში უკვე კარგად ვთამაშობდი, უფროსებს ვუგებდი. არ ვიცი, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ეს განსაკუთრებულ ნიჭად, სხვა ისეთი არაფრით გამორჩეული ბავშვი არ ვიყავი და არც არაფერს ვაფუჭებდი.

**სად წარმოგედგინა ხოლმე თავი ათი წლის მერე და იქ აღმოჩნდი თუ არა?**

ათი წელი! – ასეთ მცირე დისტანციებზე არასდროს მიფიქრია. ხუმრობა იქით იყოს და იქ არა ვარ, სადაც წარმომედგინა, თუმცა, შეიძლება, ეს სჯობს იმას.

**და პროფესია? როგორ და რატომ აირჩიე და მერე მწერლობაში რამენაირად თუ გამოგადგა? ან პირიქით.**

ორი პროფესია მაქვს, ვარ იურისტი და მოჭადრაკე. რაღაც დონეზე ერთიც მადგება და მეორეც, თუმცა მოჭადრაკეობა უფრო. ვფიქრობ, ნებისმიერი გამოცდილება სასარგებლოა მწერლისთვის, გარდა ბუღალტერიისა – უფრო გადატანითი მნიშვნელობით – თუმცა ნიკო სამადაშვილი (პოეტი!) სწორედ რომ ბუღალტერი იყო.

**გიფიქრია, რა არის შენი, როგორც მწერლის და როგორც ადამიანის ყველზე დიდი სისუსტე?**

სირცხვილის შიში! მესმის იმ იაპონელების, რომლებიც ამის გამო ხარაკირს იკეთებენ. რა თქმა უნდა, უსირცხვილობას სჯობს, მაგრამ გადაჭარბებული მგრძნობელობაც არ არის კარგი, ესეც ერთგვარი კომპლექსია. ძალიან მომწონს ლაო-ძის სიტყვები: «ამქვეყნად მხოლოდ ის ადამიანია მისაბაძი, რომელმაც

შეიცნო თავისი სირცხვილი და შეინარჩუნა თავისი სიდიადე».

**რომ არ წერო, რით ჩაანაცვლებდი ამ ვნებას?**

რამე მისტიფიკაციას მივმართავდი. ვთქვათ, მღვდელი გავხდებოდი.

**სამი შვილი გყავს – როგორ «ნაწილდები» ოჯახში – ყველაზე მეტად რას ითხოვენ შენგან და როდის დგება დრო, როცა მარტო რჩები?**

ჩემი შვილები ძირითადად ხილს, კანფეტებს და კოსმოლოგიის საკვანძო საკითხებზე პასუხებს მთხოვენ, მეუღლე კი სიყვარულს. პირველ შემთხვევაში მთლად დამაჯერებლად ვერ გამოვიყურები ხოლმე, რაც შეეხება სიყვარულს – ვფიქრობ, საკმაოდ უხვი ვარ. თუმცა მეტი დამაჯერებლობისთვის უმჯობესი იქნებოდა, ეს შეკითხვა მათთვის დაგესვა. სულ მარტო თითქმის არასდროს ვრჩები, უბრალოდ, ხალხში მარტოობის უნარი გამოვიმუშავე.

**და სიყვარული? როგორი ხარ ხოლმე მაგ დროს როცა პირველად შეგიყვარდა ან ბოლოს – გცვლის ხოლმე?**

არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც სიყვარული არ ცვლის? გრძელვადიან პერსპექტივაში თუ ვერა, ახლო დისტანციებზე მაინც აუცილებლად შეგცვლის. თუ სულ გიყვარს, სულ შეიცვლები. მე სულ მიყვარს. არსებობს ძველი აღმოსავლური სიბრძნე: «იცვალე, რათა გაძლო». ყოველთვის უნდა გიყვარდეს და უნდა იცვლებოდე, თორემ ვერ გაძლებ. ოთარ ჭილაძე ამბობს: სიყვარული ეს ერთადერთი სფეროა, სადაც დამარცხებული იმარჯვებსო». მოკლედ, გისურვებთ დამარცხებას.

შენი დღე როგორია? თენდება... და მერე რა ხდება?

15 სექტემბრიდან შემეცვალა დღის წესრიგი. ნაზუნა, ჩემი უფროსი შვილი, სკოლაში მივიყვანეთ. თენდება, ბავშვი სკოლაში მიმყავს. გამოყვანამდე ან წიგნს ვკითხულობ, ან კომპიუტერთან ვზივარ. იშვიათად ვწერ და ასე მიდის ცხოვრება...

**რუტინის ყველაზე დიდი გადამრჩენი რა არის შენთვის?**

ხომ იცით, ნათქვამია «მსგავსი მსგავსით იკურნებაო». რუტინისაგან ჩემი გადამრჩენი არის ისევ რუტინა –

წიგნების კითხვა, რომელიც ბოლომდე ვერასდროს გადაიქცა რუტინად.

**დიდი მწერლების ციტატების მოშველიება გიყვარს?**

მიყვარდა გარდატეხის ასაკში. ხშირად ვციტირებდი. ხანდახან ახლაც ვციტირებ ხოლმე. თუმცა ოცდაათს რომ გადასცდები, ან შენი უნდა თქვა რამე, ან გაჩუმდე.

## ბეკეტი – ასოციაციური, ასოციალური რომანი, (ფრაგმენტები რომანიდან)

...აბა, ვემზადები: ჰოპლა. მორჩა. გადავახტი! როგორც ჩანს, ეს წუთია, სოფლის შარაზე ავიარე ჩაფიქრებულმა. ჩემმა ხანშიშესულმა (ასე 65 წლამდე იქნება), ბრგე, წელში გამართულმა, ლამაზი აგებულების ძალიანთეთრთმიანმა (გარეგნობით, თითქმის ბუნდოვანებაში გადასულმა) მეგობარმა მომაძახა, ჰეი, შენ!.. (განდობილივით, საიდუმლო სახელით მომმართა, პაროლივითაა. მნიშვნელოვანი მომენტია!) გამარჯობა არ უნდა მითხრა?! რა ვქნა ახლა, მივიდე? დავიძარი, უნდა მივიდე, იქნებ რამე მომიყვეს. მივედი. ბევრად ახალგაზრდა ვარ მასზე, მაგრამ ვმეგობრობთ. ლოყაზე ვაკოცე, მივუჯექი. თავად წამოდგა. მომიბრუნდა. თავისივე გამოთლილ, გამომწვარ, გალაქულ გველისთავიან ჯოხს დაეყრდნო. მუქი, შავი მზის სათვალე უკეთია და მიყვება (ოჰ, როგორ ცოცხლად ვწერ, თუ აღვწერ ყველაფერს!): ორი დღის წინ სახლიდან გამოვედი, შუადღე იყო, თქვენსა მინდოდა ამოსვლა და ვერ მოვახერხე, პირველი ნაბიჯი გადავდგი თუ არა ჩემი ჭიშკრიდან, ავდექი და უკან შევბრუნდი. ახლა მე უნდა ვკითხო რატომ. ვკითხე. იმიტომ (ეს სიტყვა რას უნდა ნიშნავდეს?) ჩემო უმცროსო მეგობარო, რომ ერთ რამეს მივხვდი. რას? რას და ჩვენ ისეთი ზარმაცი ხალხი ვართ, თოვლში ერთი კაცი რომ გაკვალავს გზას ყველა მის გაკვალულში ვაბიჯებთ, არცერთი სანტიმეტრით წინ ან უკან და ასე, ათასმა კაცმა რომ გაიაროს იმ გზაზე ვერ შეატყობ, იფიქრებ ერთ კაცს გაუვლიაო. (ახლა ვიცი რაც უნდა ვუთხრა: მერე შენც გაგეკვალა შენი გზა, ან იმავე ნაფეხურებით ამოსულიყავი-მეთქი, მაგრამ არ ვეტყვი, აზრი არ აქვს.). მაინც რაზე ფიქრობდი, რომ ვერ შემნიშნე? იქნებ შეგამჩნიე და

გაპარვა მინდოდა, როგორ მიცანი? როგორ და თოვლზე ბილიკი გაგყავდა, რომელიც მხოლოდ შენია, ფეხის ხმა უტყუარია... გაეცინა. (ვინმე იკითხავს: ჯერ ხომ ძალიან არ ჩამობნელებულა, ვითომ რატომ ვერ უნდა ეცნე, ბრმა ხომ არ არის? ჰო, სწორედაც ბრმაა, ბრმა! თეთრი თმა აქვს. მუქი სათვალე უკეთია. გველისთავიან ჯოხს დაჰყვება. შეუმჩნევლად დასრიალებს გზებზე. ორი დღის წინ, დილით, დიდი თოვლის გამო ჩემამდე ვერ ამოაღწია. სახელით მომმართა. ასეა, პატარა ბელეტრისტიკული «ტრიუკია» ეს «სიბრმავე» და ტექსტში ყველაფერს ცვლის). აგრძელებს: მერე, დღეს დილით რა შემემთხვა, რომ იცოდე, აბანოს ვაკეთებდი, ბაკი წყალს აღარ აცხელებდა, მაღალი ძაბვა გადის და... დენმა დამარტყა. ვაიმე, ვთქვი მე. ჰოდა, შენგან ერთი რამ მაინტერესებს, მთელი დღეა სანახშოზე, ამ ადგილას, გელოდები. რა გაინტერესებს? რა და ახლა მე ცოცხალი ვარ? რა ვუპასუხო? ალბათ შეკითხვა უნდა დავუბრუნო, სხვა გზა არ არის. და რატომ ფიქრობ, რომ ახლა შენ შეიძლება ცოცხალი არა ხარ? უკვე 39 წელია ბრმა ვარ და ახლა მე შენ გხედავ, გესმის გხედავ! გ ა ვ ი ქ ც ე?! არა, რომ გავიქცე ვიცი, ვიფიქრებ თუ არა სამშვიდობოს ვარ-მეთქი ზუსტად იქ გამომეცხადება და ჩვენს მეგობრობასაც საბოლოოდ დაესმება წერტილი. ვეუბნები: აბა, თუ მხედავ, აღმიწერე ჩემი თავი. კარგი, – მოურიდებლად, სწრაფი მოძრაობით მოიხსნა სათვალე. ცხოვრებაში პირველად ვხედავ ბრმას სათვალის გარეშე. თვალები დაშრეტილი აქვს, მარცხენა თითქმის ბოლომდე მოჭუტული, ოპერაციის ხაზი და თეთრი ნადები ეტყობა, მეორეში, ოდნავ გახელილში, შუშის თვალი მოუჩანს. თითქოს მიყურებს. ჩამაშტერდა. განაგრძო. – შენ გაქვს მზესავით ყვითელი კანის ფერი. გაფითრებული ხარ. თმები ცეცხლისფერი. ცხვირი ოდნავ კეხიანი. ტუჩები თხელი. ნიკაპი ჩაჭრილი. თვალები გამჭვირვალე

კომბოსტოსფურცლისფერი. შარვალი შავი გაცვია, რომლის ერთი ჯიბიდანაც უცნაური სინათლე მოდის... და გააგრძელა ტანსაცმლის აღწერა, თუმცა მე აღარ ვუსმენ. მოკლედ, პოეტურად კი აღწერს ჩემს გარეგნობას, მაგრამ შარვლის ჯიბიდან წამოსული სინათლის სხივის გარდა თითქმის არაფერი ემთხვევა. თითქმის ყველაფერში შეცდა. რა ვუპასუხო? იქნებ მართლა მკვდარია? მაგრამ თუ ასეა, აქ ჩემი და საერთოდ სიცოცხლის რაობის და ნამდვილობის საკითხიც დგება. არადა, ის მელაპარაკება, მე ვიწერ... რა ჯანდაბაა? მოკლედ, რაც იქნება იქნება, ვპასუხობ: არ ვიცი ცოცხალი ხარ თუ მკვდარი და არც ის, ხედავ თუ ვერა, წავედი. წამოვედი. დავტოვე თავის გველზე ჩამოყრდნობილი, გაშეშებული. ავდექი და უბრალოდ წამოვედი, მორჩა და გათავდა, არ შემიძლია მისტიკა, მეტაფიზიკა და საერთოდ, საერთოდ არაფერ შუაშია ეს ორი რამ ამ ყველაფერთან. დიახ, წამოვედი. სახლიდან გამოვედი და ვგრძნობ, ისევ სახლში მივდივარ. რა გზას დავადგე, როგორ არ წავიდე სახლში?! სანახშოს მოპირდაპირე მხარეს მარჯვნივ გადავუხვევ, ხიდს გადავივლი და სასაფლაოზე ავალ, სანამ ბოლომდე ჩამობნელებულა. უკან ვიხედები, კიდევ ჯოხზეა ჩამოყრდნობილი, არ ინძრევა. მოვიხედე და მარილის სვეტად იქცა, ზოგჯერ პირიქითაც ხდება რაღაცები. ძალიან პირობითია ეს ყველაფერი. ბრმას ველაპარაკე, მას არანაირი კრიტერიუმი არ გააჩნია, რომ მიხვდეს, მკვდარია თუ ცოცხალი. შეიძლება მკვდარიც არის. ახლა სასაფლაოზე ვარ, რაღაც ძალიან ხელოვნური მეჩვენება აქ სიკვდილის ატმოსფერო. თოვლში ამოსული ყვავილები თავისას ცდილობენ (ეს ბუნებაა), საფლავის ქვები თავისას (ეს მეცნიერებაა), ორივე კი მიგვანიშნებს, რომ აქ სიკვდილია. ამ მინიშნებას რაღაცნაირი მტკიცებითი ფორმა აქვს. არადა, სიკვდილი ყველაზე ნაკლებად არის

აქ. მეტისმეტად ხელოვნური გარემოა. სიკვდილს ასეთ უტრირებულ, მდაბიო სივრცეში არაფერი ესაქმება. უფრო დახვეწილი, სადა აქსესუარები უყვარს. ამ საკითხში აშკარად ევროპაცენტრისტი ვარ. არ მომწონს სიკვდილი გაგებული აღმოსავლურად, დასავლური მირჩევნია. და აი, ამოვყევი აღმართს და მოვადექი იმ ადგილს, სადაც თეორიულად ვიცი, რომ დაახლოებით ორი მეტრის სიღრმეში ისაა განთავსებული, ვისი ძვლებიც არაერთხელ გამითბია. რაღაც გაურკვეველი განცდა მეუფლება ხოლმე, მინდა ეს ადგილი ამოვთხარო, ნამდვილი არქეოლოგიური ჟინით ვარ შეპყრობილი. სასაფლაოს ეს ადგილი, ფერდობი, სადაც ასე ლამაზადაა შეფენილი დომინოს პრინციპით, ჭადრაკულად საფლავის ქვები, ყოველთვის ალერგიას მაძლევს. არ ვიცი, შეიძლება ფიქრი მაძლევს ალერგიას, ახლაც საშინლად მეფხანება ყვერები, იქნებ ჯიბეში თბილად მოკალათებული სინათლის ბურთის ბრალიცაა ეს ყველაფერი. ყვერების ფხანა არასდროს ამტეხვია, უნდა დავბრუნდე, ვეღარ ვუძლებ, უნდა დავბრუნდე, დავეშვები ახლა ამ ფერდობიდან, ვიწრო ბილიკით, საფლავსა და საფლავს შორის. არ ვიცი, როგორ ვწერ, როგორ ვინიშნავ ამ ყველაფერს, აგერ უკვე დაღამდა და აღარაფერი ჩანს, თუმცა ამ კალამს უნიკალური უნარი აქვს, დაადებ თუ არა მის წვერს ფურცლის ზედაპირს, მთელი ფურცელი ნათდება. სხვას რასაც გინდა დაადე, აზრი არ აქვს, აუცილებლად ფურცელი უნდა იყოს. ის სავარაუდო ადგილი კი, სადაც ბოლო წინადადება ჩავინიშნე, უნდა დავიმახსოვრო, თუ ვერა, ან უკვე დაწერილს გადავაწერ ახალ ტექსტს, ან თანმიმდევრობა დამეკარგება ვრცელი ინტერვალების გამო, ან სრულიად ახალი ფურცლიდან მომიწევს ტექსტის გაგრძელება. პრინციპში რა პრობლემაა, თუნდაც ესე იყოს. მოკლედ, დავეშვი. ვერაფერს ვხედავ. ფიფქები, ზოგჯერ კი ხიდან

მოწყვეტილი თოვლის მასა, ხელებზე, კისერზე და სახეზე მაცვივა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მკვდრებს აქედან ჩემი გაშვება არ სურთ, სველ ხელებს მისვამენ სახეზე, კისერზე, თავზე და ა. შ. თითქოს სულში გადამივიდა სისველე. წესით უნდა მეშინოდეს. შემეშინდებოდა კიდეც, ასე არანორმალურად რომ არ მეფხანებოდეს ყვერები. ჯიბეში ხელი ჩავიყავი, სინათლის გუნდა ამოვიღე, რაღაც უცნაურად უხდება თოვლს, სიბნელეს და სასაფლაოს. რამდენიმე აჩრდილს თვალიც კი მოვკარი, – ეჰეი, სად გარბიხართ! ზოგჯერ როგორ აცანცარდებიან ხოლმე, სწორიცაა, აჩრდილს სერიოზულობა არ უხდება. ხედავ, რაც სინათლის გუნდა შარვლის ჯიბიდან ამოვიღე, ალერგიამ ცოტა გამიარა, მგონი ადგილთან და ფიქრთან ერთად ამის ბრალიც ყოფილა... ახლა ამ გუნდას სასაფლაოს ბილიკზე დავაგორებ და უკან მშვიდად გავყვები, მართლა არაფერი ჩანს... ერთადერთი, რაც ჩემგან მოითხოვება, ცოტა ნაბიჯს უნდა ავუჩქარო, ძალიან არ დავშორდე სინათლეს, იდეალურად კი მინათებს, გზას და ჩემ ფეხებს მშვენივრად ვხედავ, დანარჩენს ეშველება. შევყოვნდი. უნდა გავჩერდე, ეს რაღაც ახალი საფლავია, გზის ამ ნაწილში არასდროს ყოფილა. დავიხარე, სინათლის გუნდა ავიღე, საფლავის ქვასთან ახლოს მივიტანე და სახეს დავაკვირდი. მიცვალებულს მუქი მზის სათვალე უკეთია... კი, ის არის, ის ბრმა, ჩემი მეგობარი, წეღან რო მეკითხებოდა ცოცხალი ვარო, ქვას მხოლოდ დაბადების წელი აწერია, გარდაცვალების არა. მკვდარია ვითომ? წარმოდგენა არა მაქვს. ისევ დავაგორე ბილიკზე სინათლის გუნდა, მოვყვები ნელა და ვფიქრობ. დამშორდა. რაღაც უცნაურად სწრაფად მშორდება. უსასრულოდ დამშორდა, ვეღარ ვეწევი, რაც უფრო ვუახლოვდები თითქოს უფრო მშორდება, მიგორავს, მიცურავს უსასრულობაში, ვეღარ ვეწევი, აი, დავინახე, უკვე სასაფლაოს ხიდთანაა. უნდა

გავიქცე. გავრბივარ. რამდენჯერმე წავიქეცი, მგონი ხელები გადავიყვლიფე, ცოტათი სახეც დავისისხლიანე. აი, უკვე ხიდს ვუახლოვდები. სინათლის ეს ბურთი კი ჩაგორდა... ღმერთო ჩემო, სინათლე მდინარეში ჩავარდა. მე, მდინარეში ვერ შევალ, მდინარეში შესვლა არასდროს გამომდიოდა. სასწაულია, მთელი მდინარე გაანათა, გამჭვირვალეა წყლის წვეთივით. წარმოგიდგენია, კალაპოტიდან სოფლის ბოლომდე მდინარის თითოეულ ტალღას, მის ფსკერზე დაცვენილ ყველა კენჭს ვხედავ, შემდეგ გადასერა მდინარე და ხიდის მეორე მხარეს გაჩერდა, მდინარე კი ისევ დაბნელდა. წარმოდგენა არა მაქვს ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა თუ რამე მნიშვნელობა აქვს, არ მიყვარს ალეგორიები, სიმბოლოები, ქარაგმები, მოკლედ, ძირს ყოველგვარი ბუნდოვანება!.. გადავიარე ხიდი, ავიღე ბურთულა, საკმაოდ დაპატარავებულიყო, ალბათ მდინარეში ბევრი ენერგია გაკარგა, და ჯიბეში ჩავიდე. გამოვედი სასაფლაოდან და რას ვხედავ, პავლე (ის ბრმა) ისევ ისე დგას გაუნძრევლად ჯოხზე დაყრდნობილი, ოღონდ თავი ჩემკენ აქვს შემობრუნებული. არ ვიცი, როგორ (ღამეა!), მაგრამ ცხადად ვხედავ ამ ყველაფერს. მგონი ცოტა შეირხა და უცნაურად გაიღიმა კიდეც. ისევ მეძახის, რაღაც უნდა გითხრაო. მივედი. რას იწერო, მეკითხება. აი, თუნდაც, რომ მკითხე რას იწერო, ეგეც ჩავიწერე-თქო. რა იცი, რომ ვიწერ-მეთქი. ქაღალდის შრიალის ბგერებს კარგად ვგრძნობო, თუმცა, მე ფურცელი შენს ხელში არ დამინახავს და ალბათ თავს ვიტყუებ, ვერ ვიხედებიო. ისეო, 39 ზამთარი გავიდა რაც დავბრმავდი და ერთხელაც არ შემხვედრია სურდო, ეს ოხერი სიბრმავე რამდენიმე დღე მაინც რო დამვიწყებოდა და თავი ჩვეულებრივ ადამიანად მეგრძნოო. არასდროს ავად აღარ გავმხდარვარ, თითქოს ვიღაცას განუზრახავს, რომ მხოლოდ ბრმა ვიყო, მორჩა და გათავდაო. ისე,

ერთხელო, ასე, ხუთი წლის წინ, სახლში, ფეჩთან ვიჯექი და ცეცხლის სიმხურვალე პირდაპირ სახეში სასიამოვნოდ მეცემოდაო, ვიეტნამიდან ჩამოტანილი, სიგარეტის ფურცელში შეკეთებული მარიხუანა მეგდო კარადის უჯრაში, ერთმა ჩემმა სოფლელმა მომცაო. უჯრა გამოვწიე, მარიხუანა ამოვიღე, მოვუკიდე და რამდენიმე ნაფაზი დავარტყი, ღრმად ვისუნთქავდი, მაგრამ განსაკუთრებულს ვერაფერს ვგრძნობდიო. მერე ისევ ფეჩს მივუჯექი, რაც დამრჩა, ცეცხლში შევაგდეო. ფეჩს შევუკეთე, ცეცხლის სიმხურვალე მატულობდა, მატულობდა, სახე მეწვოდა, თავში, თვალებში რაღაც მაწვებოდა, ჯერ ფეჩის კარი დავინახე, მერე იქედან გამოვარდნილი ცეცხლის ენები, მერე მთლიანი ფეჩი, ვხედავდი, ეს ყველაფერი ზღაპრული იყო, ნამდვილი ზღაპარი, არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდა, როგორც ჩანს ჩამეძინა, დილით (ალბათ დილა იყო), საშინელმა ტკივილმა გამომაღვიძა, სახე მეწვოდა, ავდექი, ზეთი შევიზილე (მერე გაირკვა, პირველი ხარისხის დამწვრობა მიმიღია), ტკივილი ოდნავ რო მიყუჩდა, მერეღა დავფიქრდი და აღმოვაჩინე, რომ ისევ ბრმა ვიყავი. ახლა ვადარებ მარიხუანას მოწევის შემდეგ გამოხედვას დენის დარტყმის შემდეგ გამოხედვასთან და ვხვდები, ამ ორს შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ ზღაპარი იყო, თუმცა მაშინ არ მოვმკვდარვარ, ახლა ცოცხალი ვარ თუ მკვდარი საერთოდ ვერ ვხვდები. რა ფერები იყო მაშინ, ბევრი, ბევრი, მუქი, ლამაზი, ეს კი ძალიან მკრთალი, უღიმღამო ფერებია, შენც ფერდაკარგული მეჩვენებიო. კიდევ იყო ერთხელ, შუაღამისას პური მომინდა, პურის ქვაბში ხელი ჩავყავი და გველმა მიკბინა, მე ასე ჩავთვალე – გველი იყო, ნამდვილად გველიო. მაშინაც გამოვიხედე, ოღონდ სულ სხვანაირადო, ამიტომ გამოვთალე ეს ჯოხი, რაღაცნაირად გველი ღმერთად მექცაო. გადამარჩინეს, მაგრამ ის

ნაკბენი რომ არ დამავიწყდეს, აი, ეს ჯოხი სულ თან დამაქვსო. მაინც მჯერა, რომ მაშინ ვხედავდი, ახლაც ვხედავ, სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინცო, ცოცხალიც ვარ ალბათ, მაგრამ ამ ბოლო დროს სასაფლაოსთან ახლოს, სულ ამ ადგილებში მიწევს დგომა, არ ვიცი, ეს რატომ ხდებაო ... ... ... მოკლედ, მისი ხმა ნელ-ნელა მიილია, ძალა გამოეცალა, ბუტბუტში გადაუვიდა, ბგერებს ვეღარ ვარჩევ. მგონი ისევ გაშეშდა, მარტო ტუჩებსღა ამოძრავებს.ჯიბეში ხელი ჩავიყავი, სინათლის ბურთს დავხედე, შევამოწმე, მართლა ძალიან დაპატარავებულა, მეყოფა კი მთელი ღამე? ყვერები თითქმის აღარ მეფხანება. გახარებული წამოვდექი სკამიდან, სახლისკენ სვლა განვაგრძე. პავლე ისევ ისე იდგა, გაშეშებული, ბუტბუტებდა. არ მინდა სახლში, როგორ არ მივიდე, რა მიმართულებით გავიქცე? ამ დილას გამოვედი, ამდენი ვიარე და ისევ მის შორიახლოს ვარ. ახლა კვლავ მისკენ მივემართები. წესით უნდა არსებობდეს სხვა გზაც. და აი, ახლა მე ვემზადები ერთი პატარა ნაბიჯის გადასადგმელად, რომელიც, სავარაუდოდ, კაცობრიობისთვის უდიდესი ნახტომი იქნება. გადავდგი. ფეხი ჩამრჩა თოვლში, დავიხარე, თასმა შემხსნია, რაღაცას გამოსდებია და ნაბიჯს ვეღარ ვადგამ. რას წამოედო, სადა აქვს ფესვი ამ თოვლში ამოსულ ყვავილს? ხელი ჩავავლე და მოვქაჩე. ვერ ამოვწყვიტე ფესვებს. კიდევ მოვქაჩე, კიდევ, ორივე ხელი ჩავავლე, მოვქაჩე, მოწყდა, თოვლში გადავვარდი, მის სიღრმეში ჩავიმარხე. თასმაში ჩაიხლართა, ვერ გამოვხსენი. იყოს ასე. წამოვდექი. ტანსაცმელი გავფერთხე. ყვავილიანი ფეხსაცმლით მივარღვევ თოვლს, ბილიკი გამყავს. მოიცა, ბურთი ამოვიღო, აღარაფერი ჩანს. ხელებზე დავიხედე, გაოგნებული ვარ, სულ გადამყვლეფია. სისხლიანი მაქვს ყველა თითი. ხელის მტევნები, ერთთავად სისხლიანი.

ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობ. ძალიან გახურებული მაქვს კიდურები. ყინვა სითბოში გადამივიდა. ლოლოებია სისხლში, თუ სისხლი ლოლოებში, თუ სისხლის ლოლოები? ყვავილნარევია ჩემი ხელები. გადაყვლეფილ ხელებს კანში ყვავილის სურნელოვანი მტვერი შერევია, გაუმწვანებია, სისხლს ფერი შეუცვლია და მუქბორდოსფერში გადასულა, ტკივილი მოუნელებია და ვერცხლისფერი ელვარება შეუძენია. ლოყებზე მიმიდია ცხელი ხელისგულები და ვეღარ მომიშორებია, მერე გამომიქაჩია მთელი ძალით და ღაწვებზეც გადამცლია კანი. ერთთავად გავსისხლიანებულვარ, სხეულზე ყველა ცარიელი ადგილი დაფარულა, ზოგი სისხლით, ზოგი ტანსაცმლით, ზოგიც სინათლით. მთელი სხეული, სისხლისა და ყვავილის სუნით გაჟღენთილი, თოვლს შეუნიღბავს, თოვლი სხეულის კამუფლიაჟია, სიბნელეში მტერს ვემალები თოვლის საბანში გახვეული. თოვლის სული თეთრია და ფაქიზი, როგორც მალარმეს ლირიკა და რას ვხედავ, მას შეერწყა ჩემი სოფლის გორაკზე «შავი კლდის» ნამსხვრევებით აგებული სახლის ფანჯრიდან მომავალი დანთებული სანთლის შუქი. მივედი. ფანჯარაზე მსუბუქად დანაკაკუნე. დავაკაკუნე და გამიღეს. გამიღეს და თავიც გამოყვეს. თავი გამოყო თავშალწაკრულმა დედაკაცმა, თეთრი, ავადმყოფური სახით, მადლით მოსილი, მიყურებდა და თვალებით მეკითხებოდა, რა გნებავთ? ვერ შევატყვე შეცბუნება, არადა მ ე დამინახა. ალბათ სანთლის ალმა დააბრმავა, ან რელიგიურმა ექსტაზმა, მე კი ვუყურებ, კარგად ვაკვირდები, ვხედავ მის მოხრილ სხეულს, დარაბებზე ჩამოწყობილ გაყვითლებულ ხელებს, თავშლიდან გადმოცვენილ ცეცხლისფერ კულულებს და თვალებს, რომელიც ჩამქრალია, მაგრამ ისეთი, სიკვდილის დროს სიამოვნებით რომ დაიხუჭება, მასში გამქრალია წინააღმდეგობა და არის მოლოდინი –

დადასტურებული და ბეჭედდასმული. მისი თვალები ანგელოზის ბეჭედია, აპოკალიფსში როა, მგონი მეშვიდე... ქალბატონო, სანთელი რატომ გინთიათ ფანჯარაში? აბა ირგვლივ მიმოიხედეთო, მითხრა. მიმოვიხედე და რას ვხედავ, თითქმის ყველა სარკმელი განათებულია ირგვლივ... მხრები ავიჩეჩე. კი, მაგრამ, დაგავიწყდათ, დღეს ხომ შობ... და ამ დროს სოფლის სასაფლაოს პატარა ეკლესიიდან, რომელიც «წმინდა გიორგის» სახელს ატარებს, გაისმა პატარა ზარის წკრიალა ხმა. ნეტა ვინ ავიდა იქ? ნუთუ ასე ამერია დრო? არა ქალბატონო, გამორიცხულია დღეს რომ შობა იყოს... და მივაშტერდი ძუძუებზე, რომლებიც რაღაც მისტიკურ ნისლში გახვეულიყო, ჩავთვალე რომ ეს მისი რელიგიურობის ნიშანი იყო, მაგრამ ცოტაც და რაღაც უცნაური სუნიც მეცა, ეს კი აშკარად არ არის საკმევლის სუნი, უფრო ახლად აშიშხინებული ხორცის ნაჭერია. ქალბატონო, მგონი თქვენ ცეცხლი გიკიდიათ ძუძუებზე. მან დაიხედა და კივილი მორთო. ერთი შევნიშნე, ოთახში ვიღაცები ტაშტებით დარბოდნენ. წამოვედი. მაინც რა არის ეს წმინდა დღესასწაულები. რელიგია. შობის სანთელიდან ძუძუებზე ცეცხლი წაეკიდა. ნუთუ ვერ ხვდებით მცირედ მორწმუნენო, ეს არის «წმინდა გარდამოსვლა» იერუსალიმში. მცირე მასშტაბით სასწაულის გამეორება, მაგრამ იერუსალიმის წმინდა ცეცხლისგან განსხვავებით შობის სანთლიდან გადმოსული ცეცხლი წვავს, როგორც ხორცს, ისე სულს... გამოვბრუნდი. ვაკვირდები სახლების ფანჯრებს. თითოეული მათგანი მართლაც რომ ალექსანდრიის შუქურას ჰგავს. ყველა ანათებს, მინათებს სავალ გზას, ისე რომ დამავიწყდა კიდეც ჩემი შარვლის ჯიბეში განთავსებული ნათლის ღრუბელი, ლამპარი ჩემი ბილიკებისა. მივყვები სინათლის გზებს და ვგრძნობ, სახლს ვუახლოვდები, მგონი დავინახე კიდეც. მთელ

სოფელში მხოლოდ ისაა ჩაბნელებული. არანაირი სინათლის სხივი, სრული წყვდიადი. რა მარტივია სინათლეში სიბნელის დანახვა. ორი საწყისი, ორი პარალელური წრფე, რომელიც სადღაც უსასრულობაში გადაიკვეთება და ყველა პოეტი თავისებურ დასკვნებს გააკეთებს. ბევრი მისტიკოსი დუმილს მიიჩნევს რელიგიის მთავარ მიღწევად, ე. ი. მართლა მარიამ ღვთისმშობელია ქრისტიანებისთვის ყველაზე დიდი მაგალითი. თუმცა ეს საეჭვი თეზისია, ის უფრო მაშინ დუმდა ვიდრე ქრისტიანი გახდებოდა. ნეტა, იოსებმა მოასწრო გაქრისტიანება? მარიამმა ქალებს მისცა სიჩუმის მაგალითი, მაგრამ ამ მაგალითმა ძალიან ცუდად იმუშავა ისტორიაში. ჰაჰაჰაჰა. სიცილი. გაცინება, მხოლოდ ადამიანზეა შესაძლებელი. ქუდზე არასდროს გაგეცინება, თუ ის ადამიანს არ ახურავსო, ჩაწერილი მაქვს, ის ბრმა მეუბნებოდა. ბრმებს ნაკლებად გვაქვს იუმორის გრძნობა, იუმორი თვალის თვისებაა. ისინი კი მოძრაობას აკვირდებიან, ბგერის აღქმის გარეშე, ვთქვათ, ცეკვას მუსიკის გარეშე, მომღერალს სიმღერის გარეშე, არადა, სწორედ მათ არ შეუძლიათ სიცილი, ვისაც ყველაზე მეტად ეცინებაო. ჰო, ყრუ-მუნჯებს გულისხმობდა. მგონი ესეც სასაცილოა. დაგვცინიან, მაგრამ ვერ იცინიან, ჩვენ კი დავცინით, რადგან, დაგვცინიან და ვერ იცინიან. ისინი მხოლოდ ჩვენ დაგვცინიან, ჩვენ კი მათაც და ჩვენს თავსაც. რთულია. სამყაროს არარეალურობა მანცვიფრებს, თითქოს ვისწავლე კიდეც ჩემი თავის დადანაშაულება ყველაფერში, რათა სასჯელის სიმძიმე რაღაცნაირად გავამართლო, ვგულისხმობ სახლში არდაბრუნების შეუძლებლობას, მაგრამ, მგონი მაინც არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ადამიანური იმპულსები, რაც დავივიწყე, სანაგვეზე გადავყარე, ისიც კი დავივიწყე, რომ დავივიწყე, მაგრამ აგერ თურმე

ამომიტივტივდა, მაიძულა რაღაცის შეუძლებლობის შეუძლებლობამ და რაღაცის შესაძლებლობის შესაძლებლობამ, რომ მეღიარებინა უძლურება, გამკლავება სასჯელთან, რომელსაც კრიტერიუმი არ გააჩნია. სასაფლაოს ფერდობი ჩამოვირბინე, მდინარის ხიდიც გადავკვეთე, სანთლის მკრთალი შუქით განათებულ ფანჯრებსაც ჩავუარე, ერთგან მივაკაკუნე კიდეც, ახლა ვფიქრობ, ისევ ფერდობზე რატომ ვგრძნობ თავს, ვეშვები, მივდევ სინათლის გუნდას, ვეშვები, მოვქრი, იმ ბრმის სხეულთან შერწყმული და გათავისუფლებული, მეც დავბრმავდი პატარაობისას, ამის შემდეგ სულ სინათლის მსუბუქი გუნდა დამატარებს, ჯერ არაფერს დავჯახებივარ, არც არასდროს წამომიკრავს ფეხი ქვისთვის, თითქოს ის ლამპარია ჩემი ფეხებისთვის, მეც დავატარებ, ტვინი მაქვს განათებული, ვხედავ! მაგრამ ახლა ვხვდები, დროის გასვლასთან ერთად ეს გუნდა დნება, პატარავდება, სამყარო ცდილობს, ბოლომდე დამაბრმავოს და წყვდიადში ჩამძიროს, გუნდა პატარავდება, სახლში ვბრუნდები, ნუთუ ყველაფერი ლაგდება და თავის საწყისს უბრუნდება? სიცილი მეხსიერებას აღვიძებს – სასაცილო ჰიპოთეზაა! ჰაჰა, თითქმის ყველაფერი მახსენდება, ყველაფერი... ვეღარ ვაკავებ მეხსიერებას, პრეისტორიული ფესვები მექაჩება, არადა ფესვებს თითქოს მოწყვეტილი ვარ, ფეხსაცმლის თასმაში ჩაწნული, მიწიდან ამოგლეჯილი წმინდა ყვავილივით. ფეხებით მივათრევ მეხსიერებას და გადაღლეტილი ხელებითა და დასისხლიანებული სახით ვცდილობ აქცენტების დაბალანსებას. რა დიდებულია, ფესვებს მოწყვეტილი ადამიანი! ფილოსოფიური დასკვნაც კი გავაკეთე: თანამედროვე Homo sapiens-ი სამყაროს ნუმერაციული თუ არა, ნუმეროლოგიური ერთეულია ტრანსცენდენტურისა და იმანენტურის გარეშე, ადამიანი თავისთავად,

ზედაპირული, აქ და ახლა. სინამდვილეს სიღრმე არა აქვს. მორჩა. მეხსიერება თითქმის დამიბრუნდა და ისეთი შეგრძნება მაქვს რომ: – აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი. იქნებ დიად მეხსიერებას ვემსახურები... – არ ვიცი ეს ამაღლებული რელიგიურ-პოეტური ტონი როგორ დავარეგულირო, უარი უნდა ვთქვა ზოგიერთ სიტყვაზე, მაგალითად ისეთზე, როგორიცაა – «დიადი»... დიადი არავინაა, უფრო მეტიც, ჩემი აზრით, ადამიანი იმდენად დაუცველია, რომ შეუძლებელია ღმერთი არ არსებობდეს! ეს მე-8 არგუმენტია, რომელიც ადრე მოვიფიქრე, მოგეხსენება მე-6 კანტმა, ხოლო მე-7 ბორხესმა მოიფიქრა, ორნითოლოგიური არგუმენტი... და დაისვენა ღმერთმა მე-7 დღეს და ევოლუციამ დაასრულა მისი დაწყებული საქმე... ჰოდა, რას ვყვებოდი, კვლავ ჩავიარე სანახშოსთან და პავლე ისევ ისე დგას, გველშემოხვეული ჯოხი აღარ უჭირავს და ბუტბუტებს, ამჯერად მგონი საერთოდ ვერ შემამჩნია. გავჩერდი. სუნთქვის შესაკავებლად თოვლი თავზე წავიყარე. დავჯექი და გაფაციცებით ვუსმენ, ვცდილობ, სიტყვები გავარჩიო... არა, რას ბუტბუტებს ასე გაშეშებული მაინც? ან ხელები სადა აქვს, ხელებს ვერ ვხედავ? თურმე სულ ახლახან ვინმე მაძებარს ამოუვლია, მ მ მ მ მო, მო, მო... (ღმერთო, გაახსენე!) ჰო, მოსე მქვიაო, უთქვამს, მოიცა, ჩუუუუ, კი, კი, მოსე, ძაღლთან ერთად ყოფილა და უკითხავს, ის ხომ არ გინახავსო, ალბათ მე მგულისხმობდა, აბა, «ის» ამ არემარეში მარტო მე ვარ, სახელები ყველას აქვს. ამას უთქვამს, როგორ ვნახავდი, ბრმა ვარო. კარგიო და ძაღლისთვის უბრძანებია: ბოლივარ ეძებეო! ძაღლსაც ჯერ პავლეს ირგვლივ შემოურბენია რამდენიმე წრე, დაუყნოსია, უკანა თათებზე დამდგარა, წინები სხეულზე გველივით შემოუხვევია, მისი ხელები აულოკავს, ამას ხელებში შეგრძნება დაუკარგავს, თითქოს აღარც მაქვს ხელებიო, ჩაულაპარაკია, თითქოს

გველისთავიანი ჯოხი აღარც მიჭირავსო. მოსეს უთქვამს, ამით გაუვალი თოვლის გაყოფა შემიძლია, დაგიბრუნებ აუცილებლად, შენ მაინც სულ აქ დგახარ და კვერთხი რაში გჭირდებაო... ძაღლისთვის დაუძახებია, ბოლივარ (თუ ბანგა?) გამომყევიო, და სასწრაფოდ ზევით ტყისკენ გაუგრძელებიათ სვლა! ნეტა ვინ არის და რა უნდა? ან გზაში როგორ ამცდა, აქ სულ ერთი შარაა და მეც ზემოდან მოვდივარ... სასაფლაოსკენ ხომ არ აუხვია, მარჯვნივ, ვიწრო ბილიკით... გაუგებარია. მერე, ჩემამდე, ვიღაცას ჩამოუვლია, თოვლის მტვრევის და ლაწალუწის ხმამ შემაშფოთაო, – ბუტბუტებდა პავლე, – გასაოცარი ის არის, რომ ველოსიპედით ყოფილა, უკითხავს, «ის» ხომ არ გინახავსო? ამას უთქვამს, როგორ ვნახავდი, ბრმა ვარო და წასვლა რომ დაუპირებია, ამას უკითხავს, კი მაგრამ ველოსიპედით ამხელა თოვლში როგორ დადიხარო? ადრე ვისწავლე ამით თოვლში სიარული, ერთხელ ალპებში მთიდანაც კი დავეშვი, ზეცაზე თოკით ვარ გამობმულიო. ამას გაჰკვირვებია და სანამ გამოფხიზლებულა, ის უკვე იქ აღარ ყოფილა, თურმე ჩემს გარდაც არსებობს ვიღაც «ის», როგორც ჩანს, სახელი არც მას აქვს... ახლა თოვლში ნაკვალევს ვათვალიერებ და მართალია პავლე, ერთ ადგილას ვიწროდ გაჭრილი ზოლი შევნიშნე, მეორეგან კი საცერივითაა დაჩვრეტილი თოვლის საფარი, თუმცა მოძრაობის მიმართულებები ვერ განვსაზღვრე, როგორც ჩანს, იცის მოსე-მაძებარმა მსხვერპლს როგორ აურიოს კვალი, ველოსიპედის მიმართულებას კი ვერასდროს განსაზღვრავ, რადგან მას თავისთავის საპირისპიროდაც შეუძლია მოძრაობა... საშინელებაა სრული სიმეტრია... გესმის, გეძებენო! – პავლემ. ეჰ, არადა, როგორ მეგონა, რომ ვერ შემამჩნია... გასაგებია-მეთქი, ჩავიბუტბუტე, თეთრი კამუფლიაჟი მოვიშორე, ცოტა სისხლის ლაქებიც მივაყოლე და გზა განვაგრძე. ვფიქრობ: ერთი ზევით

წასულა, მეორე ქვევით, მე კიდევ შუაში ვარ მოქცეული და ქვევით ვეშვები... ქვიშის საათი ამოაბრუნეს... ქვიშა... ძალიან ჩამობნელდა, თითქოს უზარმაზარ წყვდიადში შევდივარ. მოიცა, აი ისიც, შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოვაძვრინე და დავაგორე, ნახე, რა ნელა და ელეგანტურად მოძრაობს, ნებისმიერი სიბნელის გაფანტვა შეუძლია, მაინც რა ხარისხი აქვს სემიტურ ნათელს, წმინდა და აბსოლუტური, ათასწლეულების გასვლასაც კი უძლებს, აგერ სულ პატარა ნაწილი მინათებს და ლამისაა კაშკაშმა დამაბრმავოს, თან რეგენერაციის საოცარი უნარი აქვს... შევედი წყვდიადში, თუ წმინდა ნათელში, თუ როგორც არის და აქ სულაც არ არის დუმილი, რაღაც ხმები მესმის ზურგიდან, შორიდან, უკნიდან წამოსული, ქაოტური, ძალიან სუსტი და გაურკვეველი, შიშინისმაგვარი. მხოლოდ ერთზე ვფიქრობ, ეს ნათელი ინდივიდუალურია, მარტო მე მინათებს, თუ სხვაც დაინახავდა ჩემთან ერთად გვირაბის ბოლოს? მივდივარ ახლა აქ, სადაც ამდენი სინათლეა და ამდენი სიბნელე და ათასი თეოლოგიური აზრი მომდის თავში... აი, მოვდივარ მე, უხილავი ადამიანი. გაშეშებული. ეკლესიაში მდგარი ხის წმინდანივით. მარტოდმარტო. შემოპარული სიკაშკაშეში, უსათვალოდ…

* * *

ახლა, როცა ზურგზე მივეკარი მოს, სხეულზე ნაცნობი სუნი ასდის, მოლივით ხავერდოვანია მისი ტანსაცმელი, თავი ზურგზე მაქვს მიდებული და ოდნავ დახრილი, ხელები მის მუცელზე მილაგია და სავსე მთვარის მოყვანილობის სიმეტრიულ, მკვრივ დუნდულებზე ვაკვირდები, ველოსიპედის სკამი მთლიანად შთაუნთქავს... პროპორციებმა ამაღელვა. ეს ველოსიპედიც რაღაც ზღაპრულად მისრიალებს თოვლის გლუვ ზედაპირზე, სად

ისწავლა ასე ტარება, კენჭებითა და ქვებით სავსე სოფლის შარაზე, თოვლში, გამოგონილი სამყაროს ტოტალურ ილუზიაში მივცურავთ, ვეშვებით ნაზად, ლბილად, თოვლის მტვრევის ხმა სიმძაფრეს ჰმატებს თოკებით გადაბმული სხეულების ერთიანობას. თოვლზე გავლებული ზოლი ბედისწერის შუაგულში გავლებულ ხაზს ემსგავსება, რომელსაც საშლელით შლიან. ეს სპონტანური ხაზებია, მთავარია ერთხელ გაივლოს... საშლელი, რაღაცის წაშლისას, თავისთავსაც შლის. აღარაფერი მტკივა. ტკივილი სადღაც გაუჩინარდა, აღარ არის. ჭიპი, ძლიერი ეროგენული ზონა, გამქრალია, ცენტრი წაშლილია. მითოსურია ეს სიახლოვე, – ზამთრის სუსხითა და ღამის წყვდიადით გამთბარი (აკი, მოგორავს ჩვენთან ერთად სინათლის ბურთიც, ოდნავღა ბჟუტავს. მომ რამდენჯერმე დაუდევრად ველოსიპედით გადაუარა კიდეც). ირგვლივ ყველაფერი თეთრია. და აი, ვიგრძენი ის, რაც, ასე მგონია, რომ არასდროს მქონია ცხოვრებაში. უცნაურია. ცალი ხელი მოს მუცლიდან ავაცალე, მოვისინჯე, კი, მართალია, გამაგრებულია. მოს კვლავ შემოვხვიე ხელი. ერექცია. სიცოცხლის იმპულსი. მოლივით ხავერდოვან სხეულზე სუნი ასდის. რისი სუნია? მეხსიერების ფარგლებს გარეთ გამიყვანა. აქამდე მეხსიერება დაკარგული მქონდა, ახლა მის მიღმა ვარ გასული. ყველაფერს აწმყოში ვხედავ. ახლაწერტილშია თავმოყრილი ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. მივხვდი! უდაბნოსფერი, მშრალი რიცხვების სუნი ასდის მოს მოლივით ხავერდოვან ტანისამოსს. უფრო სწორად, ციფრების კი არა, ერთი ტელეფონის ნომრის სუნი, რომელიც არის ქ მ ე დ ე ბ ა და მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა: გათხოვდა. უკვე ისედაც აღარ მიყვარდა და მაინც ვურეკავდი. ქმარმა მიპასუხა, მლანძღა და მაგინა, გაანებე ჩემს ცოლს თავიო. ვეუბნები: განებებული მაქვს, რა ხანია აღარ მიყვარს, ის კი არა, ხეირიანად აღარც მახსოვს,

უბრალოდ ტელეფონის ნომერს ვერ ვივიწყებ-მეთქი. ეგ როგორო? როგორ და ეს ნომერი ყველა ფურცლიდან და ტელეფონიდანაც ამოვშალე, ამოშლისთანავე ვინმეს რომ ეკითხა, რა ნომერი ამოშალეო, ვერ ვუპასუხებდი, მაგრამ მერე სიზმარში ვნახე ეგ ნომერი, იმის შემდეგ ვცდილობ გონებიდან წაშლას, მაგრამ არაფერი გამოდის-მეთქი. ციფრები როგორ ნახე სიზმარშიო? ციფრები არ მინახავს, რაღაცნაირად მთლიანი ნომერი ვნახე და გაღვიძებისას რიცხვებიც მშვენივრად მახსოვდა-მეთქი. მოიცა, დავუშვათ ნომერი გახსოვს, ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უნდა დაურეკოო?! ეჰ, ვერ გამიგე, ნომერი თუ გახსოვს, აუცილებლად დარეკავ-მეთქი! ექიმთან ვაპირებ მისვლას, იქნებ არსებობდეს დავიწყების რაიმე საშუალება? – ქმარი ჰუმანური ადამიანი აღმოჩნდა, – კარგი, ექიმებში სიარულს და ფულის ყრას, ვეტყვი ჩემს ცოლს და ნომერს გამოვცვლითო, ოღონდ იცოდე, მერეც თუ დაურეკავ ასე და ასეო! გმადლობ-მეთქი. – თან გამეცინა, მერე როგორღა უნდა დამერეკა. ასე ერთ კვირაში ისევ გადავრეკე, იმავე ნომერზე. ისევ ქმარმა აიღო: ძმურადო, მეუბნება, მიდი ექიმთან, ჩემმა ცოლმა მითხრა, მაგ ნომრის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, თავს მოვიკლავო!.. იმკურნალე და სანამ განიკურნები, დაახლოებით ასე ორი თვე გაძლევ ამ ნომერზე დარეკვის უფლებას, ოღონდ, ზედმეტი არაფერი უთხრა, თორემ ასე და ასეო! კარგი, გმადლობ-მეთქი. ის იყო და ის, მე იქ აღარ დამირეკავს, ნომერიც დამავიწყდა ისე, რომ ექიმთან მისვლა აღარც დამჭირვებია. ის კი არა, ქმარმა აქეთ გადმომირეკა, რატომ დაგვივიწყეო? შემეშვი-მეთქი! რა ხდებაო? რა და წინა ლაპარაკის დროს, ასე ორი თვე გადმორეკვის ნება რომ დამრთე, გულისრევის შეგრძნება დამეუფლა, სასწრაფოდ სახლში გავიქეცი, დუში უნდა მიმეღო, ჰოდა, ვანაში, ბანაობისას უნებლიე ერექცია დამემართა და შენი ცოლი ტელეფონის

ნომერთან ერთად თესლს გამოვაყოლე და წყალმა წაიღო, შეუმჩნევლად კი გაუჩინარდა ტრაპში-მეთქი... ეს ვთქვი და: მაგას ვის ეუბნები, შენი დე... და გავუთიშე, ტელეფონი იქვე მდინარეში გადავაგდე, მორჩა და გათავდა, ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდი. განვიკურნე. ფსიქოლოგებო, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა კავშირშია ქმედება და მეხსიერება? ახლაც როგორი სიამოვნება განვიცადე, რომ იცოდეთ, დროისა და სივრცის მიღმური. აგერ, თესლმა გამოჟონა ჯიბიდან, შარვალზე ლაქას ვხედავ და კრახმალის სუნიც მეცა, სუნი, რომელიც მოს მოლივით მწვანე და ხავერდოვანი სხეულის სუნს შეერწყა. ნეტა თუ მიხვდა რა დამემართა? ცოტა კი შეიშმუშნა. არა მგონია. გულუბრყვილო ჩანს.

* * *

სიზმრიდან ბოლომდე განდევნილია ყველაფერი, რაც უხეშია. მაგალითად, სიტყვა «მახინჯი». აქ ასეთ სიტყვებს არაფერი ესაქმება. სიზმრის პოეზია დრამატულია, შეიძლება ტრაგიკულიც, მაგრამ აქ ყველაფერი ერთმანეთიდან ამოიზრდება, უმნიშვნელო საგნები არ არსებობს, არც დაპირისპირება და არც ჰარმონია. ეს «არალოგიკურის» სამყაროა, სადაც ყველაფერს საზრისი აქვს. სიზმრის ბედისწერა მითოლოგიაა. ზუსტად ასევე, მითოლოგიის ბედისწერაა სიზმარი. აქ კითხვებს არ სვამენ, არც პასუხები არსებობს. არც რაიმე მოძრაობს და არც ჩერდება, ყველაფერი ერთ გონებაშია თავმოყრილი, სადაც ფორმების უსასრულო მწკრივია, უზენაესი ესთეტიკა. თავად გონებაც ფანტაზიის ამ უსასრულო მწკრივშია შთანთქმული. სიზმარს არა აქვს მასზე კონტროლი, ოღონდ ვერც თავად აკონტროლებს მას. აქ სრული უმეცრებაა: სრული «ჰო» და სრული «არა». რას უნდა გრძნობდე, აღწერდე და განიცდიდე სამყაროში, სადაც

ყველა მოვლენა თავისთავადია, მიმართება არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ სხვა მოვლენებიდან ამოიზრდება, როგორც განსხვავებული ფორმა არარსისა. მიკროსამყაროებიდან გამუდმებით იბადება ახალ-ახალი სამყაროები. არსი ფორმებმა გაიწოვა და ახლა იგი თავისი არარსებობით უსასრულო ფორმების სპონტანურობას განაპირობებს. გამქრალია ენის დიქტატურა და სინტაქსის ერთფეროვნება. ვინ დაგვარწმუნა, რომ კაცობრიობა სამყაროს სულის მატერიაზეა ამოქარგული. განა კაცობრიობას ქარგა გააჩნია? ადამიანს უსიუჟეტო არსებაა. სიუჟეტი ჩემი გამჭვირვალე სხეული და სინქრონულად მოძრავი თეძოებია. როგორც შენ, მეც მაქვს მარადიული სიზმარი, ჩემზე თოკით მობმულო მეგობარო (ალბათ მე მომმართა. აგრძელებს): ვხედავდი. ყოველთვის ვხედავ: მთვრალი ვარ. სოფელში ჩვენმა ღორმა გოჭები დაყარა. (მაშინ მეც მიყვარდა სამშობლო, ჩემი დედა ღორი!). ვხედავ: ქალაქიდან სტუმრები მოგვივიდნენ, წვერმოშვებული, შავი შლაპებით თავდამშვენებული პატრიოტები. დედას ვთხოვ, მოდი ჩვენს სამშობლოს გოჭები დავუკლათ-მეთქი. დედა უარზეა. არა შვილო, ნუ დაუყრი ღორებს მარგალიტებსო. ეს ხომ კანაში გამართული ქორწილია, დედა! არა შვილო, ეს სხვა რამ არისო. ეს მარგალიტებით თამაში რა არის დედა! გამოუყენებელი მარგალიტები რაში მჭირდება-მეთქი! – ვყვირი. კარს ვაღებ და საღორისკენ მივრბივარ. დედა როგორღაც იქ მხვდება. თვალცრემლიანი მიყურებს, თითქოს იცის, რაც უნდა გავაკეთო, არ მეწინააღმდეგება. პირველივე გოჭს დავტაცე ხელი, ჰაერში ავიტაცე და დედაჩემის წინ ძირს დავანარცხე. პატარა გოჭი შუაზე გასკდა, სისხლი შემოგვესხა. ფართხალებს. ამასობაში მეორეს ვტაცე ხელი და პირდაპირ გასისხლიანებული დედაჩემის ფეხებთან დავახეთქე, ისიც გასკდა,

ჭყვიტინებდა და ფართხალებდა... ასე დავანარცხე ექვსივე გოჭი. შვილების სისხლით გაწუმპული დედა ღორი კი მშვიდად წევს, არ ინძრევა. ჩვენს წამოსვლას ელოდება, ემზადება შვილების შესათქვლეფად... საღორიდან გამოვვარდი. შლაპიანი პატრიოტები სადღაც გაქრნენ, აღარსად ჩანან. ვხედავ: დედაჩემი ბოსტანში (ზენობიას ბაღი, ასე დავარქვი) ნიადაგიდან ველურ ჭარხალს იღებს და კანგაურჩევლად მიწიანად ჭამს. პირი სისხლით აქვს სავსე. ვეხვეწები... ასე არ შეიძლება-მეთქი. ხმას არ მცემს, თავისას აგრძელებს. ახლაც ნათლად ვხედავ: პირი ჭარხლით აქვს სავსე. ტუჩის კუთხეებზე სისხლი ჩამოსდის და ეპკურება მიწას, ჩემს ფეხებს და სასიცოცხლო ძალით (რუაჰით) მავსებს. არადა, რამდენი ხანია გარდაცვლილია, კიბოთი მოკვდა. სიკვდილის ღამეს ლოგინში შევუწექი. არ შევხებივარ, ვერ მივეკარე. დილაადრიან მომკვდარა, მე ლოგინიდან გადმოვარდნილვარ. ძირს ვეგდე. წამოვდექი. გაოგნებული სახით, გახელილი თვალებით მიყურებდა. ვერ დავუხუჭე. გახელილი დარჩა თვალები და ეს თვალები იყო ქრისტე, რომელიც სამშობლოზე ბევრად მაღლა დგას. მე უსამშობლო დემონი ვარ, სიზმრებში ჩაკარგული. შესაძლებელია ვინმემ შეუნდოს ჩემს თვალებს – ჯოჯოხეთს, ბოროტებით სავსეს? გამჭვირვალება სასჯელია! ჰა, ჰა, ჰა, ჰა... და ეს სიცილი ქარიშხალივით შემომეფრქვა სახეში. ველოსიპედიდან გადმოვვარდი. მო არ შეჩერებულა, გზა განაგრძო. სწრაფად წამოვდექი, ნაბიჯს ავუჩქარე და კვლავ უკანა სკამზე აღმოვჩნდი. ეს რანაირი სიზმარია, – ამის ჩაწერა მოვასწარი... მომ, თითქოს არაფერი მომხდარაო, ლაპარაკი გააგრძელა: მას შემდეგ სულ ამ სიზმარს ვხედავ. ახლაც ვუყურებ დედაჩემს, გვერდზე ვუდგავარ. ვცდილობ, რაღაცა დავუმალო, არ გავუმხილო. მან ეს არ იცის და არც შეიძლება იცოდეს. ხოლო მე ვიცი და ზოგჯერ ეჭვი

მეპარება, იქნებ მანაც იცის და არ იმჩნევს? როგორ? მისი ცოდნის ერთადერთი წყარო ხომ მე ვარ. მხოლოდ ის შეიძლება იცოდეს, რასაც მე ვუკარნახებ. სხვაც ხომ არ ეუბნება რამეს? სიზმარში ვერაფერს აკონტროლებენ. ერთმანეთის ტვინებში იყურებიან. ეს ის ერთადერთი საიდუმლოა, რომელსაც მხოლოდ მე ვფლობ. მისი კონტროლი შემიძლია. ახლაც ვუყურებ, არაფერს ვეუბნები. ახლაც ჭარხალს ჭამს და ისეთი თვალებით მომჩერებია, თითქოს მეუბნება, რას მიმალავ? ზოგჯერ სიკვდილის სარეცელზეა, იქ სასთუმალთან ვუზივარ და მისი თვალები იქაც იმავე შეკითხვას გამოხატავენ. რატომღაც, მინდა, რომ დავუჩოქო და ვერ ვუჩოქებ... ზოგჯერ კი ჩუმად დამყვება, ახლაც აქაა, აი, ლოყაზე შემახო ხელი... ალბათ თვალები დახუჭა, სახე კი ცისკენ მიმართა და თითქოს ბოდავსო, რაღაც გაურკვეველი ბგერები ამოუშვა... ამბობს: დედა ღორმა არ შემჭამოსო, სულ დამყვებაო... მფარველობაც ახსენა და ვიღაცა მოლიც. არ ვიცი მწვანე ბალახს გულისხმობდა თუ ვინმეს ჰქვია. მისი სახელიც ხომ მო-ზე იწყება... კიდევ ამბობდა, სიზმრის სამყარო აღმოსავლეთის ღამის სცენასავით ფეერიულიაო და რაღაც ასეთებს. მოკლედ, აქამდეც ბევრი ვერაფერი გავიგე და ახლა ხომ საერთოდ. უბრალოდ სიტყვები ჩავიწერე და რატომღაც ხელი შარვლის მარცხენა ჯიბისკენ წავიღე, სინათლის ბურთი ამოვიღე, დაღმართზე დავაგორე. ყველაფერი განათდა. ახალი ნაცრისფერი სამყარო: იერუსალიმის უდაბნოს წალკოტი. ქვიშად გადაქცეული თოვლი. ქვიშაც და თოვლიც. სიწმინდე. სიცხეში გადასული სიცივე. ჭასაც ვხედავ. ვუახლოვდებით. პირზე წყლის შესხმა არ გვაწყენდა. და აი, მივსეირნობთ ველოსიპედით მე და მო. მიდამო დაწყნარებულია. მშვიდი. ჟირაფივით ნაივური. ნიავმაც წამოუბერა, ქვიშა თუ თოვლის ნამქერი წამოშალა, სივრცეში დაფანტა, ცოტა სახეშიც

შემოგვაყარა, თბილად მოგვეფერა და სითეთრის უშფოთველობაში ჩაიკარგა.

* * *

კლდეზე ამოკვეთილი 10 თეოლოგიური თეზისი, რომელზეც აგებულია მოთხრობის მომდევნო თავი:

1. მისი მიუწვდომლობის შეუძლებლობამ ჩაგვადენინა ეს უმძიმესი დანაშაული. როდესაც ღმერთი ერთი ხელის გაწვდენაზეა, ან უნდა მოკლა, ან – შეერწყა. ჩვენ ყოველთვის ვკლავთ.

2. რატომ იღუპებიან ბავშვები? იმიტომ, რომ ეს შესაძლებელია. რაც ლოგიკური არ არის, გვაშფოთებს, მაგრამ ბუნებრივია და ვეგუებით. ამ სამყაროში კი მხოლოდ იმას აქვს არსებობის უფლება, რაც ბუნებრივია. ბუნება დევნის ლოგიკას.

3. ცხოვრებას აკლია სულისთვის ასე დამახასიათებელი თვითირონიულობა და არათანმიმდევრულობა, ამიტომაც ვაპროტესტებთ სიყალბეს, თუმცა ვერც გაურკვევლობას ვეგუებით.

4. ბუნება სწორედ იმიტომ არის სრულყოფილი, რომ მასში ყოველთვის რჩება რაღაც ადგილი, რაც დასრულებას საჭიროებს. ადამიანი კი შეიძლება განისაზღვროს, როგორც შესაძლებლობა.

5. სახელების დარქმევა არის ძალადობა სინამდვილეზე, რადგან სინამდვილე, რეალობისგან განსხვავებით, სულ სხვა სიღრმის მატარებელია. აქ ძლიერია ირაციონალური ელემენტი.

(ზემოთქმულის საილუსტრაციოთ ერთი მოფილოსოფოსო მწერლის სტილიზაცია-პაროდირებას შემოგთავაზებთ,

რომელსაც «ლანდებთან ლაციცი» ვუწოდე:

მაშ ასე, რა არის პიროვნება? «პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა», – ცნება, ორი რამის მომცველი:

ა) ნიღაბი (პერსონა): თვითრეფლექსია. საკუთარი თავით თამაში. მუნყოფნა. იმანენტური ფაქტორი. ერთგვარი მთლიანობა და მთლიანობაზე მაღლა დგომაც. პარადოქსალურობა.

ბ) «მეს» ცნობიერება: გვარეობითი ცნობიერება. ეს ისაა, რისთვისაც თავისი არსებობა თავისივე საგანს წარმოადგენს. «სხვა» «ჩემში». ის, რაც ერთდროულად «მეც» არის და «შენც». დაუსრულებელი პროცესი, მომენტებისგან შემდგარი. ბრძოლა მიზნისთვის, მიზნის მიღწევის შეუძლებლობის ფარგლებში. თავისუფლების გამოვლენა სპონტანურობაში, ნამდვილი თავისუფლების შეუძლებლობის ცოდნის პირობებში. ილუზიის ზღვარზე სიარული, ილუზორულად ილუზიის გაცნობიერების ჯადოსნურ წრეში. ნამდვილი თავისუფლების ცოდნა, მისი მიღწევის შეუძლებლობის პარადოქსში მოთავსებული. ცნობიერება: ცოდნის ილუზია და ილუზიის ცოდნა. სიცოცხლეს განმაპირობებელი დაპირისპირების შესაძლებლობა და შესაძლებლობაში არსებული სიცარიელე.

დასკვნა: პიროვნება, – დანაწევრებული მთლიანობა, მთლიანობის არარსებობის პირობებში. «ლანდები გადაცვივდებიან...»).

6. «დროის» ცნებაც ძალადობაა სინამდვილეზე. რეალობის სინამდვილედ გადაქცევის ხელოვნური მცდელობა. რადგან დრო იმდენად ბუნდოვანია, რომ არ არსებობს, ან

თუ არსებობს, ძლივს არსებობს. აზრის დაბადება დროში არ ხდება.

7. გრძნობები და ემოციები გონების მეტაფორებია. გონება კი რთული შთაბეჭდილებების კომპლექსი, რომლის ნდობაც არ შეიძლება.

8. ცხოვრების საზრისის მაძიებლებს საკუთარი არსებობა არ გააჩნიათ, მათ არსებობას ძებნის ობიექტი ანიჭებთ. შემეცნება არ ხდება საკუთარი თავის პოვნის გარეშე, რომელიც მანამდე ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა დაკარგო.

9. ღვთაებრივი თვალსაზრისით ადამიანი რაც მეტადაა სხვებთან, მით უფრო ახლოს არის საკუთარ თავთან. «გამოსვლა» საკუთარი თავისგან წამოსვლით იწყება. ის საკუთარ თავთან სხვების გავლით, სხვებში ყოფიერების გზით მიიღწევა.

10. მოგეხსენებათ, ღმერთი ამნისტიას არ გამოსცემს და არც აპოკატასტასის იდეაა მისაღები:

და ამიტომაც სული ჩავბერე ჩემს ტექსტს, ხელი მივკარი და მთელი ძალით შევძახე: აჰა, შენ ცოცხალი ხარ, მიდი იარე! ისიც ამობრუნდა, მზერა ჩემკენ შემოაბრუნა და დაიწყო: თითქოს პრეისტორიულ სკივრს, ათასწლეულების წინ დაბეჭდილს, თავი ასძვრა და იქიდან მილიონობით სიტყვა, აზრი თუ წინადადება ამოცვივდა. ხელითაც შეიძლებოდა სივრცეში გადაჭიმულ ჭეშმარიტებას შეხებოდი და მე, პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებულმა თავმა, ლღვობა დავიწყე. ავმოძრავდი. შევიცანი ის, რაც ოკეანიის აისბერგულ სიღრმეში ტვინის კიდეებს მიწამლავდა. მე იქ აღმოვაჩინე ჭურჭელი, სადაც უამრავი ქვეწარმავალი, მორიელი და ტარანტული მომაკვდინებელ

შხამს ანთხევდა. ჩემი ეგო შხამის მორევში ცურავდა და მე, ეპოქებს ადევნებული გზირი, ჩემს სამშობლოს ვუბრუნდებოდი. ვბრუნდებოდი, გამოსული ჩემი არსიდან და ვფიქრობდი ფსალმუნებზე, დავითის პოეზიაზე, რომ მღეროდა დილაობით... სემიტური ნათელი, ეს ღვთაებრივი კვინტენსენცია, ჩემი კვერთხის დასრულებულ, მომრგვალებულ ნაწილში თავმოყრილი, მუდამ თან დამქონდა და აი მოხდა სასწაული, ისტორიის დასასრულს, რომელიღაცა სასოწარკვეთილ ეპოქაში მოსემ კვერთხი დაკარგა. და გაჰყვა კვერთხს მოსე-მაძებარი, რადგან კვერთხის გარეშე ვერ იქნება მწყემსი, მწყემსის გარეშე არ არსებობს ფარა, ფარის გარეშე ვერ მოვიდოდა ის, ვინც იყო მეორე მოსე და მოსეზე უფრო დიდიც, უკანასკნელი ადამი. მოსემ ფუნქცია დაკარგა, რადგან მისი ყოფიერება კვერთხის თავშია კონცენტრირებული, როგორც ერთ დროს სამსონის ძალა მის თმებში იყო. და დაადგა ერთმა მოქანდაკემ მოსეს თავზე რქა, ნაცვლად იმისა, რომ კვერთხი მიეცა ხელში და დაედასტურებინა მისი დიდება, თითქოს მისმა ძალამ კვერთხიდან თმებში გადაინაცვლა, – და ეს იყო შეცდომა! განრისხდა მოსე. მილიონები ითხოვდნენ ეგვიპტიდან გამოსვლას და ღმერთს სწვდებოდა მათი ღაღადი, მაგრამ კვერთხის გარეშე ნილოსი არ გაწითლდება, ვერც გველად გადაიქცევა რამე, მზე ვერ შეყოვნდება ცის ჰორიზონტზე და ვერც ზღვა გაიპობა, ოკეანიის ნამსხვრევი, საიდანაც უნდა ავარდეს აპოკალიფსური წითელი რაში, დედამიწას შემოუაროს და სისხლი, ცეცხლი და წუმწუმა აწვიმოს და მოსპოს ყოველი პირმშო, რომლებშიც არეკლილია მათი მშობლების სიცარიელე, ურწმუნოება და ქედუხრელობა! და აი, დადგა დრო, როდესაც აღარავის სურდა ეგვიპტიდან გამოსვლა, რადგან ეგვიპტე აღარ იყო. ან ყველაფერი იყო ეგვიპტე. აღარც ფარაონები ჯიუტდებოდნენ. ყველა საზღვარი

მოიშალა და გზები შეერთდა. ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი ერთმანეთში გადადიოდა. საგნები ღმერთისგან დაიცალა. და გამოაცხადა მაშინ ერთმა სიბრძნისმოყვარემ ღმერთის განდევნა სამყაროდან და შეიშალა. სამყარო იმდენად გაფართოვდა, რომ მისი ჩატევა ერთ პატარა საგანში გახდა შესაძლებელი. ეს იყო უსასრულოს უკიდურესი შეკუმშვა, და დაკარგა ადამიანმა სივრცის მოთხოვნილება. ღმერთი კი მორიგი დიდი აფეთქებისთვის ემზადებოდა, მაგრამ ეს შუამავლის გარეშე შეუძლებელია, «სიტყვამ» კი ძალა დაკარგა, მნიშვნელობისგან დაიცალა, – მხოლოდ რიტმით სამყაროები არ იქმნება. დედამიწაზე ხმას აღარავინ იღებდა და იყო აპოკალიფსური ხმაურის ეპოქა, რომლის წინაშეც გონის ცბიერებას აღარაფერი შეუძლია, რადგან წაშლილია ყოველგვარი დაპირისპირება. შეუძლებელი იყო ლოგოსისთვის საზრისის შთაბერვა, რათა სამყარო არსებობის მომდევნო ციკლზე გადაგვეყვანა. მოკლედ, ეს იყო მე-20 საუკუნე, 1951 წელი, როდესაც ღმერთმა, უკვე მეორედ, შეჩერებული ისტორიის ამოძრავება დამავალა...

# ლევან ბერძენიშვილი – ოთარი, როგორც პალასი

`ლაზარეს~ პრეზენტაცია

იყო გონიერი, მოსიყვარულე, კეთილი გოგი ბაბუა, რომელმაც სიბრძნე გამოავლინა და არ უყიდა ბავშვს ვარდისსუნიანი კანფეტი, რადგან რომ ეყიდა, ბავშვს ერთ საათში დაავიწყდებოდა, არ უყიდა, სიბრძნის სისასტიკე გამოავლინა, არ უყიდა, დღემდე ახსოვს და უნდა, ინტელექტუალური პროზით ჯავრი მკითხველზე იყაროს...

უშვილობამ ქალებში მასობრივი სულიერი აშლილობა გამოიწვია. წმინდა ილია მართლის ხატი ფრიად უხერხული გაუგებრობის მოწმე გახდა. აეროპორტში გერმანიაში ნამკურნალევი ეპისკოპოსი მარცხენა ხელით გვლოცავს, რადგან სიცოცხლის გაგრძელების სურვილით გონებადაკარგულმა ქალმა მარჯვენა დაუზიანა...

პერსონაჟს, რომელსაც ნაგელი არ ერქვა, დანა სჭირდება, რომ ხეზე სახელი ამოკვეთოს. რა სახელი? არა, დაგნი არა, ჰელენი. უნდა ამოკვეთოს და მერე დანა მდინარეში გადააგდოს...

ახალი არჩევანი შესთავაზეს ხალხს, ლაზარე ან ბარაბა. ხალხმა ისევ და ისევ ბარაბა აირჩია, როგორც იცის ხოლმე.

ბარაბა კი აქეთ-იქით აწყდებოდა, მცველები ძლივს აკავებდნენ, და ყვიროდა: «ლაზარე, ლაზარე გაათავისუფლეთ! არ მჭირდება სხვისი სიცოცხლე!..»

ლექციის დროს მობილურ ტელეფონს ყოველთვის თიშავდა. დღეს არ გამოურთავს. საათში ერთხელ დედამ უნდა დაურეკოს, რომ დამშვიდდეს. მისი ყოფილი ქმრისა ეშინიათ. დედა დარეკავს და უპასუხებს. თუ არ უპასუხა... მოკრძალებულად დაუკაკუნეს. გავიდა, სტუდენტებთან შერცხვენის შეეშინდა და იმიტომ გავიდა. და მოკლეს. ძლიერი მოთხრობაა. ყველამ ვიცით, რომ ყველაფერი ეს მართლა მოხდა. უნივერსიტეტიც ვიცით, აუდიტორიაც. და ხელოვნება სად არის? ხელოვნება იქაა, რომ მხოლოდ ავტორმა იცის, რამ გაიყვანა ქალი სასიკვდილოდ C303 აუდიტორიიდან. ხელოვნება სწორედ ისაა, რამაც გაიყვანა. დამნაშავეც ისაა. ადორნომ თქვა, აუშვიცის შემდეგ ლექსის წერა არ შეიძლებაო. ზნეობრივი ადორნო შეცდა, ამიტომ აუდიტორია C303-ში ლექციები გაგრძელდება. უბრალოდ, ამ მოთხრობის შემდეგ ლექციის მსვლელობისას ყველა დაკაკუნება საბედისწერო გახდება. ბავშვობაში არნაყიდი კანფეტი კარზე გვიკაკუნებს, ტყვიას გვესვრის და გვკლავს.

არიან ავტორები, რომლებიც იბადებიან, იზრდებიან და ვაჟკაცდებიან. მკითხველი მიჰყვება მათ ზრდას, ხარობს წარმატებით ან მძიმედ განიცდის წარუმატებლობასა და გაცემული ავანსის წახდენას; მაგრამ არიან სხვაგვარი ავტორებიც. სიბრძნის, კეთილგონიერებისა და სამართლიანი ომის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ქალღმერთი ათენა პეპლოსით შემკული, მუზარადითა და ეგისით დამშვენებული, შუბითა და ფარით შეიარაღებული, სრულქმნილი და სრულასაკოვანი გამოვიდა მამა ზევსის თავიდან. ოთარ ჯირკვალიშვილიც ასე მოგვევლინა,

ჩამოყალიბებული ლიტერატურული გემოვნებით, კომპოზიციით შემკული და სარკაზმით შეიარაღებული. და ჩვენ ვიცით, ამ სარკაზმში რაოდენიც სიყვარულია.

ლევან ბერძენიშვილი

## ამონარიდები

«კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი ოთარ ჯირკვალიშვილის პროზაზე. მისმა გაცნობამ დამარწმუნა, რომ ჩვენი ლიტერატურა თანდათან თავისუფლდება მემკვიდრეობით მიღებული სავალდებულო ფორმებისაგან და ახალი ჰორიზონტის მოსინჯვას ცდილობს. ვულოცავ ავტორს.»

«ოთარის ნაწერებში მისი განათლება და, რაც მთავარია, სიღრმისკენ სვლის ვნებიანი სურვილი მხიბლავს».

ზაზა ფირალიშვილი
«ლიტერატურული გაზეთი» #23(183), ინტერვიუ.

«ოთარ ჯირკვალიშვილის ტექსტები არ არის არც ე.წ. ინტელექტუალური პროზა, არც ფილოსოფიური, არც ცნობიერების ნაკადი… ის აწარმოებს დიალოგს (მართალია, კონფლიქტურ დიალოგს) ამ ყველაფერთან, მაგრამ თავად არ შეერევა მას. კრებულ «ლაზარეში» ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნარატივი (და ხშირად, ამ ნარატივის პაროდია) გრძელდება, რომელიც დაიწყო წინა «კანფეტში» და რომლითაც დაიწყო ჯირკვალიშვილი, როგორც მწერალი».

პაატა შამუგია

«ოთარი გამოირჩევა თავისი სრულიად ორიგინალური და ძალიან დახვეწილი სტილით. ის არის სტილის ავტორი! მის სტილს, როგორც კი წაიკითხავთ, მაშინვე დაიმახსოვრებთ და ყოველთვის ამოიცნობთ, როდესაც მას მიუბრუნდებით. გამოირჩევა იმითაც, რომ მისი ნარატივი არის რაღაცნაირად გაჯერებული არადამთრგუნველი, არამედ ძალიან საინტერესო ინტელექტუალიზმით. პრინციპში ყველა მის ტექსტს აქვს გარკვეული

ფილოსოფიური პოზიცია, მე ვიტყოდი, ფილოსოფიურ-ეგზისტენციური, იმიტომ, რომ ძირითადად ის უტრიალებს, როგორც სოციალურ, ასევე ამ სოციალურთან გადაჯაჭვულ რელიგიურ თემებს. მაგალითად: «კაბადოკიელი მამები ანუ სატანა მეოთხე საუკუნეში», ანდა «კანფეტი», კულმინაციური მოთხრობა მისი კრებულისა. მთლიანობაში, ოთარ ჯირკვალიშვილის ლიტერატურა არის ძალიან გამორჩეული. და მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ფართო მკითხველისთვის არის განკუთვნილი, გარკვეულ ინტელექტუალურ მზაობას მაინც გულისხმობს, იმიტომ რომ აქ არის ინტერტექსტუალური ალუზიები, პოსტმოდერნის ელემენტები, სადაც ჩვენ ერთ ტექსტს მეორე ტექსტთან მივყავართ და ა. შ. ასევე აქ მუდმივად გვხვდებიან დოსტოევსკი, გალაკტიონი თუ ბეკეტი... ეს ადამიანები თავისი სტილითაც და პოზიციითაც ამ კრებულში გვხვდებიან... ასე რომ, ძალიან საინტერესოა ავტორია! დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი და მეტი ადამიანი წაიკითხავს ოთარ ჯირკვალიშვილის ამ შესანიშნავ კრებულს «ლაზარეს».

ლაშა ბუღაძე
რუსთავი 2, ლიტერატურული სამკუთხედი.

«იგივე შეიძლება ითქვას ცოტა ხნის წინ ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში გამოჩენილ, ოთარ ჯირკვალიშვილის მოთხრობა «მღვდელზე», რომელსაც ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში არც წინაპარი და არც მემკვიდრე არ ჰყავს.

ტექსტში ენა სრულიად აღემატება სიუჟეტს და მასზე დიდ ხანს გრძელდება, ხოლო თხრობის გამოხატვის ფაქტი ქმნის თავად შინაარსს. უცნაური პარადოქსია, მაგრამ ხმა, რომელიც მასში მოქმედებს, მუდმივად უჩინარდება

პირველი პირის ნაცვალსახელის მიღმა და «მაშინაც კი, როდესაც ის ამბობს «მე», უპირო ხმაა» (დომენიკ რაბატე), რომელიც ტოტალურ ანონიმურობას უმორჩილებს მეტყველების ყოველგვარ მოძრაობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს, რომ ნაწარმოების კითხვისას გამუდმებით გვტანჯავდეს განცდა, რომ ტექსტი იმიტომ იწერება, რომ რაღაც არ იწერება.

«მღვდელში» სიუჟეტის მიღმა უხმაუროდ მოძრავი უპირო ხმა გვაფიქრებინებს, რომ პაროდიასა და დედანს შორის ზღვარი ისევე იშლება, როგორც მკითხველსა და მწერალს შორის.

და იქნებ პაროდია უკვე გვევლინება არა იმის პორტრეტად, კარიკატურად, ვის / რის პაროდიასაც ის ქმნის, არამედ მის გამოსახულებად, პორტრეტად, თვითმყოფად, დამოუკიდებელ ტექსტად, ვინც ქმნის თავად პაროდიას.»

ლექსო დორეული
«აღდგომა სიკვდილის გარეშე.» ჟურნალი «არილი». #7(249).

მე ეს ავტორი წიგნში შესული ყველაზე ვრცელი მოთხრობით, «კანფეტით» გავიცანი, როგორც «ახალი საუნჯის» მთავარმა რედაქტორმა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს მოთხრობა მწარე სატირა იყო ფანატიზმზე, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ რთულად აწყობილ ტექსტს წარმოადგენდა, თავისი რეფლექსიებით, ფილოსოფიური, რელიგიური, სამედიცინო თუ პუბლიცისტური ენების და შესაბამისად, რიტორიკათა ირონიული ურთიერთმონაცვლეობით, გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზის არარსებობით და ა.შ. ანუ, თავისთავად, ეს ტექსტი იყო ეპატაჟური, მაგრამ ეპატაჟის მუდმივად თანამდევი ვულგარული ნიშან-თვისებები ჩამოცილებული ჰქონდა

სწორედ იმით, რომ ავტორი ახერხებდა სოციალური სატირის წმინდა ლიტერატურულ სივრცეში ჩაძირვას. შეიძლება სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ ჟურნალში მის დაბეჭდვას მოსალოდნელი ვნებათაღელვანი არ მოჰყოლია. რიგითი მკითხველისათვის ამ მოთხრობას ეპატაჟური მიმზიდველობა არანაირად არ ახასიათებს, პირიქით, მისთვის იგი ალბათ რაღაცნაირად უსახური, უგემური, დამღლელი და ბუნდოვანია. და ეს მხოლოდ ამ კონკრეტულ მოთხრობას კი არ ეხება, არამედ მთელ წიგნსაც. ოთარ ჯირკვალიშვილი არ წერს და არც უნდა, რომ წეროს ლიტერატურა, რომელიც «ერთი ამოსუნთქვით იკითხება». მისი ტექსტების წასაკითხად, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ბევრი ამოსუნთქვის გაკეთებაა ხოლმე საჭირო.

***შოთა იათაშვილი***
***რადიო თავისუფლება, 16 იანვარი, 2015 წელი***

«ძირითადად, რაც გამოარჩევს ოთარის წიგნს, არის ის, რომ, ის ცდილობს წეროს ისეთ თემებზე, რომელიც არის მკითხველისათვის უცნობი და საინტერესო. ეს ერთი. მეორე ის არის საინტერესო ამ ავტორში, რომ ის არის ძალიან განათლებული, ანუ ძალიან ბევრი რამ იცის, ამას გადმოსცემს და ეს, რაღაც აზრით, შეიძლება იყოს ნაკლიც, იმიტომ რომ ხანდახან ძალიან ბევრი ინფორმაციის გადმოცემა უწევს და ამიტომ ამან შეიძლება ცოტა დააშოროს ლიტერატურას ეს წიგნი. და მესამე არის ის, რომ ეს მოთხრობები არის ფილოსოფიის და ლიტერატურის ზღვარზე. ხანდახან გადავარდება ხოლმე ფილოსოფიაში, მერე ისევ ბრუნდება ლიტერატურაში. ესეც, ვფიქრობ, არის საინტერესო და გამორჩეული. ქართველი მწერალი, ვინც არა ასე, მაგრამ ამ მიმართულებით წერდა, მე ვფიქრობ, იყო ჯემალ ქარჩხაძე.

მეტი, პრინციპში, არ მახსენდება არავინ თანამედროვე ქართველი მწერლებიდან. და, რაც მთავარია, იუმორი. კარგი იუმორით დაწერილი მოთხრობებია. და იუმორი ხშირად გადადის სატირაში. საინტერესო წიგნია და ყველას ვურჩევ, რომ წაიკითხოს.

«ოთარს ძალიან კარგი ფორმა აქვს მონახული ამის გადმოსაცემად, შეიძლება უმეტესობა აღაშფოთოს ასეთი სტილის წერამ... «კაბადოკიელი მამები, ანუ სატანა მე-4 საუკუნეში» არის ძალიან საინტერესო მცდელობა, ერთ-ერთი წმინდა მამის თავში შევიდეს ავტორი და მისი პირით მოჰყვეს და გაიაზროს საკუთარი ცხოვრება, და როცა თანამედროვე რწმენაზეა ლაპარაკი, ძალიან სასაცილო ტექსტია, ეს არის ის, რაც საქართველოს დღევანდელ ვითარებაში არის სრულიად ლეგიტიმური, და საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა მოითხოვს, რომ ასეთი ტექსტები დაიწეროს. ძალიან გამბედავია და ყველას ვურჩევდი, ეს წიგნი წაეკითხა.»

გიგი თევზაძე, ფილოსოფოსი
რადიო თავისუფლება, 17 მარტი, 2017 წელი

«ეს ტექსტები, სტილისტიკით ერთმანეთს ავსებენ თუ აგრძელებენ. შეიძლება, გარკვეულწილად ნოველა-ესეებად აღიქვას მკითხველმა. პერსონაჟები, მართლაც პირობითია და უფრო სწორად ალუზიები და რემინისცენციები, მგონი ინტეპოლაციებიც მოქმედებენ უმთავრესად და ისინი განსაზღვრავენ ნარატივის დინებასა და სემანტიკას. უკიდურესი შეგრძნებების ამპლიტუდა მოულოდნელი და მუდამ ცვალებადია, რომელიც გვამოგზაურებს ავტორის ცნობიერსა და არაცნობიერში, რაც ფრაგმენტულია და ეკლექტური, ანუ ისეთი, როგორიც უნდოდა ავტორს. გაორებული

ანგელოზის მეტაფორაა, ყველა ნოველა-ესეის რომ მიესადაგება და განსაზღვრავს მსოფლმხედველობას და მოთამაშე სტილისტიკას...»

გივი ალხაზიშვილი.

«არა ჩვეულებრივი პროზაული კრებულია «ლაზარე», – არა ტიპიური, არა სტანდარტული; არა ის, რასაც შეგვაჩვია ქართველი მკითხველი ქართულმა მწერლობამ. ოთარ ჯირკვალიშვილის მოთხრობების სამყაროში ოდნავ განსხვავებულად მოგვიწევს მოძრაობა... ჰო, მოძრაობა... რამდენადაც აქ ვერ მოდუნდები და ვერ მიენდობი მხოლოდ ავტორისეულ ნარატივს. შენც (მკითხველი) აქტიურად უნდა ჩაერთო საქმეში და გაფაციცებით ადევნო თვალყური, რაიმე არ გამოგეპაროს, რადგან შეიძლება შუა თხრობაში ავტორმა შენ მოგიგდოს სიტყვა და უცებ აღმოჩნდეს, რომ მკითხველი წერს... ან შეიძლება რომელიმე პერსონაჟმა შეცვალოს ავტორი და ახლა ის განაგრძობდეს თხრობას... ან უცებ აღმოჩნდეს, რომ ვირი გელაპარაკება... ან უცებ, – რომ თავად შენ ხარ ვირი!..

ნუ დაინანებთ დროს, თუკი ხელმეორედ დაგჭირდათ ზოგიერთი აბზაცის წაკითხვა, – ღირს ამად! ერთი შეხედვით, ინტელექტუალურ პროზასთან გვაქვს საქმე. თუმცა, არა, – საქმე უფრო ინტელექტუალური საკითხავის პაროდიაშია, რომელიც თავისთავად ინტელექტუალურ პროზას გულისხმობს. კი, – (ისევ ერთი შეხედვით) ქაოსია ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შვიდ მოთხრობაში და კი, – (აბზაცების ხელმეორედ წაკითხვისას) ერთიანი, ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთიდან გამომდინარე, დალაგებული, მთლიანი ამბავია: იმაზე, რაც ოდითგან ხდებოდა და დღემდე ხდება ჩვენს თავს!»

მიშა რატიანი, წიგნის რედაქტორი.

«დიალოგურობა, რომელიც ო.ჯირკვალიშვილის შემოქმედებაში დეკლარირებულია როგორც ინსპირაცია, იმ მგრძნობელობის გაშლაა, რომელიც საზრისულ ძირებთან შეხებას მოაქვს და რომელიც, ქართულ კულტურას, როგორც ქრისტიანულს, ევროპულთან აახლოებს. უფრო ზუსტად, თუ ტექსტებს ყურს დავუგდებთ, გავიგონებთ, რომ მათი ესთეტიკა დიალოგის იმ რადიკალური ფორმის გამოხატულებაა, რასაც განყენება შეიძლება ვუწოდოთ. ამიტომაც არ არის ეს ტექსტები მეორეული «პირველწყაროს» მიმართ: მოთხრობებს მართლაც აქვთ მძაფრი «ალუზიური აურა», რომელიც მუდამ «ახალაღმოჩენის» წინაშე გაყენებს. მაგრამ ეს ფარდაა, რომლის მიღმაც მათი (ამ მოთხრობების) მხატვრული ენის (ი)რაციონალური სიშიშვლე მოჩანს. სწორედ ამ «ალუზიურ ფარდასა» და «ენის კულისებს» შორის (რომელიც სცენის როლში გამოდის) თამაშდება ენიგმები, რომელიც ო. ჯირკვალიშვილის მოთხრობების უკვე კონკრეტული შინაარსია».

ნანა ტრაპაიძე, კრიტიკოსი.
«კრიტიკული ინსპირაცია», ჟურნალი «არილი».

# ანისურ რაჰმანი

## ბიოგრაფია



*პოეტი, დრამატურგი, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი, ესეისტი და ჟურნალისტი ანისურ რაჰმანი ცხოვრობს შვედეთში, სადაც 2008 წელს მშობლიური ბანგლადეშიდან საფრთხისშემცველი ჟურნალისტური მოღვაწეობის გამო მოუწია გადასვლა. 2009-2011 წლებში საერთაშორისო პენ-ცენტრის მიწვევით ცხოვრობდა შვედეთის ქ. უფსალაში, ხოლო 2013 წელს შვედური პენ-ცენტრისგან მიიღო პრინც ვილჰელმის სტიპენდია. შვედეთში დაფუძნების შემდეგ აქტიური როლი ითამაშა ქალაქ უფსალას ლიტერატურული ცენტრის დაარსებაში, სადაც დღემდე მუშაობს კულტურული პროექტების მენეჯერად. არის ასევე შვედეთის მწერალთა კავშირის, დრამატურგთა გაერთიანებისა და შვედეთის პენ-კლუბის საპატიო წევრი. ხელმძღვანელობს ლიტერატურულ ვორქშოპებსა და შემოქმედებითი წერის*

*კურსებს უფსალაში, ოსლოში, დჰაკასა და სხვა ქალაქებში. მიწვეული პოეტის სტატუსით იმყოფებოდა სერბეთში 2015 წლის ივლისში და საბერძნეთში – 2016 წლის დეკემბერში. 2017 წელს მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში.*

*დაიბადა 1978 წელს ბანგლადეშში. დჰაკასა და სტოკჰოლმის უნივერსიტეტებში სწავლობდა ენებს, ლიტერატურას, თეატრისა და კინოს ხელოვნებას. წერს ბენგალურ და ინგლისურ ენებზე. მისი ლექსები და პროზაული ნაწარმოებები იბეჭდება სხვადასხვა ქვეყნის პერიოდულ გამოცემებში. არის 20-ზე მეტი წიგნის ავტორი. ანისურ რაჰმანის, როგორც პოეტის, დებიუტი შედგა 2003 წელს კრებულით «ცარიელი ჭიქა». შვედურ ენაზე ნათარგმნი პირველი პოეტური კრებული «ექვსი სეზონი» 2012 წელს გამოსცა გამომცემლობამ «სმოკადოლი». როგორც დრამატურგი თანამშრომლობს ოსლოს, დჰაკასა და თბილისის თეატრებთან. 2017 წლის აგვისტოში ანისურ რაჰმანის მონოლოგი «ნუ მოკლავენ ჯარისკაცები ჩემს თოჯინას» პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე ბათუმის მონო-პიესების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.*

*ანისურ რაჰმანის ლექსები, მოთხრობები და ესეები ნათარგმნია ინგლისურ, შვედურ, ნორვეგიულ, დანიურ, ესპანურ, სერბულ და ქართულ ენებზე.*

# „პოეტის საქმე არ არის პოეზიის მომავალზე ფიქრი“ (ინტერვიუ)

ესაუბრა მანანა მათიაშვილი

**– დავიწყოთ სამშობლოში გატარებული წლებით. როგორია ცხოვრება ბანგლადეშში ახალგაზრდა პოეტისთვის, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში?**

– ბანგლადეში შედარებით პატარა ქვეყანაა ტერიტორიულად (147 570 კვ. კმ), მაგრამ მრავალრიცხოვანია მოსახლეობით – ქვეყანაში 160 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. დაახლოებით 200 წელი ბრიტანული კოლონიალიზმის საშინელი ხანა გამოვიარეთ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას დაბალი შემოსავალი აქვს, მაინც ბედნიერად ცხოვრობს; მისი ცხოვრება სავსეა მრავალფეროვნებითა და განსხვავებული მოვლენებით. ჩვენ 6 წელიწადის დრო გვაქვს, განსხვავებით თქვენგან და ყველა დანარჩენი ხალხებისგან. ესენია: ზაფხული, წვიმიანი სეზონი, შემოდგომა, გვიანი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული. ჩვენთან უბრალო, თვინიერი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელია ბანგაბანდჰუ შეიხ მუჯიბურ რაჰმანი, რომელმაც 1970-იანების დასაწყისში ქვეყანა მსოფლიოს წარუდგინა, როგორც სეკულარული პროგრესული ერის მაგალითი. ისეთი ისტორიული ტრადიცია გვაქვს, რომ გამორიცხულია, მგრძნობიარე ახალგაზრდა კაცმა აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, ისევე როგორც, პოეტმა.

1952 წელს ბანგლადეშში დაიწყო მოძრაობა მშობლიური ენის დასაცავად, რომელიც 21 თებერვლის დემონსტრაციაზე ხოცვა-ჟლეტით დასრულდა. ამ ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ 21 თებერვალი იუნესკომ დააწესა მშობლიური ენების დღედ, რათა პატივი მიეგოთ მსოფლიოში ენების გადასარჩენად წარმოებული ყველა ბრძოლისთვის და ხაზი გაესვათ მშობლიური ენის სტატუსის მნიშვნელობისთვის. წარსული თაობის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ ბრძოლაში ბრიტანელი კოლონისტებისა და პაკისტანის მთავრობის წინააღმდეგ, ისევე როგორც, ბანგლადეშის გამათავისუფლებელ ომში 1971 წელს. ამ ქვეყანას უძველესი ლიტერატურული მემკვიდრეობა აქვს – პირველი პოეტური ნაწარმოები ბენგალურ ენაზე «ჩარიაპადა» მე-8 და მე-12 საუკუნეებს შორის დაიწერა. თანამედროვე ბანგლადეშის კულტურის მთავარი არქიტექტორი კი რაბინდრანათ თაგორია. ის მუშაობდა ბენგალური ლიტერატურის ყველა ჟანრში, გარდა ეპოსისა...

**– ველოდი, რომ ბანგლადეშზე საუბრისას თაგორს აუცილებლად ახსენებდი. ვიცი, რომ ის ბევრს ნიშნავს შენთვის და მინდა გითხრა, რომ ქართულ ენაზე მისი ზოგიერთი ნაწარმოების შესანიშნავი თარგმანი არსებობს. რას ეტყოდი მასზე იმ ადამიანებს, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს თაგორის ნაწარმოებები ან არ მოუსმენიათ მისი მუსიკა?**

– როდესაც ბილ გეითსმა ინგლისური ენის ციფრული ლექსიკონი წარადგინა, აღნიშნა, რომ მისი ოცნება იყო მსოფლიოში არსებულიყო ერთი ენა და ერთი ლექსიკონი. ასეთი აზრი უგუნურების გამოხატულება და იმპერიული თავხედობაა მსოფლიოს ასობით ენაზე შექმნილი კულტურული მრავალფეროვნების მისამართით. თაგორი

სწორედ ასეთი უგუნური იმპერიული მიდგომის წინააღმდეგი იყო. ის არ არის აუცილებელი საკითხავი მათთვის, ვინც მას არ იცნობს, სამაგიეროდ, თაგორი აუცილებელია ჩვენთვის, ვინც მას კარგად ვიცნობთ და ვისაც მუდამ გვჭირდება მისი სიბრძნე. ვფიქრობ, როცა სხვა ეროვნების ადამიანები და, განსაკუთრებით, მწერლები გაეცნობიან თაგორის შემოქმედებას, მხოლოდ სარგებელს მიიღებენ მისი ნაწერიდან და ამასთანავე მიღებული ცოდნით გაამდიდრებენ საკუთარ ეროვნულ კულტურასა და ლიტერატურულ ტრადიციასაც.

თაგორი არის ნიშანსვეტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის გადების საკითხშიც. სხვა არავინაა, არც მანამდე და არც მის შემდეგ, ჰიმალაის მწვერვალივით მიუწვდომელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრის საკითხში. ბენგალურ კულტურაში თაგორი ღმერთივითაა. თუ სხვა ეროვნების ადამიანები თარგმანში მაინც არ წაიკითხავენ მას, მართლაც ბევრს დაკარგავენ. ჩვენთვის ის ეროვნული ღირსებაა, ისევე როგორც საერთაშორისო ღირებულებისაა ის დანარჩენი მსოფლიოსთვის – ესაა მოღვაწე, რომელიც ორ მსოფლიო ომსა და ბრიტანეთის მკაცრ კოლონიალურ სისტემას მოესწრო, დაწერა ბანგალდეშის, ინდოეთისა და შრი ლანკას ეროვნული ჰიმნები და ნობელის პრემია მიიღო 1913 წელს, როგორც პირველმა არაევროპელმა მწერალმა.

**– შენ თვითონ როდის მიხვდი, რომ წერა გინდოდა? როგორ გახდი მწერალი?**

– არ ვიცი... ყოველთვის მჭირდებოდა ფიქრის თავისუფლება და ჩემი დროისა და აზრების მართვის ავტონომია. მამაჩემი გლეხია. მინდოდა ვყოფილიყავი გლეხიც, მოსამართლეც, პოლიტიკოსიც, მასწავლებელიც

და ა. შ. ახლა უკვე დავასრულე ბრძოლა მწერლად ყოფნისთვის, ბრძოლა გადარჩენისთვის კი არასდროს მთავრდება. ეს ცუდი არჩევანია. ჰენრიკ იბსენს ნათქვამი აქვს, – იყო მწერალი, ნიშნავს გამუდმებით ებრძოდე ეშმაკს საკუთარ თავშიო. აღმოჩნდა, რომ წერით შემიძლია საკუთარი თავის გამოხატვა – ალბათ, ამ ფაქტმა განაპირობა ჩემი მწერლობაც, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვერ აღმიქვამს საკუთარი თავი მწერლად... ეს მტანჯველი მოგზაურობაა, თან ამაღელვებელიც. ესაა წინაღობებითა და ურთიერთგამომრიცხავი ხდომილებებით სავსე გზა, თუმცა ის ჩემთვის უცნობი და ბუნდოვანი გზა არ არის, მე ვიცნობ ამ გზას და მიყვარს, რამდენადაც უკეთესი ალტერნატივა არ გამაჩნია. ზოგი ადამიანი მწერალი ხდება სიყვარულის გამო, რადგან სატრფიალო ლექსებისა და სასიყვარულო წერილების წერას იწყებს საყვარელი ადამიანის მისამართით, ზოგი კი მწერალი ხდება იმიტომ, რომ თავი დააღწიოს სულისშემხუთავი ტანჯვის გრძნობას. მე წერა დავიწყე, რადგან ეს იყო გამოსავალი ჩემი გაუსაძლისი შინაგანი ტკივილისა და არა იმიტომ, რომ შეყვარებული ვიყავი. ჩემი სიყვარულის სიღრმე მკაცრი რეალობაა, რაც თითქმის შეუმჩნეველია ჩემს ნაწერებში. ეს ჩემი ზღვარია, ჯერჯერობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ ვერ შევძელი ჩემს ნაწერში ჩემი სიყვარულის სიღრმე გადმომეცა. ტრაგედიისა და კომედიის მანიფესტაციას ყოველწამიერად გავდივარ საკუთარ თავში. ბოლოს, ისე გამოდის ხოლმე, რომ ჩემი ქალიშვილი დგას ცენტრში და სინათლის წყაროს წარმოადგენს, ჩემი ნაწერები კი მის ირგვლივაა განლაგებული, როგორც გადარჩენილის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები. ეს ცხადი გახდა ჩემთვის, როცა დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ვიყავი დჰაკას უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომ კიდევ გაცხადდა ჩემს

მეუღლესთან – რაშიდა ასმასთან – ურთიერთობაში. ჩემი ეს მოგზაურობა, ჩანს, ავად თუ კარგად, გაგრძელდება კვლავ ნაწერთან ჭიდილში. ჩემი ოჯახი (მაგალითად, მეუღლე) ჩემსავით განუწყვეტელი არასტაბილური ცხოვრების მსხვერპლია... ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რატომაც ვთვლი, რომ მწერლობა ჩემთვის წარუმატებელი არჩევანი იყო. მიუხედავად ამისა, თუ მკითხავენ, როგორ სიცოცხლეს ვისურვებდი მომდევნო ცხოვრებაში (თუ ასეთი რამ შესაძლებელი იქნება), ვუპასუხებდი, რომ მინდა იგივე განმეორდეს, მყავდეს იგივე მშობლები, მეუღლე, ქალიშვილი და მქონდეს იგივე ბრძოლა მწერლობით გადარჩენის პერსპექტივით. ამ შემთხვევაში, მხოლოდ გამოვასწორებდი ჩემს შეცდომებს და სხვა არაფერს შევცვლიდი, რადგან მე მიყვარს ეს ცხოვრება. ცხოვრებაში კი სიყვარული იმარჯვებს, სხვა არაფერი. მე მიყვარს წერა.

**– დავუბრუნდეთ შენს არასტაბილურ პოეტურ ცხოვრებას. რა იყო ის მთავარი მიზეზი, რამაც გაიძულა ბანგლადეშიდან შვედეთში გადასვლა?**

– ეს არ ყოფილა არც ჩემი არჩევანი, არც ამბიცია. ცუდი დრო იდგა, 2008 წელს ქვეყანას სამხედროები აკონტროლებდნენ, მე კიდევ, როგორც ჟურნალისტმა, მოვახერხე ის, რომ საკუთარ თავს გამოვუწერე საფრთხის საშიშროება. ახლა ვცდილობ, თავი დავაღწიო იმ რეალობას და ერთმანეთთან დავაკავშირო ეს ორი ქვეყანა ლიტერატურის საერთაშორისო ასპარეზზე. ამჟამად ჩემს დროს ამ ორ განსხვავებულ ქვეყანასა და კულტურებს შორის ვანაწილებ.

**– ყველაზე მეტად რით განსხვავება ყოფა-ცხოვრება ბანგლადეშსა და შვედეთში?**

– რამდენიმე წლის წინ ასეთივე კითხვა დამისვა ცნობილმა შვედმა ინტელექტუალმა არნე რუთმა უფსალის თეატრ BLANCA-ში გამართულ ბენგალურ-ნორდიკულ საღამოზე. ჩემი პასუხი მაშინაც და ახლაც ასეთია: ბანგლადეში განიცდის ინსტიტუციონალიზმის ნაკლებობას, შვედეთი კი იმავე ინსტიტუციონალიზმს ჩიხში შეჰყავს. ცხოვრება ბანგლადეშში არის ყოვლად უპრეტენზიო, თავისუფალი, მშვიდობიანი და ჰარმონიული თუ გავიხსენებ მას ჩემი ბავშვობის მოგონებებით, რომელიც გავატარე ტანგეილის მხარეში, მადჰუპურის სოფელ დიგარბააიიდში. დღესაც იქ ცხოვრობენ ჩემი მშობლები. მოულოდნელად თავს დამტყდარი ინგლისური კოლონიალიზმის გამო ბანგლადეშში განადგურდა ბევრი ბუნებრივი და კულტურული ტრადიცია. ესაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც შეფერხდა იქ მრავალი სფეროს ინსტიტუციონალიზაცია (მაგ, დემოკრატიის, ადმინისტრირების და ა. შ.). ამ დროს შვედეთი არასდროს ყოფილა კოლონია, ესაა პიონერი ქვეყანა კეთილდღეობის ინდექსით. რომ შემეძლოს, ერთი მხრივ, აქედან ბანგლადეშში გადავიტანდი საგადასახადო ორგანიზებულობას, ეკლესიის როლს სახელმწიფო მოწყობაში, სახალხო-საგანმანათლებლო სისტემას და ცოტაოდენ სიგრილეს. მეორეს მხრივ კი, ბანგლადეშიდან შვედეთში წამოვიღებდი იქაური ყოფის სიმარტივეს, სილაღეს, მუსიკალურობასა და ჰარმონიულობას ცოტაოდენ სითბოსთან ერთად... ერთხელ, ვცადე კიდეც ეს საკითხები შთამეგონებინა ოცნებებზე საუბრისას ჩემი ქალიშვილისა და მისი მეგობრისათვის, როცა სკოლაში მიმყავდა...

**– შენი შემოქმედება ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მუშაობ როგორც პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიასა და საბავშვო მწერლობაში, ისე**

**პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკაში. სად გამოხატავ ყველაზე უკეთ საკუთარ თავს და რისი წერა განიჭებს ყველაზე მეტ სიამოვნებას?**

– ერთმნიშვნელოვნად ეს არის პოეზია. ჩემი აზრით, ყველა სხვა ჟანრი პოეზიის სახეობაა. ერთხელ სამხრეთ აფრიკელმა მწერალმა ნადინ გორდიმერმა თქვა, რომ ყველაფერი თავიდან ბოლომდე, მწერლის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე დაწერილი, მისი «მოგზაურولოგიის» ერთი დიდი ტომია, თუკი მწერალი თავის ცხოვრებას ისე შეხედავს, როგორც მოგზაურობას. სხვადასხვა სიმართლე და ფაქტი გამოხატვის სხვადასხვა ფორმას ითხოვს, ესაა და ეს – ყველა ნაწერის დაფარულ გულისგულში კი «შინაგანი დიალოგი» მიმდინარეობს. ნაწერის ყველა სახეობა შენი შინაგანი დიალოგია. ეს პოლიტიკისგან არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა, რადგან პოლიტიკა შინაგანი დიალოგის ასპარეზი ვერასდროს იქნება, ის კოლექტიური ხასიათისაა და, შესაბამისად, კოლექტიური ხმა აქვს, მწერლობა კი ინდივიდუალური ხმაა. აქ მინდა გავიხსენო ჩემი თანამემამულე მწერალი ჰუმაიუმ აჰმედი, რომელიც ამბობდა, რომ «ისტორიის წიგნებში რაც წერია, მართალი ის კი არ არის, არამედ ის, რაც მწერლებმა დაწერეს ლიტერატურულ ნაწარმოებებში – ისაა ნამდვილი ისტორია». პოეზია ჩემი პირველი და უკანასკნელი ამოსუნთქვაა წერის დროს.

**– გასაგებია, თუმცა ეს პასუხი არ იყო მოულოდნელი ჩემთვის, რადგან ყოველთვის ხაზგასმით წერ და საუბრობ პოეზიის მნიშვნელობის შესახებ. გასაგებია, რომ შენთვის პოეზია ყველაზე მნიშველოვანი ჟანრია, მაგრამ რა შეგიძლია გვითხრა პოეზიის ფუნქციის შესახებ თანამედროვე სამყაროში?**

– პოეზია ყველა დროში ყველაზე დახვეწილი ფორმა იყო საკუთარი აზრის გამოხატვის, სიმართლის სააშკარაოზე გამოტანისა და სიცოცხლის მშვენიერების სასარგებლოდ მწერლის ინდივიდუალური არსებობის დასამტკიცებლად. ჩემთვისაც პოეზია არის საშუალება ჩემი ნამდვილი შეგრძნებების მანიფესტაციისა და ჩემი სიმართლის დაარქივებისა საკუთარი თავისთვის. მე აზრის გამოხატვის სხვა საშუალება არ გამაჩნია – არ შემიძლია სიმღერა, რადგან საჭირო ხმა არ მაქვს; არ შემიძლია ხატვა, რადგან არ მაქვს შესაბამისი უნარები. რომ შემეძლოს, მუსიკასაც შევქმნიდი და დავხატავდი კიდეც. პოეზია ჩემი ერთადერთი თავშესაფარია ჩემი ქალიშვილის შემდეგ. არასდროს ვაიძულებ საკუთარ თავს ლექსების წერას, თუმცა გამუდმებით მწყურია ის. არც საკუთარი პოეზია მომწონს. ჩემზე უკეთ არავინ იცის, პოეზიაში სადამდე შემიძლია «გავქაჩო». ესაა იმის მიზეზი, თუ რატომ არ მომწონს საკუთარი ლექსები. ვაგრძელებ წერას იმ განწყობით, რომ რაც იქნება, იქნება!

პოეზიის დანიშნულება ყოველთვის ერთია, როგორც ზემოთ ვთქვი, – სიცოცხლისა და სილამაზის სასარგებლოდ სიმართლის გამოაშკარავება. საზოგადოებაში პოეზიის არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ იქ არ არსებობს სიმართლის მთქმელი ადამიანი. ამ გაგებით პოეტები ქალაქში მოხვედრილ ყვავებს ჰგვანან, რომლებიც განთიადს მოასწავებენ. ძირითადად, პოეზიის ბედი ყველა დროში ერთნაირია, თუმცა პოეტური მხატვრული სახეები დამოკიდებულია ამა თუ იმ ტიპის ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ გარდაისახებიან პოეტური სახეები ცხოვრებაში. პოეტის საქმე არ არის პოეზიის მომავალზე ფიქრი, რადგან პოეზია დრო-ჟამისადმი მიწერილ წერილს წარმოადგენს. ეს «დრო-ჟამი» გულისხმობს აწმყოს, როცა ვამბობთ, რომ

«პოეზია დანახვის ხელოვნებაა». ჩვენ დღეს ვხედავთ ცხოვრებას და მის მომიჯნავე სფეროებს, რომლებიც სავსეა ტკივილითაც და ნეტარებითაც.

**– რას ფიქრობ, რა არის შენი, როგორც მწერლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ამ ეტაპზე?**

– ჩემი, როგორც მწერლის (ვიტყოდი, მწერლად ყოფნის მცდელობის) ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა არის გამუდმებული მცდელობა გადავრჩე წერის დახმარებით. ის, რომ წერა არ შემიწყვეტია და სულ ვმუშაობ, როგორც ჩანს, არის კიდეც ჩემი მიღწევა. ზოგადად, მწერლების აღიარება თუ მიღწევები მხოლოდ მკითხველების გონებასა და სულში არსებობს და არა აკადემიებსა და ჯილდოებში. წიგნის ბედისწერას მკითხველი წერს. მიუხედავად ამისა, წერისას მე არც მკითხველზე ვფიქრობ და არც აღიარებაზე. მე მინდა ჩემი შინაგანი მდგომარეობა გადმოვცე – ესაა, რასაც ვცდილობ. მხოლოდ და მხოლოდ წერის უნარი შეიძლება იყოს მწერლის ძალა, მეტი არაფერი – არც თანამდებობა, არც სამსახური, არც პორტფოლიო. ბენგალელმა პოეტმა რაფიქ აზადმა ერთხელ თქვა: «რომ შეიძლებოდეს, ვისურვებდი სილა გამეწნა ზოგიერთი ადამიანისთვის, ვინც მოწმედ უდგება ვაი-მწერლებს მათი სისულელეების მიუხედავად». მოგვიანებით, მან მართლაც შეძლო ეს! აი, რისთვის წერდა თურმე პოეზიას მყუდრო ძილის ნაცვლად ღამღამობით. მეც ასე ვაკეთებ.

**– უპირველესად, რით გინდა დაამახსოვრდეს მამა შენს ქალიშვილს?**

– ზუსტად არ ვიცი, კონკრეტულად რა ერგო მემკვიდრეობით ჩემგან ჩემს ქალიშვილს. მიხარია, როდესაც მასში დედამისის თვისებებს ვხედავ. ერთი

კარგი შვილია, მეორე კი – კარგი დედა. მადლობელი ვარ დედამისის. მე ორივესგან ბევრს ვსწავლობ. საკუთარი ბავშვობიდან ვიცი, როგორ იზრდება ვაჟიშვილი, ამიტომ ნუგბარივით არის ჩემთვის იმ პროცესის თვალის დევნება, თუ როგორ იზრდებიან ქალიშვილები. მახსენდება ბენგალელი პოეტი სუნილ განგიოპადჰია, ვაჟის მამა, რომელიც ოცნებობდა, ჰყოლოდა ქალიშვილი. ჩემი ქალიშვილი ჩემი ცხოვრების გვირგვინია. საკუთარ თავში სტაბილურობას სწორედ მისი დაბადებით მივაღწიე. მანამდე უკიდურესად მოუსვენარი ვიყავი, ქარივით მოუსვენარი. ახლა კი ჩემი არსებობის სიმყარეს შვილში ვხედავ. პირადად მე საკუთარ თავში ვერ ვხედავ მსგავს ოპტიმიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ოპტიმიზმის აუცილებლობის მწამს. მხოლოდ ამ გზით იმარჯვებს სიცოცხლე. ამ ჭეშმარიტების დასტური ჩემთვის ჩემი შვილია. ვის ადარდებს ჩემი, როგორც ადამიანის, ბედი? არ აქვს მნიშვნელობა, მწერალი ვიქნები, მუშა, მცველი, უბრალო მოქალაქე, ბენგალელი მწერალი თუ მუქკანიანი აზიელი, ესაა ჩემი შვილი. მხოლოდ და მხოლოდ მას ადარდებს. ის არის ჩემი სამყარო.

ჩემი პირდაპირი პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთია: მინდა, ჩემს შვილს, უპირველესად, დავამახსოვრდე, როგორც მეგობარი.

**– რას ურჩევდი ახალგაზრდებს, ვისაც მწერლობა სურს?**

– მე, პირადად, ახალბედა მწერლებისგან ვსწავლობ. მათ ჯანსაღი ხედვა და პათოსი შემოაქვთ ამ საქმიანობაში. მე ვაფასებ მათ გულწრფელ მონდომებას. შემიძლია საკუთარი გამოცდილებიდან მხოლოდ ის ვუთხრა, რაც მე თვითონ ვისწავლე: რომ ცხოვრება გზაა. აინშტაინი ცხოვრებას ველოსიპედს ადარებდა, რაც იმას ნიშნავს,

რომ თუ არ იმოძრავებ, ძირს დაეცემი. ჩემთვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორი იმისათვის, რომ მწერალი იყო: არასდროს შეწყვიტო კითხვა! არ არის საჭირო ცხოვრებას გაექცე, უმჯობესია, იზეიმო სიცოცხლით. სიცოცხლე არის სწავლა, შესაძლებლობა, მე ასე ვხედავ.

# ლექსები

## ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

## მატარებელი

მატარებელი დანიშნულების ადგილისკენ მიექანება. წინ გრძელი გზა აქვს.
დროსავით მიქრის. დროის სიჩქარით ჩაუქროლა თვალებს, რომელიც მას უყურებდა;
ჩაუქროლა მათაც, ვისი კარ-მიდამოც ცოტა ხნის წინ ჩამოიტოვა.
მიქრის და ტოვებს მტვერს თვალებში და სახეებზე, ბევრ თვალებში და ბევრ სახეზე.
მატარებელს არ ახსოვს მტვერი. არც თვალები, არც სახეები.
მათი აღრიცხვა დიდ დავთარში არ უთხოვიათ.

მატარებელი მიქრის. ჩავლისას ქარისა და მტვრის ბუღს აყენებს,
ლამისაა ამ სისწრაფით დროსაც გაუსწროს.
ვის შეუძლია გაუტოლდეს მას სიჩქარეში?

აბა, როგორ დაინახავენ რკინიგზასთან მყოფი თვალები,
სადამდე წავა მატარებელი? თუმცა მაინც ეცდებიან,
ბოლომდე გასწვდნენ.
მატარებელი არ მიიხედავს არც უკან, არც მარცხნივ ან მარჯვნივ,
თვალები მალე დაიღლებიან.
განრიგის დროით მატარებელი დროსავით მიქრის შორეული ადგილებისკენ,
სოფლებს გაივლის, გეზს აიღებს სადგურებისკენ.
ვინ იცის, რა გზა გამოიარა, რა დარჩა უკან?
ვის შეუძლია გამოიცნოს?
დრო არის ძველი მატარებელი.
ეს საიდან ეცოდინება რკინისა და ძელებისგან ნაგებ

მანქანას?
ის ვერ გაიგებს. არავინ იცის, რა ფიქრები უტრიალებს სხვას გონებაში.
მატარებელი ვერ გაიგებს, როგორ ედება მტვერი გონებას.
მხოლოდ ის იცის, რომ საჭიროა წინ წავიდეს დღისით და ღამით.
ის ხომ ვერასდროს მიაღწევს სადგურს, თუ მტვერში მყოფთა ტკივილს შეიგრძნობს?!
მტვრით დაბინდულთა გონებამ კი ნამდვილად იცის, როგორია დაფარული სიმართლის სახე.

ნება მომეცით, ჩემი გითხრათ:
სიმართლეს ბრმები უკეთ ხედავენ.
ბრმამ იცის კარგად.
ბრმა ვინ არის?
ვის შეეძლო, გაძღოლოდა ამ მატარებელს თანაც ისე, რომ ხელთ სჭეროდა მისი სადავე?

## შენა ხარ ჩემი სიგარეტიც და სანთებელაც

ფრთხილად იყავი, არ გაბედო აქ ნარკოტიკის მოხმარება,
არც სიგარეტი არ მოწიო.
შესაძლოა, სულაც შეცდომით დაგაპატიმროს პოლიციამ.
როგორც შენ ამბობ,
ყველაფერი ხდება ამქვეყნად. ამიტომ, არც პოლიციაში
მოხვედრაა გამორიცხული.

დაჭერის შიში ნამდვილია სხვა ჩვეულებრივ შიშებთან
ერთად.
შენ თუ იცი, მე რამდენჯერ დავტყვევებულვარ?
ნეტავ, ვინმეს სადმე თუ ახსოვს?
ვინ წუხდა ჩემზე?.. რაც არ უნდა იყოს პასუხი,
მომისმინე: ბევრჯერ ყოფილა – როცა გიყურებ,
შეპყრობილი ვარ, შენი ტყვე ვარ. გულისცემა უცებ
მატულობს
და ხმა მიწყდება. ამ დროს უზომოდ მინდა გაქცევა.
გავიქცეოდი, რომ შემეძლოს, ასი მეტრით დაგშორდებოდი.

როცა მთავრდება ეს აგონია, მხნეობას ვიკრებ.
ვცდილობ, ვითხოვო პატიება, მოგიახლოვდე,
შემოგხედო და იქნებ თვალიც კი გაგისწორო.
ჩემს ფიქრებს შენზე კიდევ ერთხელ გადავამოწმებ და
გეუბნები,
რაც არ მითქვამს... დასწყევლოს ღმერთმა! ეს სიტყვებიც
უმაქნისია!
შეპყრობილი ვარ, ტყვე ვარ შენი და მეშინია, სულ არ
დამებნეს გზა და კვალი.
იმას ვდარდობ, პოლიციის წითელ შენობას თუ მიმაყენეს,
შენს თვალებში უხეშ ენაზე დაწერილის წაკითხვა მელის.
ვკარგავ ენას, საკუთარ ენას. აღარ ვიცი, როგორ

წარმოვთქვა სიტყვა, რომელიც
შენთვის მომქონდა.
არადა, მსურდა, მომეყოლა რასაც ვფიქრობდი და
მომესმინა პატიების ათასი სიტყვა.
არვინ იცოდა, ვერც ხვდებოდა, რომ შეპყრობილს
ერთადერთი სურვილი მქონდა,
ჩემს სურვილს კი – თავის სათქმელი.
არვინ იცოდა, ვერც ხვდებოდა, რომ სხეულით
დავატარებდი შეშლილობას, მიჯაჭვული ვყავდი სიგარეტს.
ეს შენ ხარ ჩემი სიგარეტი – ის ნარკოტიკი, რის
წარმოდგენაც კი შეეძლო
ჩემს წარმოსახვას.
შეიძლებოდა ვყოფილიყავ სანთებელაც. მონაცვლეობით –
სიგარეტი ან სანთებელა,
სანთებელა ან სიგარეტი. წარმოვიდგინე, ერთად როგორ
ვითამაშებდით
სიგარეტის და სანთებელას როლების გაცვლას. მე და შენ
ერთად.

საბედნიეროდ, შენ აღმოჩნდი ის პოლიცია, რომელმაც
შემდეგ
შემიპყრო და დამაპატიმრა.
სიგარეტის როლს ითამაშებ თუ სანთებელის, ჩემი ხარ
მაინც.
ირონიაა: როგორც კი თავი ამოვყავი შენს ტყვეობაში,
მხნეობა ისევ დამიბრუნდა. პოლიციის არ მეშინია.
ახლა შენი პატიმარი ვარ.
არ მეშინია არც ტყვეობის. მოდი, ასე ვთქვათ:
შენა ხარ ჩემი სიგარეტიც და სანთებელაც, –
სულ ესაა... სიყვარულის უფლებას ვითხოვ.

## დილან ტომასი

ნება მომეცი, გკითხო როგორ უმკლავდებოდი
გონებაში მოზღვავებულ სიტყვების ნაკადს
რითმისა და რიტმის ზვირთებში; როგორ აწყობდი
ემოციებში სიტყვების წარღვნას, როცა გონება რალს მართავდა
ალიტერაციის მისაგნებად.
მითხარი, როგორ აკავშირებდი სათქმელს და სიტყვებს,
რომლითაც მას გამოხატავდი,
ანდა, როგორ იქმნებოდა სოლიდარული მეტაფორები?
როცა კითხულობ მათ, გგონია, ეს თამაშია – დედის კალთას გამობმული
ბავშვის თამაში,
სათამაშოდ რომ გაუხდია ემოცია, სიტყვა, გრძნობა, მეტაფორა, მუსიკა და
შედარებები, ტკივილები და ნეტარება, მონაცვლეობით
დაკარგვისა და შეძენის ვნება, მონატრება და გამოწვევა, –
გამოხატული შენს სიტყვებში, შენი გონებით ნაკვებ სიტყვებში.
სპონტანურად, უმარტივესად არჩევდი სიტყვებს,
თითქოს ბავშვმა ხელი ჩაჭიდე დედის «სარის»
და დატრიალდი მის გარშემო შეუჩერებლად.
როგორ შეძელი? ასეთი რამ როგორ გამოსდის ადამიანს?

ამ კურთხეული მადლით მოსილი დაემსგავსე ლამის იესოს
სიმართლის თქმაში, სილამაზის პოვნისა და სიყვარულის გამოხატვაში.
დროს სწყურია ამ ხმის მოსმენა, ჩამდგარა მწკრივში ტაძრისაკენ
დუქნის ეზოდან, დუქნის ეზოდან – ტაძრისაკენ, ბოჰემური

ტიპებიდან
მღვდლებისაკენ, რომლებსაც ათრობს სიტყვის მუსიკა,
ამ სიტყვების სიახლოვიდან ნაშობი ტრფობა,
სტრიქონების ხმა,
მრავალ თვალთაგან დაღვრილი ცრემლი, სახეებიდან გადმოსული
წრფელი ღიმილი, გონის ღიმილი, უამრავი გულის ღიმილი...
ამ ყველაფრის მოწმე მკითხველი გაკვირვებული გეკითხება
– რა ძალაა, რაც პოეზიად აქცევს სიტყვებს?
შენ ამ ხელობის – პოეზიის ქსოვის ხელობის – ოსტატად გთვლიან.
სად იპოვე ის დინამიტი, სიტყვებს შორის რომ დამალე ასაფეთქებლად?
მან დაამსხვრია ყველაფერი, რათა ისევ აგეგო და გეშენებინა.
შენი ერთ-ერთი გულმოდგინე მკითხველთაგანი აქამდე მხოლოდ
ალფრედ ნობელის აღმოჩენილ დინამიტს სცნობდა, ახლა კი ვხედავ,
შენ ხარ მეორე ადამიანი იმ აღმოჩენით,
რათა ქვები ააფეთქო ხალხის გულებში და გონებას უჩვენო სახლი. ეს უნარი აფეთქების მაგიჟებს შენში. ეს უნარი აფეთქების
შურსაც აღმიძრავს, რადგან მე არ მაქვს შენებური წარმოსახვის ძალა საკმაო.
არ გამომივა შენი ქება, არც საუბარი შემიძლია შენზე ამდენი.

დიდებულ სიტყვებს მომავალშიც იტყვიან შენზე. დაე, სხვებმა თქვან,

ოღონდაც მე გავთავისუფლდე შენი ჯადოსგან. მე მშურს შენი,
უმწეო ვარ, თანაც მარტო ვარ. გთხოვ, მაპატიო.
ძლიერ მაშინებს შენი სიტყვა-დინამიტები ჩემს ცარიელ მონდომებაში – ჩემი განცდა გადმოვცე სიტყვით.

მას შემდეგ, რაც გამოცალე ყველა სასმისი, აისრულე ყველა ოცნება,
ინეტარე თავისუფლებით, აზეიმე საკუთარი წარმოსახვები,
მოიპოვე მეფის გვირგვინი კეთილხმოვანი სიტყვებისათვის,
სახე-ხატების, შედარებების, მეტაფორის და რითმებისათვის...
ნაუცბათევად, ყოველგვარი ცნობის გარეშე დაასრულე შენი თამაში.
გაუჩინარდი სცენიდან და გზა გააგრძელე იმ სამყაროში,
საიდანაც აქეთ მოხვედი. ეს სამყარო კი გიცქეროდა უამრავი
სულელი თვალით შენთვის და მისთვის მძიმე წუთებში,
გიყურებდა და გხედავდა ჭკვიანსა და თავმოყვარე ადამიანს, რაღა თქმა უნდა... უდროოდ წასულს.
ნუთუ ასე გეჩქარებოდა აქაურობის დატოვება?

სულელ მკითხველებს ძლიერ დაგვაკლდა შენი წასვლა,
მოგვენატრა შენებური დინამიტები, გულში ქვების მეხთატეხის ხმა და
გონებაში – სახლის შენება. მიუხედავად იმისა, რომ ისევ ისე მშურს
შენი თხრობისა და შექმნის ნიჭის.

ნუთუ ასე სასწრაფო იყო ზეცაში შენი გამოძახება?
რა დაგახვედრეს? პოეზიის უდაბნოები? ზეცის ხალხს

ნუთუ ასე მოშიებოდა შენი სიტყვები? ვინ იცის...
ვის შეუძლია ზღაპრების თქმა? შენ მოგვიყვები?

შენი უელსი შენ გამო ტირის,
იმაზე ტირის, უდროოდ რომ მოგიწია გადასახლება.
ისე, რას იტყვი, როგორ მიდის ცაში ცხოვრება?

## ნატალი შინ ბრუნდება

იცი, ალბათ, ვინ თქვა სიმართლე იმის შესახებ, რომ
ღამე დნება და დღე იწყება. არ მჯერა, შუქი თუ გამოჩნდება
აქ ოდესმე.

ბავშვი მამას გვერდზე გასწევს, რომ არ გახდეს თოფის
სამიზნე.
ჯარისკაცები გადათელავენ მამასაც, ბავშვსაც
მძიმე ჩექმებით. დახვრეტითაც იმუქრებიან.
დღე იქცევა ღამის სიბნელედ.

სად არის ქალაქი? სად ვნახო სახლი?
ღამე დნება და დღე იწყება.
დენი, შუქი და ჩამრთველი ადგილზეა,
კმარა ეს იმისთვის, რომ ბნელი გაქრეს?

რაც უნდა ეცადო, სიტყვები აზრებს გადაუმალო,
რაც უნდა ეცადო, გაერთო ნოტებით და სიმღერებით,
გულში სისხლისღვრა არ წყდება არასდროს.

ღამე დნება და დღე იწყება.
ქალაქის ბაულებს[1] ეჭვი იპყრობს,
არ სჯერათ თუკი გამოჩნდება სინათლე სადმე
ან ამ ქალაქში, ან ამ სახლში.

არ მოველოდით, რომ სიმართლე უელსური,
გაცხადებული სახალხო მთქმელი ბაულის მიერ,
ტრანოსშიც ასე გაიჟღერებდა – ისევ სიმართლე.
ეს როგორ ხდება? რატომ ხდება? ვერ ამიხსნია.

რატომ უნდა მოისროდნენ თავდაჯერებით
დამპყრობელი ჯარისკაცები ამ სამყაროს მთელ

სინათლეებს
თოფ-იარაღის საწყობებისკენ?

სასტიკმა სამყარომ მუქი ფერით გააფერადა ომში მყოფი
მამებისა და, დედებისა და, ბავშვების თვალები.
ხომ არ გინახავთ სინათლე ბლოკპოსტთან
ღამისა და დღის გასაყარზე?

ღამე დნება და დღე იწყება, სინათლე ჩნდება უელსში ნელა,
როცა საავდრო რუხი ღრუბელი დამძიმდება ტრანოსის
თავზე.

ჩახედე თვალებში მიშელს-ბენგტს-ანტონს,
კოლმს-დომინიკსა და ტიშანის – წყლის წვეთებია მათ
სახეებზე.
ნატალი შინ ბრუნდება: ღამდება ტრანოსში.
ნატალი შინ ბრუნდება: თენდება უელსში.

აი, რატომ ვამტკიცებ ხოლმე, რომ გურუ ხდება ყველგან
ოსტატი.
როგორ შეძლო დღევანდელობის სახის დანახვა
ამდენი წლის წინ?!

ღამე დნება და დღე იწყება.
სინათლე არა და არ გამოჩნდა.
შენ, როგორც გურუს, გიხარია,
რადგან ეს შენთვის გართობაა, დილან ტომას!

## ნუ მომიკლავენ ჩემს თოჯინას ჯარისკაცები

*(ფრაგმენტი პოემიდან)*

1. მამი, ისინი ვინ არიან? რატომ ისვრიან?
რატომ ისვრიან შუაღამისას?
დღისით ისედაც სულ თოფები უჭირავთ ხელში,
როდისღა სძინავთ?
ნუთუ სახლი არ გააჩნიათ?
ჩვენი სახლისკენ რატომ მოდიან?
სხვა საქმე ნუთუ არაფერი აქვთ?
უმუშევრები ხომ არ არიან?
შინ კატა არ ჰყავთ, ანდა ძაღლი?
ბაღიც არა აქვთ?
არ ურჩევნიათ, ბაღს მიხედონ?
ნეტავ, ბავშვები არა ჰყავთ სახლში?
ვინ დაატარებს მათ სკოლაში?
რატომ ისვრიან წამდაუწუმ ჩვენს სახლთან ახლოს?
წავიდნენ და შვილს ეთამაშონ, არ უჩევნიათ?

თუ არ უყვართ მათთან თამაში,
მაშინ მულტფილმს უყურონ ერთად.
რატომ ისვრიან აქ? მითხარი!
რატომ თესავენ შიშს ჩვენ გარშემო?
რატომ მიშლიან ხელს, დავიძინო?
რატომ მიშლიან ხელს თამაშში?
რატომ მიშლიან ხელს საუბარში?
არ დამაცდიან მულტფილმის ნახვას?
რატომ ისვრიან აქ დღედაღამე?
რატომ თვითონ არ ეშინიათ ამდენი სროლის?
რა უგუნური საქციელია!
ჩვენ გვეშინია, მაგრამ ვხედავ
სულ არ აღელვებთ. რატომ, მამი?

ამ გაუსაძლის ზაფხულის ხვატში
მდინარეზე მაინც წავიდნენ, წყალში გაერთონ.
შეეძლოთ, თუნდაც, სათევზაოდ გადასულიყვნენ
ან საკუთარი ველოსიპედით, ან სულაც ცხენით.
რატომ ისვრიან დაუსრულებლად?
არ ანაღვლებთ ჭამა და ძილი?
რატომ მშობლები არ უკრძალავენ თოფებით თამაშს?
ნუთუ, არ ჰყავთ დედა და მამა?
მთლად ობლები ხომ არ არიან?
რატომ ესროლეს ჩემს თოჯინას ცალ ხელში თოფი?
დავიჯერო, შინ თოჯინები არ ჰყოლიათ?
ასე უწესოდ და ჯიუტად რად იქცევიან?
აი, ნახე, არ იღლებიან, ისევ ისვრიან.
ნეტავ, თუკი რამე ასტკივათ,
რას იზამენ?
მათი მშობლები ხომ იდარდებენ,
მათი მშობლები ხომ იტირებენ? –
ნეტავ ამაზე არ ფიქრობენ?

– შვილო, კარგი იქნებოდა, დაიძინებდე.
– კარგი, მამი, ღამე მშვიდობის! გთხოვ,
დაიცავი სროლისაგან ჩემი თოჯინა,
ნუ მომიკლავენ ჯარისკაცები!

2.
მამი, იარაღს სად შოულობენ?
ასე უწესოდ და ჯიუტად რად იქცევიან?
მათი თოფების შიშით ცაზე ჩიტები გაქრნენ,
სად წავიდნენ, მამი, ჩიტები?
მათი შვილების სახელები ხომ არ იცი,
რა ჰქვიათ, ნეტავ, ან სად ცხოვრობენ?
წერილი უნდა გავუგზავნო
ამ უწესო ჯარისკაცების შვილებს სახლებში.
უნდა მოვუყვე, რას სჩადიან, როგორ ურჩობენ,
ხალხს რომ კლავენ და ტკივილს გვრიან ადამიანებს.
შენ ხომ ნახე, წყალი როგორ გაწითლდა ტბაში?

მაგრამ, ვაიმე, წერილს როგორღა გავაგზავნი?
ფოსტალიონი რომ აღარ მოდის?
იმ საზიზღრებმა მასაც სადმე ხომ არ ესროლეს?
რომ მენახა, ვინ დაურიგა იარაღი ამ გიჟების ჯგროს,
ერთ მაგარ სილას გავაწნავდი.
მერე, ტირილს რომ დაიწყებდა, კანფეტს მივცემდი
და ვკითხავდი: «რატომ მიეცი იარაღი ამ უწესოებს,
უკეთესი ხომ იქნებოდა, ბურთი მიგეცა?»
შეწყვეტდნენ მაშინ უგუნური საქმის კეთებას
და დაიწყებდნენ ვარჯიშს ფეხბურთში –
მომავალი მსოფლიო თასის ჩემპიონატში».

3.
მა, პაპამ მითხრა ვარსკვლავებად ვიქცევითო, როცა
მოვკვდებით.

იმ კაცებმა კი, ნაძირლებმა, პაპა მოკლეს.
სწორედ მაგათ მომიკლეს პაპა.
ყველას კლავენ. რა გვეშველება?!
ვერ გამიგია – ცასთან არიან გარიგებული,
რომ უამრავი ადამიანი უნდა დახოცონ?
კიდევ რამდენი უნდა მოიკლას, რომ ეყოს ამ ცას?!
ნახე, რამდენი ვარსკვლავია უკვე ზეცაში, –
თვლას ბოლო არ აქვს.
არა, არ გვინდა მეტი ვარსკვლავი, შეწყვიტეთ სროლა!
მომისმინეთ, ჰეი, მკვლელებო, ნუღარ ისვრით!
გირჩევნიათ, სახლში წახვიდეთ.
თუ აქ ვინცა ვართ, ყველას დაგვცხრილავთ,
თუ ყველანი ვარსკვლავებად გადავიქცევით,
აქ ვინ მოუვლის დარჩენილ კატებს,
ან ვინ მოუვლის დარჩენილ ძაღლებს,
ან ვინ მოუვლის ჩვენს ბაღჩა-ბაღებს,
ვინღა ივლის მაშინ სკოლაში?

ოჰ, იქნებ სადმე შემახვედრა ამ უტიფარი მკვლელების ბრბოსთან.
მამა, რას იტყვი, სახლში ხომ არ დაგვეპატიჟა?
ნახატები მაქვს ყვავილების, ჩიტებისა და სხვა ბუნების სილამაზეთა,
თუ მოვიდოდნენ, ვაჩუქებდი ყველა მკვლელს ნახატს –
იქნებ ეს მაინც გახარებოდათ და შეეწყვიტათ უგონოდ სროლა,
იქნებ კაცისკვლა დავიწყებოდათ...

4
მამი, რა გჭირს? რამ შეგაშინა?
შენ, რა, არასდროს გიცელქია? წესები არ დაგირღვევია?
პაპას არასდროს უყიდია შენთვის თოფი?
... შეგიძლია, თოფი მიყიდო?

მინდა, ის ხიდი ავაფეთქო, რომელზედაც ჯარისკაცები
გადმოივლიან
აქ მოსასვლელად.
ჰო მიყიდი? რა მაგარი იქნებოდა, –
ის ურჩები აქეთ ვეღარ გადმოვიდოდნენ...
შენ აქ ხარ, მაგრამ თითქოს არ ხარ,
გინდა გადარჩე და ამიტომაც გირჩევნია გადაიმალო,
მაგრამ განა რამდენი ხნით დაიმალები?
მიდი, წაართვი იარაღი იმ ჯარისკაცებს
და მერე ერთად გადავყაროთ ოკეანეში.

ახლა პაპა რომ ცოცხალი იყოს, ეგრევე პირში მივახლიდი:
«ეს რა შვილი გაგიზრდია, უმაქნისი,
არაფერი არ შეუძლია!»

5.
მამა, შეხედე, რა დამართეს სათამაშოებს!
რა სასტიკი ხალხი ყოფილა!
სულ არ ადარდებთ, რა ძვირფასია სათამაშო
ბავშვებისათვის.
ესეც რომ არა, შინ ბავშვები ხომ ეყოლებათ, იმ ბავშვებს
კიდევ
სათამაშო ექნებათ ალბათ...
არ მესმის, რატომ დაამტვრიეს ჩემი ნივთები.
თუ ჭირდებოდათ, რამდენიმე სათამაშოს გავიმეტებდი,
ეთხოვათ მაინც.
ვინც მაჩუქა, იმას ეს არ მოეწონება, მაგრამ მაინც
მივცემდი იმათ,
ჩემს ახლობლებს კი ვეტყოდი, მეტად აღარ ეჩუქებინათ
არანაირი სათამაშო არასდროს ჩემთვის,
რადგან ოდესმე აუცილებლად დაიმტვრევა ყველა
მათგანი
ამ სასტიკი კაცების ხელით.

6.
მამა, შემთხვევით ხომ არ იცი, როგორ კეთდება რაკეტები?
არა, არ იცი შენ არაფერი.
არაფრისთვის აღარ ვარგიხარ.
იქნებ წიგნი მაინც გეშოვა რაკეტების შესახებ სადმე?
წავიკითხავდით და შეიძლება ასე გაგვეგო, როგორ იგება ხომალდები.
და თუ მართლა გამოგვივა საჰაერო ხომალდის შექმნა, ყველას ვასწავლით, როგორ კეთდება... შესანიშნავი იქნებოდა!
და როდესაც ის სასტიკი ჯარისკაცები აქ მოაღწევენ, ჩვენ ყველანი
ამ რაკეტებით გავფრინდებით უცებ მთვარეზე.
თან წავიღებთ ფოტოაპარატს და მთვარიდან გადავუღებთ სურათებს
ამათ, ნაძირალათა ამ სასტიკ ბრბოს.
გაგიჟდებიან, როცა ვერსად ვერ გვიპოვიან,
ხელცარიელი მოუწევთ წასვლა.
ჩვენ კი მთვარიდან დავბრუნდებით ჩვენი ხომალდით
და პოლიციას მივცემთ ფოტოებს ამ სასტიკი ჯარისკაცების.
აი, მაშინ ნახონ სეირი!

# სივაგნანმ ჯეიასანკარი – ფიქრები ანისურ რაჰმანის წიგნის «არყოფილი პოეტი და სხვა ესეები» შესახებ

## ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

სივაგნანმ ჯეიასანკარი – პოეტი, შრი ლანკის აღმოსავლური უნივერსიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ფაკულტეტის პროფესორი

ჩემი რეფლექსია ამ წიგნზე დაიწყო რაბინდრანათ თაგორის ლექსის ნაწყვეტით, რომლითაც წიგნის ავტორი ასრულებს ერთ-ერთ ესეს სათაურით «თაგორის შელიდაშის წლები»: «ვის არ ჰქონია სურვილი თვალდახუჭული მედიტაციისა იმის შესაცნობად, ნამდვილია ეს სამყარო თუ ყალბი. მე, მაგალითად, ვიჯდებოდი მშიერი თვალებით, რომ მეყურებინა სამყაროსთვის მანამ, სანამ სინათლე გაგრძელდებოდა».

ეს წიგნი საკმაოდ მარტივად ავლენს ბანგლადეშის სოციო-კულტურული ცხოვრების ცალკეულ მხარეებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი სათაურში ახსენებს არარსებულ პოეტს, კრებულში წარმოდგენილი ესეები სახალხო პოეტის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ხოლო სახალხო პოეტისთვის ძალიან ძნელია თავს აუკრძალოს პოეტური პროტესტისა და წინააღმდეგობის თანდაყოლილი ხასიათი. ანისურ რაჰმანი, როგორც პოეტი და ჟურნალისტი, ამ რეალობას ვერ გაურბის.

ის პირდაპირ თვალწინ უდებს მკითხველს ბენგალელი ხალხის თანამედროვე ცხოვრების სოციალურ და კულტურულ რეალობას. 112 გვერდზე გადანაწილებული 40 თემა, რომლებშიც თვალში მოგხვდებათ თანამედროვე, დამოუკიდებელი საზოგადოების აშკარა სიბნელე,



ტრადიციული ავტორისეული წინასიტყვაობის ნაცვლად მისგან პატიების თხოვნით იწყება. ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნის ისტორია, ეს ყველა პოსტკოლონიალური ქვეყნის ისტორიაა. დამოუკიდებლობა მხოლოდ მმართველების კანის ფერს ცვლის და არა ცალკეული ქვეყნების სოციალურ პირობებს, იმ ქვეყნებისა, რომლებიც ყოველწლიურად ზეიმობენ დამოუკიდებლობის დღეს, როგორც კოლონიზატორი მმართველებისგან თავდახსნის რეალურ თარიღს. ესეების თემებად შერჩეული საკითხები ხაზს უსვამს ავტორის სანატრელ სურვილს, რომ თავისი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ნამდვილი დემოკრატიული სამყარო იხილოს. რაჰმანის ეს მოლოდინი ნათლად ჩანს ესეში სათაურით «ჰუმაიუნ აზადის ცხოვრების აღორძინება», რომელსაც ასეთი დასკვნით აჯამებს: «ვისურვებდით, ვიყოთ ამბიციურები, ჰუმაიუნ აზადის კვალდაკვალ მოველით ბანგლადეშის ახალ სიცოცხლეს კორუფციის, რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და რაზაკარისგან[2] გათავისუფლების გზით. იმედი გვაქვს, ბანგლადეშში განახლდება სიცოცხლე და ხელახლა დაიბადება ჩვენი ერი. ახალი ოცნებები, ახალი დროება, ახალი იმედები ელის ბანგლადეშს. აი, ამ მიმართულებით უნდა ვიფიქროთ ამიერიდან. უნდა ვირწმუნოთ, რაც ჰუმაიუნ აზადს სწამდა. მან საკუთარი თავიც განაახლა და ის ეპოქაც, რომელშიც უწევდა ცხოვრება.»

მარტივი ჭეშმარიტებების ვერგაგება მთავარი მიზეზია, რის გამოც ჩვენს დედამიწაზე მძიმე გამოწვევების წინაშე დგას ადამიანის სიცოცხლე. ამ მხრივ დამაფიქრებელია ესე «შეიცან თავი... მაგრამ როგორ?», რომელიც ააშკარავებს იმას, თუ როგორ ვუახლოვდებით თანდათანობით საშინელი სამსჯავროს დღეს ჩვენივე სურვილის საწინააღმდეგოდ. და მაინც: «ვოცნებობთ ისეთ სახელმწიფოზე, სადაც ჩვენი შვილები გაიზრდებიან და გაიცნობენ ერთმანეთს სახლებში, სკოლაში და გარე სამყაროში». ადამიანების (განსაკუთრებით, მოზარდებისა და ახალგაზრდების) აზრების ფორმირებაში განათლებისა და მედიის როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მას ეფექტურად აყენებენ თავის სამსახურში ქვეყნის მმართველები (გინდა კოლონიზატორები იყვნენ და გინდაც პოსტკოლონიალური ეპოქის შვილები), რათა ადამიანები ნივთებივით გააკონტროლონ და შექმნან ე. წ. მორჩილი მოქალაქეების კასტა. მმართველებს (იქნებიან ისინი თეთრი, შავი თუ ყავისფერკანიანები) მხოლოდ ბრბო სჭირდებათ დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ღონისძიებაზე გამოსაჩენად. მათ არ სჭირდებათ საზოგადოება, რომელსაც გააჩნია შემოქმედებითი ენერგია და კრიტიკული აზროვნება. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ნახსენები გამორჩეული პიროვნებები განსხვავებულად ფიქრობენ და ისწრაფვიან ყველასათვის მისაღები გარემოს შესაქმნელად.

ანისურ რაჰმანი ყურადღების ცენტრში აყენებს მეინსტრიმული მედიის მიერ მარგინალიზებულთა და ხმაჩახშობილთა საკითხს, ეს კი ნამდვილად მოწმობს შტატიანი რეპორტიორისა და ჟურნალისტის სულში პოეტის არსებობაზე. ეს წიგნი ირიბად, მაგრამ მწვავედ აყენებს ფუნდამენტურ საკითხებს: რა დოზით ჰგავს

ერთმანეთს სამხრეთ აზიური ქვეყნების ლიტერატურული და სახელოვნებო გარემო? როგორ ასახავს საერთაშორისო ბეჭდური მედია ან ახალი ამბების ელექტრონული სეგმენტი სამხრეთ აზიელების ცხოვრებას? ვინ აწვდის ცნობებს ანუ რა ტიპის წყარო ამარაგებს ნიუსებით სამხრეთ აზიის ქვეყნების მეინსტრიმულ მედიას? რატომ უჭირთ სამხრეთ აზიის მკვიდრთ ერთმანეთთან დაკავშირება ინტერნეტის ეპოქაშიც კი? რა ბლოკავს სამხრეთ აზიელების ტვინს? რა როლი აქვს, ერთი მხრივ, მშობლიურ ენებსა და, მეორე მხრივ, ელექტრონულ მედიას ინტერაქციის პროცესში? როგორ უნდა შეიქმნას სოლიდარობისა და თანასწორობის ცნობიერება? ეს ის რამდენიმე ფუნდამენტური შეკითხვაა, რომელზეც ფიქრიც აუცილებლად მოგვიწევს საწყის ეტაპებზე.

ესეში სათაურით «ენა, პოლიტიკა და კულტურა» წამოჭრილია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც უფრო ღრმა და დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ავტორი აღნიშნავს, რომ «1998 წელს მშობლიური ენების დღის დაარსებით იუნესკომ თანაგრძნობა გამოხატა მსოფლიოს თითოეული ენის მიმართ, როცა გაიხსენა 1952 წელს ბენგალური ენის დასაცავად დატრიალებული ტრაგედია და მხარდაჭერა აღუთქვა ეთნიკურ უმცირესობათა ენებს, რომლებიც დღესაც მოწყვლადია». აქ იგულისხმება ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს არა მარტო ლიტერატურულ ტექსტებს, – პოეზიას, ბელეტრისტიკას ან ნონ-ფიქშენს, – არამედ ყოველგვარ

ტექსტს მეცნიერების, ტექნოლოგიების. ფილოსოფიის, ხელოვნების, გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. ამ ფონზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მოჩანს თარგმანის საკითხი. რაჰმანი წუხს ურთიერთობის ინიციატივის ნაკლებობაზე ბანგლადეშსა და შვედეთს შორის. ესეში, სათაურით «შვედი მწერლების მოგზაურობა თაგორის ქვეყანაში» ის აცხადებს, რომ «1913 წლის შემდეგ იმ გასულ საუკუნეში ლიტერატურული ურთიერთობის არანაირი ინიციატივა არ ყოფილა მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ამ ორ ქვეყანას შორის. შვედი მკითხველები მხოლოდ ზედაპირულად იცნობენ თაგორის სახელსა და მის «გიტანჯალს». მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ მდიდარი და განვითარებული სამხრეთ აზიური ლიტერატურის შესახებ». ამ შემთხვევაში ავტორის მიერ სამხრეთ აზიური კონტექსტის აღქმა პოზიტიური ხასიათისაა, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, თუ ჩვენ თვითონ, სამხრეთ აზიელებს, რატომ გვაკლია ერთმანეთთან ურთიერთობის გამოცდილება.

ანისურ რაჰმანის «არყოფილი პოეტი და სხვა ესეები» გზის მაჩვენებელი წიგნია სწორედ ჩვენივე თავში გასარკვევად და საკუთარ რეალობაში საორიენტაციოდ, რათა გავმდიდრდეთ და გავძლიერდეთ, როგორც სამხრეთ აზიელები ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

2008 წ.

# 2. პოეზია

# გიორგი ლობჟანიძე

## პარკებიანი კაცის ლოცვა

მადლობა, ღმერთო!
როგორ არასდროს გავიწყდები,
ასეთ ქარშიც კი.
ხომ შეიძლება, გავეტაცე,
ცაში,
შენთან ამოვეყვანე,
რომ არა ეს ცელოფნები,
ორი-სამი დღის სანოვაგით დამძიმებული,
სულ ისეთი სანოვაგით,
ერთდროულად რამდენიმე სადილს რომ ეყოს,
დიასახლისს ფანტაზია თუ არ მოუცვდა.
მადლობა, ღმერთო,
რომ ამ ჩვენი დედაქალაქის
ყველა უბანში,
სადაც აქამდე გვიცხოვრია,
სულ ცოტა – ერთი მაღაზია მაინც შექმენი,
სადაც დარცხვენით, მაგრამ მაინც
შემიძლია, სანოვაგე
ნისიაზე გამოვიტანო.
მაღაზიის გამყიდველებს კი შეუძლიათ,
გულუხვად მენდნონ,
მაგრამ მაინც გადმოიღონ ნისიების რვეული და
შიგნით ჩაწერონ ჩემი სახელი,
იქვე თანხაც მიუთითონ,
რისი გადახდაც მევალება,
როცა, ერთ თვეში, ხელფასს ავიღებ.
ამ რვეულებში – სახელის გვერდით –
აზუსტებენ ჩემს მონაცემებს,
რომ უბნის სხვა სეხნიებში არ ავირიო.

ადრე ასე წერდნენ: «გამხდარი»,
ახლა წერენ: «პროფესორი»,
მე კი კაცი ვარ,
ცელოფნების პარკებით – ქარში,
როცა ხელებს ვშლი,
რათა ქარი მოვიგერიო,
რომ ადგილიდან უცებ შენთან არ ამომტყორცნოს,
მოულოდნელად შენ გემსგავსები,
მაშინ როდესაც
ღმერთად იქეცი...
ასეთია, ამ ცელოფნის პარკების ჯვარცმა,
ხუთი თევზით და
ორი პურით...

## დეპორტაცია

წაეთრიე, აბო, უკან შენს ქვეყანაში,
შენ სუნი გიდის,
ნელსაცხებლებით ვერ დაფარავ
მაგ შენს უცხო სუნს,
ან ეს ნერსე, რომ ადგა და ჩამოგათრია,
რას ფიქრობდა,
რად უნდოდი,
რა ხდებოდა
თქვენ შორის იქ,
საპყრობილეში,
რის გამოც ვერ შეგელია
და შენც უკან სულ ცუხცუხით გამოუდექი!
წადი, წადი,
უკან იმ შენს სახალიფოში,
აქ, ხომ ხედავ,
ლერწმებივით
როგორ ვირხევით?
ქარი კი არა,
სულ ჭიქაში მომწყვდეული ქარიშხალია.
ეს ქარიშხალი ჩვენც კი გვძირკვავს ადგილიდან
და არსაით მოგვაქანებს,
უკეთესი ცხოვრებისაკენ,
იმ ცხოვრებისკენ, ჩვენ თვითონ რომ
ვერ მოვიწყვეთ ჩვენს მიწა-წყალზე
და ეს, იცი, ვისი ბრალია?
არაბების,
დამპყრობლების,
ურჯულოების...
ვინც უქონელს ოქროს უწვდის,

იგი ამრუშებს,
თორემ ღატაკი
თავისთავად ზნეობრივია...
სიღატაკე არის
ყველაზე დიდი ზნეობა
თვალთმაქცობით გამდიდრებულ კოლონიაში...
დაგვანებეთ,
დაგვანებეთ ეს ჩვენი მიწა,
რომ გავიქცეთ უკეთესი ცხოვრებისაკენ,
ტრამპლინად მაინც გამოგვადგეს,
გადასახტომად,
ვინ იცის, სად გავადინოთ
ყველამ ზღართანი...
ლერწმიანი ერთიანად არ გადატყდება,
დიდი-დიდი, ქარისაკენ გადაიხაროს...
სწორედ ამან გადაგვარჩინა,
ქარს ვუწვებით,
საითკენაც ქარი გადაგვხრის!
თითო-ოროლა ღერი თუ გატყდა,
რა ბედენაა!
თითოეული ლერწმის ღერი
სალამურია,
ქარისაგან წელში უღვთოდ გადატეხილი.
მოდი, აბო,
სალამურზე დაუკარი...
ეს ქართულია.
არაბული დუდუკი და ზურნა არ არის...
სხვაგვარად ტირის
იგი თავის უიმედობას,
სულ სხვებს აბრალებს
ჭირს, რომელიც ჭირზე ერთვება, –
ძირითადად,

საკუთარი ბედოვლათობით...
თაფლი იყოს და
ბაღდადიდან
ჩამოხვალ, ბუზო!
რა თაფლია ამისთანა
ჩვენი ქალაქი?
არაბულად ტყუილად კი არა ჟღერს:
«თაფლის»!
ჩვენ არ გვჭირდება ცოცხალი უცხო!
არ გვჭირდება უცხოელები!
მოწამეები – კი, ბატონო –
ფრესკებზე და შარავანდედში...
იქიდან ხომ სუნი ვერ აღწევს,
სახელი შენი –
დაქცეული ნელსაცხებელი...
შარავანდედი განიმქრევა,
ფრესკა ხუნდება.
ქრისტეს სიტყვებს კი არასოდეს გაუვა ყავლი!
მიდი, აბო,
გაუძეხ ყველა გაუცხოებულს
და ქრისტესთან
მიიყვანე
ბაღდადის გავლით!

## იყო ჩვენთან...

რა კარგია გარეთ!
შენს სულს დარდებიანს,
მთლად მტლად დაედება
ეკალ-ვარდებიან
ყოფის სიცელქენი,
გიხმობს ქუჩა-ქუჩა,
როცა მასპინძლები
«შინ არ ბრძანდებიან!»
რა კარგია, ტატო,
რა კარგია მარტო,
როგორც შეწყვეტილი
კარგი ლექსის ართრონს,
გამოგყვება გვერდით
მაწანწალა ძაღლი,
პატრონს არა,
გიცნობს
დიდი სულის პატრონს...
ვირეკდი და არ განმეღო კარი,
სულის მინებს
ზამთრის ჭირხლი ფხოჭნის,
თან მომყვება მაწანწალა ძაღლი,
ჩემი წუთისოფელივით კოჭლი...
საკუთარი მარტოობის ქარში
მივირხევი, როგორც ცრემლის საყურე,
პატრონი თუ არ ბრძანდება,რაღას
ვემართლები ზრდილობიან მსახურებს...
გარეთ გახვალ,
რა კარგია გარეთ...
გაუყვები აცრემლებულ ქუჩას,

მარტო გდია მარტი,
როგორც ბოზი,
გუბეების ძუძუები უჩანს...

უცნაური ქსოვილია ყინვა –
აბრეშუმი, ყაჭი და ჭიჭნაუხტი,
იყო ჩვენთან ერთი კოჭლი ღმერთი
და არცერთი (ვითომ) შინ არ დავუხვდით...

## * * * (გახსოვს, ერთხელ...)

გახსოვს, ერთხელ,
როცა დავღამდი
და შენ ჩემში მთვარესავით ამოხვედი,
რა კარგი იყო.
ქვეყნის ყველა შეყვარებულს
თვალი შენკენ რომ გამოექცა,
მე კი ვერავინ ვერ მხედავდა,
ღამე ვიყავი
და ერთადერთი თვალი მქონდა,
როგორც ციკლოპს –
სავსე მთვარე –
და ამ თვალით
მთელ ქვეყანას გადავყურებდი...

## დაბადების დღის რიმეიქი

დღეს შემისრულდა ორმოცდასამი წელი,
ძვირფას საჩუქრებს დიდი ხალისით ველი,
მადლობა ღმერთს, რომ არ მტკიებია ჯერაც
არც პროსტატა, არც
ყელ-ყურ-ცხვირი და
წელი.
მერე რა მოხდა, ხანდახან მტკივა თავი,
წნევა მიწევს და ვტორტმანებ, როგორც გველი,
გამოვიარე ოთხმოციანთა ხუთვა,
ოთხმოცდაათიც გამოვიარე, ბნელი.
არცერთს არ ვტირი, აღარყოფნაა იქით,
აქეთ დამიცდის არყოფნის ვრცელი ველი,
ამათ შუა კი სიცოცხლე მიდგას მყარად,
სამში თამამი, ან თუნდაც – სამში გრძელი.

# ნიკა ჯორჯანელი

## * * * (კაცებს არ რჩებათ ერთმანეთთან სალაპარაკო...)

კაცებს არ რჩებათ ერთმანეთთან სალაპარაკო,
უკვე ხორხოციც ნელა-ნელა ხითხითად ექცათ,
ილაპარაკეს რაც და როგორც – არც ერთს არ არგო,
სასმელ-საჭმელიც სანაქებო თითქოსდა ცეცხლად
წაუვიდათო, ისე საწყლად იყურებიან
და, თითქოს ირგვლივ ამხანაგთა ნაცვლად მტრებია,
რეკვას იწყებენ გამწარებით ვინ სად და ვინ სად,
და, ადრესატი ასე გვიან სტუმრობის ღირსად
ვისაც მიიჩნევს, ის მაშინვე გაემართება,
ხელსღა აუწევს – რაც არ უნდა ეხვეწებოდნენ,
დარჩიო – იმათ, ვინც ფრინველთა შეღვიძებამდე,
არც ერთ სარეცელს ვინაიდან არ ენატრება,
აქ უნდა იჯდეს, ხოლო დილით იმ გზას გაუდგეს,
რომლის ბოლოშიც თითქოს შავი ძეგლი დაუდგეს.

## შენი დაბადების დღე

გითხრა, რომ შენი დაბადების დღე
ჩემთვის დღე არის დაბედების
ქარში მკრთოლავი ვარსკვლავების დღისითაც ცქერის.

გითხრა, ჩრდილზედაც მახვევიხარ
გაფართოებით წელში გამწყდარ,
ხელჩაქნეულ სამყაროსავით,
ერთბაშად სუროდ ქცეულივით და სხვა არაფრად;
დღე კი შენი დაბადებისა
სამყაროს ნაცვლად ფართოვდება და ფართოვდება.

ჩემი სიკვდილის დღე რომ მოვა, ჰაერი იმ დღეს
ისეთივე თბილი იქნება,
შენს დაბადების დღეზე როგორიცაა,
მაგრამ სიკვდილი ოდნავადაც არ გემგვანება
შენ არც თვალებით,
არც ღიმილით
და არც ასაკით.

## ოთხივე მხრიდან

ეს დროც მოვიდა:
საითკენაც არ ვიხედები,
ოთხივე მხრიდან,
ისე მკაცრად ოთხივედან,
რომ ცხადი ხდება – მზადყოფნაა მეხუთიდანაც,
წარსული მადგას.

ხან ხელშესახებ ბურუსებად
წელიწადის არარსებული,
მოშემოდგომო, ოღონდ ბევრად დამღონებელი,
ყოველ საგანში გულამოსკვნით მტირალი დროის,
მიმობნევადად, მაგრამ იქვე განახლებადად;
ხან გაქვავებულ შემოდგომად,
აღარ მომსვლელად არასოდეს,
მაგრამ აღარც
სადმე წამსვლელად.

ხან სამყაროში, გასაგონად ყველა მნათობთა,
მძიმე ბირთვების დაშლასავით დაყვირებული
შენი სახელის მნიშვნელობად,
კალაპოტიდან გადასულად,
ხან ვერცხლისწყლის მეცხრე ტალღებად,
ხან რად და ხან რად,
ცამდე აყალყულ იატაკად,
რომელზეც ჩვენი ერთსაწოლი ლოგინი იდგა.

ხან ისევე ოთხივე მხრიდან
წინ მიგდია მკვდარ ავადმყოფად,
ვისაც ისეთი ექიმიც კი,
სიკვდილისწინა ოფლის დენას სანუგეშებელ

გარემოებად რომ ჩათვლიდა,
არ ღირსებია.

ხანაც უეცრად
თავსხმად მოდის შენი ნაკვთების,
გაბმულად, მთელი კვირაობით, მთელი თვეობით,
თითქოს უნდოდეს
შენზე მეტად წარმოჩნდეს შენად,
გადაგაჭარბოს,
გაგანელოს,
გაგაფერმკრთალოს,
უფასური გაგხადოს ჩემთვის
ამდენი შენით.

# თორნიკე ჭელიძე

## * * * (რა მშვენიერი ამბავია...)

რა მშვენიერი ამბავია;
სისხლი ფურცელზე,
რომელზეც უნდა ჩამენიშნა ჩემი ცხოვრების
რამდენიმე ტყუილი, მაგრამ
ათასი ნაგვის ბუნკერიდან, ფეკალიიდან,
დაობებული ნამცხვრებიდან მოსული ბუზი
გახდა მიზეზი გაჩერების,
თითქოს სიტყვები,
რაც მე აქ უნდა დამეწერა, რასაც განვიცდი,
იმ თავის მდიდარ ადგილებიდან
თან მოიტანა,
ზოგი – ბინძური, ზოგი – ძველი, ვადაგასული,
მომწამვლელი
და დამანახა,
მასმენინა,
მერე კი, ბოლოს,
შეატოვა სისხლი თეთრ ფურცელს.
მე აღარ ვიცი,
უფრო სწორად, აღარ მანაღვლებს
ის,
თუ რა არის პოეზია;
იკვებებოდე ცხოვრების მჟავე
და ძველი კრემით,
თუ...
აღარ ვიცი.

## * * * (რძიან ჭიქაში მოძრაობს ხოჭო...)

რძიან ჭიქაში მოძრაობს ხოჭო
და თანდათან უფრო ასქელებს
თეთრ და ბლანტ სითხეს,
თაროდან კი ფრთამოტეხილი
ანგელოზი დაჰყურებს ისე,
თითქოს ჩემს ძველ ოთახში კი არ მდგარიყო დიდხანს,
მატერიკები შემოეფრინა.

რატომ, ასეთი სარკეები,
რის დასანახად,
გული რომ უფრო ჩამომიჭკნეს ნეკნის ძველ ტოტზე,
თუ გავიდე სახლიდან გარეთ,
ქალაქიდან, საცხოვრებლიდან
და როგორც რამე ტყის ცხოველმა
უსახელოდ ვიცხოვრო მარტომ?..

თუ მართლა შენს ხატად და სახედ
ვარ ანთებული,
ნუ შემატოვე ამ დღეების ცივ და სველ კედლებს.

შენ, მოკლული ბავშვების ღმერთო,
რა ფერებით უწერ მათ ფრესკებს,
რომ კედლიდან არ გადმოვიდნენ და გაგეპარონ
შორს, არყოფნაში,
თუ ვინმე მოხუცს უჭირავს მათი სუსტი ხელები,
რომ აღარ შეკრთნენ,
როცა თავიანთ მკვლელთა სულებსაც
გვერდით უხატავ?!.

რაც დაგვიტოვე ცა,
იგივეა,

მხოლოდ აქა-იქ დაკაწრული ჩვენი თვალებით,
ისაა მიწაც, წყალიც ისაა,
მხოლოდ ნაპირი იცვლება მუდამ
და ხან ერთ ჩვენგანს გამორიყავს,
ხან სხვას წაიღებს,
ჩვენ კი არც ვიცით, რა იწყება იმ ნაპირიდან;
წყალი თუ მიწა,
ან სიკვდილიდან რა იწყება?!.
ალბათ, ორივე.

## * * * (მხოლოდ მტვერია მარადიული...)

მხოლოდ მტვერია მარადიული,
ხოლო საგნები,
რომლებსაც ის სულ ეფინება,
თვლემენ წყვდიადში,
როგორც სიტყვები წაუკითხავი,
ამოუთქმელი.

შევბრუნდი ჩემში,
ვნახე როგორ ბრწყინავს სიბნელე,
როგორ ანათებს,
მდინარე ვნახე,
ჩემი წარსულის წმინდა მდინარე, რომელიც მუდამ
სათავისაკენ მიედინება.

ვიკვებებოდი დღეთა თევზებით
და მივცურავდი დასაბამისკენ,
გულაღმა მწოლი,
და მაინც ვერ ვკარგავდი წარსულს,
აწმყოს, მომავალს,
რომ გამეხილა ვარსკვლავები თვალების ნაცვლად,
მესაუბრა ტყეების ქარით.

## * * * (შორს, შენი თავის...)

შორს, შენი თავის,
შენი წმინდა არსებობისგან,
შორს,
ოკეანის მშვიდ სილურჯეში
მიმოფანტულ მატერიკებზე,
სადაც ზღვის ორთქლი და სიმლაშე
ჩამოგბანს ყველა
წარსულს, ყველა
საშიშ მომავალს
და ამოგიყვანს, როგორც ცხელ მზეს,
შენივე თავში.

## * * * (ვიღაც ყარს ჩემში...)

ვიღაც ყარს ჩემში,
ვიღაც ძვირფასი,
არ ვიშორებ ხსოვნის მიწიდან.
სიყვარული კი,
რაც მისთვის მქონდა,
თანდათან მხოლოდ მუხლამდე ბალახს
და ერთ-ორ მინდვრის ყვავილს ჰყოფნით,
რომ ამოვიდნენ,
რომ დაფარონ მისი სახელი
და ვეღარაფრით გავიხსენო
აქ ვინ დავმარხე,
ვიდრე დანარჩენ საფლავებში არ ვნახავ ყველას
და მხოლოდ ჩემს თავს მოვისაკლისებ.

## * * * (ბოლო აბზაცი...)

ბოლო აბზაცი,
ბოლო სიტყვაა დასასრული,
არა წერტილი.

როგორც მინდორში – საქონელი,
მოდის ცხოვრება
და იცოხნება ჩემს სიცოცხლეს,
მჭამს და მანერწყვებს.
არაფერია ტრაგიკული, არამგონია,
რომ სადმე ვერგე ბღუჯა ყვავილად.

ერთხელ რატომ არ მომეკარნენ ამ ხის ჩიტები?!.

წავალ მე, უკან შევბრუნდები, კომპიუტერის
თეთრ ფურცელს გავშლი
ვერ გავიხსენებ, რა ჩავიწერო,
ის იდგება და იშრიალებს რაღაც ძალიან
ძველს, მარადიულს.

ახლა ვნახავდი ჟურნალისტსაც ინტერვიუსთვის,
სათაურით, – «რატომ ვეღარ წერს
თ. ჭელიძე» – და მოვყვებოდი,
რომ პოეზია უკვე გახდა შეუძლებელი,
რადგან მთვარის და ვარდის გარდა, მე ის ვიპოვნე
სკამში, რომელზეც ვჯდები ხოლმე ფანჯრების მიღმა,
ჩემს სამწუხარო მეგობრებში,
წარმოსახვით შეყვარებულში,
საგნებსა და ჩრდილებს გადაღმა...
და რომ რთულია უკვე წერა,
ხოლო ცხოვრება
თანდათან უფრო გაადვილდა,

თითქმის იმდენად,
რომ შეიძლება მიენდო კიდეც
და დაგეგმო შენი წარსული,
მომავალი კი
დაივიწყო.

კვდომა გრძელდება, მშვენიერი.
ყოველდღიური
გაზეთების სუნი აქვს კვდომას.

მე ვუშვებ ამ ლექსს,
დაასრულოს თავისი თავი,
უცხო ფოთლებით, სიტყვების ნაცვლად,
რადგან შრიალი სამუდამოა.
სიტყვები – დავიწყებული.
სიყვარული...

# გიო ლომიძე

## უკმარისი

ლუკმა რისია, თუ არ გაძღა შენი სტომაქი.
პირი რა არის, პირი სამიწე.
ვირი გამიწევს საზიდარზე განძი რომ აქე,
განძი ყოველთვის უკმარისია.
ქება ქუდია. ქროდეს ქურდი ქარი ბილიკზე.
ქუდი სხვადასხვა თავის ქუდია.
ქანცი შიშია. აღრენილი ქვების დუღილი
ქაფს არ მოიდგამს,
არ ამოშრება არსებობის დასრულებამდე,
გუთნის პირიდან აფხეკილი მიწის გოდება.

## მალაყი (ქამარი 2)

არ იხმაუროს უდროობამ. უყურადღებოდ
დარჩენილ ქუხილს შეუძლია გამოაღვიძოს
ადამიანი, ფრინველი და ქვეწარმავალი.
რა არ ჩავიცვი, დამეფარა პირდაპირობა,
ვერმოხდენილი იერიდან მწარე დინება
ხან შევიწყვიტე, ხან სიტყვებმა გამოიჟონეს.
არ იხუმროო სიცოცხლეზე, არ ითრიოო
ფეხი. ქარია, ქარაფია უნდა მოასწრო
ყველა ქმედების აჩემება გაჩერებამდე.
არ იფიქროო ყველაფერზე, უხილავია
სათქმელის მიღმა ჩაქოლილი გულახდილობა.
უსურათობით გამოშიგნულ ჩარჩოს ღიმილით
მიმეორებდა ბედისწერა, არ შეშინდეო
უკანასკნელი მოლოდინის გაცილებამდე.

## მეზობელი

გაკვირვებს მეზობლის ოთახში
მათემატიკური უზუსტობით განლაგებული საგნები
და მეზობელი შენ ხარ.
ვაი-ფაის უცნობი პაროლივით გაუგებარია
მტვრიანი ჭაღის ნათურებს შორის დიალოგი.
თვითგანაყოფიერებული სიტყვები
ახალი რასის წინადადებებს მშობიარობენ
და ერთი სიტყვაც არ ხარ.
აზრი ეკარგება საუბარს ხარისხიან ლიტერატურაზე;
აზრი მეზობლის დერეფანია...
სამოქალაქო განწყობები დუმილთან გარიგებას აპირებენ
და შენ გარბიხარ.
არ გჭირდება ძვირფასი სასმელების ხსენება
ინტიმური არომატისთვის,
არც ლიტერატურული ფესტივალების შედეგი
გიჩენს სურვილს, დაასაბუთო ალტერნატიული
ჭეშმარიტება.
საკმარისი ხარ შენი ცხოვრებისთვის,
საიმისოდ, რომ არ იხმაურო.
სხვებისთვის ლექსები პირველი ქურუმის ლოცვასავით
გაუგებარი, მაგრამ არამისტიურია.
შენთვის პირიქით...
არასოდეს საუბრობს მეზობელი საგნებზე,
სასამართლოს დარბაზზე და მის ინტერიერზე,
რომელსაც მიმიკას ვერ უცვლის დამსწრეთა განწყობა;
არც იმაზე, რომ ბევრჯერ ჩავარდნილა
ბაგა-ბაღის კიბეებს შორის ვიწრო სივრცეში
და დაცემამდე საფეხურებს ჩაუთვლემია.

მან შენი სიზმრები მიისაკუთრა. წყალთან გაიქცა.
ნუ დაეწევი...

## მე-ომარი

სწორდიი!..
ჭაობისფერია ჩაფხუტი.
კუს ბაკანივით ჩაფხუტი
ჩამოვიფხატე თავზე.
მე-ომარი ვარ.
აქ ყოფნას მირჩევნია სახელფასო ბარათი ვიყო
ოჯახში დარჩენილი;
პერიოდულად ვისრიალო ბანკომატის პირში
და ჩემში ჩარიცხული უნიკალურობით დავანაყრო
ადამიანები.
ჰო, ადამიანები, ქოფაკის შემართებით რომ ასრულებენ
სამყაროში მინიჭებულ მოვალეობებს
საკაცობრიო მისიებად შენიღბულ სისტემებში.
ჩვენ ერთმანეთი უნდა გამოვხშიროთ
და ამით ვიხსნათ მსოფლიოზე მზრუნველთა
იდეები გადაგვარებისგან.
მსოფლიო წესრიგზე დაფიქრებული იერარქების,
ბუნებრივი რესურსები რომ ვითომ ფეხებზე
ჰკიდიათ.
ვინ მომცა ფიქრის უფლება?
ვინ მომცა იარაღი?
ვინ შემიქმნა გამოუვალი მდგომარეობა?
ვინ მომცა ომებით მადლიერ საზოგადოებაში
პირში სისხლის ჩაგუბების უფლება?
– ვინც მომცემს ფულს!
სმენაა!..
და ვისმენ მომავალ ბრძანებას.
მე კონტინენტებს შორის მოძრავი ოცნება არ ვარ,
რომელიც ბავშვებს ესიზმრებათ,

იმ ბავშებს, ჩემნაირები რომ უნდა გახდნენ
და არა – ჩემნაირები.
არც იმ პირობითი ბავშვობის მხსნელი ვარ,
რომელსაც არ ვებრძვით – საბავშვო ბაღებით,
სკოლებით, მშვიდობით, კულტურით.
ჩემშია ტერორი, ტერორი თქვენშია,
მტერშია ტერორი, პლანეტა მტვერშია...
მივმართავ სიკვდილის პიგმენტურ აჩრდილებს,
დავხიოთ ფორმები, გავიქცეთ აქედან.
მართლა რომ გავიქცეთ, ვინ მოგვცემს ფულს?!
ნაბიჯიით იარ!..
ვერ გავჩერდები, ყველა დაიძრა.
წესი წესია თუ უკვე აქ ხარ.
წესრიგია და კოორდინაცია.
რა მნიშვნელოვანი სიტყვებია...
თუმცა იმაზე ბევრად ნაკლებად,
ვიდრე სიცოცხლე, ვიდრე შვილი, ვიდრე ოჯახი
– ჩემი თუ სხვისი.
წინ ძალაუფლებისკენ!
იმ ერთ კვირაზე ვფიქრობ,
ხელფასის დარიცხვამდე რომ არის დარჩენილი.
ჩემი შვილი სასკოლოდ უნდა მოამზადონ,
სხვისი – სასიკვდილოდ.
მე მისია მაკისრია და ამაში მიხდიან ფულს.
სდექ. თავისუფლაად!
დასჭექა ხმამ. ამოვისუნთქე.
გავჩერდი და თავისუფლებაზე ბევრი ვიცინე.

## სიზმარი

ადექი, გადი, მიესალმე ცბიერ სამყაროს.
ჩამოარიგე შენი ყველა აკვიატება
ღამით ნანახი – გუშინ როცა დაიმახსოვრე
შებინდებისას მთიდან როგორ მშობიარობდა
მთვარეს ქაჩალი, უღიმღამო უღელტეხილი
და იღვრებოდა ფოსოებში ყვითელი ნისლი.
სიღრმიდან გუგებს ამოჰქონდათ მლაშე ღვარცოფი;
გადაიხარე, მოიდრიკე ქედი და პეშვით
გადამალული ოცნებები გაანიავე.
ეს არ იქნება საკმარისი გამოსავალი...
სამი გუბიდან თითო კენჭი მიისაკუთრე
და ბავშვობაში მარანიდან ნაფხეკი მიწა
გათენებამდე იქნებ ისე გაანაწილო
სადაც იდექი წინა ღამით, რომ დაიფაროს
ყოფნა-არყოფნის უსუსური ყველა ნიშანი...
ხმა დაირხაო, თავთხელია ახლა მდინარე,
თან იმ ადგილას, კამეჩი რომ გაუჩინარდა
სულ ცოტა ხნის წინ; შეყრილიყო ხალხი ნაპირთან
და მორიდებით საუბრობდნენ თმაგრძელ გზირებზე,
რომ უთმო ღმერთებს მათზე ხელი ჩაუქნევიათ,
იქნებ პირიქით... ყველაფერი იქნებ სხვაგვარად
ხდებოდა მათი წარმოსახვის დასალიერთან.
ვიღაცამ ბოლოს წყალგაღმიდან შემოუძახა
– გომურებიდან თურმე ფუნაც უჩინარდება.
და ეს სიზმარიც სხვასთან ერთად წყალმა წაიღო.

# 3. პროზა

# დიმიტრი წიკლაური

# ადგილი მზის ქვეშ

**1.**

ტარასის დედა ქვრივი ქალი იყო, რომელიც ხელმეორედ გათხოვდა. მამინაცვალი ჭკვიანი კაცი ჩანდა, ოღონდ არა პრაქტიკული გამოხატულებით, არამედ ნიჭისა და სწავლულობის თვალსაზრისით, მაგრამ ტარასი მასთან საუბარს გაურბოდა, უმეტესად თავლაში რჩებოდა და ცხენს უვლიდა, რომელსაც ნუშივით დიდრონი თვალები ჰქონდა. როცა ერთმანეთს შეჩერებოდნენ, ვერ იტყოდი, რომლის მზერა უფრო ნაღვლიანი იყო.

– მათეს დავუბარებ, გაგასეირნოს ხოლმე! – უთხრა დაყვავებით, თუმცა წასვლისას ბავშვობის მეგობრის ნახვა არც მოჰგონებია.

ბოლო ხანებში დედამისი ქმრის საფლავზე თითქოს მხოლოდ იმისთვის ადიოდა, ახალი ცხოვრების დაწყების ნებართვა რომ აეღო. ტარასმა გული საბოლოოდ აიყარა და გადაწყვიტა სახლიდან მანამ წასულიყო, სანამ მათი ჯვრისწერა შედგებოდა. მე არასოდეს მოვიქცევი ასე, თქვა გულმოსულმა. წასვლა აქამდეც უნდოდა, მაგრამ პირადობის მოწმობის აღება სურდა, რომელიც ზუსტად იმ დღეებში გადასცეს, როგორც სრულწლოვანს.

ჯვრისწერის დღეს, როცა სუფრის სამზადისი მოთავდა, ტარასმა საძინებლის ლამფასთან წერილი დატოვა:

«დედაჩემო!

მე საკმაოდ დიდი ვარ, რომ საკუთარ ცხოვრებას ვეწიო. ბედნიერებას გისურვებთ. წასვლა განვიზრახე. მადლიერი ვიქნები, თუკი ლოცვას შემაწევთ. ტარასი»

ტექსტი მკაცრი იყო, თუმცა ტარასმა არ იცოდა, როგორ გამოეთქვა სათქმელი. დედამისის გულისტკენა არ უნდოდა, მაგრამ აღარც აქ დაედგომებოდა. გზად მამამისის საფლავთან შეჩერდა და ზედ აღმართულ ქვას ხელი გადაუსვა. ქვა მტვრიანი იყო. მამამისი ბრძენი კაცი იყო, მაგრამ მსგავსად ყველა დიდი ბრძენისა, სიკვდილს ვერაფერი მოუხერხა. იგი დამარხეს ამ ბორცვზე, საიდანაც ქარის ელექტროსადგური მოჩანდა, ვეება წისქვილს რომ წააგავდა. ტარასი ერთხელ ავიდა კიდეც იქ, მაგრამ გულმა მეტჯერ აღარ გაუწია, რადგანაც მის ქვეშ მრავალი მკვდარი ფრინველი ეყარა.

– მთავარია შენი ადგილი მონახო მზის ქვეშ! – ეუბნებოდა მამამისი. ამის მერე დასჩემდა მზის გულზე წამოწოლა, თითქოს თავის ადგილს ეძებსო. ახლაც ასე მოიქცა, საფლავის გასწვრივ ბალახებზე განერთხო და თვალები დახუჭა. მზის სხივები იდუმალ სითბოდ დაეღვარა. მიდამოც გულაღმა წაქცეულ მეომარს ჰგავდა, ზეცაზე შეჩერებულს, ზოგან ხევები ღრმა ჭრილობებად რომ აჩნდა სხეულზე. ზედ მეხისგან გაშავებული ერთადერთი ხმელი ხე მოჩანდა, ვრცელ ხრიოკს სიკვდილის წინ ნანატრი უკანასკნელი პაპიროსივით რომ ჰქონდა გაჩრილი. ჭრიჭინებიც მიჩუმებულიყვნენ. თვით სოფელიც, ოდესღაც დაჟინებით მიმხმობი, გამომშვიდობების დუმილს მოეცვა.

ტარასს ბუნდოვნად ახსოვდა მამამისი, დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელიც სტუმარს ზღურბლთან კი არ ხვდებოდა, პარმაღთან ეგეგებოდა ხოლმე გაშლილი ხელებით. იგი შვილთან ერთად ხშირად ატარებდა დროს, მელნით მელიებს უხატავდა, ცარცით ციყვებს გრიფელის დაფაზე. სამყაროს ბევრ საიდუმლოს უხსნიდა, ეუბნებოდა, გამჟღავნებული საიდუმლო ნაპოვნ ოქროს ჰგავს, რომელიც შესაძლოა სულაც სპილენძი აღმოჩნდესო.

ცხოვრება წკმუტუნა ლეკვებით გეთამაშება, სანამ ავ ნაგაზებს მოგიქსევდესო. ცხოვრება უმეტესად უსახურია, ბრჭყვიალა ფერებს მოკლებული და ვინც თავის წარსულს ომახიანად იგონებს, ვერაფერს მიმხვდარაო. ცუდის დავიწყება დიადი თვისებაა, ჭირვეულობას არ შეეჩვიოო. ჩვენი გასაჭირი რა მოსატანია, სანამ მერცხლები ძლებენ, ჩვენც გავძლებთო! ცოდვას სადაც ჩავდივართ, ფესვსაც გავიდგამთ, მერე მოწყვეტა გაგვიჭირდება, ზეცა როცა გაგვიხმობსო. ცუდი კაცი საერთოდ არ არსებობს, როგორ ფიქრობ, ღვთის ხატება განა ვერ გადაფარავდა ადამიანის ცოდვილ ბუნებას, მაგრამ აქ მნიშვნელობა თავისუფალ ნებას ენიჭებაო. ხეტიალს ნუ შეიყვარებ, მოგზაურობა დედამიწის აყოლას ნიშნავს, სჯობს ერთი და იგივე ადგილი ტკეპნო და სწორი დასკვნები გააკეთოო. მოჩვენებით ღირსებებს კი არასოდეს გაუსვა ხაზი – სიცოცხლე ღვთის ბილიკით სიარულიაო! ადამიანებს იმიტომ არ ძალუძთ ერთმანეთში ერთობა დაამყარონ, რომ თითოეულს საკუთარი უხილავი ომი აქვს, რომელსაც დიდი ძალ-ღონე მიაქვს და მხიარულად ვეღარ გამოიყურებიანო.

ნეტავ, ახლა რას ეტყოდა მამამისი, როცა ყოველ სიტყვას ცივი ჟღერადობა შესძენოდა. წასვლას ალბათ არ მოუწონებდა. ვინ იცის, რა ელოდა წინ. ჰო, მაგრამ სხვა გზაც აღარ დამიტოვესო, თავს იმართლებდა ტარასი, თან გულმოდგინედ დასტრიალებდა საფლავს, ერთადერთ ხელმოსაჭიდს ამ ცვალებად სამყაროში... მერე წავიდა და იქაურობას მაშინღა გამოხედა, როცა ძლივსღა მოჩანდა დასალიერთან.

**2.**

ახალგაზრდა კაცი იმგვარი შემართებით მიაბიჯებდა გზაზე, შორს წასვლა განეზრახა. ერთგან პატარა ტბორს

გადააწყდა. მიწიდან ამოფრქვეული გაზის ბუშტულები დუღილით სკდებოდა, თითქოს მიწის სიღრმეებს ბევრი რამ უნდოდა ეამბო თავისი რთული ცხოვრების შესახებ, რომელშიც ზედმიწევნით იყო გარკვეული და მრავალ მიწისქვეშა მდინარესაც გადაწყდომია და სინოტივით გაჟღენთილი ბელტები უგულოდ უგდებდნენ ყურს. სასტიკი ფსკერი ზედაპირზე ამოდის და თავისი შიგნეულობა ამოაქვს. ახალი გამოძერწვა მიმდინარეობს, ახალი შეზღუდვები წესდება. ტარასი ცხელმა წყალმა ლამის დაფუფქა, ისეთ მდუღარე შხეფებს აფრქვევდა ირგვლივ. ზედაპირისკენ სწრაფვა ხელთათმანის ამობრუნებას ჰგავდა, თითქოს დაფარულსაც სურდა წარმოჩენა. როდემდე განვაგრძო ფუჭი სიარული ქანცგამწყვეტ და მომაბეზრებელ გზებზე, – გაიფიქრა ტარასმა, – მაგრამ ნაბიჯს მაინც აუჩქარა.

ბოლოს ერთ პროვინციულ ქალაქს მიადგა, სადაც ვაგზლის სასადილოში მოეწყო სამუშაოდ. ეს არც ისე ძნელი აღმოჩნდა, თუმცა ბევრი წვრილმანის გამო მეტ ყურადღებას მოითხოვდა. ამ ქალაქში ტარასმა საკმაოდ დიდხანს დაჰყო, ცოტაოდენი ფულიც შეაგროვა და აქაურობასაც შეეჩვია. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, სანამ ერთხელ ძველ ნაცნობს არ შეეჩეხა. მათე იყო, მისი ბავშვობის მეგობარი, რომელიც ბედის უცნაური გათვლით სწორედ ამ სასადილოში შემოეხეტა. ტარასი უფასოდ გაუმასპინძლდა ცოტაოდენი ღვინით და მწნილით.

– მაშ აქ დამკვიდრდი! – თქვა მათემ, სული როცა მოითქვა დაოსებულმა.

– სოფელში რა არის ახალი?

– არაფერი გსმენია? ძმები გყავს, ტყუპები, შარშან შეგეძინათ! – ახარა მათემ.

– დედაჩემი როგორ არის? – კიდევ უფრო დასევდიანდა ტარასი.

– რა უჭირს, ისე შენი დარდი კი აქვს. ბევრჯერ უკითხავს ჩემთვის, სადმე ხომ არ გადაჰყრიხარო. რომ ვნახავ, ვუამბობ და გაუხარდება!

ტარასი ჩაფიქრდა. არავის არ სურდა ერთმანეთისთვის ცუდი, რაღაცნაირად თავისთავად ხდებოდა ასე.

– ღარიბულად არიან?

– არც ისე, შენმა მამინაცვალმა საკლასო ოთახი მოაწყო თავლაში. შენ რომ გქონდა, ის გრიფელის დაფა ჩამოჰკიდა, იქაურობა მოასუფთავა და მერხებიც გამოჩორკნა. ბარემ მთელ სოფელს ასწავლის წერა-კითხვას და არითმეტიკას.

– ცხენს რაღა უყო?

– ცხენი დიდი ხანია მოკვდა, შენ რომ წახვედი ძალიან მალე!

ტარასს გული დაწყდა. ჯობდა წამომეყვანა, გაიფიქრა მან, მაგრამ სხვანაირად გაიგებდნენ. შემდეგ უთხრა, ცოტაოდენ ფულს გაგატან დედაჩემისთვისო.

– იქნებ ფოსტით გაგეგზავნა? კონვერტზე სოფელს მიუთითებ, სახელს და გვარს. მეც ეგრე ვიქცევი ხოლმე. ფულის ჯიბით ტარება საშარო საქმეა! – თქვა მათემ – გამეხარდა შენი ნახვა, სამ-ოთხ თვეში კიდევ მომიწევს აქეთკენ გამოვლა და შემოგივლი!

– არა მგონია დაგიხვდე, გადასვლას ვაპირებ. სხვაგან მთავაზობენ სამსახურს! – თქვა ტარასმა და იმ სუფრისკენ გაიხედა, როხროხა ოქროსმაძიებლები რომ ისხდნენ.

ისინი ბევრს სვამდნენ და მღეროდნენ, რადგანაც ამის საბაბი გააჩნდათ, ფული ოხრად ჰქონდათ...

**3.**

ერთ დღესაც ტარასი ოქროს კარიერებისკენ გაემართა. მანამ ბევრი რამ გამოიკითხა და იმ ადგილების პოვნა არ გაუჭირდებოდა. ერთი ხანობა შარაგზით იარა, როცა მოთავდა, უდაბნოსკენ გადაუხვია. დაქანცული მზერა ავბედით შემოგარენს მიმოატარა, სადაც ურიცხვი ქვიშა მხოლოდ ფონს ქმნიდა, რომელსაც ჩამავალი მზე ჭრელ ელფერში ხვევდა. რუხი ნახჭები ფეხქვეშ ფარფატა ფირფიტებივით ხრჭიალებდა.

ტარასმა ფლატედ ქცეული ფერდობის გასწვრივ უკანასკნელ ტბორს მოჰკრა თვალი, მოლიცლიცე ზედაპირი კიდევ უფრო ამობურცულს რომ აჩენდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ძაღლების ყეფაც არ გაუგონია. გზა უდაბნოში იკარგებოდა. ასეთი გარემო მის მომავალს უფრო ბუნდოვანს და მიმზიდველს ხდიდა. ტარასი ტბორს მიუახლოვდა და სახე დაისველა. მერე მათარაც შეავსო. შორეული ხრიოკები, რომელსაც მომდევნო დღეს მიაღწია, პაპანაქების სიმძიმეს გაეთანგა. აქეთ უკვე დამშრალი კალაპოტები ხვდებოდა, სიგლუვით აღბეჭდილი, თითქოს მლესავი დიდხანს აპირკეთებდა შიგნიდან. ეს ღრმულები თავის გარიჟრაჟს ელოდნენ, ყოველი დილა მათზე არ მოქმედებდა. უნაყოფო მხარე იყო. ცხელ ქვიშაზე ამოსულ მცენარეებს ფესვები ჩანასახშივე გადაგვარებოდათ. მალე ხორშაკი ქარი ამოვარდა და ქვიშა თვალებში შეეყარა ტარასს, რომელიც ამინდის ცვლილებებს ისევე განიცდიდა, თითქოს ჭრილობაზე სახვევებს უცვლიდნენ. ცუდი ამინდები მის ცხოვრებას ზედმიწევნით მიესადაგებოდა. ღამეები უფრო

მეტად უხაროდა. გრილოდა და ვარსკვლავებიან ცას შეავლებდა ხოლმე მზერას, თითქოს მშვენიერი ტილო გამოჰფინესო. ოქროს კარიერები ახლო უნდა ყოფილიყო, თორემ გაბეზრდა ამდენი ყიალით. საღამოს მართლაც შენიშნა გადათხრილი ქვიშრობები. ბორცვებზე, ზოგან წარწერებიანი ფირნიშები ჩაესოთ, რომელიც იუწყებოდა, რომ ეს ნაკვეთები იჯარით აღებულ კერძო ტერიტორიებს წარმოადგენდა და უცხო პირთა გადაადგილება იკრძალებოდა. მალე პატარა სასაფლაო გამოჩნდა. ღია სგოტცჰაფლავის თავთით აყლაყუდა კაცი იჯდა და ხის მომცრო ფირფიტით სახეს ინიავებდა, მეორე ორმოს თხრიდა. ტარასი მიესალმა და სახე ხელსახოცით შეიმშრალა, მათთან გამოლაპარაკება ეწადა, მაგრამ სიტყვაძუნწები ჩანდნენ. საფლავის მთხრელს ხმა საერთოდ არ გაუღია, აყლაყუდა კი ჩრდილში ნებივრობდა.

– ვინმე გარდაიცვალა? – ჰკითხა ტარასმა.

– ჰო! მეთერთმეტე კარიერში.

– საწყენია!

ამ სიტყვებზე ორივემ ცნობისმოყვარედ გამოხედა, ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო საწყენი უცნობი გამვლელისთვის.

– ორი დღის წინ ოქროს მარცვალი იპოვა, ოცდარვა დღის უშედეგო შრომის შემდეგ და ისე უხაროდა, ეჰ! – ხელი ჩაიქნია აყლაყუდამ.

– მოქმედ კარიერებამდე შორია?

– იმ ბორცვს რომ გაცდები, გამოჩნდება! – ფირფიტით მიუთითა აყლაყუდამ, საიდანაც უცებ მათკენ მომავალი პროცესია გამოჩნდა. მიცვალებულს ათიოდე კაცი მოჰყვებოდა, ერთნაირ კომბინიზონებში გამოწყობილნი.

ერთს შვიდიანი ეწერა მაისურზე, მეორეს ცხრიანი. ეტყობა, შესაბამისი კარიერის ნომრები აღენიშნათ. ყველანი მტვრიანი და დაღლილები ჩანდნენ. ერთხანს იხვნეშეს, მერე რაღაც გამოსათხოვარი სიტყვა თქვეს, ღვინის ნაცვლად ლუდი მიიყუდეს და მიცვალებული მიწას მიაბარეს. საფლავის ბორცვზე ქვა, რომელზედაც ალექსანდრე ეწერა, გულმოდგინედ დადეს თავთით და უკან, კარიერისკენ ქნეს პირი. ტარასი მათ აედევნა. მისთვის არაფერი უკითხავთ, ისევ თვითონ თუ გამოიდებდა თავს. მალე ჩასობილი პალო გამოჩნდა ფირფიტიანი წარწერით – მეშვიდე კარიერი. რამდენიმე მათგანმა იქით გადაუხვია, დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს. ორნიღა რომ დარჩნენ, აი ისინი, თავდაპირველად ვისაც გამოეცნაურა, ტარასს მაშინღა მიუბრუნდნენ.

– ჩვენთან მოდიხარ? – ჰკითხა აყლაყუდამ.

– ჰო, სამუშაოს ვეძებ!

– მფლობელმა იქნებ აგიყვანოს ხეჩოს მაგივრად!

– ხეჩო ვინ არის?

– ის კაცი, ახლა რომ დავმარხეთ!

– მას ხომ ალექსანდრე ერქვა?

– მიცვალებულს პატივით მიმართვა შვენის, ხეჩოს სიცოცხლეში ვეძახდით მეტსახელად!

– დიდი ხანია აქ ხართ? – თემა გადაიტანა მიცვალებულის შეცვლის პერსპექტივით დაიმედებულმა ტარასმა.

– ჰო, ეს კი აქ დამხვდა – ჯუჯაზე მიუთითა – ადრე სხვაგან ვეძებდით ოქროს, სანამ აქ დავბანაკდებოდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში კარიერების მფლობელებს

რამდენჯერმე თუ გამოვლაპარაკებივარ. მათ რაღაც ლიცენზიები აქვთ ოქროს მოპოვების უფლებით და კიდევ მრავალი წიაღისეულია გრაფებში აღნიშნული. ვინც მათთან დამაკავშირა, კარგად იხდიანო, დამარწმუნა, თუმცა ფულს არ გაკარებენ, ანგარიშებზე გერიცხებათო, გვეუბნებიან.

– კარიერებში სხვაგვარი სუფრა იშლება! – მოულოდნელად ხმა ამოიღო იმ მეორემ, საფლავის მთხრელმა, ჯუჯა კაცმა ნაიარევი სახით – მასპინძელი იმ დროს მოდის, როცა სტუმრები წასვლას აპირებენ. გულს საბოლოოდ რომ აიყრი, სერიოზულ მონაპოვარს მაშინღა აკეთებ. ეტყობა, არ ვეთმობით ამ წყეულ კარიერებს. უკვე ერთი კვირაა ოქროს ამაოდ დავეძებ. პეშვებით ნაყარი მიწა ამომაქვს, მაგრამ ერთი ბეწო ნამცეციც ვერ მიპოვია. ხეჩოც ხელიდან გამოგვეცალა, ეტყობა, მართლაც დათარსული დროა!

ტარასი მათ ყურადღებით უსმენდა, მაგრამ საუბარში არ აჰყოლია. შთაბეჭდილების მოხდენას სულაც არ აპირებდა. ტარასი დარდიანი კაცი იყო, დარდიანი გული კი მოღრუბლულ ცას ჰგავს. დიდი ხანია, რაც დაასკვნა, რომ ვალდებულებებით გაჯერებული ცხოვრება ბოლოს ყველაფერს ათანაბრებს. ახირება ახირებად რჩება, რომელსაც ადამიანები ვერაფერს უხერხებენ. არ ღირს თავის გამოდება. ეს იგივეა, ის ხეები წამოაქციო, რომელიც შენივე გზებს ჩახერგავს. სამყარო საკმაოდ ტევადი სკივრია, რათა ყველაფერს მიუჩინოს ადგილი.

**4.**

კარიერის მფლობელი კუშტი და პირქუში პერსონა აღმოჩნდა. ჯუჯას შორიდანვე დააყარა ქოქოლა, წერაქვის წამოღება დაგვიწყებიაო. წამოღება როგორ დამავიწყდებოდა, როცა არც წამიღიაო, თავს იმართლებდა

ჯუჯა. მფლობელი კი თავისას არ იშლიდა, კიდევ კარგი, წაღება დაგავიწყდა, თორემ წამოღება სულ აღარ გეხსომებოდაო. მოკლედ, შარიანი ვინმე იყო. თვალები ნახშირივით უბზინავდა, ხოლო ბაგეს თუ გახსნიდა, მხოლოდ სამდურავების სათქმელად. საქმისთვის თავგადაკლული ჩანდა. რამეს რომ მოინდომებდა, ალბათ ბოლომდე ჩაჰყვებოდა. როცა ტარასი გააცნეს, ორიოდე სიტყვით საქმიანად მოუთხრო ოქროსმაძიებლებზე, შთამბეჭდავი მოყოლა ხომ მონუსხვის მცდელობას ჰგავს. ბოლოს მიტოვებულ ჯიხურთან მიუძღვა.

– შენი წინამორბედის მოსასვენებელია. აგერ, აქ ეძინა ხოლმე. საპირფარეშო კი ხეებს იქითაა! – ხელი შორს გაიშვირა – გირჩევ მოსაქმება მზის ჩასვლამდე მოასწრო, თორემ აქ კუნაპეტი ღამეები იცის, შესაძლოა გზადაგზა ემზადებოდე და უცებ სხვა გაჭირვებულს წაადგე თავზე! – ამ სიტყვებზე ისეთი როხროხი ატეხა, ლამის გადმოცვენოდა ნაფოტა კბილები. ტარასს სასადილო გაახსენდა, სადაც ოქროსმაძიებელთა როხროხი ხშირად გაეგონა.

მფლობელმა ტარასს პირადობის მოწმობა ჩამოართვა, გამომუშავების პროცენტზე შეუთანხმდა და შეგიძლია საქმეს შეუდგეო, ამცნო. მოკლედ საქმე გაიჩარხა. გარდაცვლილის ადგილას უნდა განეგრძო თხრა კარიერში. მის ორმოს სხვა ორმოებისგან ვიწრო კედელი აშორებდა, ეტყობა ეს ორმოები ერთმანეთზე მიჯრით იყო მიწყობილი. ამ კვადრატების დამგეგმავი თავად მფლობელი გახლდათ, თითქოს დიდი გაანგარიშებები ჩაეტარებინოს. ტარასს თხრა არ უნდა შეეწყვიტა, მფლობელი კი თავზე ხშირად უნდა დადგომოდა და გამჭოლი მზერით კეფა გაეხვრეტა, არ იფიქრო, უყურადღებოდ მყავდე მიტოვებულიო, მერე კი ფურგონის ჩრდილში სძინებოდა და ძაღლსაც კუდი

ექიცინა. ამ ფურგონს კიდეები შეჭყლეტილი ჰქონდა. მეპატრონეები როცა გამოთვრებოდნენ, ბოთლებს უშენდნენ. ეს აყლაყუდამ აუხსნა. ხეშეში კუნძების შესახებაც მან უამბო, ერთად რომ ეყარა. კარიერებიდან ამოეზიდათ, თხრაში ხელი რომ არ შეშლოდათ.

კარიერის თავზე ფაქიზი და გაკაშკაშებული ჰაერი ლივლივებდა, თითქოს ყვითელი პეპლების ურიცხვი გუნდი დაფარფატებსო. დიდებული მიწა იყო. ადამიანები შიგ იმარხებოდნენ, ხეჩოს მსგავსად, ოღონდაც ოქროს მარცვლები ეპოვათ. პოულობდნენ კიდეც მტვრის ნაწილაკებზე ოდნავ მოზრდილი ზომისას, მხოლოდ ტარასი რჩებოდა ხელმოცარული, თითქოს არც იღებდა ამ საერთო ძიებაში მონაწილეობას. ეს დამეწყრილი მხარე ნაყოფს ყველასთვის არ იძლეოდა. მიწის ზედაპირი მხოლოდ კაკტუსს თუ აღმოაცენებდა, ისიც აქა-იქ. სიღრმეში კი ასეთ სიმდიდრეს მალავდა. ირგვლივ ყველას წერაქვი ეჭირა და ოქროს ეძებდნენ გამალებული. ასეთი მიდრეკილება ჰქონდათ – უდაბნოში გამდიდრებისა, მაგრამ რა უნდა ეპოვათ მნიშვნელოვანი ასეთი აღჭურვილობით? მხოლოდ შემართების იმედად იყვნენ. ველური ჟინით დასცქეროდნენ უსიცოცხლო ბელტების გროვას, მათ წარმოსახვაში ოქროს საბადოს რომ გადაჰფარებოდა. ამდენმა ორომტრიალმა ოქროსმაძიებლებს სიბრძნე შემატა და შესაბამისად სევდაც მოჰგვარა, თითქოს ქვეყნიერების საწყალობელი დასასრულის თვითმხილველნი გამხდარიყვნენ. იქნებ ჯობდა, ტარასი აქაურობას გაცლოდა და ბედი სხვაგან ეცადა. მაგრამ ძებნამ შეყოლა იცის, პოვნა კი ციებ-ცხელებით თავდება. საღამოობით მიდამოს ისეთი ელფერი ედო, თითქოს ნაპრალებში დაწრეტილი ოქროს წყლები შავ მდინარეს შერთვოდა. ამინდი დროდადრო

ჯანღში და ნისლში ხვევდა, გეგონებოდა მიდამოს შეფუთვა სწადიაო. გარეშემო სივრცის ძუნწი მონახაზი გეოგრაფიის წიგნის ყდაზე დაბეჭდილ ილუსტრაციას ჰგავდა, ყოველ უდაბურ ადგილას მრავლად რომ იქნებოდა.

წვიმა ხშირად მოდიოდა და როცა გადაიღებდა, კარიერის მუშებს შესამოსელი თითქოს ოქროთი გაჟღენთოდათ, ისეთი ლივლივი გაჰქონდა თაკარა მზეში. არც ცდილობდნენ, წვიმას შეფარებოდნენ, სიამოვნებდათ კიდეც წყლით გაპოხილ ფიცრებზე განაბული წოლა. ცას შეჰყურებდნენ და მზერით სივრცეს ზომავდნენ. მზის ამოსვლა მაინც ისე უხაროდათ, სასყიდლებზე გასულს შინ რომ მოელიან. ხოლო საღამოობით, ვარსკვლავებით გარემოცული სივრცის ცივ სიცარიელეს გაჰქონდა ჭახჭახი.

აყლაყუდა და ჯუჯა ტარასს მალე გაუშინაურდნენ, განსაკუთრებით ერთი შემთხვევის წყალობით. ერთხელ მან წვიმისგან დარბილებული თიხანარევი მიწა მოზილა და ფიგურების ძერწვას მიჰყო ხელი. ამგვარ თამაშებში მერეც ხშირად ერთვებოდა, თითქოს თავდავიწყებას მისცემიაო. ჯერ მეპატრონე გამოსახა, ერთობ ფუყე და ჩაფსკვნილი ფიგურა კი გამოუვიდა, შემდეგ ჯუჯა და აყლაყუდა გამოძერწა, ბოლოს კი თავის თავსაც მიადგა. ამგვარი საქმიანობის დროს მრავალი ხარვეზი იჩენდა თავს, მაგრამ დაფხავებულ ორმოში მოღვაწე ოქროსმაძიებლები არ იყვნენ ხელოვნების მკაცრი შემფასებელნი. ისინი გულით ხარობდნენ, თუმცა, როგორც კი მათკენ მომავალ მეპატრონეს შენიშნავდნენ, მყისვე თავიანთ ორმოებს მიუბრუნდებოდნენ ხოლმე, ხოლო ტარასი მუშტებით შლიდა უბადლო შედევრებს.

თავიდან ტარასს დიდად არ ენდობოდნენ. არც მას გამოუდია თავი. ერთხელაც ლუდზე დაპატიჟეს. საღამოობით რომ ჩამოატარებდნენ ხოლმე ფურგონით თვეში ორჯერ. მფლობელები ამის ნებას რთავდნენ. ანაზღაურების დროს გავსწორდეთო, თქვა ტარასმა. ეგ კი არ უნდა გეკადრებინაო, შეიცხადეს. მერე ბევრი რამ უამბეს აქაურობაზე. კარიერის ჩიჩქნას რომ მორჩნენ, გამოუტყდნენ, დამატებითი შემოსავალი გვაქვსო. შენც კმაყოფილი დარჩები, თუკი ასე მოიქცევიო. როგორც აუხსნეს, ნაპოვნს მთლიანად არ აჩენდნენ. მაგრამ გამოსვლისას ხომ სასტიკად ჩხრეკდნენ და გამოტანა როგორ უნდა მოეხერხებინათ? ტარასის თანდასწრებით ამის შესახებ დიდხანს არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთხელაც, წვიმების სეზონი რომ დაიწყო და შინ ატალახებული გზებით ბრუნდებოდნენ, ისევ ჩამოაგდეს ამ თემაზე საუბარი.

– მძიმე სამუშაოზე საშინელი უმუშევრობაა! – წამოიწყო ჯუჯამ.

– დასახლებაში ჯობს ცხოვრება. იქ დილა უხარიათ, მრავალი სიხარულის მოლოდინში გათენება, ჩვენ კი საღამო, ეს დღეც როგორღაც გადავაგორეთო! – თქვა ტარასმა.

– ცხოვრება ტყეში შეტყუებას ჰგავს, ბავშვობას რომ გაშორებს და სიბერეს გაახლოებს! – წაიფილოსოფოსა აყლაყუდამ

– ეგ ყველაფერი წვრილმანებია! – ხელი ჩაიქნია ჯუჯამ.

– წვრილმანები? ადამიანებს წვრილმანები ხარჯავს. ასე იმიტომ ჰქვია, რომ მასზე დაკარგული დროა დასანანი. მიზანდასახული კაცი განა წვრილმანებზე მოცდება? თუმცა

მის ცხოვრებაში ყოველთვის იჩენენ თავს. თუ რაიმე საკითხს მნიშვნელოვან თემას მიუძღვნი, იგი დეტალურ გათვალისწინებას საჭიროებს, მაგრამ სწორედ ეს დეტალებია მომაბეზრებელი წვრილმანები! – ჩამოაყალიბა აყლაყუდამ.

– ოქროს სად მალავთ? – იკითხა ტარასმა.

– ისევ მიწაში, იმ ოხერ კარიერშივე, ოღონდ ადგილი ზედმიწევნით უნდა დაიმახსოვრო! იქნებ შენი წინამორბედიც პოულობდა და მალავდა ოქროს, ისე კი უნიათოდ გამოიყურებოდა. არა მგონია, ამისთვის თავი მოება! – თქვა აყლაყუდამ.

– პატიოსანი კაცი იყო! – დაემოწმა ჯუჯა – მე კი არ მგავდა, ჯიბიდან გავარდნილს, ოღონდ მეპატრონე პერიოდულად ჩხრეკას აწყობს ხოლმე. ჩავარდნა წასული საქმეა. მაშინვე კანონის ხალხს ჩარევს და ციხეში გიკრავს თავს, თუ თვითონვე არ დაგასრულა. სიფრთხილე ჯობს. თუ მიხვდი, რომ შეგნიშნეს, ოქროს პოვნისას სიხარულის ყიჟინა მორთე, თორემ ცუდ დღეში ჩაგაგდებს!

– ამდენი სიცრუის შემხედვარე დედამიწა, რომელიც ყოველდღე იძარცვება, განა რამდენ ხანს იარსებებს? – ამოიოხრა ტარასმა და სივრცეს გახედა.

– დედამიწა? სანამ ვულკანები თუხთუხებენ, მანამ ცოცხალი იქნება! – დაამშვიდა ჯუჯამ, თითქოს ამაზე ბევრი ეფიქროს.

იქნებ ხეჩოსაც ჰქონდა სამალავი? გაიფიქრა ტარასმა და მარტო რომ დარჩა, იქაურობა გადაჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ხეჩოს ისე ახასიათებენ, ალბათ არც ინახავდა ოქროს, დაასკვნა ბოლოს.

ათასში ერთხელ მათ ფოსტაში წასვლის ნებართვას რთავდნენ გამყოლთან ერთად. ანაზღაურების ნაწილს აძლევდნენ, მაგრამ საშემოსავლოს უქვითავდნენ. იმ დღეს მხოლოდ აყლაყუდა წავიდა. ფოსტაში შესაბამისი დავთრები შეავსო ფულის ოჯახში გასაგზავნად. მაგრამ მანამ ოქრო ჩუმად გაეყიდა და დიდ თანხას აგზავნიდა, ჰოდა, რახან გადარიცხული ფული გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვინემ უნდა ჰქონოდა, ჩავარდა. საკმარისია მიუღწეველი რამ დაისახო მიზნად, რომ საკუთარ უნიათობაში დარწმუნდე. მფლობელები უცებ დადგომიან თავზე, ეტყობა ეჭვი ადრევე ჰქონდათ, ფოსტის მოხელეებთან კი შეკრულნი იქნებოდნენ. სანიმუშოდ დავსჯითო, დაიქადნეს. მაგრამ აყლაყუდამ პირში წყალი ჩაიგუბა და სხვებზე არაფერი დაცდენია. მერე მფლობელები დიდხანს ბრუნდებოდნენ ჩამოშლილ ქანებზე გამავალი ბილიკით. კმაყოფილები ჩანდნენ. იმის შემდეგ აყლაყუდა თვალით აღარავის უნახავს. იქნებ ჩასვეს, ან შესაძლოა მოკლეს კიდეც.

– მოკლავდნენ! – დაიჟინა ჯუჯამ – გული მიგრძნობს!

**5.**

კარიერის მფლობელებმა თვალთვალი გაამკაცრეს, არც თქვენ იქნებით სუფთა სისხლისო. აყლაყუდა ბრიყვულად მოიქცა. ჯობდა, შემსყიდველებს სხვა ქალაქში დაკავშირდებოდა. თორემ რა გამოვიდა? თვითონაც ჩავარდა და ესენიც შარში იყვნენ. კარიერს უკვე დაფჩენილ ხახად აღიქვამდნენ, რომელიც დანთქმას უპირებდა. კარიერის ლოდები ჩაშავებულ კბილებად წარმოესახათ. მტანჯველი დრო ზლაზვნით გადიოდა. არადა ტარასი სულ ცოტა ხნის წინ დიდი ენთუზიაზმით იყო გამსჭვალული. საკუთარი საქმის წამოწყებას გეგმავდა და

სახლის აშენებაზე ოცნებობდა, ჭედური ანჯამებით. გული იმედებით ჰქონდა აღსავსე. ძველი უსიამოვნებანი სულ დავიწყნოდა, თითქოს გრიფელის დაფიდან ჩვრით გადაეწმინდოს.

ტარასი ჯიხურის მოშორებით მზის გულზე წამოწვა ბალახებში და ზურგზე ჩხვლეტა იგრძნო. თოკის წვრილი ბოლო იყო ერთი ბეწოზე ამოშვერილი. ხელით მოსინჯა მიწა და ჩამარხული ტომარა ამოჰყვა. კილოზე მეტი ოქრო იქნებოდა. მისმა წინამორბედმა ყველანი გააბიაბრუა. ოქრო თურმე ხეჩოსაც გამოჰქონდა, მაგრამ წაღება არ დასცალდა სიკვდილის სამწუხარო მიზეზით. ტარასს მამის სიტყვები მოაგონდა, მზის ქვეშ ადგილის შესახებ. იქნებ სწორედ ამ მომენტს გულისხმობდა. ამ ამბავმა კარგ ხასიათზე დააყენა და საღამოს ჯუჯას ხალისიანად გამოელაპარაკა:

– ცოლი არა გყავს, ჯუჯა?

– არა! დამიწუნეს, ჯუჯა ხარო!

– სხვა ვერაფერს მოგედავენ? – გაეცინა ტარასს – რა გჭირდა დასაწუნი?

– ქალებს რას გაუგებ! – მხრები აიჩეჩა ჯუჯამ, სწორედ მაშინ იყო, თემის შესაცვლელად რომ თქვა პირველად, აქედან, ოცდაათ კილომეტრში მდინარეა, რომლის გასწვრივაც რკინიგზა გადისო. აქეთ რომ მოვდიოდი, გზას ზედმიწევნით ვიმახსოვრებდიო.

ასეთი მანძილის გადალახვა არც ისე მიუწვდომელი ეჩვენათ.

– ჩვენი კარიერა ეს კარიერია, კარიერის ორმო კი ისეთი რამაა, თავი თუ არ დააღწიე, ბოლომდე შერჩები! –

განაგრძო ჯუჯამ – აქედან წასვლის იდეა აქ მოსვლის დღიდან მტანჯავს, მაგრამ ხომ გსმენია, საქმემ შეყოლა იცის. არის კიდევ რაღაც. არ ვიცი, ბოლომდე გენდო, თუ არა!

– შენც ნუ მენდობი! – განაწყენდა ტარასი.

– გენდობი, რადგან აყლაყუდა გენდობოდა! აყლაყუდა ალბათ როგორ აწამეს, მაგრამ არ გაგვცა. ვაჟკაცად აღესრულა! მოკლედ მე გარკვეული რაოდენობის ოქრო უკვე მაქვს შეგროვებული და გაქცევას ვაპირებ!

– მეც წამიყვანე! – მუდარით უთხრა ტარასმა – ოქრო მეც მაქვს, ხეჩოს სამალავს მივაგენი!

სიმდიდრე ორივეს თითქმის თანაბრად აღმოაჩნდათ და აქ არაფერი დარჩენოდათ. ჰოდა, ერთ საღამოსაც დაითესნენ. ამისთვის მარჯვე დრო შეარჩიეს. მფლობელები კარიერის დაარსების რომელიღაც წლისთავს აღნიშნავდნენ. ისინი გვარიანად შეზარხოშდნენ და დიდხანს აღარავის მოიკითხავდნენ. ამით ისარგებლეს, ოქროს ტომსიკები წელზე შეიბეს და დილამდე ქოშინით ირბინეს. დროდადრო ჩერდებოდნენ, მაგრამ ლაპარაკის თავი არ ჰქონდათ. უდაბნო ჩათავდა და შორს დასახლება შენიშნეს. გვერდი აუქციეს და მინდვრის მიმდებარე ტყეს შეეფარნენ. გლეხები ძველ ფოთლებს წვავდნენ. ირგვლივ თეთრი კვამლი დგებოდა და იქაურობა აყალო მიწის წიაღიდან გამოხმობილი სულების თავშესაყარს დაემსგავსა. საღამომდე მდელო გადასერეს. წანწალმა დიდხანს გასტანა, მდინარე კი არ ჩანდა. თანაც დღის სინათლეზე გამოჩენას ერიდებოდნენ. საშინლად დაღლილები შავად შეტრუსული მინდვრის ბოლოში მიტოვებულ ქოხს გადააწყდნენ. თავს თუ დააღწევდნენ, აღარც ეგონათ. არც ის იცოდნენ, თავის დაღწევის

შემთხვევაში რა უნდა ემოქმედათ. კარიერებში ალბათ უკვე დიდი ხანია მოიკითხეს და გამალებით დაეძებდნენ. ვინ იცის, იქნებ კვალსაც ადგნენ, გარკვეულ მიჯნებს ზვერავდნენ და სადაცაა დაეწეოდნენ. ოქროს ჩამბარებელ პუნქტებსაც გააფრთხილებდნენ. ვერც რკინიგზით ისარგებლებდნენ, რადგან ყოველ ნაბიჯზე ეყოლებოდათ თავიანთი ხალხი ჩასაფრებული.

– თუ ჩაგვავლეს, სასტიკად მოგვექცევიან! – იმეორებდა ჯუჯა. – ჩვენ თავს ვერაფრით ვიმართლებთ, თევზებივით მიგვიმწყვდევენ თავთხელში. თევზისთვის ჯოჯოხეთი ბადის ძაფებში გახლართვას ნიშნავს, ანდა ანკესზე წამოგებას, როცა ბასრი ნემსკავი და ძუა ლაყუჩებს უსერავს.

ჭრაჭუნა იატაკზე იწვნენ და ლაპარაკის საღერღელი აშლოდათ. მერე ჯუჯამ პირველად უამბო, რამდენი საწყენი შეხვედროდა ცხოვრების გზაზე.

– მეცნობა ეს ადგილები! – წამოიწყო მან და ხელი გაიშვირა – სადღაც იქით ჩემი სოფელია. ჩემ ბავშვობაში ოქროსმაძიებლებმა ჩამოიარეს. მამაჩემი ძროხებს მწყემსავდა. ორიოდე ძროხა გვყავდა. ნერვიული კაცი იყო, მე კი მუდამ თან ვახლდი და მის წუწუნს ვუსმენდი. ზარი ითამაშეს. მარტივი თამაშია, მხოლოდ კამათლებს აგორებ და ციფრებს აჯამებ. ჯერ ძროხები წააგო, მერე კი ჩემზე მიდგა ჯერი. ქვითინებდა კაცი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ერთი ოქროსმაძიებელი სახლამდე მიჰყოლია, ასე მორიგებულან, ვითომ მე და ძროხები მდინარემ წაგვიღო. დედაჩემს მოსმენილისგან მაშინვე გული გასკდომია. მე კი მას შემდეგ სულ მათ წრეში ვტრიალებდი.

– ეგ ვინღა გიამბო?

– იმ ოქროსმაძიებელმა, სიბრაზეში წამოცდა. თან ნასვამი იყო და ჩემზე ჯავრის საყრელად თქვა. მისი ნათქვამი სიმართლეს ჰგავდა, თორემ დედაჩემი ძებნას დამიწყებდა. საშინლად ბოროტი კაცი იყო. სულ მამწარებდა. სიანჩხლისგან მოკვდა ბოლოს. ეჰ, ეს ამბები წარსულს ჩაბარდა. სულ მინდა, სოფელს მივაღწიო, მამაჩემს თვალებში ჩავხედო. მაგრამ ცოცხალი სადღა იქნება, ამდენი დროა უკვე გასული...

მერე დიდხანს აღარ იღებდნენ ხმას. მორიგეობა დააწესეს და რიგრიგობით ეძინათ. ცხადი იყო, რაიმე უნდა ეღონათ, სანამ მბჟუტავი ნაპერწკლები მიინავლებოდა, შუქს თალფაქის ქვეშ ანთებდნენ, ცეცხლის დანთების კი ცეცხლივით ეშინოდათ, რადგან ადგილსამყოფელს გასცემდნენ.

მერე ისევ გზას გაუყვნენ. ხშირი ტყე ვიწრო ქუჩაბანდებს ჰგავდა, რომელშიც ძლივს თუ გააღწევდი. ეკლოვანი ბუჩქნარი თავშესაფრად არ ივარგებდა. რუხ შემოგარენს ყურადღებით ათვალიერებდნენ, რაიმე საყურადღებო დეტალი რომ არ გამორჩენოდათ. ყოველ წვრილმანს მნიშვნელობა ჰქონდა. ერთგან ცეცხლი დაანთეს. მის ტკაცატკუცში ჩრდილები ისე მძიმედ გადაადგილდებოდნენ, თითქოს ბებრუხანები ცეკვავენო. გამურულ სახეებზეც ეტყობოდათ, მოსვენება რომ ჭირდებოდათ. პატარა ტბორი მათ სახეებს ირეკლავდა. ასეთი მკვეთრი არეკვლა მხოლოდ წყალს ძალუძს. ზეცა ამ თვისებას მოკლებულია, თუნდაც თოვლივით კრიალა იყოს. ტბორში მათი სახეები ჭავლებად ლიცლიცებდა, თითქოს ღარები და ნაოჭები ყოფილიყოს. შიგ იყურებოდნენ და იცინოდნენ, რას ვგვანებივართო. ტბორის ნახევარი ჭაობად ქცეულიყო, რომელიც გაფუჭებული ხახვის საწყობივით ყარდა.

– მდინარესთან ახლო უნდა ვიყოთ! – თქვა ჯუჯამ და მათარით მიუთითა რომელიღაც მიმართულებით – იქამდე თუ მივასწარით, თუნდაც ძაღლებით იყვნენ, კვალზე ვეღარ გამოვლენ. მაინც როდის დაადგენდნენ ჩვენი გაქცევის ფაქტს? იმას კი იეჭვებდნენ, ოქრო რომ გვაქვს. აბა გაქცევა რაში უნდა დაგვჭირვებოდა?

აქეთ უკვე მაღალი ბალახები იყო. მათ ადვილად ვეღარავინ შეამჩნევდა. ერთგან თიხით შეგლესილი ფერდობი შენიშნეს. შორიახლო მდინარეც გამოჩნდა და ნაპირზე მიეყარნენ ქოშინით. იმ ადგილას მდინარე არც ისე განიერი ჩანდა.

– მაშ ცხოვრებაზე გაბოროტებული ყოფილხარ! – თქვა ტარასმა.

– აღარ ვარ. თუკი გაბოროტდები, გინდა მხილებით იმართლე თავი, გინდა შურისძიების წყურვილით და გინდა შეგონებით. მთავარი მაინც სინამდვილეა და არა მისი შენიღბვა. მსგავს ამბებში ადამიანები თავისი ნებით იგდებენ თავს, ჩემ შემთხვევაში კი სხვანაირად იყო. ლაპარაკს რაღა მნიშვნელობა აქვს? სიტყვები გულის ღუმელში თუ არ გამოწვი, შხამის მატარებლები ხდებიან. ყვედრება ნუგეშს არ იძლევა, უვარგის ჟამს ნაყოფიც მწკლარტე და უგემური გამოაქვს!

– კარგი ვქენით, რომ გავიქეცით! – თქვა ტარასმა.

ერთი ხანობა ფიქრობდნენ, ოქრო სადმე გადაემალათ და მერე მოეკითხათ, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრეს, ვაითუ უკან მობრუნება ვეღარც მოვახერხოთო. თან ცდილობდნენ, ერთმანეთი თვალთახედვიდან არ დაეკარგათ. გადაწყვიტეს გაღმა ნაპირზე ტარასი გადასულიყო დასაზვერად, მერე კი ჯუჯა მიჰყოლოდა.

ტარასი მდინარეში შევიდა. ჭავლები შიშისგან გაყინული სისხლივით ცივი იყო, თითქოს ზედაპირით ყინულის კოშტები მოჰქონდა. მზე ენატრებოდა ჩრდილში მოქცეულ მიდამოს. აქ ალბათ მთვარის შუქიც ძლივს აღწევდა, როგორც ძლივს მბჟუტავი ლამპა. მთელი იქითა ნაპირი შამბნარით იყო მოცული.

ტარასი ნაპირზე გავიდა თუ არა, თხრილში ჩავარდა. სწორედ მაშინ გაიგონა ძაღლების ყეფა, რომელსაც სროლის ხმა მოჰყვა. ეტყობა მდევარი ჯუჯას დაადგა თავს. ტარასი პირჩაღმა ჩაწვა. შიშისგან აკანკალებულს მოქმედების თავი აღარ ჰქონდა. მერე წამით გაბედა გახედვა. მდინარის ზედაპირი სცენასავით მოჩანდა. დაინახა მზის შუქზე როგორ გამოათრიეს ჯუჯა და სასტიკად გაუსწორდნენ. ჯუჯას ხმა არ გაუღია, მერე ტანზე მიბმული ქისა ააცალეს. აღტაცების შეძახილებიც გაიგონა, ამდენ ოქროს, ეტყობა, არ ელოდნენ. სიტყვები მკაფიოდ ისმოდა.

– ის მეორე, ახალბედა, არ ჩანს?

– მდინარე წაიღებდა, არა მგონია ამ ტყვიების წვიმაში გადარჩენილიყო!

– რომელიმემ მოკრა თვალი?

– რაღაც ჩრდილივით დავინახე, დინებას რომ მიჰქონდა!

– იქნებ კუნძი იყო?

– მაინც რამდენს მოაგროვებდა იმ მცირე დროში, რაც ჩვენთან დაჰყო?

– არც არაფერს!

– ჯანდაბას! თუ რაიმე მაინც გააჩნდა, ჯუჯა გზაშივე მოიშორებდა, მისი წილის დასაპატრონებლად. ხედავ, ამ

ნაბიჭვარს კილოგრამზე მეტი რომ ჰქონია, ღირდა დადევნება!

ტარასი როცა დარწმუნდა, რომ საბოლოოდ წავიდნენ, სამალავიდან გამოვიდა. ძაღლების ხმაც მიმწყდარიყო. იგი მაღალ ხეზე აცოცდა და ძალიან შორს შენიშნა ისინი, სამნი თუ ოთხნი იყვნენ და აქაურობას გვარიანად გაცლოდნენ. საშიში აღარაფერი იყო. გვამი ვერსად იპოვა. ეტყობა, მდინარეში გადაეგდოთ. ყველაზე დიდი ფული იქ იშოვება, სადაც კანონი ნაკლებად აღწევს, გაიფიქრა ტარასმა. როგორი სისასტიკითაც მოექცნენ ჯუჯას, ალბათ აყლაყუდაც ასე აღესრულა.

**6.**

ტარასი როგორც იქნა რკინიგზას მიადგა და შპალებს გაუყვა, ტყის მიჯნასთან ამაღლებულ ბორცვზე რომ ინაცვლებდა. მერე მის გასწვრივ ხეების მწკრივში განაგრძო სიარული, ვინმეს თვალში რომ არ მოხვედროდა. მალე მიადგა პატარა პლაცდარმს, სადაც მატარებელი თუ არ გაჩერდებოდა, სვლას მაინც შეანელებდა. ჩვეული ერთფეროვნება დარღვეულიყო და წარსულის მძიმე კარებიც გაჯახუნდა ახალი ცხოვრების ზღურბლთან. უდაბნოდან მას მოჰქონდა დიდი სიმდიდრე და მწარე მოგონებები. უკვე არც ერთი აღარ მისცემდა მოსვენებას და მისი მწუხარე სული გულგატეხილობას მოეცვა. ძნელი იყო მიმალვა ამ გამჭვირვალე სამყაროში, რაც ტარასმა თითქმის მოახერხა. მალე საბარგო მატარებელს გაჰყვა და მხოლოდ მაშინ მიატოვა, შორს შენობები რომ შენიშნა.

დიდ ქალაქში, რომელსაც მოულოდნელად მიადგა, პირველ რიგში სასადილოს მიაშურა. უსარგებლო ბალახის ცხელ წვნიანს მადიანად დაეწაფა და უმალ შეხვრიპა. მერე ლუდი მოითხოვა და მთელი კათხა გადახუხა. ისეთ

ადგილას იჯდა, მატარებლის სადგური თვალთახედვის არეში რომ ჰქონოდა.

იმ მომენტში პირველად მოჰკრა თვალი უცნობ დედა-შვილს, ჟურნალ-გაზეთებს რომ ათვალიერებდნენ. ქალის კისკისი კიოსკთან ისმოდა. ბიჭი ჟურნალის ყდაზე უთითებდა, ვეება ვეფხვი რომ იყო გამოსახული დიდრონი თვალებით. ერთი შეხედვით სასაცილო არაფერი ჩანდა, მაგრამ გულიანად მხიარულობდნენ. მერე სასადილოში შემოვიდნენ და ცივი სასმელები დაათვალიერეს. ერთ-ერთ ბოთლს უცნაური წარწერა ჰქონდა – ნატურალური ნაყენი გველის შხამისგან. ქალმა ბიჭს ლიმონათი უყიდა. რა სხვანაირი სახე აქვს, გაიფიქრა ტარასმა, სანამ ბიჭი ნება-ნება სვამდა მოტკბილო სითხეს. რა ბედნიერი იქნებოდა, მისი ცოლ-შვილი რომ ყოფილიყვნენ. წავიდეთ, ბებო გველოდება, უთხრა ბიჭს ქალმა. ტარასიც წამოდგა და გარეთ თითქმის ერთდროულად გავიდნენ.

მაღაზიებს და დახლებს გამყოფი ხაზი ჰქონდა შემოვლებული. დარბაისელი ადამიანები, რუხ პიჯაკებში გამოწყობილნი, შთამბეჭდავად საუბრობდნენ ვალუტასა და ოქროს კურსზე. თან ბაცი შეფერილობის აბრებზე უთითებდნენ. ზედ გამოსახული ციფრები, უკანასკნელ მონაცემთა მაუწყებელნი, გლუვ ფირნიშზე შთამბეჭდავად ციმციმებდა. ტარასმა თავისი ქონება რამდენიმე პეშვად დაჰყო. ოქროს ჩამბარებელი პუნქტები ოხრად ჩანდა, რაც ხელს აძლევდა. ჯერ ერთ მათგანს მიუახლოვდა და ერთი პეშვი გაუწოდა.

– იქით რა კურსია? – იკითხა ვითომ გულუბრყვილოდ.

– ჩვენ ყველაზე ძვირად ვიბარებთ! – მიუგეს ჯიქურ.

– არ მინდა მოვტყუვდე, ყოველი ნამცეცი სისხლის ფასად მიღირს!

– რამდენი გაქვს?

ტარასმა კიდევ ერთი პეშვი გაუწოდა. აწონეს და ფული გადაუთვალეს. ერთი მათგანი გამომცდელად შეჰყურებდა, მაგრამ სანამ შეკითხვას დაუსვამდა, ტარასმა თვითონ დაუნგრია ეჭვების ციხე-კოშკი.

– კარიერში ვმუშაობ! – რომელიღაც მხარეს გაიშვირა თითი – ჩემი გამზრდელი ბიძის გარდაცვალების გამო ჩამოვედი, მეზობელ სოფელში ცხოვრობს. ღირსეულად მინდა დავმარხო. იმდენად დიდი პიროვნება იყო, მეშინია მიწა არ იძრას, როცა გულში ჩაიკრავს!

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ცნობისმოყვარე მზერა მოაცილეს და თვლა განაგრძეს. ცენტრალურ ქუჩაში მცირე დემონსტრაცია გაემართათ. რომელიღაც პარტიის წარმომადგენლები მამხილებელ განაცხადს აკეთებდნენ, მაგრამ მოწოდებები, რომელიც მუსიკის თანხლებით გაისმოდა, ენთუზიაზმს ვეღარ ბადებდა. კლარნეტის უფაქიზეს ჰანგებს ჟღერადობა დაჰკარგვოდა. ბგერები ბანალურ ინფორმაციათა მაუწყებლად ქცეულიყო. ყველაფრის განჭვრეტა წინასწარ ძნელი იყო, მაგრამ იგრძნობოდა, ძალებისგან რომ იცლებოდნენ. მათ ჭირდებოდათ სხვა პლაკატები, ნათელი და მარტივი ლოზუნგებით, თორემ ერთგული მიმდევრები ისე დაბერებულიყვნენ, თვალებში ძლივსღა იყურებოდნენ. ეპიკურ ამბებს აღტაცებაში კი მოჰყავდათ და ლიდერსაც აქეზებდნენ, შენ ოღონდაც ილაპარაკე, თუ მნიშვნელოვანი ამბები გამოგელევა, ჩვენ თვითონ გაგაჩერებთო. მაგრამ ეს მნიშვნელოვნად არაფერს ცვლიდა.

მატარებლის გასვლამდე, რომელზედაც ტარასმა გაყოლა გადაწყვიტა, დრო კიდევ ბლომად რჩებოდა. ბარემ მთელ ოქროს მოვიშორებო, გაიფიქრა მან და ახლა სხვა ქუჩისკენ გადაინაცვლა. ოქრომჭედელთა დახლები შორიდანვე შენიშნა. ახლა იმათ ჩამოუარა. ტყავის ჩანთა ასიგნაციებით აევსო, რისთვისაც რამდენიმე პუნქტის მონახულება კიდევ დასჭირდა. ერთგან ოქროს უკანასკნელი მარცვლები მშვენიერ ბეჭედში გადაცვალა, რომელიც გულის ჯიბეში ჩაიდო. ტარასს კარგა ბლომად ფული შეუგროვდა. დარწმუნებული იყო, რომ მეტი ეკუთვნოდა, მაგრამ ამასაც დაჯერდა. არ უნდოდა აყალმაყალი და ყურადღების მიქცევა. ზოგან კანონის ხალხი შენიშნა და ფრთხილობდა, საეჭვოდ არავის მოჩვენებოდა. სიღარიბეს უკვე საკმაოდ გამოეღო მისთვის ხელი, დროა ახლა სიხარბეს გაეწაფა. ტყავის ხელჩანთა, შელახული ზედაპირით, ეჭვს რომ არც კი მიიტანდი, პირთამდე გატენოდა. სამოცი ათასზე მეტი ასიგნაცია იდო, ათიანი შეკვრებით.

ტარასი ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდა და დახლებს შორის სიარულს მოჰყვა, თითქოს სიფრიფანა ნაჭრების თვალიერებით ტკბობას განიცდისო, მერე ორი ხელი სვიტერი და ორიც ბრეზენტის შარვალი იყიდა.

– ხარისხიანი ტანსაცმელი ჩანს, ასე იაფი რატომ ღირს? – ინტერესით ჰკითხა ფაშფაშა გამყიდველს ტარასმა.

– მიცვალებულის ნაქონია! – გულახდილი ღიმილით უპასუხა მან.

ტარასმა მოკლეყელიანი ჩექმები, ხელსახოცები და საცვლები შეიძინა. ნაჭრის ტომარაში ჩაალაგა და აბანოს მოძებნას შეუდგა. მიაგნო კიდეც ძველ უბანში, გარედან ფერადად რომ იყო მოხატული. მჭვარტლისგან ჩაშავებულ

დერეფანში ერთადერთი უპლაფონო ნათურა ბჟუტავდა, ჯობდა კაშკაშა ნათურით შეეცვალათ, იქაურობა ისეთ წყვდიადს მოეცვა. დერეფანს ხელის ცეცებით გაჰყვა, ნახევრად სიბნელეში რამეს რომ არ შეჯახებოდა. სარკმლიდან კოშკურები მოჩანდა, მთელ ფასადზე მიმოფანტული ფერადი ჩარჩოებით და მოხატული მინებით შემკული, რათა შენობის უკიდეგანო შესაძლებლობანი ზარ-ზეიმით წარმოჩენილიყო. შიგნით შესვლისას გული მოგეწურებოდა. დერეფნის გარდიგარდმო ვეება კარადები ელაგა, რომელშიც განჯინები იყო ჩატანებული, მაგრამ ყოფით ერთფეროვნებას არქიტექტორის ერთ დროს მდიდარი ფანტაზიაც დაეშრიტა. განათების ღილაკებიდან არც ერთი არ მუშაობდა. ფანჯრიდან სქელი ბოლქვები გამოდიოდა და ჰაერში იფანტებოდა. შენობა მეფისდროინდელი იყო, იმდროინდელ დაწესებულებებს კი გრძელი დერეფნები ჰქონდა. ზოგან ფანჯრები ერთ დროს თოვლივით ქათქათა სქელი ნაჭრებით ამოეგმანათ, გოგირდოვანი წყლით გარეცხილ თეთრეულს ყვითელი შეფერილობა დაჰკრავდა. ღია სარკმლებში სიო ზუზუნებდა, ღუმლები განაგრძობდა სითბოს გამოცემას, საწვიმრის მილები – ჟღრიალს, მოკლედ ყველაფერი ჩვეული ფუსფუსით დაკავებულიყო. ეზოში კაფანდარა მოხუცები დაფარფატებდნენ. მათ დროდადრო ბრგე დარაჯი გამოხედავდა ხოლმე, თითქოს ეშინოდა, ქარს არ გაეტაცათ. არავის არავინ არ უყვარს, მხოლოდ დრო გაჰყავთ, გაიფიქრა ტარასმა. თავი რომ მოიწესრიგა, გაზინზლული მაისური და ძველი შესამოსელი ნაგვის ურნაში მოისროლა და ისევ სადგურს მიაშურა. სალარო გაეღოთ და გრძელ რიგში მოუწია ჩადგომა. მაშინვე შენიშნა, რომ მის უკან ის დედა-შვილი და ხანშიშესული ბებია იდგნენ. ამ ქალის უბადლო სახე კიდევ უფრო ნატიფი ეჩვენა. სალაროს რომ მიუახლოვდა,

დიდსულოვნად დაუთმო თავისი რიგი, რისთვისაც სანუკვარი მადლობა დაიმსახურა. მერე სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩაში გავიდა და რადგან შესამოსელიც შესაბამისი ეცვა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყოველი გამვლელი აღფრთოვანებაში მოჰყავდა. ყვითელი ლამპიონებით განათებულ ხეებს გეგონებოდა ციება შეჰყროდათ, ისე ციმციმებდნენ. რესტორნის წინ ბოშა ქალი ცეკვავდა, ცეცხლივით მწუხარედ და მთელი აგზნებით. მნახველები გარს შემოჯარვოდნენ. ის ბავშვიანი ქალიც იქ იდგა და ის მოხუცებული ბებოც. ტარასი მზად იყო მათ კვალდაკვალ ეარა, ოღონდაც თვალს არ მიფარებოდნენ, ისე შეუვარდა იმ ქალზე გული. ცეკვამ თითქოს კიდევ უფრო დააახლოვა მასთან და როცა ტაშისცემა ატყდა, მის კეკლუც გამომეტყველებას ველური ცნობისმოყვარეობა შეაგება, თუმცა იგრძნო, რომ მარტო არ იყო და მასთან ერთად მისჩერებოდა ურიცხვი ურცხვი მზერა.

– ძალიან ლამაზი ხარ! – მოულოდნელად ჩასჩურჩულა ქალს.

– ვერ გავიგონე? – ანიშნა ქალმა.

– სადაც შენ ცხოვრობ, ვიტრაჟებიც აღორძინების პერიოდის მხატვრებს უნდა მოეხატათ!

– არაფერი მესმის! – ძალიან საყვარელი იყო.

ტარასი გაჩუმდა. თუმცა, შესაძლოა, ამ ყოყმანით ის მცირე უპირატესობაც დაეკარგა, რომელიც სულ მცირე ხნის წინ მოიპოვა. მატარებელშიც ერთად ავიდნენ. როცა დაიძრა, დიდხანს დუმდნენ. ელმავალი დროდადრო რომელიღაც უმნიშვნელო სადგურს მიაკივლებდა ხოლმე და სვლას

ანელებდა. ზოგან ცოტა ხნით ჩერდებოდა კიდეც. მერე ქალი და ბავშვი ტამბურში გავიდნენ.

– ეჰ! – ამოიოხრა ხანშიშესულმა ბებომ – ჩემი დისშვილია. ჩემი საწყალი და მაგის ამბებს გადაჰყვა. ვიღაც უვიც რეგვენს გაჰყვა ცოლად და ცხოვრება ვეღარ ააწყო. ეს ერთადერთი ბავშვი გაუჩნდათ და ისიც სნეული. თვითონ კი ხმას არ იღებს, თითქოს დედოფალივით ცხოვრობდეს. ბედზე ერთხელაც არ დაუჩივლია! – დედაბერი მოიღუშა და სევდიანად გახედა უძრავ და სწრაფად მიმავალ მინდვრებს.

– მშვენიერი ბავშვია! – ანუგეშა ტარასმა.

– სისხლის დაავადება აქვს, რომელიც არ რჩება. დიდხანს ვერ გაატანს და ეგ ამბავი მეც გადამიყოლებს. სულ ფერება სჭირდება. საკმარისია, რაიმე ამბავზე სერიოზულად იდარდოს, კრუნჩხვებში ჩავარდება და შესაძლოა ვეღარც გამოვიდეს კიდეც!

– დედამისი მართლაც კალმით ნახატს ჰგავს!

– ჰო, ულამაზესია. ეგ მტანჯავს სწორედ, იმ ბრიყვს რომ გადაეკიდა, არც კი მინდა მისი სახელის წარმოთქმა. ანა დახრჩობას გადაარჩინა მდინარეში და ალბათ ვალში გრძნობდა თავს მის წინაშე. ქმართან არასოდეს წაკინკლავებულა, ხმაც კი არ აუწევიათ ერთმანეთისთვის. თავიდანვე სასტიკად არ მომწონდა. ქამრით ძუაზე შებმული საძირავი და ტივტივა დაჰქონდა, თითქოს ჯიბის საათი ყოფილიყო. მხოლოდ თევზაობითაა დაკავებული, ვითომც ქვეყნიერებაზე მეტი არაფერი საქმიანობა არ იყოს. რომ ვიხსენებ, გულს მირევს. სულელი ქალი! – განაგრძო ბრაზით – ბოლო მომიღო მისმა სიბრიყვემ. არც

თავშესაფარი ჰქონდა საძებნი და მთხოვნელებიც ბლომად ჰყავდა. მთელ ამ მხარეში ყველაზე ლამაზი იყო!

– მაშ, ანა ჰქვია!

– ჰო! მაგის დარდით აღარა ვარ, თვითონ კი სულ ცდილობს, ბედნიერად მომაჩვენოს თავი, მაგრამ რას გამომაპარებს?

– იქნებ არის კიდეც?

– ეჰ! – ხელი ჩაიქნია მან – აგერ, მობრძანდება!

დედა-შვილი სკამზე ჩამოსხდნენ. ანას განთიადივით ნაცრისფერი, ზღვასავით ვრცელი და ფერფლივით იდუმალი მზერა ჰქონდა. სიკეკლუცე ბუნებრივად ერწყმოდა მის ნატიფ ნაკვთებს, ხოლო დროდადრო გამოხატული ღვთაებრივი შეშფოთება ისეთივე უმნიშვნელო იყო, როგორც ცის უკიდეგანო კაბადონზე გამოჩენილი თითო-ოროლა ღრუბლის ფთილა.

– ყველაფერი იმის ბრალია, მაინც შენი რომ გაიტანე! – ყვედრებას მოჰყვა დეიდა – სჯობდა, ჩვენსკენ გათხოვილიყავი. განა იქ მთხოვნელი გაკლდა?

– კარგი, სონია დეიდა, ნუ მოჰყვები შენებურს. რამდენჯერ ვილაპარაკოთ ერთსა და იმავეზე!

– ჩემი ამბავი არ გადარდებს? მე ხომ უფრო მშვიდად ვიქნებოდი!

– შორს ცხოვრობთ? – საუბარში ჩაერთო ტარასი.

– ჯერ ჩემი სოფელია, ამათი კი კარგა მოშორებით მდებარეობს. მაგას არ ვჩივი სწორედ, ასე შორს რომ გათხოვდა.

– გეყოფა, დეიდა! – ბრძანების კილოთი სცადა ანამ მისი გაჩუმება – მგზავრი წუხდება!

– დაგხვდება მაინც ის შენი ბედოვლათი ქმარი?

– მაგაზე ნუ დარდობ! თუ არ დაგვხვდება, ჩვენითაც იოლას გავალთ!

– ბარგს რას მოუხერხებთ?

– წავიღებთ როგორღაც!

სონიას, ეტყობა, ფიცხი ხასიათი ჰქონდა. როცა მატარებელმა სვლა შეანელა, ტამბურისკენ ფუცხუნით გაემართა, თითქოს აღარავითარი ინტერესი აღარ ამოძრავებდა დისშვილის მიმართ. ტარასმა ბარგი გაატანინა, მატარებლის გაჩერებას დაელოდა და პლატფორმაზე ჩაზიდა. დეიდამ დალოცა და ტარასი ისევ ვაგონში აბრუნდა. მატარებელი დაიძრა. კენწეროების თავზე თეთრი ღრუბლები ცარცის ნატეხებივით ელაგა. შორიახლო მინდვრებში ცერეცო ეთესა. ანა ბიჭის გახეულ სახელოს მიდგომოდა. ხელში ძაფი მოემარჯვებინა, ნემსი კი თვალებთან ისე ახლო მიჰქონდა, თითქოს ახლახან ესწავლოს კემსვა.

– ანდრო, გაემზადე! – გადაუჩურჩულა შვილს, როცა მატარებლის მორიგი გაბმული კივილი გაისმა და ისიც უილაჯოდ დაემორჩილა – მალე მამას ვნახავთ!

ტარასს გული შეეკუმშა. მათ მერე უსაშველო სიცარიელე დაივანებდა. ეს შეგრძნება მთელ მის არსებას დაეუფლა. ანამ ანდროს ქურთუკის ღილები შეუკრა და გასასვლელისკენ გაემართნენ. ტარასი წამოდგა. წამით მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. გამომშვიდობებას აპირებდა, როცა ტარასმა უპასუხა, მეც აქ მიწევსო ჩამოსვლა.

**7.**

– წაგაღებინებთ! – ბარგზე მიუთითა ტარასმა.

– ჩვენ აქედან შორს ვცხოვრობთ!

– მე ამით სულაც არ შევწუხდები!

– აქეთ პირველად ხართ?

ტარასმა თავი დაუქნია. ბიჭი მამას ამაოდ ეძებდა, სირბილის დროს წაიქცა და მუხლი რელსზე გადაიყვლიფა. ტარასმა ხელში აიტაცა და ქუჩისკენ გაქანდა. ამბულატორია – დიდი ასოებით ეწერა ბათქაშჩამოცვენილ შენობას სადგურის მოპირდაპირე მხარეს. ანა შეშლილი სახით მიჰყვა. ექიმი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, მაგრამ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. ბიჭს კიდურზე ხელი ააყოლა, მოტეხილობა არ იყოსო, რაღაც მალამო წაუსვა და ნაჭრით მჭიდროდ გადაუხვია. ორიოდე დღეში გაგივლის, თავზე ხელი მოუთათუნა ნორჩ პაციენტს. ტარასს დროდადრო თვალი ფანჯრისკენ გაურბოდა. ბარგი შუა ტროტუარზე იდო, ვინმემ ხელს არ გააყოლოსო. მერე ბიჭი მხრებზე შემოისვა და გარეთ გავიდნენ. ცალი ხელი ბარგს ჩაავლო და ასე ახუნძლულმა განაგრძო გზა.

– თქვენი დიდი მადლობლები ვართ, გზა გაგიგრძელეთ!

– არაფერი უჭირს!

– აქ დიდი ხნით ხართ?

– დაფუძნებას ვაპირებ! – უპასუხა ტარასმა – მომეწონა ეს ადგილი, ხომ არ იცით, სადმე ბინა რომ ქირავდებოდეს? თუმცა ასე გვიან ალბათ ეს ვერ მოხერხდება!

– პირობებს გააჩნია, თორემ ერთ ფარდულს ჩვენც ვაქირავებთ. ეზოში ცალკე დგას. ამ სოფელში მხოლოდ კაშხალი და თევზის სარეწი მეურნეობა გვაქვს, მეტი არც არაფერი! – თქვა ანამ და ხელები უმწეოდ გაშალა.

– მეც სწორედ ეგ საქმე მაინტერესებს – თქვა ტარასმა – ცოტაოდენი ფული მინდა დავაბანდო!

ამ სიტყვებზე ქალს გაეცინა, დაბანდებამ დაბინდება მოაგონა, რომელიც ძალას იკრებდა. მოციმციმე ქოხმახებს ბევრგან ჩაუარეს და სადღაც ზევით შეუყვნენ აღმართს.

– არ ვიცი, მოგაწყობთ თუ არა ჩვენი ფარდული!

– მე ბევრს არაფერს ვითხოვ – საწოლი, სკამი და მაგიდა ლამფით, კარგი იქნებოდა, საკიდიც რომ ყოფილიყო პიჯაკისთვის.

– თითქოს ნამყოფი იყოთ! – გაეღიმა ანას.

ჩიტების ხმა აღარ გაისმოდა. უკანასკნელი ქოხი რომ გამოჩნდა, ფერმკრთალი კონტური ტყის მასივსა და სოფელს შორის.

– აი, ჩვენი სახლიც! – თქვა ანამ.

როცა ტარასმა პარმაღის ზღურბლს გადააბიჯა, ბიჭმა ეს ისეთი სიამაყით გამოხატა, თითქოს დაცვის თანხლებით ყოფილიყოს.

– ჯერ მეუღლეს მოლაპარაკებოდით, იქნებ სულაც არ არის თანახმა?

– თანახმა რატომ არ უნდა იყოს? იგი ყველაფერში მენდობა, რასაც გადავწყვეტ. თანაც, ეტყობა, სახლში არც არის, ალბათ მორევთან ფაცრებს მორიგეობს!

ქმარი მართლაც არ დაუხვდათ. ფარდულს კი უფრო ბუდრუგანა ეთქმოდა, მაგრამ მოსასვენებლად მშვენივრად ივარგებდა.

– აქაურობა ძალიან მომწონს, მინდა ექვსი თვის წინასწარ გადაგიხადოთ. – თქვა ტარასმა და ასიგნაციების შეკვრა

გაუწოდა.

– ეს ძალიან ბევრია...

ტარასმა ფარდულს მიაშურა და მკვდარივით ჩაეძინა მამლის ყივილამდე.

**8.**

– მდგმური როგორ ბრძანდება? მე ანდრო ვარ, ანდროს მამა, ამ სახელის დარქმევა ისურვა ჩემმა მშვენიერმა ცოლმა და მეც აღარ შევწინააღმდეგებივარ!

უცნობმა ტარასი სახლში გადაიპატიჟა. იმ დღეს წვიმამ დიდხანს გასტანა, ნარდის თამაშს შეყვნენ და მთელი დღე კამათლების ჩხარუნში გაატარეს. ბიჭი მამის გამარჯვებას ყიჟინით ხვდებოდა, ხოლო წაგების შემთხვევაში ბღვერით გაჰყურებდა ტარასს. ანაც ბედნიერი ჩანდა და ტარასს ლამის შეძულებოდა ეს მშვენიერი ქალი, რომელსაც სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდოდა, თითქოს დევგმირის ცოლი ყოფილიყოს.

ტარასი ერიდებოდა, ხალხს ჭორაობა არ დაეწყო მათზე, მაგრამ ამ ცივ და მიტოვებულ სამყაროში მხოლოდ ეს ქალი იყო მისთვის მნიშვნელოვანი, რომელსაც იმდენად გვიან შეხვდა, რომ დასაკარგავად დრო აღარ ემეტებოდა. მთავარი იყო, ნათელი გონება შეენარჩუნებინა და მისთვის არ ეგრძნობინებინა, სიყვარულმა რამდენად წაართვა თავი. შეზღუდვები ხშირად უბრალო ახირებებია, ყველაფრის ნათლად წარმოდგენას რომ ეღობება. ტარასს ქალებთან თავისი მიდგომა ჰქონდა. თუ მაგ ზღაპრების არ ჯეროდათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ სხვა ზღაპრებს დაიჯერებდნენ და არა იმას, რომ ზღაპრების საერთოდ არ ჯეროდათ. ამის გაფიქრებამ სიმხნევეს მატებდა.

მომდევნო დღეს ტარასი კაშხლის შენობას მიადგა და დირექციის წარმომადგენელს გაესაუბრა. შენობა კერძო მფლობელობაში ყოფილა და წილის გაყიდვისთვის აუქციონი ინიშნებოდა ხოლმე, მაგრამ რამდენადაც ბოლო აუქციონიდან დიდი ხანი არ იყო გასული, უახლოეს პერიოდში ამის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. ტარასს დიდად არც უდარდია. წასასვლელი მაინც არსად ჰქონდა. ამასობაში ეგებ საბუთების მოწესრიგებაც მოეხერხებინა, რაც ალბათ არც ისე იოლი საქმე იქნებოდა. საღამოსკენ მდინარისკენ მიმავალ ანდროს მოჰკრა თვალი და კვალში გაჰყვა. მორევთან, რომელსაც კაშხლის დაქანება ქმნიდა, შორიახლო მიიმალა და მის საქმიანობას მიადევნა თვალი. ანდრო მორევში შევიდა, ფაცრები სათითაოდ გამოიტანა და თევზი ბადეში ჩაყარა. ზოგიერთი გაუსხლტა კიდეც და წყალში ჩაეშვა, მაგრამ ისედაც იმდენი თევზი იყო, შხაპუნა ქაფის ვერცხლისფერი ლივლივი თვალს მოგჭრიდა. მდინარის ზედაპირი მთვარის შუქზე მკაფიოდ ირეკლებოდა, რომელშიც კაშხლის რუხი და პირქუში შენობა იკვეთებოდა. იმ დღის შემდეგ ტარასს ანდროს თვალთვალი დასჩემდა. აინტერესებდა, რა თვისებების გამო შეიყვარა ესოდენ ლამაზმა ქალმა.

ანდროს ქმედება კანონით აკრძალული იყო. მით უკეთესი ჩემთვის, გაიფიქრა ტარასმა. კანონის დამრღვევი ჩემისთანა კაცს უფრო გაუგებს. ეს საქმიანობა სამსახურს წააგავდა. იგი ყოველ საღამოს უნდა გამოცხადებულიყო კაშხალთან, რომელსაც შესასვლელი გაღმა ნაპირიდან ჰქონდა, შემდეგ ფაცრები კაუჭზე ჩაება, იქვე, ეკალ-ბარდებში რომ მალავდა და ხანგრძლივად ეყარაულა. ეს ზოგჯერ დილამდეც გასტანდა. თუ პოლიციელი გამოჩნდებოდა, მთვარის შუქზე პრიალა ქუდით, გაყუჩებული უცდიდა, როდის გადაუძახებდნენ ფაცრებს

მორევში. პოლიციელებს ხშირად დასველება ეზარებოდათ და შორიდან უშენდნენ ტყვიებს. ფაცრები მორევში ცვიოდა. თუ იგი შუაზე გადატყდებოდა, ვეღარ შეაკეთებდი და საქმისთვის უსარგებლო შეიქმნებოდა. შემდეგ დინებას მიჰქონდა თავქვე, ანდრო კი შეუმჩნევლად მიჰყვებოდა გასწვრივ და თავთხელში ნაპირზე გამოჰქონდა. პოლიციელთა ასეთი რეიდები იშვიათად ხდებოდა, მაგრამ იგი ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო. რამდენჯერ გაქცევია თევზი, მაგრამ ამას დიდად არ განიცდიდა. ელექტრობასაც იმ მორევიდან ქმნიდა კუსტარული მოწყობილობით. ნათურის შუქზე დაჭერილ თევზებს ასხმად ძუაზე ჰკიდებდა და ტრასაზე გაჰქონდა გასაყიდად. ზოგიერთი მანქანა უჩერებდა და მცირე ვაჭრობის შემდეგ თევზს ყიდულობდნენ. ერთხელ პოლიციელის მანქანა გაჩერდა, რომელსაც თევზი უფასოდ გაატანა. თუ რამეს იეჭვებდნენ, ალბათ ეტყოდა, ბადით დავიჭირეო. ერთი შეხედვით მარჯვედ იქცეოდა ხოლმე, მაგრამ ამდენი ღამისთევით ლოყები ჩაცვენოდა და თვალები ჩამუქებოდა. მერე ლუდხანაში გადაუხვევდა და არაყს გადაჰკრავდა. უცნაური ვინმე იყო. შინ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ცოლი ელოდა, ის კი ნაბიჯსაც არ აუჩქარებდა. საუკეთესოდ დაელაგებინა ცხოვრება. რა თავში იხლიდა ქალაქის ცენტრალურ ბულვარებზე დაწესებული ცხოვრების სტილს, ასეც მშვენივრად გრძნობდა თავს. ტარასს კი გული მოსდიოდა, როგორ შეძლო ანას გულის მოგებაო.

მაგრამ ერთხელაც, როცა ანდროს კვალში მიჰყვა, ტარასმა შორიდანვე შენიშნა, გვარიანი ნასვამი რომ იყო, თუმცა მდინარეს არ მორიდებია და ღრმად შევიდა ფაცრის ამოსაღებად. თან რაღაცა ავს ბურტყუნებდა მთელი

კაცობრიობის გასაგონად, უცებ ფეხი აუსხლტა, ფაცერმა გადაძალა და ანდრო მორევში გადაეშვა.

– ჰეი! – შეჰყვირა ტარასმა და ნაპირისკენ გაქანდა. თუმცა, როცა მიუახლოვდა, წრეზე მბრუნავი შავი წყლის მეტი არაფერი ჩანდა. ერთ მომენტში თითქოს თვალი მოჰკრა და დინებაში დურთა თავი, მაგრამ ცელოფნის გროვისა და ხვიარების მეტი ვერაფერი გამოიტანა. ერთხანს ისევ ნაპირს დაჰყვა, მერე კი თავის მდგომარეობაზე დაფიქრდა. ვინმეს რომ დაენახა, საქმეში გარეულად ჩათვლიდნენ, ტარასი კი ისედაც ძებნილი იყო. დამზაფვრელმა შიშმა შეიპყრო მაშინვე, მაგრამ წასვლა მაინც არ უფიქრია. დიდხანს ზვერავდა ნაპირის გაყოლებას, მაგრამ ვერსად მიაგნო კვალს. მერე ხელი ჩაიქნია და დაბის ლუდხანას მიაშურა. ცუდი ამბავი ჯობდა სხვებს ეუწყებინათ. გადაწყვიტა, შინ გვიან მისულიყო, როცა ყველაფერი მის გარეშე გაირკვეოდა და იმ ღამეს გვარიანად გამოთვრა.

**9.**

შინ არავინ დახვედრია. ტარასმა თავი საწოლში დურთა და ძილს მისცა თავი. ნაშუადღევს შეშფოთებული ხმები მოესმა. გვამი სახლში მიესვენებინათ. სადღაც დაღმა, თავთხელში ეპოვათ, სწორედ იქ, საიდანაც მორევში ჩაყრილი ფაცრის ნაშთები გამოჰქონდა ხოლმე. გვამს ტანისამოსი გამოუცვალეს, ეტყობა ტალღებს ბლანტ ქვიშაში ხანგრძლივად ეთრია. თურმე ბევრი დაეძებდა. მას ყველა იცნობდა და უკანასკნელ სამსახურს არავინ დაზარდებოდა. იგი ვაგზლის მებარგულეს უპოვია.

ანა სევდიანად დასჩერებოდა ქმარს და ეს მზერა გულსაკლავ ქვითინზე გაცილებით მეტს ნიშნავდა. ამ ჟესტმა კიდევ უფრო მეტი სილამაზე შესძინა, ჩამოშლილი თმა ნაწნავებად შეეკეცა. მეზობლის ქალებს შავებში

გამოეწყოთ, მისი შვილი ანდრო კი ხმას არ იღებდა, მხოლოდ თვალები დაწითლებოდა.

მერე ვექილი მოვიდა, ჩაფსკვნილი კაცი, ადრეც შეუნიშნავს ტარასს დაბაში მუდამ საქმიანად მოფუსფუსე. სადღაც, სადგურის ზემოთ ცხოვრობდა. სადგურამდე ჯოხის კაკუნით ჩაუყვებოდა ხოლმე დაღმართს, მაგრამ როგორც კი მოასფალტებულ ტროტუარზე აღმოჩნდებოდა, წელში გამართული განაგრძობდა გზას და გამვლელებს გულითადად ესალმებოდა. უყვარდა ადამიანებთან ურთიერთობა. მოსწონდა, კანონის კაცი რომ ერქვა და რომ ფულს ძირითადად კანონის დარღვევაში უხდიდნენ. როგორც ამბობდნენ, მეძვირე არ იყო და არც ყურადღების ცენტრში მოხვედრას ცდილობდა, რაც მრავალთა პატივისცემას იწვევდა. ამ მიზეზით თავისთავად იგულისხმებოდა ელიტურ საზოგადოებაში, რასაც ალბათ მისი სოლიდური ასაკიც განაპირობებდა. თუმცა ბავშვივით მკვირცხლი თვალები კი შერჩენოდა. ახლაც, გარდაცვალების ცნობას რომ ადგენდა, წამდაუწუმ ანასკენ გაურბოდა მზერა, რომელიც ამას ვერ ამჩნევდა. ვექილს ალბათ უკვირდა, მის საყოველთაო სილამაზით აღტაცებას ირგვლივ მყოფნი დიდად რომ არ გამოხატავდნენ. ანა ხომ მშვენიერების საზომი იყო, ფაიფურის ძვირფასი თოჯინა. ვექილს ხშირი წარბები და მაღალი და შეკრული შუბლი მეტ თავდაჯერებულებას ჰმატებდა. უცნაური ჩვევა ჰქონდა, დუმილის დროს წამდაუწუმ საათს დასჩერებოდა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, სინამდვილეში კი დროს წელავდა, ანას სიმშვენიერით რომ დამტკბარიყო. მაგრამ ეს ტარასს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რადგანაც თვითონ იყო ამ დღეში. ვექილი გვერდით გაიხმო და სიტყვა გადაუკრა, ანას ძალიან ახლობლად ვერგებიო, შემდეგ გააცილა და სანამ დაშორდებოდნენ, დაბის რესტორანში

შეიპატიჟა. ერთი ბოთლი საუკეთესო კონიაკი შეუკვეთა მრავალი ცხელ-ცხელი მისაყოლებლით და ორიოდე სიტყვით თავის გეგმებზე უამბო, კაშხლის წილის შესყიდვას ვაპირებო. ვექილი დიდად დაინტერესდა ამით, რადგან შეძლებულ კაცად მიიჩნია. იგი ნდობით განეწყო მის მიმართ. ტარასი საბუთების თაობაზეც გამოელაპარაკა, დიდი ხნის დაკარგული მაქვსო.

– ხომ გესმით ჩემი, სანამ ყველაფერს აღვადგენ, რამდენი დრო გავა, დრო კი ფულია. თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდით, ასე მერჩევნა!

ვექილი გულდასმით უსმენდა. მერე შეიპირა, ამ დღეებში აუცილებლად მომინახულე, რაღაცას გაგიხერხებო. წასვლისას ტარასმა ორი ბოთლი კონიაკი ვერცხლის ბრჭყვიალა ქაღალდში საგულდაგულოდ გაახვევინა შინ გასატანებლად.

სოფელი გვერდში დაუდგა ანას. ძველ სასაფლაოზე ორმო ამოთხარეს. მერე ქელეხზეც იზრუნეს. სუფრა საფლავთან ახლო გაშალეს გრძელ დარბაზში და ცოტაოდენი შემოწირულობაც შეუგროვეს, რომელიც ანას თხოვნით მესაფლავეებს გადაეცა, მოპირკეთებაზე რომ ეზრუნათ.

დაკრძალვის მეორე დღეს ტარასი ეზოში გადააწყდა ანას და ნუგეშის ცემას მოჰყვა. მისი მშვენიერი თვალები უზომო სევდას გამოხატავდა, წინკარი დაგვიანებულმა დეიდამ რომ შემოაღო. პარმაღთანვე მოჰყვა ქვითინს და შუა ეზოში გადაეხვივნენ ერთმანეთს. ისინი საფლავისკენ გაემართნენ და ტარასიც გაჰყვა მათ. ანამ დეიდას მიანიშნა, ჩვენი მდგმურიაო, თუმცა თქვენ ხომ იცნობთ ერთმანეთსო, მაგრამ დეიდას ტარასი არ ახსოვდა. უბრალოდ თავი დაუკრა და შინ რომ მიბრუნდნენ, მთელი არსებით შეიგრძნეს ახალი რეალობის დასაწყისი. დეიდა

დიდხანს არ ტოვებდა ანას, გულდათუთქული შესჩიოდა, მალე მეც საზრუნავი გაგიხდები და იქნებ ერთად გვეცხოვრაო.

– დარჩი აქ! – ჯიქურ მიუგო ანამ, მაგრამ დეიდა არ თანხმდებოდა, ჩემი საფლავები იქ მაქვს და როგორ მივატოვებო.

– მე კი აქ მაქვს საფლავი! – უპასუხა ანამ.

– ახლა რას აპირებ?

ანამ უმწეოდ აიჩეჩა მხრები, რადგან დარდისთვის აღარ ეცალა, როგორც ვეება კლდეს, რომელსაც არა აქვს ადვილი მისადგომი, რამდენიც არ უნდა უარო გარს. იგი შინ შევიდა. გულგატეხილი დეიდა მესერთან, სკამზე ჩამოჯდა და მჭმუნვარე ფიქრებს მიეცა. ტარასი ვერც კი შენიშნა, გაუბედავად რომ მიახლოებოდა.

– თუ ნებას დამრთავთ, მე ვიზრუნებ ანაზე, იგი ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა! – თქვა მან.

დეიდა ისეთი მზერით შეაცქერდა, შეშლილი რომ გესტუმრება და მისი წასვლის მოლოდინში ხარ. მერე ფეხზე წამოიჭრა და ოთახს უხმოდ მიაშურა.

– შენი მდგმური როგორი ადამიანია? – ჰკითხა ანას.

– საუკეთესო! – თქვა ანამ – გაცნობის დღიდან გვერდში გვიდგას!

– ჰოდა ცოლად უნდა გაჰყვე!

– რა სისულელეა! მე მყავდა ქმარი და მყავს შვილი. ბედნიერებას სხვას ვერავის მოვუტან!

– გაჩუმდი ტუტუცო ბავშვო! ერთხელ მაინც დამიჯერე ცხოვრებაში, ბედი კარს მოგდგომია და ხელს ნუ კრავ!

შემდეგ ისევ გარეთ გავიდა და ტარასს მიმართა:

– მაინც რატომ უნდა გენდო? იქნებ მიზნის მიღწევა გინდა და შემდეგ გადამალვა გსურს?

ტარასმა ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო და მის წინაშე მუხლებზე დადგა.

– ამ ბეჭედს ანა თუ მიიღებს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება!

დეიდამ ტარასს თანაგრძნობით მიაპყრო მზერა, მაგრამ თავი შეიკავა და ჯიქურ მიუგო:

– შენ კი, მაგრამ ანა თუ იქნება ბედნიერი?

– ანას ბედნიერება ჩემსას მირჩევნია!

– მომისმინე, შვილო, მართალია ანა გაჭირვებაში გავზარდეთ, მაგრამ შეძლებულ უბანში ვცხოვრობდით. ჩვენი გარემოცვა სხვანაირი იყო. მეზობლები თავიანთი უპირატესობის ჩანერგვას ცდილობდნენ, რახან დაიბადნენ, ცხვირიც ხომ უნდა აებზუათ და რახან ომახიანად მოგვმართავდნენ, თავიც ხომ ცამდე მართლებიც უნდა ჰგონებოდათ. მათ შურდათ ანას არამიწიერი სილამაზის, ჩვენ კი თავს არავის ვამეტებდით. ვცხოვრობდით ასე ჩვენთვის და თავმდაბლად. ანას ისეთი გული ჰქონდა, კაცისგან ცუდს რომ არ მოელის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ვინმე დამიჩაგრავს! – ბოლო სიტყვები განსაკუთრებით ომახიანად წარმოთქვა.

– მე მიყვარს ანა სიცოცხლეზე მეტად, დანარჩენი კი ბედზე მაქვს მინდობილი!

– ვეცდები დავითანხმო! მანამ არ წავალ, სანამ ამას არ მივაღწევ! – თქვა დეიდამ და სახლისკენ ჯარისკაცული ნაბიჯით გასწია.

ანამ მომდევნო დღეები მთელი თავისი ყურადღება შვილზე გადაიტანა, რომელიც უფრო პირქუში და მოღუშული ხდებოდა. იგი ხშირად იკარგებოდა და ძახილ-ძახილით დაეძებდნენ მთელ შემოგარენში, ბოლოს ისევ მამის საფლავთან პოულობდნენ ჩაძინებულს და შინ ხელში აყვანილი მოჰყავდათ. ამ ამბებმა ანა და ტარასი თითქოს კიდევ უფრო დააახლოვა. მათი შემხედვარე სონია დეიდა კმაყოფილი იფშვნეტდა ხელებს. ამასობაში ვექილმაც გაუხერხა პირადობის მოწმობა. ტარასმა უხვად დაასაჩუქრა. როგორც იქნა სანუკვარ ფუძეს მიაგნო. როცა მწვერვალისკენ მიემართები, ციცაბოები არ უნდა გაიკვირვო, მაგრამ დამკვიდრებას არაფერი ჯობს. ტარასი ისე ხმაურიანად მიმოდიოდა, თითქოს დოლაბის ქვები ჰქონოდა შებმული. საზრუნავები ვრცელ ტექსტად ჩამოაყალიბა და პუნქტებად დაჰყო. მერე კი მის აღსრულებას მიჰყო ხელი. ახლა მთავარი ანას გულის მოგება იყო. ამის შესახებ ვექილს გამოუტყდა. თუკი ჯვრისწერაზე დავითანხმებ, მეჯვარედ უნდა გამომყვეო. რამდენიმე ძვირფასი ნივთიც უსახსოვრა და ფულიც შეაძლია. მოკლედ, ვექილი მის საუკეთესო მეგობრად იქცა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. მერე ტარასმა ფოსტაში შეიარა და ბლანკი დედამისის სახელზე გამოწერა. თითქოს პირველად გაუგო მას და საკმარისად დიდი ფული გადაურიცხა. მამინაცვლის მიმართაც თანაგრძნობით განიმსჭვალა.

**10.**

მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა ყველაზე დიდი საშინელება ანას ცხოვრებაში. ერთ ღამეს ანდრო დაიკარგა, რომელიც მოგვიანებით სასაფლაოს ბორცვზე ნახეს, მამის

საფლავის ქვასთან. ჩაძინებული რომ ეგონათ, სასტიკად შეცდნენ.

სამ დღეში მიწას მიაბარეს, იქვე, მამის საფლავის გვერდით. მერე დიდი ხნით დაისადგურა მძაფრმა და უსიტყვო გლოვამ. ტარასს უნდოდა ანასთვის ეთქვა, რომ ჩათავდა ძველი ცხოვრება, რომ გაგრძელებას სთავაზობდა. განა საკმარისი არ იყო, რაც იტანჯა? იქნებ უკეთესი გზა ეჩვენებინა. წვრილმან დეტალსაც კი, რაც ანას შეეხებოდა, დიდ მნიშვნელობას მიანიჭებდა, რომ ყოველი მომდევნო დღე წინაზე უკეთესი იქნებოდა. რომ, რაოდენ უხაროდა, იმ მატარებელს რომ გამოყვა იმ დღეს, ანამ რითიც იმგზავრა, რომ აღარაფერს ექნებოდა მნიშვნელობა, ეს სიახლოვე რომ არ შემდგარიყო, რომ ცხოვრების საზრისს მიაგნო და სირთულეებს აღარაფრად ჩააგდებდა... მაგრამ ამის თქმა ვერ ბედავდა და არც იყო ამის დრო და ვითარება.

ერთ ღამეს ანა დაიკარგა. სოფლის მდუმარებას მხოლოდ ტარასის განწირული შეძახილები არღვევდა. მან შორიდანვე შენიშნა ანა, საფლავის ქვაზე დამხობილი. მაშინ პირველად ჩაიკრა გულში, უძრავად რომ მიყრდნობოდა საფლავის ქვას ჩამოშვებული ხელებით, როგორც ტბორის შუაგულში გაუქმებულ შადრევანთან წაქცეული ცივი და სათუთი ქანდაკება. მისი უსიცოცხლო სხეული ოდნავღა თრთოდა, რაც ერთი ბეწო იმედს მაინც ტოვებდა. ტარასმა ანა ხელში აიტაცა და თავქვე დაეშვა. სონია გულდათუთქული მისდევდა ტარასს, რომელიც ვეღარაფერს ამჩნევდა. სახლის ეზოში რომ შეცვივდნენ, მესერთან, სკამზე დააწვინა, ოღონდაც ანა გაეთბო, მთელი ავეჯი, რასაც მიწვდა, ეზოს შუაგულში მოაქუჩა და ცეცხლი წაუკიდა. მერე ფანჯრის დაგმანული დარაბებიც ჩამოგლიჯა და შიგნით ჩაყარა. ძვირფასი ნივთიც რომ

ენახა, აგიზგიზებულ ალში მოისროდა. ანას სახე წითლად უელავდა, მაგრამ გონზე ვერ მოდიოდა. სონიამ სქელი საბნები გამოიტანა, ტახტზე მიყრილი. ტარასმა ორთვალა გამოაგორა და ანა ზედ დააწვინა. მერე საბნები გარეთ გადააფარეს და სადგურისკენ გასწიეს. ტარასს ლამის ორთვალიანად აეტაცა ხელში, ოღონდაც ქვებზე არ ეჯანჯღარა. შორიდანვე ჩანდა პატარა ამბულატორიიდან გამომავალი შუქი. მთვლემარე ექიმი ფეთებით წამოხტა და ანას მოსულიერებას შეუდგა. მერე ნემსების ყუთს დასწვდა და ყველაზე იშვიათი წამლების ჩემოდანი გახსნა... ხანგრძლივი მცდელობის შემდეგ უღონო მზერა მიაპყრო ჭირისუფლებს.

– მე ყველაფერი ვცადე! – თქვა მან, მაგრამ ტარასი ასეთ მშრალ განმარტებას არ დასჯერდებოდა, სონია კი ანას ხელებზე ეფერებოდა და ქვითინებდა.

– არის ასეთი იშვიათი დაავადება! – ექიმმა რაღაც გრძელი სიტყვა წარმოთქვა ლათინურად – მგონია, რომ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე!

– უფრო დაწვრილებით ვერ განმარტავთ?

– პიროვნებას თვითონ არ სურს ამქვეყნად დაბრუნება. მედიცინა პირობებს უქმნის, მაგრამ მას აღარ სურს ამ გზის უკან გამოვლა... შესაძლოა ბევრი იმედგაცრუება მიიღო, ან სულაც ყველაზე ძვირფასები იქით ეგულება, იქნებ უკვე ხედავს კიდეც მათ!

– ხომ უნდა იყოს რაიმე გამოსავალი? – ტარასს ხმაში მუდარა გაერია – მე დიდი ფული მაქვს... ოღონდაც გადაარჩინეთ!

– საქმე ფულში არ არის! – გაეპასუხა ექიმი ცოტაოდენი წყენით – ნეტავ შემეძლოს!

– იქნებ ქალაქში სჯობს გადაყვანა?

– არა მგონია მგზავრობას გაუძლოს, თანაც დარწმუნებული ვარ, იქაც იგივეს გეტყვიან. ერთადერთი ლოდინიღა დაგვრჩენია.

– თქვენ იმედგაცრუებას აბრალებთ, მაგრამ ერთი ადამიანიც არ მეგულება, ვისაც ეს არ განუცდია, მაგრამ ჩვეულებრივად აგრძელებენ ცხოვრებას.

– გააჩნია, ვინ როგორ უძლებს. ზოგიერთის გული ქვისგან განსხვავებით ფაქიზი მასალისგანაა შექმნილი!

– ჩემს სიტყვებს გაიგონებს?

ექიმმა მხრები აიჩეჩა. მას უნდოდა, ბოლომდე მართალი ყოფილიყო.

– ვეტყოდი, რამდენად მნიშვნელოვანია იგი ჩემთვის. იქნებ ყური დაეგდო! – ტარასი თითქმის ტიროდა. მერე გარეთ გავიდა, მისი ცრემლები რომ არავის დაენახა. სკვერის ბოლოში განმარტოვდა და აქვითინდა.

– ჰოი! ცხოვრებავ! აღადგინე გემუდარები! აღადგინე ჩემი გულისთვის! მართალია, არ ვიმსახურებ, მაგრამ შენ ხომ შეგშვენის ასე მოქცევა. თორემ თუ შენს მოწყალებას დასასრული ექნა, მაშინ შენი ვალიდანაც შესაძლებელი ყოფილა ამოსვლა!

მაგრამ ცხოვრება ესოდენ ბოროტი განზრახვის მიზეზით უცოდინარ გენერალს დამსგავსებოდა, რომელიც ბრიყვი სტრატეგივით იქცეოდა, ამდენი ჭურვი რომ დაახარჯა კოპწია ყვავილების უღონო მდელოს. განა სანთელს მოგიზგიზე ცეცხლს უკიდებენ, როცა ოდნავი ალიც საკმარისია? განა ვიცით კია რაიმე ზედმიწევნით? იქნებ ისევე გვეშინოდა დაბადების, როგორც გვეშინია

სიკვდილის? და გაგვყავს დღეები მოჩვენებით წარმატებებში.

ტარასმა მიმოატარა მზერა უღიმღამო ლანდშაფტს და კვლავ ცისკენ აღაპყრო თვალები. სამყარო დუმდა, თითქოს უზენაეს კურთხევას ასე ასრულებსო. ცის უძირო წიაღში განფენილი ვარსკვლავები ოქროს მარცვლებივით ბრჭყვიალებდა. უცებ კარიერი მოაგონდა: ოდესღაც ამის მეასიათასედიც რომ ეპოვა, ხომ მაშინვე მიატოვებდა უდაბნოს. ანა იმ ღამით გარდაიცვალა.

ტარასმა ფული გადასცა დადუმებულ სონიას დასაფლავების ხარჯებისთვის.

– ხომ გესმით, მე მაინც მდგმური ვიყავი, არ მინდა ტყუილ-უბრალოდ სახელი შეებღალოს!

ანა ქმარ-შვილის გვერდით დაასაფლავეს. ტარასი შორიდან შეჰყურებდა პროცესიას, მაგრამ მათგან ყველაზე სევდიანი იყო. იგი არავის დანახებია. როცა ხალხი წავიდ-წამოვიდა, მერეღა მიუახლოვდა საფლავს, მომცრო გორმახი აიღო და თითებით დაფშვნა. გაცრილი მიწა იმავე ბორცვს დაეფინა მშვიდად და უსიცოცხლოდ, მაგრამ ამ უმნიშვნელო ქმედებას არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ტარასი საფლავის გვერდით წამოწვა, უსიცოცხლო მზის ქვეშ, თითქოს საკუთარი ადგილისთვის მიეგნო. ჩამავალი მზე ასპარეზს მალე მთვარეს დაუთმობდა, ვარსკვლავებად ანთებული თვალებით რომ დახედავდა ამ მარადიულ რიტუალს. მთვარე ყველაზე მეტად გარწმუნებს, რომ წარსული ჩავლილი დროა, აწმყო კი იდუმალ ზრახვათა მიმჩქმალავი დრო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი წარსულში მოხდა, აწმყო რომ ცეცხლით გამოჯეკა, ხოლო შეჩვენებამ აჩრდილად აქცია. ასეთი ჟამი იყო, როცა ცეცხლის მნათობი უკვე აღარ ჩანს, თავზე კი

ვარსკვლავებიანი ცა დაგყურებს, შავოსანი ქალი ოქროს სამკაულებით, ხოლო ტარასს ხილვა სწვევია, მზე ესიზმრება, მზესუმზირის მდელო და აგერ, საკუთარი თავიც ამოიცნო, გორმახის მომცრო ბელტებს თითებით რომ ფშვნის, თითქოს კარიერში ოქროს დაეძებდეს. მერე ანას დაინახავს, ქალს, რომელიც მთელი არსებით უყვარდა, ოღონდაც თავის ქმარ-შვილთან მოზეიმეს. ისინი ნათელი მარადიულობით ხარობენ და მხოლოდ ერთხელ იგრძნო ტარასმა მისკენ მომართული საოცარი მზერა, რომელშიც სევდა არ იკითხებოდა, მხოლოდ თანაგრძნობა და მოკითხვა... ასეთი ყოფილა ადგილი მზის ქვეშ, მდუმარე ჩრდილების ალაგი, რომელმაც არაფრით მიიკარა ტარასი, სევდის ფსკერზე ქვასავით მცხოვრები და მიახვედრა, რომ აწი ცხოვრება ტანჯვად, გაძლებად და მონატრებად ექცეოდა.

ბოლოს ტარასი წამოდგა და სოფელს ნელ-ნელა ჩაცდა. ელვით აღჭურვილი საავდრო ცა ცრემლებად იქცა. თუმცა წვიმამ დიდხანს არ გასტანა. მიწის ზედაპირი ჩარეცხა და გზები აატალახა. ყოველი ხე ისე ძალუმად ირხეოდა, თითქოს მთელი ტყე კრუნჩხვას მოეცვა. მერე ყველაფერი დაწყნარდა. ხევებში მდორე მდინარის ფშვინვა გაისმოდა, ჭავლები დგაფუნით ჩნდებოდა და ფოთლები ბრწყინავდა. წყლის ზედაპირს ზოგან წიწვები დაჰფენოდა, თითქოს მდინარის გადამალვას ცდილობსო. გათენება კი ისეთი იყო, გეგონებოდა აბრეშუმის ქსოვილი ოქროს წყლებში ამოევლოთ. მიდამოს ცრემლი და საყვედური აღარ უხდებოდა, უფრო ამომშრალი თვალების სევდიანი მზერა შვენოდა.

ტარასმა კონწიალა ხიდით გადაკვეთა მდინარე და იმ გზაზე გავიდა, ოდესღაც ანდროს თევზები რომ გაჰქონდა გასაყიდად. ჩავლილი მანქანები შორ მაშუქებს თვალის

მომჭრელად უნათებდნენ, რომელიღაც სატვირთო ნჯღრევა-ნჯღრევით შეჩერდა. მძღოლი გადმოვიდა და საკეტების შემოწმებას შეუდგა. ტარასის დანახვისას შეკრთა.

– ვერ გამიყოლებ? – ჰკითხა ტარასმა.

– იცი კია, საით მივდივარ?

– მაინც საით?

– შორს, გადასაკარგავში! – თითქოს ბედზე დაეჩივლოს.

– ჰოდა, მეც სწორედ მაქეთ მინდა! – მშვიდად გაეპასუხა ტარასი – გზაში ლუდს და არაყს შევიძენთ, ფული ოხრად მაქვს!

ეტყობა, ამ უკანასკნელმა სიტყვებმა დიდად იმოქმედა, მძღოლი დათანხმდა და ორივენი კაბინაში ჩასხდნენ. მერე მანქანა სავალ ნაწილზე გადავიდა და სვლას უმატა.

# 4. ახალი თარგმანები

# ტუმას ტრანსტრომერი

## ლექსები თარგმნა ზვიად რატიანმა

## ლისაბონი

ალფამას კვარტალში ყვითელი
ტრამვაი ჩაგრიხინდა ციცაბო
დაღმართზე.
იქ იყო ორი საპატიმრო. ერთი
ქურდებისთვის.
მათ ხელები გამოეყოთ
გისოსებიდან
და ყვიროდნენ, რომ უნდოდათ,
მათთვის სურათი გადაეღოთ.

«აქ კი», თქვა გიდმა და
შეყოვნდა, სიცილს იკავებდა,
«აქ სხედან პოლიტიკოსები».
დავინახე ფასადი, ფასადი,
კიდევ ფასადი, და სულ ზედა
ფანჯარაში – კაცი ტელესკოპით,
რომელიც ზღვისკენ მიემართა.

მშრალი სარეცხი ლურჯ ჰაერში. ცხელი კედლები
და ბუზები – მიკროსკოპული ასოები.
ექვსი წლის შემდეგ ვეკითხები ქალს ლისაბონიდან:
«ეს სიმართლეა თუ მესიზმრა?»

## დეკემბრის საღამო, 1972

მე, უხილავი ადამიანი, როგორც ჩანს, დაქირავებული
მარადიული ხსოვნის მიერ, რათა ვიცხოვრო სწორედ ახლა,
მანქანით ჩავუვლი

დაკეტილ ტაძარს – ხის წმინდანი გადმომდგარა
და იღიმის, უსუსური, თითქოს სათვალე ააცალეს. ის

მარტოა. დანარჩენი არის ახლა, ახლა, ახლა. გრავიტაციის
კანონი გვიზიდავს
დღისით საქმისკენ, ხოლო ღამით ძილისკენ. ომი.

## ადამიანის სიკვდილის შემდეგ

ოდესღაც განცდილი ელდა
და მის შემდეგ დარჩენილი მოელვარე კომეტის კუდი.
ის ჩვენ გვბოჭავს. ტელეეკრანს აბუნდოვანებს.
ცივ წვეთებად ეკიდება ელსადენებზე.

შენ ჯერ კიდევ შეგიძლია ისრიალო თხილამურზე ზამთრის მზეში
ტყის განაპირას, სადაც შარშანდელი ფოთლები შემორჩნენ.
ისინი ჰგვანან სატელეფონო ცნობარიდან დაკარგულ ფურცლებს.
აბონენტების სახელები ყინვამ გამოხრა.

კარგია გრძნობდე, რომ ჯერ კიდევ გიცემს გული,
მაგრამ თანდათან ჩრდილი ხდება გაცილებით რეალური, ვიდრე სხეული.
როგორც სამურაი მოჩანს უმნიშვნელოდ
მისი დრაკონის-ქერცლიანი საჭურვლის ფონზე.

## მარტი, 1979

დაღლილი მათით, ვინც მოდის სიტყვებით, მხოლოდ
სიტყვებით და არა ენით,
მე მივაშურებ დათოვლილ კუნძულს.
სიველურეს არ აქვს სიტყვები.
დაუწერელი თეთრი ფურცლები იშლებიან ოთხივე მხარეს.
თოვლში წავაწყდი ფურირემის ნაფეხურებს:
მხოლოდ ენა, არცერთი სიტყვა.

## რომაული თაღები

ტურისტები უზარმაზარ და ნახევრად ჩაბნელებულ
რომაულ ტაძარში.
თაღების მიღმა სხვა თაღები დაუსრულებლივ.
რამდენიმე სანთლის ლიცლიცი.
მე უსახო ანგელოზი შემომეხვია
და მთელ ტანში ჩამჩურჩულა:
«არასდროს შეგრცხვეს, რომ კაცი ხარ, და იამაყე!
შენში თაღები იხსნებიან და მათ მიღმა სხვა თაღები
დაუსრულებლივ.
შენ არასოდეს დასრულდები, ყველაფერი ისე ხდება,
როგორც ჩაითქვა».
ცრემლებით მზერადაბინდული
მზით დატბორილ პიაცაზე გამოვირიყეთ
მეც, მისტერ და მისის ჯონსებიც, სენიორა საბატინიც, და
ჰერ ტანაკაც.
მათშიც თაღები იხსნებოდნენ და მათ მიღმა სხვა თაღები
დაუსრულებლივ.

## Lamento

მან გადადო კალამი განზე.
რომელიც მშვიდად ასვენია მაგიდაზე.
რომელიც მშვიდად ასვენია ცარიელ ოთახში.
მან გადადო კალამი განზე.

რამდენ რამეზე ვერც დაწერ და ვერც დადუმდები.
თითქოს სადღაც ხდება რაღაც, რაც მას ხელს უშლის.
სამგზავრო ჩანთა გულივით ფეთქავს.

გარეთ უკვე ზაფხულია.
სიმწვანიდან ისმის სტვენა – კაცის თუ ჩიტის?
სახლში დაბრუნებულ სატვირთო მანქანებს ეფერებიან
ალუბლის ტოტები.

გადის კვირები.
ნელა ღამდება.
ფანჯრის მინაზე სხედან ქინქლები:
სამყაროს მოკლე ფერწასული ტელეგრამები.

## მარტო

1
ერთხელ, თებერვლის საღამოს, მე აქ კინაღამ მოვკვდი.
მანქანა მოსრიალდა ყინულზე, გადაცურდა
გზის საწინააღმდეგო მხარეს. შემხვედრი ავტომობილები –
ანთებული ფარები – მოახლოვდნენ.
ჩემი სახელი, გოგონები, ჩემი საქმე –
ყველაფერი თითქოს მომწყდა და რჩებოდა
უფრო და უფრო შორს და უკან. მე გავხდი არავინ,
როგორც ბიჭი სათამაშო მოედანზე მტრების ალყაში.
დიდდებოდნენ მომავალი მანქანების სინათლეები.
ისინი თვალებს მიჭრელებდნენ, როცა საჭეს ვეჭიდებოდი
გამჭვირვალე პანიკაში, რომელიც კვერცხის ცილასავით
ირწეოდა.
ყოველი წამი გაიბერა – მათში გაჩნდა ცარიელი
სივრცეები,
და დაგრძელდა ჰოსპიტალის დერეფნებივით.
თითქოს ვასწრებდი
ამოსუნთქვას, სულის მოთქმას
შეჯახებამდე.
უცებ რაღაც ამოქმედდა: შესაძლოა, ქვიშის ნამცეცი,
შესაძლოა, უცაბედი ქარის ტალღა. წამით ადრე
შეჯახებამდე
მანქანა გზიდან გადავიდა და გახოხდა ხმელ ნამქერზე.
ბილბორდის ძელი
მჭახე გრუხუნით მოწყდა ადგილს
და შეფრინდა სიბნელეში.
შემდეგ – სიჩუმე. მე ვიჯექი სავარძელზე შეკრული ღვედით
და ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა თოვაში ვიღაც,
რათა ენახა, რად ვიქეცი.

2

ნახევარი დღე ვსეირნობდი
ოსტერგოტლანდის გაყინულ ველზე
და არავინ შემხვედრია.
დანარჩენი დედამიწა
სავსეა ადამიანებით. განუწყვეტლივ
იბადებიან, ცოცხლობენ, კვდებიან.
იყო მუდმივად ხილული – იცხოვრო
გამუდმებით სხვების თვალწინ –
სახეს გიფარავს თიხის ნიღბით:
გამომეტყველებით.
ხმაური იკლებს და მატულობს, იკლებს და მატულობს,
ვიდრე ისინი გულმოდგინედ ინაწილებენ
ცას, ჩრდილებს, ქვიშას.
მე მჭირდება ვიყო მარტო
ათი წუთით გამთენიისას
და ათი წუთით საღამოხანს
– გეგმის გარეშე.
ყველა იცდის ყველას კართან.
მრავალი.

## ზამთრის ფორმულები

1
მე ვიძინებ ჩემს საწოლში
და გადაბრუნებული ნავის ქვეშ ვიღვიძებ.
დილის ოთხზე,
როცა ცხოვრების პრიალა ძვლები
ერთმანეთს ცივად ეპყრობიან.
მე დამეძინა მერცხლებს შორის
და არწივებს შორის ვიღვიძებ.

2
ლამპიონი დაჰნათის ყინულს
და ის ბრწყინავს, როგორც ქონი.
ეს არ არის აფრიკა.
ეს არ არის ევროპა.
ეს არის «აქ» და არსად სხვაგან.
და ის, რაც «მე» იყო,
უბრალოდ სიტყვაა
დეკემბრის ღამის ბნელ ბაგეზე.

3
ინსტიტუტის შესასვლელი
ტელევიზორის ეკრანივით
ციმციმებს წყვდიადში.
უხილავი კამერტონი
მზარდ ყინვაში
ხილულ ხმებს გამოსცემს.
ვარსკვლავებით სავსე ცის ქვეშ
ვიგრძენი, როგორ შეისრუტა
ჩემმა პალტომ მთელი სამყარო,
როგორც ბუდემ ჭიანჭველები.

4
სამი მუხა, შავები, თოვლში.
უხეში ღერძით, ნაზი ტოტებით.
ამ გიგანტური ბოთლებიდან
სიმწვანე ამოშუშხუნდება გაზაფხულზე.

5
ზამთრის საღამო. გზაზე მიღოღავს ავტობუსი
და ანათებს. თითქოს გემი მიცურავს ნაძვნარში.
თოვლში ვიწროდ გაჭრილი გზა – დამშრალი არხი.
მგზავრი ცოტაა: რამდენიმე მოხუცი და
რამდენიმე ახალგაზრდა.
რომ გაჩერდეს და შუქი ჩააქროს,
ქვეყნიერება წაიშლება.

## დილის ჩიტები

მანქანას ვაღვიძებ.
საქარე მინა დაბურულია მტვრით.
მზის სათვალე გავიკეთე,
ჩიტის ხმა გამუქდა.
ამ დროს სხვა კაცი ყიდულობს გაზეთს
რკინიგზის სადგურზე
დიდი სატვირთო ვაგონის გვერდით,
რომელიც სუმთლად წითელია ჟანგისაგან
და ბრწყინავს მზეში.
აქ არსადაა სიცარიელე.
გრილი გვირაბი გაზაფხულის თბილ ჰაერში,
რომელსაც ვიღაც მოუყვება ჩქარი ნაბიჯით
და ჰყვება, როგორ დასწამეს ცილი
სათაო ოფისში.
პეიზაჟში უკანა კარიდან
შემოდის კაჭკაჭი,
ის არის შავ-თეთრი.
შაშვი კი დახტის წინ და უკან, წინ და უკან,
ვიდრე ყველაფერს ნახშირივით ჩააშავებს,
გარდა თოკზე გაფენილი თეთრი სარეცხის:
პალესტრინას[3] ყმაწვილთა გუნდი.
აქ არსადაა სიცარიელე.
ფანტასტიკური შეგრძნებაა, როგორ იზრდება ლექსი,
ვიდრე თვითონ ვპატარავდები.
ის კი იზრდება, ჩემს ადგილს იკავებს.
უფრო და უფრო მავიწროვებს.
აი, ბუდიდან გადამაგდო.
ლექსი მზადაა.

## თითქოს ბავშვი ხარ

თითქოს ბავშვი ხარ და მოულოდნელი წყენა
თავზე ჩამოგაცვეს ტომარასავით.
მის ნასვრეტებში ლანდავ მზის სინათლეს
და გესმის, როგორ ხმაურობენ ალუბლები.
რას გიშველის – უზარმაზარი წყენა
გიფარავს თავს და ტანს და მუხლებს.
რამდენიც გინდა, იფართხალე,
გაზაფხულის სიხარულს ვერ გრძნობ.
ახლა თვალებზე ჩამოიფხატე ნაქსოვი ქუდი
და იმზირე ნასვრეტებიდან.
წყალზე თავისით ჩნდებიან და იშლებიან წრეწირები,
მწვანე ბალახი აბნელებს მიწას.

## პირისპირ

თებერვალში ცხოვრება ყუჩდება.
ჩიტებს ფრენა ეზარებათ, ხოლო სული
ეხახუნება პეიზაჟს ისე,
როგორც ნავსაყუდს – ნავი.

ხეებმა ზურგი შემაქციეს.
თოვლის სიღრმე იზომება მკვდარი ბალახით.
ნაფეხურები ბერდებიან გამხმარ ნამქერზე.
ბრეზენტის ქვეშ იფშვნება სიტყვები.

რაღაც მოდის ფანჯარასთან.
მე ვწყვეტ საქმეს და ვიხედები.
ფერები იწვის. ყველაფერი ბრუნდება ჩემკენ.
მე და მიწა დავიძარით ერთმანეთისკენ.

## გადასასვლელი

ცივი ქარი მიცრემლებს თვალებს და მზეები
ცეკვავენ მათში, როცა ვკვეთ ქუჩას,
რომელიც დიდხანს მომყვებოდა, რომლის გუბეებში
გრენლანდიული ზაფხული ბრწყინავს.

როცა ვკვეთ ქუჩას, ვგრძნობ მის ძალას.
ძალას, რომელსაც არაფერი ახსოვს და უნდა.
ბორბლების ქვემოთ, ათასობით წლის სიღრმეში,
არშობილი ტყეა და იცდის.

მეჩვენება, რომ ქუჩა მხედავს.
მის დაბინდულ მზერაში მზეც კი
რუხი ბურთია შავ კოსმოსში. სამაგიეროდ,
ახლა უკვე მე ვკაშკაშებ! და ქუჩა მხედავს.

## კვალი

დილის ორი. მთვარის შუქი. მატარებელი ჩერდება
მინდორში. შორი ქალაქის იშვიათი სინათლეები
ცივად ბჟუტავენ ჰორიზონტზე.

თითქოს ვიღაცას ისე ღრმად ძინავს,
ვერც გაიხსენებს, როცა ცხადში დაბრუნდება,
აქაც რომ იყო.

ან თითქოს ვიღაც ისე ავადაა,
მისი დღეები გადაიქცა რამდენიმე ნათელ წერტილად,
ცივად რომ ბჟუტავს ჰორიზონტზე.

მატარებელი არ დაძრულა.
დილის ორი. სავსე მთვარე. ცოტა ვარსკვლავი.

## ალეგრო

მე ვუკრავ ჰაიდნს ბნელი დღის შემდეგ
და მარტივ სითბოს ვგრძნობ თითებში.

კლავიშებს უნდათ. ურტყამენ რბილი ჩაქუჩები.
ხმა არის მწვანე, მშვიდი და ცოცხალი.

მუსიკა ამბობს, რომ არსებობს თავისუფლება –
ვიღაც კეისარს ხარკს არ უხდის.

ხელებს ვიწყობ ჯიბეებში, ვპოულობ ჰაიდნს.
ვბაძავ იმას, ვინც სამყაროს მშვიდად უყურებს.

ჰაიდნის დროშას ვაფრიალებ –
«არ გნებდებით. გვინდა მშვიდობა».

მუსიკა შუშის სახლია ფერდობზე,
სადაც ქვები დაფრინავენ, ქვები გორავენ.

ქვები გადიან მის კედლებში,
მაგრამ ყველა მინა მრთელია.

## მოგონებები მიყურებენ

ივნისის დილა. ჯერ ადრეა გამოღვიძება,
ძილის შებრუნება უკვე გვიანია.

უნდა გავიდე – სიმწვანე სავსეა
მოგონებებით, და ისინი თვალს მაყოლებენ.

ხოლო თვითონ ფონს შერწყმიან
და არ ჩანან. ქამელეონები.

მაგრამ არიან ისე ახლო, სუნთქვაც კი მესმის,
თუმცა ჩიტები ჭიკჭიკებენ გამაყრუებლად.

## შუაზამთარი

ლურჯი სინათლე
ჟონავს ჩემი სამოსიდან.
შუაზამთარი.
ყინულების დაირები გუგუნებენ.
მე ვხუჭავ თვალებს.
სადღაც არსებობს ჩუმი სამყარო.
არსებობს ბზარი, საიდანაც
მკვდრები უნებართვოდ გადმოჰყავთ
საზღვარზე.

# იურეკ ბეკერი

## ორი ესე – გერმანულიდან თარგმნა დავით კაკაბაძემ

*გაზაფხულზე გამომცემლობა «ინტელექტმა» დასტამბა ცნობილი გერმანელი მწერლის, იურეკ ბეკერის რომანი «მატყუარა იაკობი», რომელსაც მისმა არანაკლებ ცნობილმა ამერიკელმა თანამოკალმემ, ლუის ბეგლიმ, ჰოლოკოსტის თემაზე შექმნილი «დიდი ლიტერატურის მცირერიცხოვან ნიმუშთა» შორის მიუჩინა ადგილი.*

*იურეკ ბეკერი დაიბადა 1937 წლის 30 სექტემბერს, პოლონეთის ქალაქ ლოძში. ბავშვობა ლოძის ებრაელთა გეტოში გაატარა, მოგვიანებით, მშობლებთან ერთად, რავენსბრიუკისა და ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკების პატიმარი იყო. ომის დამთავრების შემდეგ დასახლდა აღმოსავლეთ ბერლინში. სწავლობდა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტსა და ბაბელსბერგის უმაღლეს კინოსკოლაში. წერდა სცენარებს კინოფილმებისთვის. გდრ-ში ჩაბმული იყო დისიდენტურ მოძრაობაში. 1977 წელს დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად გადავიდა დასავლეთ ბერლინში. გერმანულენოვან სამყაროში საყოველთაო აღიარება მოუტანა 1969 წელს გამოქვეყნებულმა რომანმა «მატყუარა იაკობმა», რომელიც თავიდან კინოფილმის სცენარად იყო ჩაფიქრებული. მოგვიანებით ეს რომანი მართლაც დაედო*

*საფუძვლად ორ ეკრანიზაციას: ერთს გდრ-ში (1974), მეორეს – ჰოლივუდში (1999). ბეკერი გარდაიცვალა 1997 წლის 14 მარტს, ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ სისებიში.*

*მკითხველს ვთავაზობთ იურეკ ბეკერის ორ ესეს, რომელთაც ლიტერატურის ერთმა მკვლევარმა «საპროგრამო» უწოდა. ვფიქრობთ, წიგნის ქართველ მოყვარულებს ეს ესეები დაეხმარება «მატყუარა იაკობის» უკეთ გაგებაში – რომანისა, რომელიც სამართლიანად მიეკუთვნება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვანი ლიტერატურის შედევრთა რიცხვს.*

მთარგმნელისაგან

## ჩემი ებრაელობა

როცა კი წარსულში ვინმე ჩემი წარმომავლობით თუ წარმოშობით დაინტერესდებოდა, მუდამ ვეუბნებოდი, მშობლები ებრაელები მყავდა-მეთქი. ამ სიტყვებს ვიყენებდი მყარი ფორმულასავით, რომელიც ცხადსა და ამომწურავ ინფორმაციას შეიცავდა. თუ დაინტერესებული პირი შედეგად დაასკვნიდა, ესე იგი ებრაელი ბრძანდებითო, მე ვუსწორებდი და ისევ იმ ჩემს ფორმულას ვუმეორებდი: ებრაელები მშობლები მყავდა-მეთქი. განსხვავება რატომღაც მნიშვნელოვნად მესახებოდა, თუმცა ლაპარაკის საგნად არასოდეს გამიხდია. მეტიც, ამაზე წესიერად არც დავფიქრებულვარ.

არადა, იმ გარემოებამ, რომ სწორედ ებრაელების ოჯახში დავიბადე, ჩემს ბიოგრაფიაზე არცთუ უმნიშვნელო გავლენა იქონია. ორი წლის რომ ვიყავი, დედა, მამა და მე ჩემი მშობლიური ქალაქის, ლოძის გეტოს ბინადრები გავხდით – იმ ქალაქისა, მანამდე ცოტა ხნით ადრე სახელი რომ შეუცვალეს და ლიცმანშტადტად მონათლეს. ამას მოჰყვა პატიმრობა რავენსბრიუკისა და ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკებში. ომი რომ დამთავრდა, ჩემი ერთ დროს მეტად მრავალრიცხოვანი ოჯახი, როგორც ვიცი, სამად სამ წევრამდე დაპატარავდა. ჩემს გარდა, ესენი არიან მამაჩემი და დეიდაჩემი, რომელიც მე არ მახსოვს, რადგან პოლონეთში გერმანელების შეჭრისთანავე თავს უშველა და, სავარაუდოდ, ამერიკაში გაიქცა.

მამაჩემი, რომელიც ომის დასასრულს სხვა საკონცენტრაციო ბანაკში იყო, მაშინვე შეუდგა ჩემ ძებნას და მიპოვა კიდეც ერთი ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარებით. კაცმა რომ თქვას, ჩემს

მეხსიერებაში მკაფიო და მწყობრი მოგონებები მხოლოდ ამ დროიდან მოყოლებული ცოცხლობს. მაშინ ხომ უკვე შვიდი წლის ვიყავი, რვა მისრულდებოდა.

გაგონილი მაქვს, რომ სხვების ბავშვობის მოგონებები გაცილებით ადრეულ ასაკში იღებს სათავეს. და რაკი არასგზით არ მსურდა შევგუებოდი აზრს, რომ ამ მხრივ სხვებისგან განსხვავებული ვიყავი, თან ვერც იმას დავყაბულდებოდი, რომ თავში რაღაც რიგზე ვერ მქონდა, ამგვარი სხვაობის მიზეზის დადგენას დიდი დრო შევალიე. ვერ ვიტყვი, რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას მივაღწიე-მეთქი, მაგრამ შედეგი, ალბათ, მართებულად უნდა მივიჩნიო – მანამდე მაინც, სანამ ვინმე უფრო დამაჯერებელ განმარტებას არ შემომთავაზებს. მე კი აი, რა დავადგინე:

ჯერ ერთი, ჩემი მეხსიერების ეს უცნაურად გვიანი დასაბამი, აშკარაა, განდევნის ფენომენს უკავშირდება. დამცავმა მექანიზმმა, რომლის არსებობაც ბედნიერებად უნდა მივიჩნიოთ, როგორც ჩანს, მომწყვიტა მძიმე პერიოდს და ამით, გარკვეულწილად, დამიცვა კიდეც მისგან. მეორეც, ასე მგონია, გასახსენებელი ბევრიც არაფერია. ბანაკში გატარებული დღეები უღიმღამო და ერთფეროვანი იქნებოდა. რაც იქ ხდებოდა, ალბათ, მხოლოდ უფროსებს თუ აღელვებდათ, რადგან ნებისმიერი ამბის მიღმა სასიკვდილო საფრთხეს მხოლოდ ისინი ხედავდნენ, ბავშვებისთვის კი ის ამბები მოსაწყენი იყო და ერთმანეთს ჰგავდა. დასასრულ, მესამე: ვფიქრობ, ჩემს მაშინდელ ყოფას კაცი ცხოვრებას ვერც უწოდებს. იმას, ალბათ, არსებობა უფრო ეთქმოდა. ეს იყო მარტოოდენ აპათია და უხალისობა, სადაც ცხოვრებისეული ფუნქციები მინიმუმს უტოლდებოდა; სადაც ნებისმიერი ქმედება ფასდებოდა იმით, თუ რამდენად ემსახურებოდა

გადარჩენის ამოცანას; სადაც ადგილი არ რჩებოდა ჭვრეტისა და ცნობისმოყვარეობისთვის, მით უფრო – ინტელექტუალური ფიქრისა და განსჯისთვის. ყოველივე იმდროინდელი, როგორც ჩანს, იმგვარი იყო, რომ ჩემმა მაშინდელმა არსებამ მეხსიერებაში შენახვის ღირსად არ მიიჩნია. და ამ სამმა გარემოებამ – ასე დავასკვენი საბოლოოდ – ხსოვნიდან ამომიშალა მთელი ის ხანა, რომელიც წინ უძღოდა გათავისუფლებას. ცხადია, არა მთლიანად; ცხადია, არა ისე უკვალოდ, რომ შემეძლოს ვთქვა, იქ სულ აღარაფერი დარჩა-მეთქი. და მაინც, იმდენად საფუძვლიანად, რომ იმ მცირედს, რაც დარჩა, მოგონებას გაჭირვებით თუ დავარქმევთ.

ომის შემდეგ მამაჩემი ჩემთან ერთად ბერლინში დარჩა. რატომ გადაწყვიტა ასე, ისევ ვარაუდით თუ ვიტყვი, რადგან თავად მას ჩემთან ამაზე საუბარი არ სურდა. თუმცა არ სურდა არა იმიტომ, რომ რაღაც საიდუმლოს გამჟღავნებას ერიდებოდა, არამედ უფრო იმ მიზეზით, რომ კითხვებზე პასუხი თვითონაც არ მოეპოვებოდა და მათ ამიტომ გაურბოდა. ვფიქრობ, ომში მან სამშობლო დაკარგა იმ თვალსაზრისით, რომ სამშობლო, უწინარეს ყოვლისა, მიწა კი არა, ადამიანებია: ნათესავები, მეგობრები, ახლობლები. ეს ხალხი აღარ იყო. ისინი დაიხოცნენ, ან, თუკი გადარჩნენ, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ. ჰოდა, მამაჩემმაც იმ პრინციპს მისდია, რომ, თუ გული არსაით მიგიწევს, ჯობს იქ დარჩე, სადაც უკვე ხარ.

აქ დარჩენის მოტივებიდან მან მხოლოდ ერთზე მიმანიშნა რამდენიმეჯერ – მართალია, არცთუ მკაფიოდ და ცხადად, მაგრამ ისე, რომ შესაძლებლობა მომეცა, თანდათან თავად ჩამომეყალიბებინა გარკვეული აზრი. მითხრა, ჩვენს ძველ ადგილსამყოფელში, პოლონეთში, ანტისემიტიზმი გერმანელების მოსვლის შემდეგ არ

გაჩენილაო. და, რაც უფრო ნაკლები ებრაელი იქნება იქ, მით მეტია ალბათობა, რომ მათ ცხოვრებას გაუმწარებენო. ერთხელ ისიც მითხრა, ბოლოს და ბოლოს, ომი პოლონელ ანტისემიტებს ხომ არ წაუგიათო. იმედი ჰქონდა, რომ ებრაელების დისკრიმინაცია ყველაზე საფუძვლიანად აღმოიფხვრებოდა სწორედ იქ, სადაც თავის დროზე უსასტიკესი ფორმით მძვინვარებდა. და ისე გარდაიცვალა, 1972 წელს, მტკიცედ სწამდა, რომ ამ საკითხში მაინც არ შემცდარა.

ერთხელ კი ასეთი რამ მითხრა: «ანტისემიტიზმი რომ არა, შენ გგონია, წუთით მაინც ვიგრძნობდი თავს ებრაელად?»

ასეა თუ ისე, ბერლინში დარჩენა მომიხდა. არადა, გერმანულის, შეიძლება ითქვას, ინჩი-ბინჩი არ გამეგებოდა. ამ ენის სწავლა მხოლოდ რვა წლისამ დავიწყე და იქნებ ესეც იყოს მიზეზი, რომ მის მიმართ ჩემი დამოკიდებულება მეტად ემოციური გამოდგა. თუ სხვა ბავშვებს მაისის ხოჭოებისა და სარბოლი ავტომანქანების ყოველი მხრიდან თვალიერება იტაცებდათ, მე წაღმა-უკუღმა ვატრიალებდი სიტყვებსა და წინადადებებს. ენის გამალებული შესწავლა ჩემთვის იქცა ერთადერთ გზად იმ დაცინვისა და ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად, რაც სხვაგვარად გარდაუვალი იქნებოდა რვა წლის ბიჭისთვის, წესიერად ლაპარაკიც რომ არ შეეძლო. დღემდე მწამს, რომ ჩემთვის ეს მართლაც ერთადერთი გზა იყო.

ჩემთან წარსულზე სიტყვის ჩამოგდებას მამაჩემი იმთავითვე სრულიად შეგნებულად არიდებდა თავს. ვერ მოვახერხე გამერკვია, რა მიზანს ისახავდა ამ სიტყვაძუნწობით: შესაძლოა, სურდა, თავადაც ამოეგდო მეხსიერებიდან განვლილი წლები, ანუ ეგოისტური მოსაზრებები ამოძრავებდა, ან იქნებ მე

მიფრთხილდებოდა, უნდოდა, ის დრო ჩემგან შორს ყოფილიყო. მაგრამ ამ ორიდან რომელი მიზანიც უნდა ჰქონოდა დასახული, მიღწევით ვერც ერთს ვერ მიაღწია.

სინაგოგაში მამაჩემი იშვიათად დადიოდა, და ისიც იმისთვის, რომ იქ თავის მცირერიცხოვან ნაცნობებს შეხვედროდა. ნაცნობებს-მეთქი, როცა ვამბობ, ძველ ნაცნობებს არ ვგულისხმობ. ეს იყო ხალხი, ვისაც გადატანილი ჰქონდა ბანაკში ყოფნის წლები და ვისთანაც მამაჩემს, ბუნებრივია, ბევრი რამ აკავშირებდა. მე თან არასდროს წავუყვანივარ, მაშინაც კი, როცა ძალიან ვთხოვდი. თითქოს სინაგოგაში სიარული მხოლოდ უფროსების საქმე ყოფილიყოს. მიუხედავად ამისა, ვიცი, რა მოუთმენლად ელოდა ხოლმე ლოცვების დასრულებას, რომ იმ თავის რჩეულებთან წყნარად დალაპარაკების საშუალება მისცემოდა.

ამიტომ არის, რომ სინაგოგაში არასოდეს ვყოფილვარ. უფრო სწორად, ერთხელ ვიყავი, მრავალი წლის შემდეგ, ერთი რეჟისორის თანხლებით. მინდოდა, მასთან ერთად მენახა, რა და როგორ ხდება სინაგოგაში, რათა ჩვენს მომავალ ფილმში ებრაული რიტუალების გადაღებისას უხეში შეცდომები აგვეცილებინა თავიდან. არც მანამდე, არც მერე იქ არ ვყოფილვარ.

მშვენივრად მესმის, რომ ასეთი ვითარება სულაც არ მიუთითებს დაუძაბავ ურთიერთობაზე, უღრუბლო და ლაღ დამოკიდებულებაზე. და, რაკი სინაგოგაში ამბები მუდამ რაღაცის გარშემო ხდება, ჩემთვის კი ეს ყველაფერი რაღაცას კი არა, ვიღაცას უკავშირდება, დაძაბულობის მიზეზი, ალბათ, ჩემშივე უნდა ვეძებო.

ებრაელთა საზოგადოებას, მათთან ნაცნობობას, საგანგებოდ არასოდეს ველტვოდი, თუმცა არც თავს

ვარიდებდი. ებრაელი იყო თუ არა ადამიანი, ვისაც ცხოვრება შემახვედრებდა, მხოლოდ შემთხვევით თუ შევიტყობდი ხოლმე, ან სულაც ვერ შევიტყობდი. თუ ამ გარემოებაზე ვინმე საგანგებოდ მიმანიშნებდა, გონებაში მყისვე ეს კითხვა გამიელვებდა: რატომ მეუბნება ამას? შეიძლება ცოტა ვიბნეოდი კიდეც, რადგან მეჩვენებოდა, რომ ის ვინმე ელოდა, როგორც კი ჩემი ებრაელობის ამბავს შეიტყობს, განსხვავებულად მომექცევაო.

ისიც კარგად მესმის, რომ ჩემსავით მხოლოდ ის შეიძლება ფიქრობდეს, ვისთვისაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფის – ამ შემთხვევაში «ებრაელებად» წოდებული ჯგუფის – წევრობა ნებაყოფლობის საკითხია, ანუ გადაწყვეტილება, რომელიც ასეთიც შეიძლება იყოს და ისეთიც. ერთი სიტყვით, ეს ინტელექტუალური არჩევანია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მომსვლია კამათი ამგვარი შეხედულების გამოთქმისას და რა ხშირად გამჩენია ჩემი მოსაზრების თავგამოდებით დაცვის სურვილი. იმის უკან, რასაც ახლა ვიტყვი, არაფერი იგულისხმება: ამ შეხედულების მოწინააღმდეგენი მკეთრად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. ზოგი ეკუთვნის მორწმუნეთა წრეს, ვთქვათ, სიონისტებს, ზოგი თავგადაკლული ანტისემიტია და იზიარებს იმ რასობრივი კანონმდებლობის ავტორთა მოსაზრებას, რომელიც მესამე რაიხის პერიოდში ადამიანს საშუალებას არ აძლევდა, თავადვე გადაეწყვიტა, ებრაელი ყოფილიყო თუ არა.

დღემდე არ ვიცი, რომელია ის ნიშნები, ადამიანის ებრაელობას რომ განსაზღვრავს. თუმცა ვიცი: ზოგს ჰგონია, რომ ეს ნიშნები მკაფიოდაა დადგენილი. მსმენია, ებრაელი ის არის, ვისაც დედა ჰყავს ებრაელიო. ვისაც ასე ჰგონია, ეგონოს, მე ამაში მხარს ვერ ავუბამ. ადამიანი ის

არის, ვისი მშობლებიც ადამიანები არიან, არც მეტი, არც ნაკლები.

ეს ჩემი ურწმუნობა იმ კანონების უარყოფას როდი ნიშნავს, რომელთა ძალითაც მთვარე დედამიწის გარშემო მოძრაობს, ელექტრონი კი – ატომის ბირთვის გარშემო. მე ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ამა თუ იმ ადამიანს ებრაელთა ჯგუფს მიაკუთვნებენ, ყურით მოთრეული მგონია, გარდა ერთი გამონაკლისისა: როცა ადამიანს ამ ჯგუფის წევრობა თავად სურს. ეს ნიშნები უკავშირდება შეხედულებებს, გადმოცემით მიღებულსა თუ ახალშეძენილს, უკავშირდება რიტუალებს, უკავშირდება რწმენას, მაგრამ ისინი იმდენად გამოკვეთილი არ არის, რომ ამ პრობლემატიკის უცოდინარ ადამიანს მათი შეცნობა შეეძლოს. ხომ ვერ იტყვის გეოლოგი ქვაზე, რომელიც თვალით არ უნახავს, ნახევრად ძვირფასი ქვების ჯგუფში შედისო?

შეიძლება ქრისტიანი ვიყო, მერე კი აღარ ვიყო. ასევე შეიძლება, თუ ძალიან მოვისურვე და დიდხანსაც ვეცადე, აღარ ვიყო იტალიელი, რუსი ან ამერიკელი. მაშ, რატომ უნდა აღვმართავდეთ ამ უზარმაზარ წინაღობებს მათ წინაშე, ვისაც ებრაელობა აღარ სურს? ამას არათუ არ ვეთანხმები, არამედ ეს წინაღობები სახიფათო და შემზარავიც მგონია. როგორც ძალა, ჩემზე იმდენად აღმატებული, რომ შესაძლოა, ყოველგვარ წინააღმდეგობას აზრს უკარგავდეს.

ამ პრობლემას ამდენ ადგილს იმიტომ ვუთმობ, იმიტომ ვღელავ და ვკამათობ, ზოგჯერ კი მოთმინებასაც ვკარგავ, რომ ჩემ მაგივრად მეტისმეტად ბევრჯერ გადაუწყვეტია ვიღაც სხვას, რა ვარ და როგორი ვარ: მათ შორის ისიც, ებრაელი რომ ვარ. ჩემს თვალში ეს ჰგავს ოკუპაციას ან

მოწოდებას ვალის დაბრუნებისკენ, რომელიც არასოდეს ამიღია. ვალის გადახდას კიდეც რომ დავთანხმდე, ის ხომ მაინც არ მეცოდინება, რით უნდა გადავიხადო. როგორ მოიქცეს ადამიანი, თუ ის ებრაელია? თუ ვინმე მიპასუხებს, თავს ნუ იმტვრევ, ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნიოო, დავმშვიდდები, ოღონდ ცოტა ხნით. რადგან მერე მომეჩვენება, რომ ებრაელთა რიგებში ამგვარად ჩაწერილის ფუნქცია მხოლოდ მათი რიცხვის გაზრდაა, თუმცა თავად ეს ოდნავაც არ ანაღვლებს; ანდა ის უნდა იქცეს კიდევ ერთ პატარა საწონად სასწორის პინაზე, მე კი ეს როლი ნამდვილად არ მეხატება გულზე.

თუმცა ეს საკითხის ერთი მხარეა. მშვენივრად მესმის, ადამიანი მარტო ის როდია, რადაც თავი წარმოუდგენია, არამედ, სურს ეს თუ არა, ისიც უნდა იყოს, რადაც სხვები მიიჩნევენ. უბედურება ესაა. და ამ თვალსაზრისით მე სწორედ ის ვარ, რაც, მინდა თუ არა, სხვების განაჩენის შესაბამისად უნდა ვიყო: ებრაელი. არავითარი სურვილი არ მაქვს, მთელი ძალით გავილაშქრო ამის წინააღმდეგ, ეს უაზრობად მიმაჩნია. ოღონდ ახლავე ვიცი: როგორც კი კბილების ღრჭიალით ბედს დავემორჩილები, ადამიანთა ერთ ნაწილს უთუოდ იმედს გავუცრუებ, ხოლო მეორე ნაწილს ვათქმევინებ, ჩვენი შიში გამართლდაო. მეორე მხრივ, იგივე მოხდებოდა ნებისმიერ სხვა შემთხვევაშიც, როცა ამა თუ იმ ჯგუფში ჩამრიცხავდნენ ჩემივე ნების საწინააღმდეგოდ.

ვფიქრობ, ამასობაში მეტ-ნაკლებად ის მაინც გაირკვა, რას არ ნიშნავს ჩემთვის ჩემი ებრაელობა. ის არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რელიგიური გაერთიანებისადმი კუთვნილების შეგრძნებას. ჩემთვის, ათეისტისთვის, ებრაული რელიგია ისევე გაუგებარია, როგორც ნებისმიერი სხვა და ამ რელიგიით დაინტერესებამ – ვაღიარებ,

ზედაპირულმა დაინტერესებამ – ერთი ნაბიჯითაც ვერ დამაახლოვა მდგომარეობასთან, გაცისკროვნებას რომ უწოდებენ. თუმცა ერთი თვალსაზრისით, რომელსაც ლიტერატურული შეიძლება დაერქვას, ეს რელიგია უკეთ ჩამოყალიბებული და უფრო დამაჯერებელი მეჩვენება, ვიდრე, მაგალითად, ქრისტიანული. (ასეთი ქებისთვის დაინტერესებული პირები, ეჭვგარეშეა, დიდ მადლობას გადამიხდიან.)

ჩემს ებრაელობას არ ახლავს ბედნიერების განცდა იმის გამო, რომ მე, ნებსით თუ უნებლიეთ, ვეკუთვნი ადამიანთა იმ ფართოდ განტოტებულ ჯგუფს, რომელიც, მსგავსად სხვა ანალოგიური ჯგუფებისა, გარკვეულ მოქმედებებს ასრულებს – შესაშურსა თუ სამარცხვინოს. სიამაყეს ვერ ვგრძნობ იმის გამო, რომ კაფკა ებრაელი იყო, თუმცა მისმა ლიტერატურამ ჩემს მწერლობაზე, ვფიქრობ, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა; გული არ მომდის იმის გამო, რომ მაქს ფრიში ებრაელი არ არის, თუმცა ის ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია. არ მრცხვენია იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთში სწორედ ებრაელები იქცევიან ისე, თითქოს სხვებზე უკეთესები იყვნენ და ატარებენ პოლიტიკას, რომლისთვისაც «ყაჩაღურზე» ზუსტი განსაზღვრება ვერ მომიძებნია[4]. მხოლოდ გულისწყრომას ვგრძნობ იმის გამო, რომ ადამიანები ადამიანებს ასე ექცევიან.

გამიჭირდება თქმა, რამდენად დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე, ან რამდენი რამ განაპირობეს ჩემს ცხოვრებაში ადამიანებმა, რომელთათვისაც ებრაელობა ხელშესახები მოცემულობა ან, მეტიც, სიცოცხლის არსი იყო. არ მეეჭვება, რომ ასეთი რამ უწინაც ხდებოდა და ახლაც ხდება, მაგრამ სრულიად უნაყოფო მგონია ამ გავლენის გაზომვა და სხვა გავლენებთან შედარება. ასეთი ცდა,

შესაძლოა, უნაყოფოზე მეტიც კი იყოს და მტრულ დაპირისპირებას დაემსგავსოს.

მახსენდება შემთხვევა, როცა შინ ერთი უცხოელი კაცი გვესტუმრა. მაშინ თერთმეტიოდე წლის ვიქნებოდი. მამაჩემმა ჩემი თავი გააცნო ვიღაც წვერმოშვებულ, თავმოტვლეპილ მოხუცს, რომელსაც პატარა ქუდი ეხურა, მანამდე რომ არასოდეს მენახა. მამამ მას ჩემი სახელი უთხრა, მე კი ხელი გავუწოდე. მაგრამ ის არც განძრეულა, დიდხანს მაკვირდებოდა, მერე კი ოდნავ შესამჩნევად გააქნია თავი, თითქოს რაღაც ვერ გაიგოო. მერე უცებ ხელი დამავლო – პირველ წამს შემეშინდა და წინააღმდეგობის გაწევა ვცადე – და გულში ჩამიკრა. თავი მამაჩემისკენ მივაბრუნე, რადგან დავიბენი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მან ხელის მოძრაობით დამამშვიდა და თითქოს მაგრძნობინა, სტუმარს ნუ გაუწევ წინააღმდეგობას, ყველაფერი რიგზეაო. მეც გავჩუმდი და მორჩილად დავუწყე ლოდინი იმ წუთს, როცა ხელს გამიშვებდნენ. უცებ შევნიშნე, რომ ის უცხო კაცი, რომელიც სულ უფრო მაგრად მიხუტებდა გულში, ტიროდა. ზევით ავხედე, რადგან სხეული ერთიანად უცახცახებდა. თვალდახუჭული იდგა, ცრემლები მის წვერში იკარგებოდა. ყოველნაირად ვცდილობდი, თავი შემეკავებინა და მეც არ ავტირებულიყავი. მახსოვს, ძალიან მინდოდა, როგორმე მენუგეშებინა, მინდოდა მცოდნოდა, რა იყო მისი მწუხარების მიზეზი. ვიდექით ასე, და ის დრო უსასრულოდ მომეჩვენა. მამაჩემისკენ აღარ მივბრუნებულვარ, ახლა ორ საათსაც გავჩერდებოდი ასე გაჩუმებული. მერე უცხო კაცმა ხელი გამიშვა, რაღაც ჩაიბურტყუნა და ოთახიდან გავიდა. მამას და მე ხმა არ ამოგვიღია, სანამ სტუმარი სააბაზანოდან არ დაბრუნდა. ისე დაგვემშვიდობა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, ჩემთვის აღარც შემოუხედავს.

რომ წავიდა, მამაჩემს ვკითხე, ასე რატომ ტიროდა-მეთქი. მამამ მიპასუხა, ამას ჯერ ვერ გაიგებო. მაშინ მეგონა, რომ პასუხს გაექცა, მიზეზი მხოლოდ იმიტომ არ ამიხსნა, რომ თვითონაც არ ესმოდა. დღეს ასე აღარ მგონია.

იმ კაცს აღარასოდეს შევხვედრივარ. მისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს, დავიწყებით კი ვერ დამივიწყებია. როგორც კი ყურს მოვკრავ სიტყვა «ებრაელს» – არა რომელიმე კონკრეტულ პირზე ნათქვამს, არამედ როგორც ზოგადად განმასხვავებელ ტერმინს – უმალ ის კაცი მახსენდება. ის ჩემთვის ერთგვარ ხატად იქცა, რაოდენ ძნელი გასაგებიც უნდა იყოს ეს მათთვის, ვინც მას არასოდეს ჩაუკრავს გულში და ვისაც ის არასოდეს უნახავს ატირებული. ვიგრძენი, რომ მის აღელვებას პირადად ჩემთან არაფერი ჰქონდა საერთო, და არც პირადად მასთან; რომ მისი მღელვარების სათავე იყო ურთიერთობა, რომელშიც არაფერია პირადული. როგორღაც შევიგრძენი იმ კაცის კავშირი მისგან დიდი მანძილით დაშორებულ რაღაცასთან, რაც ყოველივე დანარჩენზე მნიშვნელოვნად ესახებოდა. და, მართალია, თავად მე არ შემწევს უნარი, იმ გზაზე მას მცირე მანძილით მაინც გავყვე, სწორედ იმ კაცის წყალობით შევიტყვე, რომ ეს გზა არსებობს და რომ ის ზოგისთვის ამდენს შეიძლება ნიშნავდეს.

ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ერთიანობის განცდა განსაკუთრებით ძლიერია ადამიანთა იმ ჯგუფში, რომელსაც სხვებზე ხშირად ესხმიან თავს. ვინც ასეთ ვითარებაში იტყვის, ჯგუფის წევრობა აღარ მინდაო, სულ იოლად შერაცხავენ დეზერტირად, ლაჩრად ან ეგოისტად. მაგრამ, თუ ირგვლივ სიმშვიდეა, თუ ჯგუფს თავს არავინ ესხმის და, მაშასადამე, მის არსებობასაც საფრთხეს არავინ უქმნის, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჯგუფი

შეუმჩნევლად და უხმაუროდ დაპატარავდეს. დიალექტიკა თავისას შვრება.

გარემოში, სადაც მე გავიზარდე, ებრაელთა ჯგუფს არავინ დასხმია თავს. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი შემიმჩნევია. და ნამდვილად არ ყოფილა თავდასხმები იმ ადამიანთა კიდევ უფრო გაებრაელების მიზნით, ვინც, გარდა ებრაელობისა, რაღაც სხვასაც სავსებით ბუნებრივად ასახიერებდა. ყველა ვიცნობთ კაცს, თავის შეცდომაზე ნებისმიერ მითითებას ანტისემიტიზმად რომ ნათლავს. ვიცნობთ ამ მთავრობასაც[5], რომელიც თავის შეცდომაზე ნებისმიერ მითითებას ანტისოციალისტურს უწოდებს. ამ საკითხში მართლაც სიფრთხილე გვმართებს.

მხოლოდ ერთს ვიტყვი: ჩემი ბავშვობის ებრაელებს ერთმანეთის გატანა და თავის დაცვა რომ დასჭირვებოდათ, სავსებით შესაძლებელია, მეც ბუნებრივად შევზრდოდი მათს თემს. ან, შესაძლოა, გამოვყოფოდი კიდეც მათ. ეს ჰიპოთეზის მეორე ვარიანტია. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, იქ არაფერი იყო ისეთი, რასაც შეიძლებოდა გამოვყოფოდი. არ იყო კავშირები, რომლებსაც გაწყვეტდი, ან ადათები, რომლებსაც დაივიწყებდი; არ იყო ტრადიციები, რომელთა გამოც არჩევანის წინაშე დავდგებოდი: მიმეღო ისინი თუ არ მიმეღო. ამდენად, თუ ებრაელობა მსურდა, საამისოდ თავადვე უნდა გავრჯილიყავი. ირგვლივ არავინ იყო ისეთი, ვინც ამ გზაზე დამაყენებდა, ჩემით კი ეს არ გავაკეთე. კარგად მოვიქეცი თუ ცუდად, არ გავაკეთე.

საერთოდ, ტრადიციები ჩემთვის, როგორც ვაკვირდები, ბევრს არაფერს ნიშნავს. როცა კი ტრადიციების მიმდევარ ხალხს რაიმე ამგვარი წესის აღსრულებისას შევსწრებივარ, ყოველთვის შევუწუხებივარ რაღაცას,

თუნდაც ისეთი რამ დამენახა, რასაც შენარჩუნების ღირსად მივიჩნევდი. რატომღაც მგონია, რომ ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნვაში ხშირად სწორედ ეს შემაწუხებელი ელემენტები ჭარბობს.

ახალგაზრდობაში ერთხანს კეგლით ვიყავი გატაცებული. სპორტულ კლუბში გავწევრიანდი და დიდი ხალისითაც ვთამაშობდი. ვიდრე თამაშის შემდეგ მონაწილენი კლუბის შენობაში არ შეიკრიბებოდნენ და ლუდის სმასა და სიმღერას არ მოჰყვებოდნენ, თითქოს ეს კეგლის განუყოფელი ნაწილი ყოფილიყოს. მეც, თუკი მსურდა, გარშემო მყოფთ კეგლის მოთამაშედ ვეღიარებინეთ, ასევე უნდა მოვქცეულიყავი. აშკარად ჩანდა, კეგლის კლუბის წევრობა ზოგს მხოლოდ იმისთვის უნდოდა, რომ ლუდი ესვა და ემღერა.

ტრადიციის ერთგულება, რა თქმა უნდა, იგივე არ არის, რაც რაიმე გავლენის ტყვეობაში მოხვედრა ან რომელიმე სკოლის მიმდევრობა. იმ გავლენებზე, რომელთა არსებობასაც ვაცნობიერებ, შემიძლია ვილაპარაკო, იმათზე, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცი – არ შემიძლია. თუმცა არც მათს არსებობას გამოვრიცხავ.

«მატყუარა იაკობი» რომ გამოიცა, ზოგმა კრიტიკოსმა ჩემზე თქვა, მწერლობაში შოლომ ალეიხემისა და ისააკ ბაშევის ზინგერის ტრადიციებს აგრძელებსო. ფაქტი ის არის, რომ შოლომ ალეიხემი პირველად მას შემდეგ წავიკითხე, რაც სცენაზე ვნახე მიუზიკლი «მევიოლინე სახურავზე», ანუ წიგნის დაწერიდან კარგა ხნის შემდეგ. ზინგერისა კი დღემდე ერთი სტრიქონიც არა მაქვს წაკითხული. სულ არ გამოვრიცხავ, ამ აღიარების წამკითხველმა წამოიძახოს: «აგერ, ბატონო, ხომ ხედავ! სწორედ ეს არის შენში ის ებრაული, კრიტიკოსებმა მართებულად რომ შენიშნეს.

აცნობიერებ თუ არა ამ ნათესაურ კავშირს, აღიარებ მას თუ უარყოფ, სულ ერთია – ის მაინც არსებობს. მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდები, ისევე როგორც ვერ უარყოფ, რომ ქვემოთ არის ქვემოთ, ხოლო ლურჯი – ლურჯი.»

კარგი, ვთქვათ, ვცდები ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იქნებოდა. ვთქვათ, ვერ ვამჩნევ სრულიად აშკარა გავლენებს, ვერ ვხედავ კავშირებს, რომელთა დაუნახაობა ლამის წარმოუდგენელია, თავს ებრაელად ვერ ვგრძნობ, თუმცა ათასგზის ებრაელი ვარ. მერე რა? ჩემს თავს ვეკითხები: განა აუცილებლად უნდა ვეცადო ამ გამოცანის გამოცნობას? განა ეს რამეს შემმატებს? ვშიშობ, რომ არა. ვშიშობ, რომ მხოლოდ უშედეგოდ შევეცდები, ამოვხსნა საიდუმლო, ურომლისოდაც ჩემი ცხოვრება გაღარიბდება.

1977

# უხილავი ქალაქი

ორი წლის რომ ვიყავი, ამ გეტოში აღმოვჩნდი, ხუთისა აქედან ბანაკის გზას გამიყენეს. იმ დროისა არაფერი მახსოვს. ასე მიამბეს, ასე წერია ჩემს საბუთებში, ესე იგი, ასეთი ყოფილა ჩემი ბავშვობა. ზოგჯერ გავიფიქრებ ხოლმე, რა სამწუხაროა, იმ ჩემს საბუთებში სხვა რამე რომ არ წერია-მეთქი. ასეა თუ ისე, გეტოს მხოლოდ ყურმოკრული ამბებით ვიცნობ.

მასზე რამდეჯერმე მელაპარაკა მამაჩემი, თუმცა ყოველთვის უხალისოდ და, მართლაც, სულ რამდეჯერმე. მის სიცოცხლეში ცნობისმოყვარეობა არ მეყო, რომ დაჟინებული კითხვებით სიტყვა დამეცდენინებინა, მერე კი უკვე გვიანი იყო. და მაინც, გეტოზე ისეთი ამბები მაქვს დაწერილი, კაცს ეგონება, ამ სფეროს ექსპერტიაო. ალბათ ვიფიქრე, ბევრი თუ ვწერე, მოგონებები თავისთავად მოვა-მეთქი. ან, შესაძლოა, გარკვეული ხნის შემდეგ ჩემი შეთხზული ზოგიერთი ამბავი მოგონებად მივიჩნიე. თუ ბავშვობის მოგონებებს მოკლებული ხარ, თითქოს მთელი ცხოვრება თან დაათრევ ყუთს, რომელშიც არ იცი, რა დევს. და, რაც უფრო ხანში შედიხარ, ეს ყუთი მით უფრო გემძიმება, მით უფრო გიმძლავრდება მისი გახსნის სურვილი.

ჩემი ოთახის იატაკი ახლა ამ გამოფენის ფოტოებითაა მოფენილი. მოგონებები რომ მქონდეს, მათი მოქმედების ადგილი სწორედ იქ იქნებოდა: ამ ქუჩებში, ამ გალავნის უკან, ამ ხალხში. სურათებზე ყველაზე მეტად ქალები მაინტერესებს: არ ვიცი, როგორი იყო დედაჩემი. ის ბანაკში გარდაიცვალა. მისი ფოტო არ არსებობს. შემიძლია,

არჩევანი რომელიმე ქალზე შევაჩერო, მამაჩემმა მითხრა, ულამაზესი იყოო. აბა, როგორი იქნებოდა.

სურათების უმრავლესობაზე ისეთი სიმშვიდეა, ადამიანი მუდამ რომ მიელტვის, ყოველი ფოტო უშფოთველობას ასხივებს. მათში კეთილი ძველი დროის კვალს ვხედავ. ფოტოგრაფი, როგორც ჩანს, ძალიან ეცადა დაემტკიცებინა, რომ გეტო სულაც არ იყო შემზარავი ადგილი, როგორც მტრის პროპაგანდა ჩაგვჩიჩინებდა, და რომ იქ ყველაფერი ადამიანურად ჰქონდათ მოწყობილი. მერე რა, რომ ის ხალხი ცოტა უცნაური იყო, ცოტა სხვანაირი – ეს ხომ თავიდანვე ყველამ იცოდა. ვინც კიდევ უფრო დააკვირდება, გეტო განსჯისა და ჭვრეტის ადგილადაც კი შეიძლება მოეჩვენოს.

ახალგაზრდა ებრაელი პოლიციელი საბუთებს უმოწმებს საეჭვო გარეგნობის გამვლელს, რაც მთელი მსოფლიოს პოლიციელთა მოვალეობაა; პარიკმახერი, ფოტოგრაფის წინაშე ქუდი რომ მოუხდია, ხის სახლის წინ დგას და მუშტარს ელოდება, შიგნით კი, სახლში, უთუოდ სიმყუდროვე სუფევს. წვერიანი კაცი, რომელიც მოკირწყლულ გზაზე რეზინისსაბურავებიან ურიკას მიაგორებს. აშკარაა, მშრომელი ვინმეა, მაგრამ ვერ იტყვი, მუშაობით ქანცი აქვს გაწყვეტილიო. დიდად შესაბრალისი ის ოთხი ებრაელიც კი არ არის, გალავნის გასწვრივ მკვდარს რომ მიასვენებენ: ოთხი კაცი ერთ ცხედარს რატომ ვერ უნდა მოერიოს, სიკვდილით კი ადამიანი ყველგან კვდება. კაცს ლამის ის გერმანელი გუშაგი უფრო შეგეცოდოს, პატარა ჯიხურთან რომ ატუზულა, სევდიანი და სამშობლოს მოწყვეტილი; გეტოს შესასვლელთან ხომ კაცი აუტანელ სიმარტოვეს გრძნობს – შესვლით იქ არავინ შედის, გამოსვლითაც არავინ გამოდის. სურათები

ადასტურებს, რომ აქაურობას მზრუნველი ხელი არ აკლია, ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც წესი და რიგია.

ერთი სიტყვით, გონებაში ვავითარებ თეორიებს ფოტოგრაფის მიზნებსა და ამოცანებზე. ჩემთვის ნათელი ხდება მისი განზრახვა, ტყუილად ცდილობს ჩემ გაბრიყვებას. მაგრამ უცებ ხდება რაღაც, რაც სულაც არ მომწონს: ცალკეული სურათები ჩემს მზერას ისრუტავენ, მე თითქოს ფოტოებში შევდივარ და ტექსტის დაწერას აღარც ვაპირებ. ვათვალიერებ ორ სურათს, რომლებზედაც ბავშვები არიან გამოსახული. ერთზე ისინი, პატარა ჯამებით, ტოლჩებითა და კოვზებით ხელში, საჭმლის განაწილებას ელოდებიან, მეორეზე წითელი ქუდები დაუხურავთ და ფოტოგრაფს მისჩერებიან. ამ ბავშვებს თამაში შეაწყვეტინეს, მაგრამ მაინც მორჩილად დგანან. არა, მათ შორის არც ერთი არ არის ისე პატარა, მაშინ მე რომ ვიქნებოდი. მაგრამ ამ სურათებზე, ალბათ, მოიძებნება ხალხი, ვინც მიცნობდა, ვინც რაღაც წამართვა, ან მცემა, ან მიბრძანა, ასე და ასე მოიქეციო. იქნებ რომელიმე სურათზე არის ვიღაც, ვინც დღეს ჩემი საუკეთესო მეგობარი იქნებოდა, მთელი ეს ამბავი ცოტა უკეთესად რომ წარმართულიყო.

არ მიყვარს სენტიმენტალობა. ის მხოლოდ გონებას გიმღვრევს. სიამოვნებით ამოვქოლავდი ყველა ხვრელს, საიდანაც ის შეიძლება ამოძვრეს. როგორც კი მამაჩემს გრძნობები მოაწვებოდა, ოთახიდან გავდიოდი და არ ვბრუნდებოდი, სანამ თავს არ მოთოკავდა. უცებ ეს ყველაფერი უმნიშვნელო ხდება, სურათების შემყურეს, თავადაც მეძალება გრძნობები, სხვას კი არა, მე, და იძულებული ვხდები, შევიმშრალო ეს სულელური ცრემლები. ფოტოებზე გოგოები არ ჩანან, მხოლოდ ბიჭებს ვხედავ. სულ ბიჭები და ბიჭები, ნეტავ რატომ? ეს ხომ არ

არის მიზეზი, რომ გოგოები ჩემთვის, რაც თავი მახსოვს, მუდამ განსაკუთრებული არსებები იყვნენ?

ერთ სურათზე აღბეჭდილია ებრაელების სახანძრო რაზმი. ვერაფრით ვერ გამიხსენებია, რა ვიცი ამ სახანძრო რაზმზე. მამაჩემმა მიამბო, რომ გეტოში ასეთი რაზმი მართლაც იყო, მგონი მითხრა, იქ ერთს ვიცნობდიო, თუ რაზმი ყოველთვის იგვიანებდაო, თუ მუდამ რაღაც იწვოდაო, ესეც კი არ მახსოვს წესიერად. არ მშორდება შეგრძნება, რომ წარსულის გახსენებისას ცოტა მეტად უნდა ვძაბავდე გონებას; არ უნდა ვიჯდე გულხელდაკრეფილი და ველოდე, თავისთავად როდის გაცოცხლდება მოგონებები. არადა, გონებას ვძაბავ და თან როგორ! თუმცა სრულიად უშედეგოდ – მხოლოდ სურათებია მიმობნეული ოთახში, ასე წარმოუდგენლად ახლოს.

როცა სურათები მივიღე და ამანათი გავხსენი, მაშინვე მათი ხელახლა დახარისხება მომინდა. მაგრამ რა თანამიმდევრობით? რომელი რომელს ეკუთვნოდა, რომელი რომლისგან უნდა გამეცალკევებინა? პოლიციელები პოლიციელებთან, ქერათმიანები ქერათმიანებთან? თანამიმდევრობა არეულია, იმ ბზარივითაა, ფოტოფირფიტაზე საუკეთესო კადრსაც რომ გააფუჭებს. ისევ და ისევ ვახარისხებ სურათებს, ვცდილობ, ამოვხსნა საიდუმლო. სადგურს კიდეში მოვაქცევ, სასაფლაოსაც კიდეში მოვაქცევ, ქუჩებს შუაში ვათავსებ, ხის სახლებს ერთად ვაწყობ, ქვის სახლებს – ერთად, მათ შორის ქარხნებია, საზღვარი საზღვარს მოსდევს. და ყველაფერი ისევ ამაოა, მეხსიერების ნათურა არა და არ ინთება.

სურათებს დავშტერებივარ და ლამის თვალები დავითხარო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი

მონაკვეთის ძიებაში. მაგრამ რასაც ვხედავ, მხოლოდ სხვათა მიმქრალი ცხოვრებაა, რაღა დროს აღშფოთებაზე თუ თანაგრძნობაზე ლაპარაკია. მინდა შევუერთდე მათ, გზა კი ვერ მიპოვია.

# შერვუდ ანდერსონი

# ღვთისმოსაობა

## ინგლისურიდან თარგმნა გიორგი გოკიელმა

*მოთხრობა ოთხ ნაწილად (კრებულიდან «უაინსბურგი, ოჰაიო»)*

## ნაწილი I

ბენტლების ფერმის სახლში ყოველთვის შეგხვდებოდათ სამი-ოთხი მოხუცი, წინა ვერანდაზე რომ იჯდა, ანდა ბაღში დაბორიალობდა. მათგან სამი ქალი იყო, ჯესის დები – უფერული, ჩუმი არსებები. კიდევ ერთი, თმათხელი და ჭაღარა, უტყვი ბერიკაცი ბიძად ერგებოდა ჯესის.

სახლი ხით იყო ნაშენი: მორებით შეკრულ ჩონჩხს გარედან ფიცრები ჰქონდა შემოჭედილი. უფრო სწორად, ეს ერთი სახლი კი არა, სახლების გროვა იყო, ერთმანეთზე ალალბედად მიჯრილი. შიგნითაც სულ მოულოდნელობებს აწყდებოდით. სასტუმრო ოთახიდან სასადილოში მისასვლელად კიბის საფეხურები უნდა აგევლოთ, და საერთოდაც, ერთი ოთახიდან მეორეში ვერ მოხვდებოდით საფეხურებზე ასვლა-ჩამოსვლის გარეშე. სადილობის დრო რომ მოაწევდა, იქაურობა ფუტკრის სკას ემსგავსებოდა. თუ თავიდან ერთხანს ყველაფერი დუმილით იყო მოცული, მერე უცებ კარები იღებოდა, გაისმოდა კიბეებზე ფეხების ბაკიბუკი, მოგუდული ჩურჩული და ყველა კუთხე-კუნჭულიდან ადამიანები იწყებდნენ გამოსვლას.

უკვე ნახსენები მოხუცების გარდა, ბენტლების სახლს კიდევ არაერთი სხვა ბინადარიც ჰყავდა: ოთხი მოჯამაგირე; სახლის საქმეების გამგებელი ქალი, სახელად დეიდა კელი ბიბი; ჭკუასუსტი გოგო – ელიზა სტაფტონი, რომელსაც ქვეშაგების გაშლა-აკეცვა და

მწველავების დახმარება ევალებოდა; თავლის მომვლელი მეჯინიბე ბიჭი და თავად ჯესი ბენტლი – ყოველივეს ბატონ-პატრონი და გამგებელი.

იმ დროისთვის ამერიკის სამოქალაქო ომი უკვე ოცი წლის დამთავრებული იყო და ჩრდილოეთ ოჰაიოს ის ადგილები, სადაც ბენტლების ფერმები მდებარეობდა, თანდათან იცვლიდა ელფერს, ემშვიდობებოდა პიონერ მოსახლეთა ცხოვრების ყაიდას. ჯესისაც უკვე შეეძინა ხორბლეულის სამკალი მანქანები, აეშენებინა თანამედროვე ბეღლები და დაეშრო თავისი მიწების უმეტესი ნაწილი კრამიტის მილებით საგულდაგულოდ გაწყობილი საწრეტი არხების მეშვეობით. თუმცა, იმისთვის, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ, თუ რა კაცი იყო ეს ჯესი ბენტლი, მის წარსულ ცხოვრებას უნდა მივუბრუნდეთ.

ჯესიმდე ჩრდილოეთ ოჰაიოში ბენტლების ოჯახის არაერთი თაობა სახლობდა. მისი წინაპრები იმ დროს წამოვიდნენ ნიუ-იორკის შტატიდან და დამკვიდრდნენ ამ ადგილებში, როცა ქვეყანა ჯერ სულ მთლად ნორჩი იყო და მიწის ყიდვაც ძალიან იაფად შეიძლებოდა. შუა დასავლეთის მოსახლეთა უმრავლესობის მსგავსად, ბენტლებსაც კარგა ხანს ძლივძლივობით გაჰქონდათ თავი. მიწა, რომელიც დაიკავეს, ხშირტყიანი იყო, ხექცეულითა და ბუჩქნარით დაფარული. მათგან მიწის გასაწმენდად და ტყის გასაკაფად მძიმე და ხანგრძლივი შრომა გაიწია, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც გადარჩა ამოუძირკვავი კუნძები, რომლებისთვისაც ანგარიშგაუწევლობა არ იქნებოდა – მინდვრის დამუშავებისას გუთანი მიწაში დამალულ ფესვებში იჭედებოდა; ყველგან ქვები ეყარა, დაბლობებში წყალი გუბდებოდა; და ახლად ამოზრდილი სიმინდიც ყვითლდებოდა, ჭკნებოდა და ხმებოდა.

როცა ჯესი ბენტლის მამა და ძმები ამ ადგილებს დაეპატრონენ, მიწის გაწმენდის სამუშაოების ყველაზე რთული ნაწილი უკვე მოთავებული დაუხვდათ; მაგრამ ისინი ძველი ყაიდის ადამიანები იყვნენ და მაინც თავდაუზოგავად, მუშა პირუტყვივით ირჯებოდნენ – ისეთსავე ცხოვრებას მისდევდნენ, როგორსაც, საზოგადოდ, იმდროინდელ ფერმერთა უმრავლესობა. გაზაფხულზე და ზამთრის უმეტეს დღეებში ქალაქისკენ, უაინსბურგისკენ მიმავალი შარაგზები ტალახის ტბებს ემსგავსებოდა. ოთხივენი, ოჯახის ახალგაზრდა მამაკაცები, მთელ დღეს მინდვრად, მძიმე ჯაფაში ატარებდნენ, ბლომად ნთქავდნენ უხეშ, ქონიან საჭმელს, ღამღამობით კი ქანცგაწყვეტილი მხეცებივით მიეყრებოდნენ ხოლმე ჩალის ლეიბებზე და იძინებდნენ. მათ ცხოვრებაში ძალიან ცოტა რამ შემოაღწევდა ისეთი, რაც არ იყო ცხოველური და უხეში, ამიტომ გარეგნობაც უხეში და ცხოველური გაუხდათ. შაბათობით, მოსაღამოებულზე, ჩააბამდნენ ხოლმე ცხენებს სამადგილიან ფურგონში და ქალაქისკენ გასწევდნენ. მერე იქაურ სავაჭრო დუქნებში ღუმელთან ჩამოდგებოდნენ და სხვა ფერმერებსა თუ მედუქნეებს ელაპარაკებოდნენ. ტანზე კომბინეზონები ეცვათ, ზამთრობით კი ტალახის შხეფებით დაწინწკლულ მძიმე ჯუბებს ატარებდნენ. დამსკდარ-დაწითლებულ ხელებს მხურვალე ღუმელს უფიცხებდნენ. საუბარი არ ეხერხებოდათ, ამიტომაც უმეტესად დუმდნენ. მას მერე, რაც ხორცის, ფქვილის, შაქრისა და მარილის ყიდვას მოითავებდნენ, უაინსბურგის ერთ-ერთ სამიკიტნოს მიაშურებდნენ ლუდის გადასაკრავად. სასმელის ძალით აღვირს იწყვეტდა ყამირზე გმირული შრომით დათრგუნული მათი ბუნებრივი, ველური ვნებები; რაღაცნაირი ტლანქი და ცხოველური პოეტური აღტყინება ეუფლებოდათ. შინისაკენ მიმავალ

გზაზე ფურგონის კოფოზე ფეხებით შედგებოდნენ და მთელი ხმით შებღაოდნენ ვარსკვლავებს. ზოგჯერ ჩხუბში ჩაებმებოდნენ, ხანგრძლივად და თავგამეტებით; ხანდახან კი სიმღერებსაც შემოსძახებდნენ ხოლმე. ერთხელ ენოქ ბენტლიმ, ბიჭებში უფროსმა, მეხრის მათრახის ტარი ჩასცხო მამამისს, ბერიკაც ტომ ბენტლის და კინაღამ სული გააფრთხობინა. ენოქი ოთხ დღეს თავლის სათივეზე, ჩალაში იმალებოდა და მზად იყო გასაქცევად, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ მყისიერი განრისხების წამს მამა შემოაკვდა. სული იმ საკვებით ედგა, დედა რომ ამარაგებდა. დედისგანვე იგებდა დაჭრილი მამის ამბებსაც. მას მერე, რაც ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, ენოქი თავისი სამალავიდან გამოძვრა და ძველებურად გააგრძელა მიწის გადაბრუნება, ვითომც აქ არაფერიაო.

სამოქალაქო ომმა მკვეთრად შეატრიალა ბენტლების ოჯახის ბედი და უმცროსი ძმის, ჯესის აღზევებას გაუმზადა ნიადაგი. ენოქ, ედვარდ, ჰარი და უილ ბენტლები მოხალისეებად ჩაეწერნენ არმიაში და იმ ხანგრძლივი ომის ბოლოსკენ ერთიმეორის მიყოლებით დაიხოცნენ. ერთ ხანს, მას მერე, რაც ძმებმა სამხრეთს მიაშურეს, მოხუცი ტომი მარტო ცდილობდა ფერმის საქმეების გაძღოლას, თუმცა ხელი მოეცარა და ზედიზედ მეოთხე შვილის დაღუპვის შემდეგ ჯესის შეუთვალა, შინ დაბრუნდიო.

ამას მოჰყვა მისი ცოლის უეცარი გარდაცვალებაც, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავს შეუძლოდ გრძნობდა და ბერიკაცმაც სულ ჩამოყარა ყურები; დაიწყო მალიმალ სიტყვის ჩამოგდება ფერმის გაყიდვასა და ქალაქში გადაბარგებაზე, დასჩემდა მთელი დღე ბოლთის ცემა, თავის ქნევა და რაღაცის ბუტბუტი.

მინდვრის სამუშაოები დადგა და სიმინდის ყანაში მაღალი სარეველები ამოიზარდა. მოხუცმა ტომმა მუშახელი დაიქირავა, ოღონდ, ჭკუით ვერ მოიხმარა. მას მერე, რაც მუშებს დილაადრიან მინდორში გაისტუმრებდა, თვითონ ტყეში წაბორიალდებოდა და კუნძზე ჩამოჯდებოდა ხოლმე. ხანდახან ისე შემოაღამდებოდა, უკან დაბრუნება ავიწყდებოდა და მის ერთ-ერთ ქალიშვილს მამის საძებრად გასვლა უწევდა.

როდესაც ჯესი ბენტლი შინ დაბრუნდა და ფერმა გადაიბარა, ოცდაორი წლის გამხდარი, სუსტი აგებულების ახალგაზრდა კაცი იყო. მანამდე, თვრამეტი წლისამ მიატოვა სახლი, რათა სკოლაში ევლო, წერა-კითხვა ესწავლა და, საბოლოოდ, პრესვიტერიანული ეკლესიის პასტორი გამოსულიყო. ბიჭობაში, როგორც ჩვენში იტყვიან, «თეთრი ყორანი» იყო ძმებს შორის და მათთან საერთო ენას ვერ პოულობდა. ოჯახში მხოლოდ დედას ჰქონდა ჯესის გაგების უნარი და ისიც უკვე მკვდარი იყო. როცა ჯესი შინ დაბრუნდა ფერმის გადმოსაბარებლად, რომელიც იმ დროისთვის ექვსას აკრამდე გაფართოებულიყო, ყველას, მეზობელ ფერმერებსაც და უაინსბურგის მცხოვრებლებსაც, ეცინებოდათ იმის წარმოდგენაზე, რომ ეს ბიჭი შეძლებდა გამკლავებოდა იმხელა საქმეს, რასაც ძლივს ერეოდა მისი ოთხი ღონიერი ძმა.

სიცილის საბაბი კი მართლაც ჰქონდათ. იმდროინდელი საზომებით, ჯესი სულაც არ ჰგავდა მამაკაცს. ტანდაბალი იყო; ძალზედ მოხდენილი და რაღაცნაირი ქალური სხეული ჰქონდა; ახალგაზრდა პასტორების წესისამებრ, შავ, გრძელკალთებიან სერთუკს ატარებდა და შავი, ვიწრო ჰალსტუხი ეკეთა. მეზობლებმა დამცინავი ღიმილი შეაგებეს მრავალი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულ ჯესის

და კიდევ უფრო მეტად გაეცინათ ჯესის ცოლის დანახვაზე, რომელიც ქმარს ქალაქიდან ჩამოჰყვა.

და მართლაც, ქალმა სულ მალე წაიღო წერილი. ამაში, ალბათ, ჯესისაც მიუძღოდა ბრალი; ჩრდილოეთ ოჰაიოს ფერმა სამოქალაქო ომის შემდგომ მძიმე წლებში, შეუფერებელი ადგილი იყო ნაზი ქალისთვის. კეთრინ ბენტლი კი ნაზი ქალი გახლდათ. ჯესი არ ზოგავდა ცოლს, ისევე, როგორც არ ზოგავდა იმხანად არავის თავის გარშემო. კეთრინი ცდილობდა, მეზობელ ქალებს არ ჩამორჩენოდა და ყველა ის საქმე ეკეთებინა, რასაც ისინი აკეთებდნენ; ქმარი კი ხელს არ უშლიდა. კეთრინი მწველავებსაც ეშველებოდა და სახლის სამუშაოს ნაწილსაც კისრულობდა – ლოგინს უგებდა და საჭმელს უმზადებდა კაცებს. მთელი ერთი წელი იმუშავა ასე, ყოველდღე, გარიჟრაჟიდან გვიან ღამემდე. მერე იმშობიარა და მოკვდა.

რაც შეეხება ჯესი ბენტლის, მიუხედვად იმისა, რომ სუსტი სხეულის პატრონი იყო, თავის შიგნით რაღაც ისეთს ატარებდა, რასაც იოლად ვერავინ ჩაუკლავდა. ხუჭუჭა, ყავისფერი თმა ჰქონდა, და ნაცრისფერი თვალები, რომლებიც ზოგჯერ პირდაპირ და მტკიცედ იმზირებოდნენ, ზოგჯერ კი – მერყევად და გაუბედავად. სიგამხდრის გარდა, სიდაბლითაც გამოირჩეოდა. პირის მოხაზულობა კი ისეთი ჰქონდა, მგრძნობიარე და მოუდრეკელ ბავშვებს რომ აქვთ ხოლმე. ჯესი ბენტლი ფანატიკოსი იყო, უდროო დროსა და უადგილო ადგილას შობილი. ამის გამო თვითონაც იტანჯებოდა და სხვებსაც სტანჯავდა. ვერასოდეს აღწევდა იმას, რასაც ცხოვრებისგან ელოდა და არც ის იცოდა, რას ელოდა. შინ, ბენტლების ფერმაში, დაბრუნებიდან სულ მცირე ხანში, ყველა იქ მყოფს კრძალვა გაუჩინა საკუთარი პიროვნების მიმართ და ცოლსაც კი, რომელსაც, წესით,

ისეთივე სიახლოვე უნდა ჰქონოდა მასთან, როგორიც დედამისს ჰქონდა, ეშინოდა ჯესის. მამამისმა, მოხუცმა ტომ ბენტლიმ, ჯესის ჩამოსვლიდან ორიოდე კვირაში საკუთრებაში გადაულოცა მთელი თავისი ადგილ-მამული და თვითონ გვერდზე გადგა. გვერდზე გადგა ყველა. თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის მიუხედავად, ჯესი რაღაც ხერხს ფლობდა, რომლის მეშვეობითაც ადამიანთა სულებს იმორჩილებდა. ის იმდენად სერიოზულად ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა ან ამბობდა, რომ არავის ესმოდა მისი. ყველას, დიდიან-პატარიანად, აიძულებდა, ისე ეშრომათ ფერმაში, როგორც არასდროს ცხოვრებაში; ოღონდ ამ შრომას არავისთვის მოჰქონდა სიხარული. თუკი საქმე კარგად მიდიოდა, მხოლოდ და მხოლოდ – ჯესისთვის და არა მისი ხელქვეითებისთვის. იმ ათასი სხვა ძლიერი მამაკაცის მსგავსად, რომლებიც ბოლო ხანებში იშვნენ აქ, ამერიკის მიწაზე, ჯესი მხოლოდ სანახევროდ იყო ძლიერი. იგი იმორჩილებდა სხვებს, მაგრამ ვერ იმორჩილებდა საკუთარ თავს. ფერმის გაძღოლა ისე, როგორც არასოდეს არავინ გაძღოლია მანამდე, ადვილი საქმე იყო მისთვის. მას მერე, რაც კლივლენდის სკოლაში სწავლას მორჩა და მამისეულ სახლს დაუბრუნდა, შინაურებს გაერიყა და გეგმების დასახვას შეუდგა. დღედაღამ ფერმაზე ფიქრით ჰქონდა თავი გამოტენილი და ამან წარმატება მოუტანა. სხვა ადამიანები ირგვლივ მდებარე ფერმებში მეტისმეტად ბევრს შრომობდნენ, მეტისმეტად იღლებოდნენ და ფიქრის თავიც აღარ რჩებოდათ; ჯესისთვის კი ფერმაზე ფიქრი და წარმატების მისაღწევად დღედაღამ გეგმების დაწყობა დასვენებასავით იყო, ერთგვარად წყურვილს უკლავდა მის მგზნებარე სულს. შინ დაბრუნებისთანავე ჯესიმ ძველ სახლს ფრთა მიუშენა დასავლეთის მხრიდან, შიგ დიდი ოთახი მოიწყო, რომლის ფანჯრების ერთი წყება

საქონლის სადგომს გადაჰყურებდა, მეორე კი – მინდვრებს. ჯესი ფანჯარას მიუჯდებოდა და ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე. საათი საათს მისდევდა, დღე დღეს, ის კი იჯდა ასე, გასცქეროდა მის წინ გადაშლილ მიწებს და ფიქრობდა ცხოვრებაში თავისი ახალი ადგილის შესახებ. ამ დროს, ვნების ცეცხლი, მუდამ რომ ღვივოდა მის გულში, აგიზგიზდებოდა ხოლმე და თვალები მკაცრად აუკიაფდებოდა. ოცნებობდა, რომ მის ფერმას ისეთი მოსავალი მოეწია, როგორიც არცერთ სხვა ფერმას არ ენახა მანამდე იმ შტატში. და შემდეგ კი სხვა რამეც უნდებოდა. სწორედ ამ გამოურკვეველი შინაგანი წყურვილის გამო დასჩემდა თვალების ცეცება და მომეტებული სიტყვაძვირობა. არაფერს დაინანებდა, ოღონდ კი სიმშვიდე მოეპოვებინა, მაგრამ მის გულში ბუდობდა შიში, რომ სწორედ ეს სიმშვიდე იყო მისთვის მიუწვდომელი.

ჯესის სხეულში, თხემიდან ტერფამდე, სიცოცხლე ჩქეფდა. მის ჩია აღნაგობაში თავი მოეყარა არაერთი თაობის ღონიერი მამაკაცების მთელ ძალას. ის ყოველთვის არაჩვეულებრივად ცოცხალი იყო – როგორც პატარა ბიჭობისას, ფერმაში, ისე სიყრმეშიც, სკოლის მოწაფეობის დროს. სკოლაში მთელი სულითა და გულით სწავლობდა ბიბლიას და ღმერთზე ფიქრს უძღვნიდა თავს. მას მერე, რაც ხანი მოემატა და უკეთესად გაიცნო ადამიანები, თავი არაჩვეულებრივ, სხვათაგან განკერძოებულ პიროვნებად წარმოიდგინა. საშინლად ეწადა, საკუთარი ცხოვრება დიდ, მნიშვნელოვან მოვლენად ექცია. ამიტომ, თავის გარშემო ამდენი ზანტი, არაფრის მაქნისი ადამიანის შემყურეს, იმის წარმოდგენაც კი ზარავდა, რომ შეიძლებოდა, ოდესმე თავადაც მათ დამსგავსებოდა. მართალია, ეს მუდმივად საკუთარ ბედისწერასა და დანიშნულებაზე ფიქრებით

მოცული კაცი თითქოს დაბრმავებულიყო და ვერ ხედავდა, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი დაფეხმძიმების მერეც კი ზედმეტად მძიმე, ქალისთვის შეუფერებელ ჯაფას სწევდა ქმრის სამსახურში და სიცოცხლეს ისწრაფებდა ამით. ჯესის არ სდებია გულში სისასტიკე ცოლის მიმართ. როცა მამამისმა, ასაკითა და მძიმე ჯაფით წელგაწყვეტილმა, ფერმა გადაულოცა მას, თვითონ კი კუთხეში მიიკუნჭა სიკვდილის მოლოდინში, ჯესიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ბერიკაცი გონებიდან ამოიგდო.

ოთახში, ფანჯარასთან, იჯდა ჯესი ბენტლი, გადაჰყურებდა მემკვიდრეობით ნარგებ მინდვრებს და თავის საქმეებზე ფიქრობდა. თავლიდან ცხენების ფლოქვების ბაკუნი მოისმოდა, მოუსვენრად ცმუტავდა რქოსანი პირუტყვიც. შორს, მინდორში, მწვანე ბორცვებზე საბალახოდ მიშვებული დანარჩენი ნახირიც მოჩანდა. ფანჯარაში შემოსდიოდა ადამიანთა ხმებიც, იმ ადამიანთა, მისთვის რომ მუშაობდნენ; საწველი ოთახიდან მოისმოდა ყრუ რაკარუკი სადღვებელისა, რომელსაც ჭკუასუსტი გოგო, ელიზა სტაფტონი ანჯღრევდა. ფიქრებს ჯესი გადაჰყავდა ძველი აღთქმის დროინდელ ადამიანებთან, რომლებიც მასავით ფლობდნენ მიწებსა და საქონელს. იხსენებდა, თუ როგორ გადმოდიოდა ზეციდან ღმერთი მათთან სალაპარაკოდ და ნატრობდა, ნეტავი, მეც გადმომხედოს და დამელაპარაკოსო. რაღაცნაირმა ბიჭურმა, მგზნებარე გულისწადილმა შეიპყრო, რაიმენაირად საკუთარ ცხოვრებაშიც მიეღწია სიდიადისა და ბრწყინვალების იმ შარავანდისთვის, რომელიც გადმოვიდა იმ ადამიანებზე. ლოცვას ნაჩვევი კაცი იყო, ღმერთს ხმამაღლა შესთხოვდა ამ წყალობას და თავისივე სიტყვების ჟღერადობა, ყურში რომ ჩაესმოდა, კვებავდა და აძლიერებდა მის აღტყინებას

– მე, ახალი მოდგმის ადამიანი, დავეპატრონე ამ მინდვრებს, – იძახდა იგი. – გადმომხედე მე, ღმერთო, გადმოხედე აგრეთვე ჩემს მეზობლებსაც და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩემამდე ჩაუვლია აქ! ღმერთო, შეჰქმენი ჩემგან მეორე ესაია, მსგავსად იმ ესაიასი, ძველად რომ ცხოვრობდა, რათა ვუწინამძღვრო ადამიანებს და იშვან ჩემგან ძენი, თვითონაც რომ წინამძღვარნი გახდებიან!

ხმამაღლა წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა გზნება შემატა ჯესის. აღელვებული ფეხზე წამოიჭრა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. წარმოსახვამ დაუხატა სურათი, თუ თვითონ როგორ ცხოვრობდა უძველეს დროში, უძველეს ადამიანებს შორის, მის თვალწინ გადაშლილი მიწა კი ერთბაშად უზარმაზარი მნიშვნელობით აავსო: დაასახლა ამ ველებზე კაცთა ახალი მოდგმები, რომლებიც მისგან, ჯესისგან მოედინებოდნენ. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ახლაც, ისევე, როგორც უწინ, გარდასულ დღეებში, ღვთიური განგებით კვლავ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სამეფოები, ადამიანთა ცხოვრებას კი ახალი იმპულსები მისცემოდა; და ყოველივე ეს ღვთისავე რჩეული მსახურის პირით ეუწყებოდა სამყაროს. ჯესის სწორედ ამგვარ მსახურად გახდომა ეწადა.

– ღვთის საქმეთა საკეთებლად მოველ ამ მიწაზე! – ხმამაღლა დაიძახა მან, რაც შეეძლო, წელში გამართა თავისი მოკლე სხეული და მოეჩვენა, თითქოს ღმერთის დასტურის ნიშნად შარავანდედივით რაღაცა აკიაფდა მის თავზემოთ.

საფიქრებელია, რომ შემდგომი თაობების ადამიანებისთვის საკმაოდ რთული იქნება ჯესი ბენტლის გაგება. ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა ჩვენი ხალხის

ცხოვრებაში. კაცმა რომ თქვას, ის, რაც მოხდა, რევოლუცია იყო. ინდუსტრიალიზმის შემოსვლამ თავისი საქმიანი გუგუნითა და ზრიალით, ყურისწამღებმა გნიასმა მილიონობით ახალი ხმისა, რომელიც ოკეანის გაღმიდან მოგვაწყდა, მიმსვლელ-მომსვლელი მატარებლების დგრიალმა, ქალაქების ზრდამ, მათი დამაკავშირებელი ტრამვაის ხაზების მშენებლობამ, რომლებიც სერავენ ქალაქებსა და გვერდით ჩაურბიან ფერმის სახლებს, და ამასთან ერთად, ბოლო დროს გაჩენილმა ავტომობილებმა თავბრუდამხვევი ცვლილებები შემოიტანა შუა ამერიკის ადამიანების ცხოვრებასა და აზროვნების წესში. დღეს ყველა ოჯახში ნახავთ წიგნებს, თუნდაც, ცუდად მოფიქრებულსა და ჩვენი დროის შესაფერისი ნაჩქარევობით დაწერილს; ჟურნალები მილიონობით ვრცელდება, ყოველ ნაბიჯზე იყიდება გაზეთები. ჩვენს დროში, სოფლის დუქანში ღუმელთან მდგომ ფერმერს თავი მთლიანად გამოტენილი აქვს სხვა ადამიანების სიტყვებით – ჟურნალ-გაზეთებმა ამოუვსეს პირთამდე. წინადროინდელი ველური უმეცრება, რომელიც თავის შიგნით მშვენიერ, ბავშვურ უმანკოებასაც ატარებდა, დღეს სამუდამოდ გამქრალია; სოფლის დუქანში ღუმელს მიფიცხებული ფერმერი ძმაა ქალაქელი კაცისა; და თუკი ყურს მიუგდებთ, გაიგონებთ, რომ იგი ისეთივე ენაკვიმატი და ისევე უაზროდ მოლაპარაკეა, როგორც ჩვენ შორის ყველაზე უფრო წარჩინებული ქალაქელი კაცი.

ჯესი ბენტლის დროს, და ზოგადად, სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში, შუა დასავლეთის ფერმერულ რაიონებში ასე არ იყო. ადამიანები იმდენად მძიმე ჯაფას ეწეოდნენ და ისე ძლიერ იღლებოდნენ, რომ კითხვისთვის არ სცხელოდათ. მათ არ გააჩნდათ ლტოლვა ქაღალდზე დაბეჭდილი სიტყვებისადმი. მინდორში მუშაობისას,

ბუნდოვანი, სანახევროდ ჩამოყალიბებული აზრები მოსდიოდათ თავში. ღვთის რწმენა ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი და სჯეროდათ, რომ უფალს შესწევს ძალა, ჯეროვნად წარმართოს მათი ცხოვრება. კვირაობით პატარ-პატარა პროტესტანტულ ეკლესიებში იკრიბებოდნენ, რათა მოესმინათ სიტყვა ღმერთისა და მის საქმეთა შესახებ. იმ დროს ეკლესიები იყო საზოგადოებრივი და გონებრივი ცხოვრების ცენტრები. და დიადი იყო ღმერთის ხატი ადამიანთა გულებში.

ამრიგად, ჯესი ბენტლი, რომელსაც დაბადებითვე დაჰყვა მდიდარი წარმოსახვის უნარი და ცნობისმოყვარე გონება, მთელი სულითა და გულით მიენდო ღმერთს. როცა ომმა მისი ძმების სიცოცხლე წაიღო, ჯესიმ ამაში უფლის ხელი დაინახა. მამამისი რომ დასნეულდა და ვეღარ შეძლო ფერმის საქმეების გაძღოლა, ჯესიმ ამაშიც ღვთიური ნიშანი ამოიკითხა. ის ქალაქში იმყოფებოდა, როცა ამ ამბის შესახებ ცნობა მიიღო და მთელი ღამე ქუჩა-ქუჩა ბორიალსა და ფიქრებში გაატარა. მერეც, როცა შინ დაბრუნდა და ფერმის ასაღორძინებლად შრომას შეუდგა, არ შეუწყვეტია ღამღამობით ტყეში თუ მახლობელ დაბალ გორაკებზე ხეტიალი და ღმერთზე ფიქრი.

ამ სიარულ-სიარულში სულ უფრო მეტად და მეტად მოსდიოდა ფიქრი, რომ მისი საკუთარი პიროვნება მზარდ მნიშვნელობას იძენდა უზენაესის ხელით დაწერილ რაღაც გეგმაში. ერთხელაც სულწასულობა მოაწვა და ინანა, მისი ფერმა რომ მხოლოდ ექვსას აკრ მიწას მოიცავდა. ჯესიმ ღობის კუთხში, ერთ-ერთი მინდვრის პირას დაიმუხლა, ხმამაღალი შეძახილით გაარღვია მდუმარება, მაღლა აღაპყრო თვალები და იხილა ვარსკვლავები, თავზე რომ დანათოდნენ.

ერთ საღამოს, მამის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა კეთრინს, მის მელოგინე ცოლს, წუთით-წუთს მშობიარობა უნდა დაწყებოდა, ჯესი სახლიდან გავიდა და სახეტიალოდ გასწია. ბენტლების ფერმა მდებარეობდა პატარა ხეობაში, რომელშიც უაინ-კრიკი მოედინებოდა. ჯესი გაუყვა მდინარის ნაპირს საკუთარი სავარგულების ბოლომდე და შემდეგ მეზობლების მინდვრებიც გადასერა. გზად ხეობა ხან განივრდებოდა, ხან ისევ ვიწროვდებოდა. ბოლოს წინ ფართო ტყე-მინდვრები გადაეშალა. მთვარემაც გამოანათა ღრუბლებიდან. ჯესი ერთ პატარა გორაკზე ავიდა და ძირს დაჯდა საფიქრელად.

თავში უტრიალებდა აზრი, რომ როგორც ღვთის ჭეშმარიტ მსახურს, თვითონ უნდა ჰქონოდა მფლობელობაში მთელი იმ მიწები, რომლებიც წეღან გადმოიარა. მკვდარ ძმებზე გაიფიქრა და დაადანაშაულა იმაში, რომ არ გასწიეს სათანადო ჯაფა, რათა მეტისთვის მიეღწიათ. მის წინ ქვებზე გადმოჩუხჩუხებდა მთვარის შუქით განათებული პაწაწინა ნაკადული. ჯესიმ კი დაიწყო ფიქრი უძველესი დროის იმ ადამიანებზე, რომლებიც მასავით ფლობდნენ მიწებსა და საქონლის ჯოგებს.

უცნაურმა ბიძგმა, ნახევრად შიშმა და ნახევრად სიხარბემ, შეატოკა ჯესი ბენტლის გული. მან გაიხსენა, თუ ძველ ბიბლიურ მოთხრობაში როგორ გამოეცხადა უფალი იმ სხვა იესეს და დაავალა, გაეგზავნა თავისი ძე დავითი იქ, სადაც საული და ისრაელის რაზმები ებრძოდნენ ფილისტიმელებს მუხნარის ველზე. ამ ფიქრებში თითქმის დაიჯერა, რომ ყველა ოჰაიოელი ფერმერი, ვინც კი მიწებს ფლობდა უაინ-კრიკის ხეობაში, იყო ფილისტიმელი და ღვთის მტერი. «ვაითუ, მათ შორის გამოჩნდეს ერთი ვინმე,» ჩაიჩურჩულა, «ფილისტიმელთა გათელი გოლიათის მსგავსი, ვისაც შეეძლება ჩემი დამარცხება და ჩემი

სამფლობელოების მისაკუთრება.» წარმოიდგინა და თითქოს იგრძნო, თუ რა ამაზრზენი ძრწოლა უნდა შემოსწოლოდა საულის გულს იქამდე, სანამ დავითი მოვიდოდა. ჯესი ფეხზე წამოიჭრა და გაიქცა. მირბოდა ღამის წყვდიადში და ღმერთს უხმობდა სახელით; მისი ხმა კი შორს გაჰყვა ჰაერს დაბალი გორაკების თავზე. «ჰოი, იაჰვე, საბაოთო!», იძახდა ჯესი, «გამომიგზავნე მე ამაღამ ძე საშოსაგან კეთრინისა! მოავლინე ჩემზე წყალობა შენი და მიბოძე მე ძე, სახელად დავით, რომელიც შემწედ გამიხდება და შემაძლებინებს იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ხელიდან გამოვტაცო ეს მიწები ფილისტიმელებს; რათა მივმართო ეს მიწები შენს სამსახურში, ცისქვეშეთში შენი საუფლოს აშენების სამსახურში!»

## ნაწილი II

უაინსბურგელი დევიდ ჰარდი ბენტლების ფერმების მეპატრონის, ჯესი ბენტლის შვილიშვილი იყო. თორმეტი წლის რომ შესრულდა, ბენტლების ძველ საადგილმამულო სახლში გადავიდა საცხოვრებლად. დედამისი, ლუიზა ბენტლი, გოგო, რომელიც იმ ღამით მოევლინა ქვეყანას, როცა ჯესი მინდორში დარბოდა და ღმერთს ყვირილით შესთხოვდა, ძე გამომიგზავნეო, ფერმაში გაიზარდა, დაქალდა და მისთხოვდა უაისბურგელ ყმაწვილ კაცს, ჯონ ჰარდის, შემდგომში ბანკირს. ცოლ-ქმრის ცხოვრება ბედნიერი არ ყოფილა და ყველა თანხმდებოდა, რომ ამაში ბრალი ქალს მიუძღოდა. ლუიზა პატარა ტანისა იყო, შავი თმა და მახვილი, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ბავშვობიდანვე ახასიათებდა აფეთქებები, ხოლო როცა არ მრისხანებდა, ხშირად მოიღუშებოდა ხოლმე და კრინტსაც არ სძრავდა. უაინსბურგში მასზე ხმა დადიოდა, გადაკვრა უყვარსო. მისი ბანკირი ქმარი, საზრიანი და მოწესრიგებული კაცი, ყოველ ღონეს ხმარობდა ლუიზას

გასაბედნიერებლად. როგორც კი ფული იშოვა, უაინსბურგში აგურის დიდი სახლი უყიდა ელმ სტრიტზე, და პირველი კაცი გახდა მთელს ქალაქში, ვინც მსახური აუყვანა ცოლს ეკიპაჟის სამართავად.

მაგრამ ლუიზას გაბედნიერება არაფერს შეეძლო. ისეთი გაცოფება იცოდა, რომ შლეგს ემსგავსებოდა. გაშმაგების დროს ხან მუნჯდებოდა, ხან კი აურზაურსა და შფოთს ტეხდა, ღრიალებდა და ილანძღებოდა. სამზარეულოში დანას დასტაცებდა ხელს და ქმარს მოკვლით ემუქრებოდა; ერთხელ ცეცხლიც კი წაუკიდა სახლს; ხშირად თავის ოთახში დღეობით გამოიკეტებოდა ხოლმე, რათა ადამიანების მზერას გაქცეოდა. მისმა ამგვარმა, ლამის განდეგილურმა ცხოვრებამ საბაბი მისცა ათასგვარ ჭორსა და მონაგონს. ამბობდნენ, თითქოს ნარკოტიკებს იღებდა და იმიტომ ემალებოდა ხალხის თვალს, რომ მთვრალი იყო და არ შეეძლო ამის დაფარვა. ხანდახან, ზაფხულის დღეებში, სახლიდან გავიდოდა და თავის ეტლში ჯდებოდა. მეეტლეს დაითხოვდა, სადავეს ხელში აიღებდა და მთელი სისწრაფით გააქროლებდა ხოლმე ცხენებს ქალაქის ქუჩებში. გზაზე ვინმე გამვლელი რომც შეხვედროდა, მაინც სულ პირდაპირ მიაქანებდა ეტლს და დამფრთხალი მოქალაქე იძულებული ხდებოდა, როგორმე თავი გადაერჩინა. ქალაქის მცხოვრებლებს ეჩვენებოდათ, რომ ქალი მათ გადასრესას ლამობდა. მას მერე, რაც შოლტის ტყლაშუნითა და ბორბლების დგრიალით შემოატარებდა ეტლს უაისბურგის ქუჩებსა და მოსახვევებს, ქალაქგარეთ, სოფლის გზებზე გაიჭრებოდა ხოლმე. როცა სახლებს კარგა მანძილით უკან მოიტოვებდა და ველარავინ ხედავდა, ცხენებს შეანელებდა და ჩორთით სვლაზე გადადიოდა. ეს ველური, თავზეხელაღებული სულისკვეთებაც ერთბაშად გადაუვლიდა ხოლმე;

ჩაფიქრებული სახე უხდებოდა და ჩუმად რაღაცის ბუტბუტს იწყებდა. ხანაც ცრემლით ევსებოდა თვალები. უკან მიბრუნებისთანავე კი ისევ აიწყვეტდა და გიჟურად მიაგელვებდა ცხენებს ქალაქის წყნარ ქუჩებში. და რომ არა მისი გავლენიანი ბანკირი ქმარი, და ის პატივისცემა, რომელსაც ლუიზა თანაქალაქელებში აღძრავდა, მას უკვე არაერთხელ დააპატიმრებდა პოლიცია.

ბიჭი დევიდ ჰარდი ამ ქალის გვერდით იზრდებოდა და რა გასაკვირია, რომ ბევრი სიხარული არ უნახავს თავის ბავშვობაში. იმ დროს მეტისმეტად პატარა იყო საიმისოდ, რომ საკუთარი შეხედულებები ჰქონოდა ადამიანების შესახებ. თუმცა, დროდადრო, რთული იყო, არ გასჩენოდა მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი იმ ქალზე, რომელიც დედად ეკუთვნოდა. დევიდი ყოველთვის მშვიდი, წესიერი ბიჭი იყო და უაისბურგის ბინადრებს კარგახანს მოსულელო ეგონათ. ყავისფერი თვალები ჰქონდა და სულ პატარაობიდანვე ერთი ჩვეულება გამოჰყვა: მიაშტერებდა ხოლმე ხანგრძლივად მზერას საგნებსა და ადამიანებს, თანაც ისე, რომ ვერ გაიგებდით, რას უყურებს, ანდა ხედავს თუ არა საერთოდ რამეს. როცა ყურს მოჰკრავდა, რომ ვინმე აუგს ამბობდა დედამისზე, ან შეესწრებოდა, თუ როგორ ლანძღავდა დედა მამას, შეშინებული გარბოდა და დამალვას ცდილობდა. ხანდახან დასამალ ადგილს ვერც პოულობდა და თავგზა ებნეოდა: მიაბრუნებდა სახეს ხისკენ, ხოლო თუ შინ იყო – კედლისკენ, თვალებს დახუჭავდა და ცდილობდა, სულ არაფერზე ეფიქრა. ადრეული ასაკიდანვე საკუთარ თავთან ხმამაღალ ლაპარაკს დაეჩვია და მის არსებას ხშირად ეუფლებოდა მდუმარე სევდის სულისკვეთება.

იმ დღეებში, როცა ბაბუის მოსანახულებლად ეწვეოდა ხოლმე ბენტლების ფერმას, ბიჭი სრულიად ბედნიერი და

კმაყოფილი იყო. ხშირად იპყრობდა სურვილი, არასოდეს დაბრუნებულიყო უკან, ქალაქში და ერთხელაც, როცა ფერმაში ხანგრძლივად დარჩენის შემდეგ შინ მიბრუნება მოუხდა, რაღაც ისეთი შეემთხვა, რაც დიდხანს ჩაებეჭდა გულში.

დევიდი ქალაქში ფერმის ერთ-ერთ მოჯამაგირესთან ერთად დაბრუნდა. იმას საკუთარ საქმეებზე მიეჩქარებოდა, ამიტომ ბიჭი ეტლიდან გადმოსვა იმ ქუჩის თავში, სადაც ჰარდების სახლი იდგა. შემოდგომის საღამო იყო, ბინდი ეშვებოდა. ცას ღრუბლები გადაფარვოდა. უცებ დევიდს რაღაც დაემართა: შეზარა იმის წარმოდგენამ, რომ უნდა შესულიყო სახლში, სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობდა. ამ ბიძგს აჰყვა და შინიდან გაქცევა გადაწყვიტა. ბაბუამისთან, ფერმაში დაბრუნება დააპირა, თუმცა გზა აებნა და რამდენიმე საათს იბორიალა სოფლის შარაგზებზე დამფრთხალმა და ატირებულმა. გაწვიმდა და ცა ელვამ გასერა. ბიჭს წარმოსახვა აღეგზნო და მოელანდა, თითქოს სიბნელეში რაღაცებს ხედავდა და ესმოდა. დაწმუნებული იყო, რომ მიდიოდა, ხანაც მირბოდა რაღაც საზარელ სიცარიელეში, სადაც მანამდე არავის დაედგა ფეხი. წყვდიადი მის ირგვლივ უსასრულო ჩანდა. ხეებში მქროლავი ქარის ზუზუნი ძრწოლას გვრიდა. როდესაც შორს, გზაზე მომავალ ცხენებშებმულ ეტლს მოჰკრა თვალი, შეშინებული ღობეზე გადაძვრა და გაიქცა. მანამ ირბინა მინდორში, სანამ მეორე გზაზე არ გამოაღწია; მერე მუხლებზე დაეცა და თითებით დაეყრდნო რბილ მიწას. რომ არა ბაბუამისის ხატი, რომლის მონახვის იმედი ამ უკუნში უკვე გადაწურული ჰქონდა, სამყარო, მისი ფიქრით, სრულიად უდაბური ადგილი იყო. ბიჭის ყვირილი ქალაქიდან შინისაკენ მიმავალმა ფერმერმა გაიგონა და როცა შინ მიჰგვარა მამამისს, დევიდი ისე იყო გათანგული

და აღელვებული, რომ აღარც კი ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს.

დევიდის მამამ ბიჭის გაუჩინარების ამბავი შემთხვევის წყალობით შეიტყო: ქუჩაში შეხვდა იმ მოჯამაგირეს ბენტლების ფერმიდან და მისგან იცოდა შვილის ქალაქში დაბრუნების შესახებ. მაგრამ რახან ბიჭმა სახლამდე ვერ მიაღწია, ჯონ ჰარდიმ განგაში დასცა და რამდენიმე თანაქალაქელ კაცთან ერთად ქალაქგარეთ გასწია საძებრად. უაინსბურგში ხმა დაირხა, დევიდ ჰარდი მოიტაცესო. როცა ბოლოს იპოვეს და შინ მიიყვანეს, სახლში შუქი ჩამქრალი დაუხვდათ; სიბნელიდან დედა გამოვიდა და ბიჭს გრძნობით მოხვია ხელები. დევიდს მოეჩვენა, თითქოს ის ერთბაშად სულ სხვა ქალად ქცეულიყო. ვერ იჯერებდა, რომ შესაძლებელი იყო დედამისის ასეთი მშვენიერი გადასხვაფერება. ლუიზა ჰარდიმ საკუთარი ხელით დაბანა ბავშვს პატარა, დაქანცული ტანი და საჭმელი გაუმზადა. როცა ბიჭმა ღამის პერანგი ჩაიცვა და დასაძინებლად გაემზადა, დედამ ლოგინში დასაწოლად არ გაუშვა, არამედ სავარძელში მოიკალათა, სულის შებერვით ჩააქრო შუქი და შვილი მკლავებში ჩაიწვინა. მთელ ერთ საათს იჯდა დედა სიბნელეში და გულში იკრავდა თავის ბიჭს, თან ხმადაბლა ეჟღურტულებოდა. დევიდს ვერ გაეგო, თუ რამ გამოიწვია დედამისის ამგვარი ფერისცვალება. ქალის მუდმივად უკმაყოფილო სახე მის თვალში უცებ გარდაისახა ყველაზე უფრო წყნარ და საყვარელ სახედ, რაც კი ოდესმე ენახა. თვალები აუცრემლიანდა და დედამ კიდევ უფრო მაგრად მიიხუტა მკერდზე. ისევ და ისევ ჟღერდა მისი ხმა, თან არა ისე უხეშად და გამკივანად, როგორც ჩვეულებრივ, როცა ქმარს მიმართავდა ხოლმე; არამედ ეს ნაზი ხმა ჰგავდა წვიმის ხმას, ხეების ფოთლებს რომ ეშხეფება. ამასობაში

კარს მოადგნენ კაცები იმის მოსახსენებლად, რომ ბიჭი ვერ მოიძებნა. დედამ კი დამალა დევიდი და უჩურჩულა, ჩუმად იჯექი, სანამ იმათ არ გავისტუმრებო. დევიდს ეგონა, რომ ეს იყო რაღაც თამაში, რომელიც დედამ წამოიწყო ქალაქელ კაცებთან ერთად და გულიანად იცინოდა. უკვე ეფიქრებოდა, რომ მისი სიბნელეში დაკარგვა და შიშის ჭამა მთლიანობაში არც ისე მნიშვნელოვანი ამბავი იყო. კიდევ ათასჯერ გამოივლიდა მსგავს განსაცდელს, ოღონდ დანამდვილებით სცოდნოდა, რომ გრძელი, ბნელი გზის დასასრულს იპოვიდა ისეთ საყვარელ არსებას, როგორადაც უცბად დედამისი გადაიქცა.

ბავშვობის უკანასკნელ წლებში დევიდი იშვიათად ნახულობდა დედას. ლუიზა მისთვის გახდა უბრალოდ ის ქალი, რომელთან ერთად ოდესღაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. ამისდა მიუხედავად, დედის ხატს გონებიდან მაინც ვერ იცილებდა, რაც ასაკის მატებასთან ერთად კიდევ უფრო მკაფიო ხდებოდა. თორმეტი წლისა რომ შესრულდა, ბენტლების ფერმაში გადავიდა საცხოვრებლად. ეს მოხდა მას მერე, რაც მოხუცი ჯესი ქალაქში ჩავიდა და გადაჭრით მოითხოვა, რომ ბიჭი მისთვის ჩაებარებინათ სამეურვეოდ. ბერიკაცი ღელავდა და დაჟინებით ცდილობდა, თავისი გაეტანა. ჯერ ჯონ ჰარდის ესაუბრა უაინსბურგის შემნახველი ბანკის კანტორაში, ამის შემდეგ კი მამაკაცები ლუიზას ეწვივნენ სალაპარაკოდ სახლში, ელმ-სტრიტზე. ორივეს ეგონა, რომ ქალი ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა, თუმცა შეცდნენ. ლუიზამ ძალიან მშვიდად მოუსმინა, ხოლო როცა ჯესიმ აუხსნა თავისი ჩამოსვლის მიზეზი და მოჰყვა მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა სიკეთეს მოუტანდა ბიჭს სუფთა ჰაერზე და ფერმის ძველი სახლის მშვიდ ატმოსფეროში ცხოვრება, ქალმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

– ატმოსფეროში, რომელიც ჩემი იქ ყოფნით არაა წაბილწული, – მოუჭრა მკვახედ; თან მხრები აუცახცახდა ისე, თითქოს, სადაცაა, სიბრაზისგან უნდა აფეთქებულიყო. – რა თქმა უნდა, ეგ თქვენი ფერმა ზედგამოჭრილი ადგილია ბიჭისთვის, ჩემთვის კი არასდროს ყოფილა, – დაამატა. – მე იქ არასოდეს გჭირდებოდით და რასაკვირველია, ფერმის ჰაერი სულაც არ მრგებდა, არამედ სისხლს მიწამლავდა. თუმცა, დევიდისთვის, ცხადია, ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

ლუიზა შეტრიალდა და კარში გავარდა, კაცები ოთახში ჩამოწოლილ უხერხულ სიჩუმეში დატოვა. მერე კი, როგორც სჩვეოდა, რამდენიმე დღით საკუთარ ოთახში გამოიკეტა და მაშინაც არ გამოსულა გარეთ, როცა ბიჭს გამოუარეს, ფუთაში გამოკრეს მისი ტანისამოსი და შინიდან წაიყვანეს. შვილის დაკარგვამ ერთბაშად გარდატეხა მისი ცხოვრება და თითქოს ქმართან შეხლა-შემოხლის ხალისიც დააკარგვინა. ჯონ ჰარდიმ კი ჩათვალა, ყველაფერი ისე წარიმართა, კაცი უკეთესს ვერც ინატრებდაო.

ამრიგად, პატარა დევიდი ბენტლების ფერმის სახლში, ჯესისთან გადავიდა საცხოვრებლად. იმჟამად მოხუცი ფერმერის ორი და ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ისინიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ, თუმცა ჯესის რიდი ჰქონდათ და იშვიათად იღებდნენ ხმას მისი თანდასწრებით. ერთ-ერთ დედაბერს, რომელიც ახალგაზრდობაში თავისი ცეცხლისფერი თმით თავმომწონეობდა, დედობის თანდაყოლილი ნიჭი აღმოაჩნდა და ბიჭის მზრუნველობა ითავა. ყოველ ღამით, როცა დევიდი ლოგინში წვებოდა, ქალი მის ოთახში შედიოდა, ძირს ჯდებოდა იატაკზე და მის ჩაძინებას ელოდებოდა. როცა ბიჭი ჩათვლემდა, ქალს სითამამე ემატებოდა და უჩურჩულებდა ისეთ რამეებს, რაც იმას შემდეგ სიზმარი ეგონა.

ჩუმი, ნაზი ხმით ქალი საალერსო სახელებს ეძახდა ბიჭს, რომელსაც ეზმანებოდა, თითქოს დედამისი მივიდა მასთან, და რომ ის შეცვლილიყო და ისეთივე დარჩენილიყო, როგორიც გახდა იმ დღეს, როცა დევიდი შინიდან გაიქცა. ბიჭს სითამამე ემატებოდა, გამოიშვერდა ხელს და სახეზე წაუცაცუნებდა იატაკზე მჯდარ ქალს, რითაც ენით უთქმელ სიხარულს ანიჭებდა. ბიჭის გამოჩენამ ყველა გააბედნიერა ძველ სახლში. ჯესი ბენტლის ხასიათის სიხისტე და მოუდრეკელობა, რაც სახლის ბინადრებს ჩუმ და მოკრძალებულ არსებებად აქცევდა და რაც არასოდეს შერბილებულა გოგონა ლუიზას იქ ყოფნის დროს, თვალსა და ხელს შუა განქარდა ბიჭის გამოჩენის შემდეგ. თითქოს ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა ამ კაცს და ვაჟიშვილი გაუგზავნა.

კაცმა, რომელმაც თავი ღმერთის ერთადერთ ჭეშმარიტ მსახურად გამოაცხადა მთელ უაინ-კრიკის ხეობაში, და ღმერთს ევედრებოდა, დასტურის ნიშნად გამოეგზავნა მისთვის ვაჟიშვილი კეთრინის საშოდან, დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ბოლოს და ბოლოს მისი ლოცვები შესმენილ იქნა. იმხანად მხოლოდ ორმოცდათხუთმეტი წლისა იყო, თუმცა შესახედავად ჰგავდა სამოცდაათი წლის ბერიკაცს, გახუნებულს გაუთავებელი ფიქრებისა და გეგმების დაწყობისგან. იმდენი ღონე იხმარა თავისი ადგილ-მამულების გასაფართოებლად, რომ ამან ნაყოფი გამოიღო და ხეობაში თითო-ოროლა ფერმაღა იყო შემორჩენილი, რომლებიც მის სამფლობელოში არ შემოდიოდა; ამისდა მიუხედავად, დევიდის მოსვლამდე ის მაინც მწარედ იმედგაცრუებულ კაცად რჩებოდა.

ორი ძალა ზემოქმედებდა ჯესი ბენტლის არსებაზე მთელი მისი ცხოვრების მანძილზე და მისი გონებაც ამ ძალების ბრძოლის ველად იყო ქცეული. პირველი მოჰყვებოდა

წარსულიდან: მას სურდა, ყოფილიყო ღვთის კაცი და ღვთის კაცთა წინამძღოლი. მისმა ღამეულმა ხეტიალმა მინდვრებსა და ტყეებში ბუნებას დაუახლოვა იგი; ამ მგზნებარედ მორწმუნე კაცში არსებობდა ძალები, რომლებიც ბუნების ძალებთან შერწყმას ლამობდა. ის იმედგაცრუება, რომელიც იწვნია, როცა კეთრინმა ბიჭის მაგივრად გოგო გაუჩინა, ვიღაცის უჩინარი ხელით მიყენებულ დარტყმას ჰგავდა და ამ დარტყმამ ოდნავ შეარბილა მისი ამპარტავნება. ჯესის ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო, ღმერთი ნებისმიერ წუთს თავად გამოცხადებულიყო ქართა და ღრუბელთაგან; თუმცაღა, ბერიკაცი უკვე აღარ მოითხოვდა უფლისგან ასეთ აღიარებას, არამედ ლოცვებში შესთხოვდა ამ წყალობას. ზოგჯერ ეჭვები შეიპყრობდა ხოლმე და წარმოიდგენდა, რომ ღმერთმა მიატოვა სამყარო. ხშირად სინანული იპყრობდა იმის გამო, რომ ბედმა არ მისცა საშუალება, ეცხოვრა იმ უფრო უბრალო და ნეტარ დროს, როდესაც ცაში რომელიმე არაჩვეულებრივი ღრუბლის გამოჩენა ნიშანი იყო მამაკაცებისთვის, დაეტოვებინათ სახლ-კარიც, მამულებიცა და გასულიყვნენ უდაბნოში, რათა ახალი მოდგმებისთვის მიეცათ დასაბამი. მიუხედავად იმისა, რომ იგი დღედაღამ მუშაობდა თავისი სამფლობელოების გასაფართოებლად და მეტი შემოსავლის მისაღებად, მაინც წუხდა, რომ ვერ გამოიყენა მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგია ტაძრების მშენებლობისთვის, ურწმუნოთა შესამუსრად და, ზოგადად, სათანადოდ არ იღვაწა დედამიწაზე ღვთის სახელის განსადიდებლად.

აი, რა სწყუროდა ჯესის, თუმცა კიდევ სხვა რამეც სწყუროდა. ის გაიზარდა და დაკაცდა ამერიკაში, სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში და, მისი დროის სხვა ადამიანების მსგავსად, მისთვისაც დაუბერა იმ ახალმა

სიომ, რაც თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის დაბადებას მოჰყვა. ჯესიმ დაიწყო მანქანების შესყიდვა, რომლებიც საშუალებას აძლევდა ჯეროვნად შეესრულებინა ფერმის სამუშაოები, თან ნაკლები მუშახელი დაექირავებინა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, ახალგაზრდა რომ ვიყო, ფერმერობას საერთოდ თავს დავანებებდი და უაინსბურგში მანქანათმშენებელ ქარხანას ავაშენებდიო. თვითონაც გამოიგონა ერთი – მავთულისგან ღობეების დამამზადებელი მანქანა. ახალი ჩვევაც შეიძინა: ჟურნალ-გაზეთების კითხვა დაიწყო. გულის სიღრმეში ხვდებოდა, რომ ძველი დროისა და ადგილების სულისკვეთება, რასაც იგი მუდამ ასე სათუთად ელოლიავებოდა საკუთარ სულში, უცხო და შეუსაბამო იყო იმ რაღაცასთან, რაც იზრდებოდა და ძალას იკრებდა სხვების გონებაში. მსოფლიო ისტორიის ყველაზე უფრო მატერიალისტური ეპოქის დასაბამი – იმ ეპოქისა, როცა ომებში იბრძოლებენ პატრიოტიზმის გარეშე, როცა ადამიანები მიატოვებენ ღმერთს და ყურადღებას მხოლოდ ზნეობრივ საზომებზე გადაიტანენ, როცა ძალაუფლების ნება ჩაანაცვლებს მსახურების ნებას და მშვენიერების ცნებასაც თითქმის დაივიწყებს კაცობრიობა ამ შემაძრწუნებელ, გამალებულ რბოლაში ქონების მოხვეჭის გზაზე, – თავის ამბავს მოუთხრობდა ჯესის, ღვთის კაცს, ისევე როგორც გარშემო მყოფ ადამიანებს. მასში გაღვიძებულ ხარბ არსებას სურდა უფრო სწრაფად ეშოვნა ფული, ვიდრე მიწის ხვნით შოულობდა. არაერთხელ ჩასულა ჯესი უაინსბურგში თავის სიძესთან, ჯონ ჰარდისთან, ამ საკითხზე სასაუბროდ.

– შენ ბანკირი ხარ და მოგეცემა ისეთი შესაძლებლობები, მე რომ არასდროს მომცემია, – ეტყოდა ხოლმე და თვალები აენთებოდა. – დღედა»ღამ სულ ამაზე ვფიქრობ. დიდი ამბები მოხდება ამ ქვეყანაში და იმხელა ფული

გაკეთდება, მე რომ არც დამსიზმრებია. ახლა შენ უნდა ივარგო! ნეტავი ახალგაზრდა ვიყო და შენნაირი შანსები გამჩენოდა. მე ვიცი, რასაც ვიზამდი!

ბანკის შენობის შიგნით წინ და უკან დადიოდა ჯესი ბენტლი და ამ ლაპარაკში აღელვება სულ უფრო და უფრო ემატებოდა. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, კინაღამ დამბლა დაეცა, ამიტომ სხეულის მარცხენა მხარე ცოტა მოუსუსტებდა და ლაპარაკის დროს მარცხენა ქუთუთო უთამაშებდა. მერე კი, როცა უაისბურგიდან შინისაკენ გამოსწევდა თავისი ეტლით, გზაზე ღამე ჩამოწვებოდა და ვარსკვლავები გამოანათებდნენ, სულ უფრო უძნელდებოდა ახლობელი და პიროვნული ღმერთის ძველი შეგრძნების გულში გაცოცხლება; იმ ღმერთისა, მაღლა, ზეცაში რომ სუფევს და ყოველწამს შეუძლია გამოიწვდინოს ხელი, მხარზე შეგეხოს და რაიმე საგმირო საქმის შესრულება დაგაკისროს. ჯესის გონება უტრიალებდა ჟურნალ-გაზეთების კითხვით ჩაბეჭდილ წარმოდგენებს იმ ავლადიდების შესახებ, რომელიც ლამის ცალი ხელით, უბრალო ყიდვა-გაყიდვის გზით იშოვეს გამჭრიახმა ადამიანებმა. ბიჭი დევიდის გამოჩენამ კი დიდად შეუწყო ხელი ჯესიში ძველი რწმენის განახლებული ძალით გაცოცხლებას და მას უკვე ეჩვენებოდა, ღმერთმა ბოლოს და ბოლოს წყალობის თვალით გადმომხედაო.

რაც შეეხება ბიჭის ცხოვრებას ფერმაში, ის უთვალავ ახალ და წარმტაც ფერად გადაეშალა. გარშემო მყოფი ყველა ადამიანის კეთილი მოპყრობის პასუხად, მისი თავდაჭერილი ბუნება გაიხსნა, გაიფურჩქნა და მან თითქმის ჩამოიცილა ჩვეული რიდი და გაუბედაობა თავისიანების მიმართ. ღამღამობით, თავლებსა და მინდვრებში გადამხდარი თავგადასავლების გრძელი

დღის დასასრულს, როცა ძილის დრო ახლოვდებოდა, ანდა მას მერე, რაც ბაბუასთან ერთად ეტლით სათითაოდ დაივლიდა ფერმიდან ფერმაში მიმავალ გზებს, ბიჭს სურვილი უჩნდებოდა, გულში ჩახუტებოდა ყველა ადამიანს, ვინც კი სახლში დაუხვდებოდა. თუკი შერლი ბენტლი, ქალი, ყოველ ღამით რომ შედიოდა მის ოთახში, საწოლის გვერდით, იატაკზე დასაჯდომად, ოდნავ დაიგვიანებდა, ბიჭი კიბის თავში ადიოდა, ყვირილს მორთავდა და მისი ბავშვური ხმა ავსებდა ვიწრო, დიდი ხნის მანძილზე სიჩუმეს ნაჩვევ დერეფნებს. დილით, ახალგაღვიძებულზე, ლოგინში გაუნძრევლად იწვა ხოლმე და ტკბებოდა ფანჯრიდან შემომავალი ბგერებით. ძრწოლით აგონდებოდა უაინსბურგულ სახლში გატარებული დღეები და დედამისის ბრაზიანი ხმა, რომლის გაგონებაზეც მუდამ კანკალი იპყრობდა ხოლმე. აქ, სოფელში კი ყველა ბგერა საამო იყო. გარიჟრაჟზე მასთან ერთად იღვიძებდნენ ცხოველებიც სახლსუკან მდებარე სადგომში. სახლში მყოფი ადამიანებიც აფუსფუსდებოდნენ. ფერმის მუშა ფერდში მუჯლუგუნს წაჰკრავდა ჭკუასუსტ გოგოს, ელაიზა სტაფტონს, ის კი გაიკისკისებდა. მოშორებით, მინდორში, ძროხა დაიბღავლებდა და სადგომებიდან საქონელი გამოეპასუხებოდა; მოჯამაგირე კი შეუძახებდა ცხენს, რომელსაც საჯინიბოს კართან ასუფთავებდა. დევიდი საწოლიდან წამოხტებოდა და ფანჯარასთან მიირბენდა. ყველა ამ ადამიანის ფუსფუსი მის ირგვლივ გონებას უფორიაქებდა და დედაზე ფიქრი მოსდიოდა, ნეტა რას შვრება ახლა იქ, ქალაქშიო. თავისი ოთახის ფანჯრიდან ბიჭი ვერ ხედავდა ცხოველების სადგომს, სადაც ახლა ფერმის მუშები ერთად შეგროვილიყვნენ, მაგრამ ესმოდა ადამიანთა ხმები და ცხენების ჭიხვინი. როცა რომელიმე მუშა გაიცინებდა, დევიდიც იცინოდა. ღია ფანჯარაში

თავგადაყოფილი იყურებოდა ბაღში, სადაც მსუქანი დედა ღორი დაღრუტუნებდა მის ჩლიქებთან მარბენალ პაწაწინა გოჭების გუნდთან ერთად. გოჭებს ბიჭი ყოველ დილით გადაითვლიდა ხოლმე. «ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი,» ნელა ამბობდა, თითს ენაზე ჩამოისვამდა და ფანჯრის კიდეზე სწორ ხაზებს ავლებდა. მერე კარში გავარდნის სურვილით შეპყრობილი სასწრაფოდ ჩაიცვამდა შარვალ-პერანგს და დაბლა ჩარბოდა. ყოველ დილით კიბის საფეხურებზე ისეთი ბრაგაბრუგი ჰქონდა ატეხილი, რომ სახლის გამგებელი, დეიდა კელი, იძახდა, ეტყობა, სახლის ჩამოქცევა განუზრახავსო. მას მერე, რაც ძველ, გრძელ სახლს გაირბენდა და კარებს გამოიჯახუნებდა, დევიდი საქონლის ბაკში შეიჭრებოდა და განცვიფრებული, მომლოდინე იერით იწყებდა თვალების აქეთ-იქით ცეცებას. ასეთ ადგილას ხომ, მისი წარმოდგენით, ღამე ისე ვერ ჩაივლიდა, რომ საოცარი ამბები არ მომხდარიყო. ფერმის მუშები შეხედავდნენ ხოლმე და სიცილს დააყრიდნენ. ჰენრი სტრეიდერი, ბერიკაცი, რომელიც იმ დღიდან მოყოლებული მუშაობდა ფერმაში, რაც ის ჯესის საკუთრებაში გადავიდა და რომლის ოხუნჯობა არავის გაეგონა დევიდის გამოჩენამდე, ყოველ დილით ერთსა და იმავე ხუმრობას შეაგებებდა ხოლმე. ბიჭს კი ეს იმდენად ახალისებდა, რომ გაიცინებდა და ტაშს შემოჰკრავდა. «მოდი, ერთი, აქ, ამას დახედე,» ყვიროდა ბერიკაცი, «პაპა ჯესის თეთრ ფაშატს შავი წინდა დახევია ჩლიქზე!»

გრძელი ზაფხულის განმავლობაში, ყოველ ცისმარე დღეს ჯესი ბენტლი უაინ-კრიკის ხეობაში აღმა-დაღმა, ფერმიდან ფერმაში დააქროლებდა თავის ძველ, ლაზათიან, თეთრცხენშებმულ ფაეტონს და შვილიშვილსაც ყველგან თან დაატარებდა. ბერიკაცი თეთრ, თხელ წვერს მოიქექავდა და ხმამაღლა იწყებდა მსჯელობას თავის

გეგმებზე, თუ როგორ აემაღლებინა წეღან მონახულებული მინდვრების მოსავლიანობა, და იმაზე, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ღმერთს ყველა იმ გეგმაში, რომელსაც ადამიანი ისახავს. შიგადაშიგ დევიდს გადახედავდა ხოლმე და ბედნიერად უღიმოდა; შემდეგ კი კარგა ხნით თითქოს ივიწყებდა მის არსებობას. დღითი დღე მის გონებაში სულ უფრო და უფრო ცხოველდებოდა ის ოცნებები, რომლებიც იტაცებდა იმ დროს, როცა პირველად დატოვა ქალაქი და ფერმის მიწაზე გადასახლდა საცხოვრებლად. ერთ დღესაც იმდენად ღრმად შეტოპა ამ ოცნებებში, რომ გვარიანად დააფრთხო დევიდი. მან ბიჭის თვალწინ გადაწყვიტა ერთი რიტუალის შესრულება, რაც მარცხით დამთავრდა და კინაღამ დაამსხვრია ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც იზრდებოდა და ძალას იკრეფდა ბაბუასა და შვილიშვილს შორის.

ჯესი და დევიდი ეტლში ისხდნენ და ხეობას მიუყვებოდნენ სახლიდან რამდენიმე მილის დაშორებით. გზა ტყეს ჩაუდიოდა, შუაგულ ტყეში კი უაინ-კრიკი ქვებზე მიჩუხჩუხებდა და მიიკლაკნებოდა დიდი მდინარისკენ. დილიდან მოყოლებული ჯესი ფიქრებში იყო ჩაძირული და დუმდა, ახლა კი უცბად ალაპარაკდა. გაახსენდა ის ღამე, როცა შეზარა ფიქრმა გოლიათის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა, მოსულიყო, რათა გაეძარცვა და წაერთმია მთელი მისი ავლა-დიდება; და კვლავ, ისევე, როგორც იმ ღამეს, როცა მინდორ-მინდორ დარბოდა და ღმერთს შესთხოვდა, ვაჟიშვილი გამომიგზავნეო, ისე აღეგზნო, რომ ლამის სიგიჟის ზღვარს მიადგა. ჯესიმ ცხენი შეაყენა, ეტლიდან გადმოვიდა და დევიდსაც უბრძანა, გადმოდიო. ამის მერე ორივენი მესერზე გადაძვრნენ და მდინარის ნაპირს გაუყვნენ. ბიჭი ყურადღებას არ აქცევდა ბაბუამისის ბუტბუტს, სირბილით მისდევდა გვერდით და

ელოდა, ნეტა რა მოხდებაო. საიდანღაც კურდღელი გამოხტა და ტყეში გაუჩინარდა. დევიდმა სიხარულით ტაში შემოჰკრა და შეიკუნტრუშა. მერე მაღალ ხეებს ააყოლა თვალი და დანანებით გაიფიქრა, რატომ პატარა ცხოველი არ ვარ, რომ სულ მაღლა-მაღლა უშიშრად აცოცება შემეძლოსო. დაიხარა, მიწიდან ქვა აიღო და ბაბუამისის თავზემოთ, ბუჩქნარში გადაისროლა. «გაიღვიძე, პატარა ცხოველო!» დაიძახა გამკივანი ხმით, «გამო და აცოცდი ამ ხეების კენწეროებზე!»

ჯესი ბენტლი კი მიუყვებოდა ბილიკს ხეებქვეშ, დავდახრილი და ტვინადუღებული. მისი ეს მდუმარე განწყობა გადაედო ბიჭსაც, რომელიც მალევე გაყუჩდა და ცოტათი დაიძაბა კიდეც. ბერიკაცს კი უცებ მოუვიდა აზრი, რომ სწორედ ის წამი დადგა, როცა შეეძლო გამოეწვია ღვთისგან სიტყვა ან სხვა რამ ზეციური ნიშანი; და რომ თუ ის და ბიჭი მუხლს მოიყრიდნენ ტყის რომელიმე უკაცურ ადგილას, სასწაული, რომელსაც ასე ელოდა, აუცილებლად მოხდებოდა. «სწორედ ამგვარ ადგილას მწყემსავდა ის სხვა დევიდი თავის ცხვრებს», ბუტბუტებდა თავისთვის, «როცა მამამისი მივიდა მასთან და უბრძანა, საულს ხლებოდა.»

ამის მერე ბიჭს საკმაოდ უხეშად წაავლო მხარში ხელი, გადააბიჯა წაქცეულ ხეს და როგორც კი ხეებს შუა პატარა ველობზე აღმოჩნდა, მუხლებზე დაეცა და ხმამაღლა ლოცვა დაიწყო.

დევიდი ჯერაც განუცდელმა ძრწოლამ აიტანა. ხის ქვეშ მოკუნტულიყო, უცქერდა მის წინ მიწაზე დამხობილ კაცს და თვითონაც მუხლები ეკეცებოდა. ეჩვენებოდა, რომ იქ, მასთან იმყოფებოდა არა მხოლოდ ბაბუამისი, არამედ კიდევ ვიღაც სხვაც – ის, ვისაც მისი წყენინება შეეძლო,

ვინც არ იყო გულკეთილი, არამედ იყო საშიში და სასტიკი. ბიჭი ატირდა, მერე დაიხარა, ძირიდან პატარა ჯოხი აიღო და მაგრად მოუჭირა ხელი. როცა ჯესი ბენტლი, ამ თავისი უეცარი აზრით მოცული, წამოდგა და მიუახლოვდა, დევიდი შიშმა აიტანა და მთელი სხეულით ცახცახი დააწყებინა. ტყეში, სადაც იდუმალებას მოეცვა ყველაფერი, უეცრად სიჩუმიდან ამოიზარდა ბერიკაცის უხეში და მტკიცე ხმა. ჯესიმ მხარში ჩასჭიდა ბიჭს ხელი, ზეცისკენ აღაპყრო თვალები და დაიძახა. ამ დროს სახის მთელი მარცხენა მხარე დაეკრუნჩხა და ბიჭის მხარს ჩაფრენილი ხელიც აუკანკალდა. «ღმერთო, გადმომხედე, მომეც ნიშანი,» იყვირა მან. «აგერ ვდგავარ შენს წინაშე, ბიჭი დევიდის გვერდით. გარდმომივლინე ზეციდან არსება შენი და დამენახე სახითა შენითა!»

დევიდმა შიშით შეჰყვირა, გაიბრძოლა, ხელიდან დაუსხლტა ბერიკაცს და ტყეში შევარდა. ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ზევით თვალებაპყრობილი კაცი, ზეცას რომ მოუხმობდა ღრიალით, ბაბუამისი იყო; ის სულ აღარ ჰგავდა ბაბუამისს. ბიჭმა გადაწყვიტა, რომ მოხდა უცნაური და საზარელი რამ, და რომ ვიღაც სხვა, უცხო და საშიში პიროვნება სასწაულებრივად ჩასახლდა კეთილი მოხუცის სხეულში. ამ აზრით მოცული ფერდობზე ჩამორბოდა და ხმამაღლა ზლუქუნებდა. სირბილის დროს ხის ფესვს წამოჰკრა ფეხი, დაეცა და მიწას დაარტყა თავი. სცადა წამოდომა და სირბილის გაგრძელება, მაგრამ თავი ისე სტკიოდა, რომ ისევ დაეცა და ვეღარც გაინძრა. როცა გამოერკვია, აღმოაჩინა, რომ ამასობაში ჯესის ფაეტონში გადაეყვანა იგი, ახლა კი გვერდით უჯდა მწოლიარეს და ნაზად უსვამდა თავზე ხელს. მხოლოდ მაშინღა გადაუარა ძრწოლამ. «წამიყვანე აქედან. იქ, ტყეში, ვიღაც საშინელი კაცია‘« უთხრა დარწმუნებით. ამ დროს კი ჯესის მზერა

კვლავ ხეების თავზემოთ იყო მიმართული, ხოლო ბაგეები კი კვლავ ღმერთს შეჰღაღადებდნენ. «რა შეგცოდე ისეთი, რომ არ გამხადე შენი დასტურის ღირსად?» ჩაიჩურჩულა და მერეც მალიმალ იმეორებდა ამ სიტყვებს იმ დროს, როცა სწრაფად მიერეკებოდა ცხენს და ნაზად იკრავდა მხარზე ბიჭის გახეთქილ და სისხლმდინარე თავს.

**ნაწილი III – დანებება**

ლუიზა ბენტლის ცხოვრების ამბავი, რომელიც შემდგომში მისის ჯონ ჰარდი გახდა და ქმართან ერთად აგურის სახლში ცხოვრობდა ელმ სტრიტზე, უაისბურგში, გაუგებრობის ამბავია.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ქალების გაგება, როგორიც ლუიზა ბენტლია და იმისთვის, რომ მათი ყოფა ყოფას დაემსგავსოს, გონივრული წიგნები უნდა დაიწეროს, გარშემო მყოფმა ადამიანებმა კი გონივრული ცხოვრებით უნდა იცხოვრონ.

ლუიზას, შობილს სუსტი, შრომით წელგაწყვეტილი დედისა და მკაცრი, იმპულსური, მდიდარი წარმოსახვის მქონე მამისგან, ვისაც სულ არ გახარებია ამქვეყნად მისი მოვლინება, ბავშვობიდანვე ნერვების აშლილობა სჭირდა. ერთ-ერთი იყო იმ ზემგრძნობიარე ქალთა მოდგმიდან, რომელიც ინდუსტრიალიზმის ეპოქამ ესოდენ უხვად გააჩინა ჩვენს სამყაროში.

ბავშვობის წლები ამ სიტყვაუთქმელმა, პირქუშმა გოგომ ბენტლების ფერმაში გაატარა. ამქვეყნად ყველაფერზე მეტად სიყვარული სწყუროდა, თუმცა ვერ იღებდა. თხუთმეტი წლისა რომ შესრულდა, უაინსბურგში გადასახლდა, ალბერტ ჰარდის ოჯახში, რომელიც ორთვალა ეტლებისა და ფურგონების სავაჭროს

მეპატრონე და ქალაქის საგანმანათლებლო საბჭოს წევრი იყო.

ლუიზა იმ მიზნით გადავიდა ქალაქში, რომ უაინსბურგის გიმნაზიაში ესწავლა; ჰარდების ოჯახში დასახლდა, ვინაიდან მამამისი და ალბერტ ჰარდი მეგობრები იყვნენ.

ჰარდი, უაინსბურგელი ეტლებით მოვაჭრე, თავისი დროის უამრავი სხვა კაცის დარად, განათლების საქმის ენთუზიასტი იყო. ისე მიაგნო ცისქვეშეთში საკუთარ ადგილს, რომ წიგნებიდან ცოდნის შეძენა სულაც არ დასჭირვებია; თუმცა კი სჯეროდა, წიგნიერი რომ ყოფილიყო, ცხოვრებაში გაცილებით მეტს მიაღწევდა. ამ საგანზე უბამდა საუბარს ყველას, ვინც მის სავაჭროში შედგამდა ფეხს, შინაურებს კი პირდაპირ ტვინს ულაყებდა ერთსა და იმავეზე გაუთავებელი ჩიჩინით.

მას ორი ქალიშვილი ჰყავდა და ერთიც ვაჟი, ჯონ ჰარდი. ქალიშვილები სულ ემუქრებოდნენ, სკოლას მივატოვებთო; განგებ მეცადინეობდნენ ზუსტად იმდენს, რამდენიც საკმარისი იყო, დასჯა რომ აეცილებინათ. «მძულს წიგნები და მძულს ყველა, ვისაც წიგნები უყვარს,» გაცხარებით მიახლიდა ხოლმე მამამისს ჰარიეტი, დებში უმცროსი.

უაინსბურგში, ისევე როგორც ფერმაში, ლუიზას დღეები უსიხარულოდ გადიოდა. წლების მანძილზე ოცნებობდა იმ დროზე, როცა შეძლებდა, გარეთ გაჭრილიყო, სამყაროში, და ამიტომ ჰარდების ოჯახში თავის გადასახლებას უყურებდა, როგორც თავისუფლებისკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯს. ყოველთვის, როცა ამ საგანზე ფიქრობდა, წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ქალაქში ალბათ ყველგან მხიარულება და სიცოცხლე ჩქეფს, რომ კაცები და ქალები ბედნიერად და თავისუფლად ცხოვრობენ, და რომ მეგობრობასა და სიყვარულს ისევე უბრალოდ გასცემენ და

იღებენ, როგორც ლოყა იღებს ნიავის შეხებას. ბენტლების სახლის მდუმარებიდან და დაღვრემილობიდან სურდა გაეღწია ისეთ ატმოსფეროში, სადაც თბილა და ფეთქავს სიცოცხლე და სინამდვილე. ჰარდების ოჯახში ლუიზას, შესაძლოა, კიდეც მიეღო რაღაც ნაწილი იმისა, რაც ასე სწყუროდა, რომ არა ის ერთი შეცდომა, ქალაქში ჩამოსვლისთანავე რომ დაუშვა.

ლუიზამ თავიდანვე აიმხედრა ჰარდის ორივე გოგო, მერი და ჰერიეტი, რომლებმაც იგი სკოლაში ბეჯითი მეცადინეობის გამო აითვალწუნეს. უაინსბურგში მისი ჩამოსვლა იმ დღეს დაემთხვა, როცა სკოლაში სწავლა უნდა დაწყებულიყო და გოგომ არაფერი იცოდა ამ საკითხისადმი დების დამოკიდებულების შესახებ. ძალიან მორცხვობდა და პირველი თვის განმავლობაში არავის გასცნობია. ყოველ პარასკევ საღამოს რომელიმე მოჯამაგირე ფერმიდან ეტლით ჩამოაკითხავდა უაინსბურგში და შინ მიჰყავდა უქმეების გასატარებლად; ასე რომ, შაბათ დღეს ის ქალაქელებთან ერთად არ ატარებდა. მომეტებული სიმორცხვისა და მარტოობის განცდის გამო თავაუღებლად მეცადინეობდა; მერიმ და ჰერიეტმა კი გადაწყვიტეს, რომ ლუიზა მათ ჯიბრზე იწაფებოდა. ლუიზას ისე უნდოდა თავის გამოჩენა, რომ ცდილობდა, პასუხი გაეცა მასწავლებლის მიერ კლასისთვის დასმულ ყველა შეკითხვაზე; მოუსვენრად ხტოდა და თვალები ცეცხლით ენთებოდა ხოლმე. და მას მერე, რაც უპასუხებდა ისეთ შეკითხვას, რომელზეც სხვებს კლასში პასუხი არ გააჩნდათ, სახე ბედნიერი ღიმილით გაებადრებოდა. «ხედავთ, ამას თქვენ მაგივრადაც ვშვრები,» თითქოს ამბობდა თვალებით. «დარდი ნუ გექნებათ. ყველა შეკითხვას გავცემ პასუხს. სანამ მე გყავართ აქ, მთელ კლასს არაფერი გაუჭირდება»

ერთ საღამოს, ჰარდების სახლში ვახშმობის შემდეგ, ალბერტ ჰარდი ლუიზას ხოტბას მოჰყვა. თურმე ერთ-ერთ მასწავლებელს საქებარი სიტყვებით მოუხსენიებია გოგო და ალბერტი კმაყოფილებას ვერ მალავდა. «აგერ, უკვე მერამდენედ მესმის», დაიწყო მან, მკაცრად გადახედა თავის შვილებს და ღიმილით მიუბრუნდა ლუიზას. «კიდევ ერთმა მასწავლებელმა მითხრა ლუიზას კარგი მეცადინეობის შესახებ. უაინსბურგში ყველასგან გაიგონებ, ეს რა ჭკუის კოლოფიაო. მრცხვენია, რომ ჩემს გოგოებზე ამას არავინ მეუბნება». ეს რომ თქვა, ვაჭარი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, თან საღამოს სიგარას მოუკიდა.

დებმა ერთმანეთს გადახედეს და დაღლილი გამომეტყველებით გადააქნიეს თავი. მათი გულგრილობის შემხედვარე მამა გაგულისდა. «თქვენ გეუბნებით, არ გაწყენთ, ცოტა ტვინს თუ გაანძრევთ, ორივე!» აყვირდა იგი და მრისხანედ დააკვესა თვალები. «დიდი ცვლილებები მოგვადგა კარს აქ, ამერიკაში და სწავლაშია ერთადერთი იმედი მომავალი თაობებისთვის. ლუიზა მდიდარი კაცის შვილია, მაგრამ სულაც არ ეთაკილება სწავლა. თქვენ, თქვენ უნდა გეწვოდეთ ფეხქვეშ მიწა, როცა ასეთი მაგალითი გაქვთ თვალწინ!»

ვაჭარმა ქუდი გადმოიღო შემოსასვლელთან მდგარი საკიდიდან და საღამოს საქმეებზე წასასვლელად გაემზადა. სანამ გარეთ გავიდოდა, კართან შეჩერდა და განრისხებით მოაბრუნა თავი. ისეთი გაავებული ჩანდა, რომ ლუიზა დაფრთხა და სასწრაფოდ აირბინა მაღლა, თავის ოთახში. დები კი თავიანთ საუბარს მიუბრუნდნენ. «ყური დამიგდეთ, თქვენ გელაპარაკებით!», ისევ აღრიალდა ვაჭარი, «სიზარმაცე უკვე ძვალ-რბილში გაქვთ გამჯდარი! თქვენი გულგრილობა და სწავლის ფეხებზე დაკიდება ანგრევს თქვენს პიროვნებას! თქვენგან

არაფერი გამოვა! კარგად დაიმახსოვრეთ ეს ჩემი სიტყვები: ლუიზა ისე მოგიტოვებთ უკან, რომ ვერასოდეს დაეწევით.»

კაცი გიჟივით გავარდა გარეთ, გაცხარებული და აკანკალებული. მერეც, ქუჩას რომ მიუყვებოდა, სულ ბურტყუნებდა და ილანძღებოდა. თუმცა, მეინ-სტრიტს როცა მიუახლოვდა, ბრაზმა გადაუარა. ჯერ ვიღაც სხვა ვაჭარს გაუჩერდა ქუჩაში ამინდსა და მოსავალზე სალაპარაკოდ, მერე კი – ქალაქში ჩამოსულ ფერმერს და თითქმის სულ გადაავიწყდა თავისი გოგოები; თუ გაახსენდებოდა, მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე. «ოჰ, რას იზამ, გოგო ყოველთვის გოგოა», ჩაიბუტბუტებდა ხოლმე ფილოსოფიურად.

დები თავსაც კი არ მიაბრუნებდნენ ხოლმე ლუიზასკენ, როცა ის დაბლა ჩამოდიოდა ოთახში, სადაც ისინი ისხდნენ. ერთ საღამოსაც, მას მერე, რაც თვენახევარზე მეტი გაატარა ამ ოჯახში, გულმოკლულმა იმ სიცივით, რომელსაც გაუთავებლად აწყდებოდა მათგან, ლუიზამ ცრემლები გადმოყარა. «მორჩი ახლა მაგ ტირილს და აბრძანდი შენს ოთახში, შენს წიგნებთან», უკმეხად მიახალა მერი ჰარდიმ.

ოთახი, რომელიც ლუიზას ეკავა, ჰარდების სახლის მეორე სართულზე მდებარეობდა; ერთი ფანჯარა ჰქონდა, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. ოთახში ღუმელი იდგა და ყოველ საღამოს ყმაწვილს, ჯონ ჰარდის აჰქონდა ქალიშვილისთვის ერთი იღლია შეშა და უყრიდა კედელთან მდგარ ყუთში. აქ გადმოსახლებიდან მეორე თვის თავზე ლუიზას ყველა იმედი გადაეწურა, დამეგობრებოდა ჰარდის გოგოებს, ამიტომ საღამოობით, ვახშმობის დამთავრებისთანავე ადიოდა თავის ოთახში.

თანდათანობით მის გონებაში გაჩნდა ფიქრი, დაახლოებოდა ჯონ ჰარდის. როცა კი ის ოთახში შემოდიოდა, იღლიაში შეშაამოდებული, გოგოს ისე მოჰქონდა თავი, თითქოს მეცადინეობით იყო გართული, თუმცა კი გაფაციცებით უთვალთვალებდა. როცა ის შეშას ყუთში ჩაყრიდა და გასასვლელად მიტრიალდებოდა, გოგო თავს დახრიდა და ალმური ეკიდებოდა. ცდილობდა, გამოლაპარაკებოდა, თუმცა კი სიტყვის დაძვრაც ვერ მოეხერხებინა და მას მერე, რაც ყმაწვილი წავიდოდა, ლუიზა საკუთარ თავზე ბრაზდებოდა, რა სულელი ვარო.

სოფლელი გოგოს გონებაში სულ უფრო და უფრო მყარდებოდა განზრახვა, დამეგობრებოდა ჯონ ჰარდის. მისი ფიქრით, ახალგაზრდა კაცში შეიძლებოდა, ეპოვა ის თვისება, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ეძებდა ადამიანებში. ეჩვენებოდა, რომ მასა და დანარჩენ კაცობრიობას შორის აგებული იყო რაღაც კედელი; და რომ თავის ცხოვრებას ატარებდა ზედ იმ მიჯნასთან, რომლის იქით მდებარეობდა სიცოცხლის რომელიღაცა თბილი, შიდა წრე, სავსებით ღია და გასაგები სხვებისთვის. აეკვიატებინა ფიქრი, რომ საკმარისი იყო, გადაედგა ერთადერთი გაბედული ნაბიჯი და მისი ურთიერთობა ადამიანებთან სრულიად შეიცვლებოდა და ამგვარი ნაბიჯით ის ფეხს შედგამდა ახალ ცხოვრებაში ისევე, როგორც აღებენ ხოლმე კარს, რათა ოთახში შევიდნენ. დღედაღამ ამ საგანზე ფიქრით იყო მოცული, თუმცა კი ჯერ კიდევ ვერ აკავშირებდა სქესის ძალასთან იმ რაღაცას – თუნდაც ესოდენ თბილსა და ახლობელს – რასაც მთელი არსებით ესწრაფოდა. ასეთი გარკვეულობა მისთვის ჯერ კიდევ მიუღწეველი იყო და ჯონ ჰარდის პიროვნებაზე იმიტომ შეაჩერა არჩევანი, რომ ის ახლომახლო აღმოჩნდა და, დებისგან განსხვავებით, მეგობრულად ექცეოდა.

დები ჰარდები, მერიცა და ჰერიეტიც, ლუიზაზე უფროსები იყვნენ. ცხოვრების გარკვეული სახის ცოდნით კი – ბევრად უფროსებიც. ისინი ცხოვრობდნენ ისე, როგორც შუა დასავლეთის ქალაქების ბინადარი ყველა ახალგაზრდა ქალი. იმ ხანებში ახალგაზრდა ქალები არ მიემგზავრებოდნენ ჩვენი ქალაქებიდან აღმოსავლეთში, იქაურ კოლეჯებში სასწავლებლად და ახალი წარმოდგენები საზოგადოების კლასებად დაყოფის შესახებ ჯერ მხოლოდ იწყებდა აღმოცენებას. მუშის ქალიშვილს საზოგადოებაში დაახლოებით ისეთივე ადგილი ეკავა, როგორიც ფერმერისა თუ ვაჭრის ქალიშვილს და უზრუნველთა კლასი საერთოდ არ არსებობდა. გოგონა იყო «სათნო» ან «არასათნო». თუ გოგო სათნო იყო, მას ჰყავდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც საღამოს შინ მისდიოდა კვირაობითა და ოთხშაბათობით. ხანდახან გარეთაც მიჰყვებოდა საცეკვაოდ, ან საეკლესიო შეკრებილობებზე. იმ დროს, როცა შინ იღებდა, თავის განკარგულებაში ეძლეოდა სასტუმრო ოთახი. არავინ უვარდებოდა შიგ. საათობით ისხდნენ ეს ორნი დახურული კარის მიღმა. ხანდახან ოთახში შუქი ჩაიწევდა ხოლმე და ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეხუტებოდა. იწეწებოდა თმა, ღაჟღაჟდებოდა ლოყები. ერთი-ორი წლის შემდეგ, თუკი ლტოლვა მათ შორის არ ცხრებოდა, არამედ იზრდებოდა, წყვილი ქორწინდებოდა.

ერთ საღამოს, უაისბურგში თავისი პირველი ზამთრის განმავლობაში, ლუიზას ისეთი რამ გადახდა თავს, რამაც ძალა შემატა მის სურვილს, დაენგრია ის კედელი, რომელიც, მისი აზრით, მასა და ჯონ ჰარდის შორის იყო აღმართული. ოთხშაბათი საღამო იყო და ვახშმის დასრულებისთანავე ალბერტ ჰარდიმ დაიხურა ქუდი და გარეთ გავიდა. ჭაბუკმა ჯონმა შეშა შემოიტანა ლუიზას

ოთახში და ყუთში ჩაყარა. «თქვენ სულ მეცადინეობთ, ხომ?» ჩაილაპარაკა უხერხულად და სანამ ქალი პასუხის გაცემას მოასწრებდა, ოთახიდან გავიდა.

ლუიზას ესმოდა, როგორ გადიოდა ვაჟი სახლიდან და გიჟური სურვილი დაეუფლა, უკან გაჰკიდებოდა. ფანჯარა გამოაღო, გადაეყუდა და ჩუმი ხმით დაუძახა, «ჯონ, ძვირფასო, დაბრუნდი, არ წახვიდე!» ღრუბლიანი ღამე იყო, გოგოს არ შეეძლო შორს, სიბნელეში დანახვა, მაგრამ დაელოდა და მოეჩვენა, რომ შემოესმა ჩუმი შარიშური ბაღში, თითქოს ვიღაცა ფეხაკრეფით მოიპარებოდა ხეებს შორის. შეშინებულმა სასწრაფოდ მიხურა ფანჯარა და ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. მთელი ერთი საათი დადიოდა ასე, მღელვარებისგან აცახცახებული და როცა მიხვდა, რომ ლოდინის ატანა უკვე აღარ შეეძლო, მალვით გამოიარა დერეფანი, დაეშვა კიბეზე და შეიმალა საკუჭნაოსმაგვარ პატარა სათავსში, რომელიც სასტუმრო ოთახს ემიჯნებოდა.

ლუიზა თავს არწმუნებდა, რომ სწორედ ახლა უნდა გადაედგა ის გაბედული ნაბიჯი, რომელზე ფიქრიც კვირების მანძილზე თან სდევდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყმაწვილი იმალებოდა ბაღში, მის ფანჯრებქვეშ; გადაწყვიტა, მოეძებნა იგი და გაემხილა, თუ რარიგ უნდოდა, რომ იგი, ჯონ ჰარდი, მიახლოებოდა მას, მოხვეოდა და გაენდო გულისნადები და მერე ყური დაეგდო, სანამ გოგო თავის ფიქრებსა და ოცნებებზე მოუყვებოდა. «სიბნელეში უფრო გამიადვილდება ასეთ რამეებზე ლაპარაკი», ჩურჩულებდა პატარა ოთახში შეყუჟული ლუიზა და თან ხელის ცეცებით ეძებდა კარს.

და ამ დროს იგი მიხვდა, რომ მარტო არ იყო სახლში. კარს უკან, სასტუმრო ოთახში, მოისმა მამაკაცის ხმადაბალი

ლაპარაკი და უცებ კარიც გაიღო. ლუიზამ ძლივს მოასწრო კიბის ქვეშ, კუთხეში შეკუნჭვა, და მომდევნო წამს პატარა, ბნელ ოთახში მერი ჰარდი შემოვიდა თავისი ახალგაზრდა კაცის თანხლებით.

მთელ ერთ საათს იჯდა ლუიზა იატაკზე, სიბნელეში, და ყურს უგდებდა. საღამოს გასატარებლად მასთან მოსულ ახალგაზრდა კაცთან შეხმატკბილებით, სიტყვის უთქმელად, მერი ჰარდიმ გაანათლა სოფლელი გოგონას გონება ცოდნით კაცისა და ქალის შესახებ. ლუიზამ დაბლა დახარა თავი, ბურთივით მოიკუნტა იატაკზე და სული განაბა. ეჩვენებოდა, რომ ღმერთებმა რაღაც უცნაური ახირებით, უდიდესი საჩუქარი მიართვეს მერი ჰარდის და არ ესმოდა ამ მასზე უფროსი გოგოს წინააღმდეგობის მიზეზი.

ახალგაზრდა კაცი მერი ჰარდის მოეხვია და კოცნა დაუწყო. ქალი კისკისით იგერიებდა, ის კი ხელდებოდა და კიდევ უფრო მაგრად ხვევდა მკლავებს. ერთ საათს გაგრძელდა მათი ეს ბღლარძუნი, რის მერეც წყვილი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, ლუიზამ კი სასწრაფოდ აირბინა ზემოთ. «იმედი მაქვს, იქ ერთი ამბავი არ დაგითევიათ. ხომ შეიძლებოდა, ჩვენი თაგუნია შეგეწუხებინათ, ვაითუ, მეცადინეობას მომცდარიყო,» გაიგონა უკვე საკუთარი ოთახის კართან დერეფანში მდგარმა ლუიზამ, თუ როგორ გადაულაპარაკა ჰერიეტმა თავის დას.

ლუიზამ ბარათი მისწერა ჯონ ჰარდის და იმავე ღამით, გვიან, როცა სახლში ყველას ეძინა, ფეხაკრეფით ჩავიდა კიბეზე და კარქვეშ შეუცურა. შიშობდა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იზამდა ამას, მერე, შეიძლება, ვეღარც გაებედა. შეეცადა, ბარათში, რაც შეიძლება, პირდაპირ გამოეთქვა თავისი გულისწადილი. «მინდა, ვინმეს

ვუყვარდე და მეც მიყვარდეს ვინმე», დაწერა, «თუ შენ ხარ ეს ვინმე, მაშინ მოდი ამაღამ ბაღში და გაიხმაურე ჩემი ფანჯრის ქვეშ. ფარდულის სახურავზე იოლად გადმოვძვრები და შენთან ჩამოვალ. რა ხანია, სულ ამაზე ვფიქრობ და თუ მოსვლას აპირებ, მალე უნდა მოხვიდე.»

ლუიზამ დიდხანს არ იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის გაბედულ ნაბიჯს საიმისოდ, რომ გაეჩინა შეყვარებული. კაცმა რომ თქვას, ჯერ ისიც კი არ იცოდა ზუსტად, სურდა თუ არა მისი მოსვლა. ხან ეჩვენებოდა, რომ ცხოვრების მთელი საიდუმლო იმაში მდგომარეობდა, მოეხვეოდა და აკოცებდა თუ არა ვინმე, ხან კი სხვა გრძნობა ეძალებოდა და სასტიკი შიში იპყრობდა. დაუფლებულ მდგომარეობაში ყოფნის ოდინდელმა ქალურმა ჟინმა მოიცვა იგი, თუმცა იმდენად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ცხოვრებაზე, რომ ეჩვენებოდა, ჯონ ჰარდი თუნდაც ხელზე თუ შეახებდა ხელს, ისიც კი ეყოფოდა. ნეტა თუ შეძლებს ჯონი ამის გაგებასო, თავის თავს ეკითხებოდა. მეორე დღეს, სუფრასთან, სანამ ალბერტ ჰარდი ლაპარაკით იყო გართული, გოგოები კი – ერთმანეთთან ჩურჩულითა და ხითხითით, ლუიზა თვალს არიდებდა ჯონს, მაგიდას ჩაშტერებული იჯდა და, როგორც კი დრო იხელთა, თავი დაიძვრინა; ხოლო საღამოთი შინიდან გავიდა და მანამ არ მიბრუნდა, სანამ არ გადაწყვიტა, რომ ყმაწვილს უკვე მიტანილი ექნებოდა შეშა მის ოთახში და ვეღარ შეეფეთებოდა. ზედიზედ, რამდენიმე საღამოს სმენად იყო ქცეული, მაგრამ ვერ გაიგონა ძახილი ბნელი ბაღიდან და ლამის შეიშალა წუხილით; ყოველგვარი იმედი გადაეწურა, რომ ოდესმე მაინც შეძლებდა იმ კედლის გარღვევას, რომელმაც გზა გადაუღობა და მოუსპო სიცოცხლის სიხარული.

მერე კი, უცბად, ორშაბათის საღამოს, ბარათის დაწერიდან ორი-სამი კვირის თავზე, ჯონ ჰარდიმ მიაკითხა. ლუიზას უკვე იმდენად ჰქონდა დაკარგული მისი მოსვლის იმედი, რომ დიდხანს ვერ გაიგონა ძახილი, რომელიც ბაღიდან მოდიოდა. წინა პარასკევ საღამოს კი, როცა ეტლში ეჯდა ფერმის ერთ-ერთ მოჯამაგირეს და შინ, მამასთან ბრუნდებოდა შაბათ-კვირის გასატარებლად, ლუიზამ იმპულსურად ჩაიდინა ისეთი საქციელი, რამაც თვოთონვე შეაძრწუნა; ახლა, როცა ქვემოთ, სიბნელეში მდგომი ჯონ ჰარდი ჩუმად და დაჟინებით უხმობდა სახელით, ლუიზა თავის ოთახში ბოლთას სცემდა და თავს ეკითხებოდა, ნეტა, რამ მიბიძგა მაშინ, რამ მაქნევინა ეს სისულელეო.

ფერმიდან გამოგზავნილმა მოჯამაგირემ, ხუჭუჭა, შავთმიანმა ყმაწვილმა იმ პარასკევ საღამოს ცოტა შეიგვიანა და ამიტომ შინისკენ მგზავრობა მათ სიბნელეში მოუწიათ. ლუიზამ, რომელსაც ჯონ ჰარდიზე ფიქრები უტრიალებდა თავში, საუბრის წამოწყება სცადა, მაგრამ სოფლელმა ბიჭმა დაირცხვინა და არაფერი უპასუხა. ქალიშვილს გონებაში თავისი ბავშვობისდროინდელი სიმარტოვე ამოუტივტივდა და უეცრად გულში ჩხვლეტა იგრძნო, მიხვდა, რომ ამჯერად ახალი, უფრო მტანჯველი მარტოობის ტყვეობაში იმყოფებოდა. «მძულს ყველა და ყველაფერი», უცებ წამოიყვირა და მოაყოლა ტირადა, რითაც გვარიანად შეაცბუნა თავისი თანამგზავრი. «მძულს მამაჩემი და ის ბებერი ჰარდიც!», წამოიძახა გაცხარებით. «სასწავლებლად ქალაქის სკოლაში დავდივარ, მაგრამ ეგეც მეჯავრება!»

ლუიზამ კიდევ უფრო მეტად დაზაფრა ფერმის მოჯამაგირე, როცა მიუბრუნდა და ლოყა მიადო მხარზე. გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ ის მოეხვეოდა და აკოცებდა, იმ ახალგაზრდა კაცის მსგავსად, რომელიც სიბნელეში

იდგა მერისთან ერთად; მაგრამ სოფლელი ბიჭი კიდევ უფრო მეტად შეშინდა, ცხენს მათრახი შემოჰკრა და სტვენას მოჰყვა. «რა ოღროჩოღრო გზაა, არა?» ესღა იკითხა ხმამაღლა. ლუიზა ისე გაბრაზდა, რომ გადაიწია, თავიდან ქუდი მოაძრო და გზაზე მოისროლა. როცა ბიჭი ქუდის ასაღებად ჩახტა, ლუიზა სადავეებს დასწვდა და ეტლი გააქროლა. ბიჭს კი ფერმამდე დარჩენილი გზის გავლა ფეხით მოუხდა.

ლუიზა ბენტლიმ საყვარლად გაიხადა ჯონ ჰარდი. ეს სულაც არ იყო ის, რაც ქალს უნდოდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა სწორედ ასეთი ახსნა მოუნახა მის ნაბიჯს; ლუიზა კი იმდენად ესწრაფოდა რაიმე განსხვავებულის ნახვას, რომ არ შეწინააღმდეგებია. რამდენიმე თვის შემდეგ ორივე შეიპყრო შიშმა, რომ ლუიზა შეიძლებოდა დედა გამხდარიყო. ერთ საღამოსაც საოლქო ცენტრს მიაკითხეს და დაქორწინდნენ. პირველი რამდენიმე თვე ჰარდების სახლში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი საკუთარ სახლში გადავიდნენ. მთელი ერთი წლის განმავლობაში ლუიზა ცდილობდა აეხნა ქმრისთვის, თუ რა იყო ის ბუნდოვანი და შეუცნობელი წყურვილი, რამაც დააწერინა მაშინ ის ბარათი და რაც ჯერ კიდევ დაუოკებელი რჩებოდა. ხშირად შეუცურდებოდა ხოლმე მკლავებში და ცდილობდა ამაზე ლაპარაკის ჩამოგდებას, თუმცა სულ ამაოდ. ქალისა და კაცის სიყვარულზე საკუთარი წარმოდგენებით აღვსილი ჯონ ჰარდი ყურს არ უგდებდა ცოლს და ტუჩებში საკოცნელად მიიწევდა. ეს ისე აბნევდა ქალს, რომ ბოლოს კოცნის სურვილი სულ ეკარგებოდა. თვითონაც აღარ იცოდა უკვე, რისი სურვილი ჰქონდა დარჩენილი.

როცა გაირკვა, რომ შიში, რომელმაც ქორწინება აიძულა, უსაფუძვლო აღმოჩნდა, ქალი გაბრაზდა და მწარე-მწარე, საწყენი რაღაცები მიაძახა ქმარს. მოგვიანებით, როცა

შვილი, დევიდი გაუჩნდა, არ მოუნდა მისთვის ძუძუს მიცემა და იმასაც კი ვერ გეტყოდათ, უნდოდა თუ არა მისი ყოლა. ზოგჯერ მთელ დღეს ატარებდა მასთან ერთად ოთახში; აქეთ-იქით დადიოდა, შიგადაშიგ მიეპარებოდა და ნაზად წაუცაცუნებდა ხელს. მერე ისეთი დღეებიც დგებოდა, როცა სულაც აღარ სურდა შეეხედა, ან ყოფილიყო იმ პაწია ადამიანის სიახლოვეს, რომელიც სახლში გაუჩნდათ. როცა კი ჯონ ჰარდი გულცივობას უსაყვედურებდა, ლუიზას ეცინებოდა. «ეს ბავშვი კაცია და მაინც მიიღებს იმას, რასაც მოინდომებს», ეტყოდა ხოლმე მკვახედ. «ქალად რომ გაჩენილიყო, არაფერია ქვეყნად ისეთი, რასაც მე მისთვის არ ვიზამდი».

## ნაწილი IV – ძრწოლა

დევიდ ჰარდი თხუთმეტი წლის ტანაყრილი ბიჭი იყო, როცა, დედამისის მსგავსად, ისეთი რამ გადახდა თავს, რამაც სულ სხვა კალაპოტით წაიყვანა მისი ცხოვრება და თავისი მყუდრო კუთხე-კუნჭულიდან დიდ სამყაროში გამოისტუმრა. ნაჭუჭი, რომელშიც მისი ცხოვრების გარემოებები იყო მოქცეული, შემოემტვრა და მას მოუხდა დაეტოვებინა უაინსბურგი და გზა-შარას დასდგომოდა. მას მერე ის აღარავის უნახავს ქალაქში. დევიდის გაუჩინარების შემდგომ მალევე გარდაიცვალნენ დედამისი და ბაბუამისი, მამამ კი დიდძალი ქონება მოიხვეჭა. ბლომად ფულიც დახარჯა, შვილის კვალისთვის რომ მიეგნო, თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია.

უჩვეულო წლის გვიანი შემოდგომა იდგა ბენტლების ფერმებში. ყველგან უხვი მოსავალი მოვიდა. იმ გაზაფხულზე ჯესიმ იყიდა ჭაობიანი შავი მიწის გრძელი ზოლის ერთი მონაკვეთი, რომელიც უაინ-კრიკის ხეობაში მდებარეობდა. მიწა იაფად ერგო, თუმცა ბევრი ფული

დაახარჯა მის გაუმჯობესებას: გათხარა გრძელი არხები და ჩააწყო ათასობით თიხის საწრეტი მილი. გაწეული ხარჯის შემხედვარე მეზობელი ფერმერები თავს იქნევდნენ. ზოგიერთი მათგანი იღიმებოდა, გულში კი იმედოვნებდა, რომ ჯესის ეს წამოწყება დიდ ზარალს მოუტანდა. მაგრამ ბერიკაცი არაფერს ამბობდა და მშვიდად აგრძელებდა თავის საქმეს.

ნიადაგის დაშრობის შემდეგ ჯესიმ მასზე ხახვი და კომბოსტო დათესა; მეზობლებმა ისევ დასცინეს. მაგრამ მოსავალი ძალიან უხვი მოვიდა და კარგი ფასიც დაედო. ერთ წელიწადში ჯესიმ იმდენი ფული იშოვა, რომ მიწის დამუშავებისთვის გაწეული ყველა ხარჯი აინაზღაურა; და მონაგებით კი კიდევ ორი ფერმის შეძენა შეძლო. ძალიან გახარებული იყო და ვერ ფარავდა თავის ბედნიერებას. პირველად, მთელი იმ დროის მანძილზე, რაც ფერმებს დაეპატრონა, გაბადრული სახით დაიარებოდა თავისიანებს შორის.

შრომა რომ გაეიაფებინა, ჯესიმ შეიძინა ძალიან ბევრი მანქანა და დამატებით – შავი, ნაყოფიერი, ჭაობიანი მიწის ზოლის დარჩენილი აკრებიც. ერთ დღეს კი გაემართა უაინსბურგში, დევიდს ველოსიპედი და ახალი კოსტუმი უყიდა და თავის ორ დას ფული მისცა, ოჰაიოს შტატის მთავარ ქალაქ კლივლენდში რელიგიურ შეკრებაზე გასამგზავრებლად.

გვიან შემოდგომით, იმ წელიწადს, როცა ყინვები დაიჭირა და ტყე უაინ-კრიკის ნაპირებზე ოქროსფერ-მიხაკისფრად შეიღება, დევიდი სკოლისგან თავისუფალ ყოველ წუთს გარეთ, ჰაერზე ატარებდა. ყოველ ნაშუადღევს ტყეში მიდიოდა თხილის საკრეფად – მარტო, ან სხვა ბიჭებთან ერთად. ამ სოფლელ ბიჭებს, უმეტესად ბენტლის ფერმის

მუშების შვილებს, თოფები ჰქონდათ და კურდღლებსა და ციყვებზე სანადიროდ დადიოდნენ; ოღონდ დევიდი მათ არ დაჰყვებოდა. თავისთვის შურდული გაიკეთა ორკაპა ტოტისა და რეზინის ნაჭრებისგან. აიღებდა ხოლმე იმ შურდულს და მარტო დაეხეტებოდა ტყეში თხილის შესაგროვებლად. ამ ხეტიალში ნაირ-ნაირი აზრები მოსდიოდა თავში. გაიფიქრებდა ხოლმე, სადაცაა კაცობაში უნდა შევდგა ფეხი და ნეტა, რა უნდა ვაკეთო ცხოვრებაშიო, თუმცა ეს ფიქრები, სანამ სადმე მიღწევდნენ, ჰაერში იფანტებოდნენ და დევიდი ისევ ბიჭად რჩებოდა. ერთ დღესაც ციყვი მოკლა, რომელიც ხის ერთ-ერთ ქვედა ტოტზე შემოსკუპებულიყო და ხმაურობდა. მკვდარ ციყვს ხელი დასტაცა და შინ მიარბენინა. ბენტლის დებიდან ერთ-ერთმა შეუწვა პატარა ცხოველი და დევიდიც მადიანად შეექცა. ტყავი კი ლურსმნებით გადაჭიმა პატარა ფიცარზე, ფიცარს ბაწარი გამოაბა და თავისი საძინებელი ოთახის ფანჯარაზე ჩამოკიდა.

ამ შემთხვევამ მისი აზრები ახალი მიმართულებით წაიყვანა. მას მერე აღარასოდეს წასულა ტყეში ისე, რომ ჯიბეში შურდული არ სდებოდა. იქ საათობით რჩებოდა და წარმოსახვით ცხოველებს ესროდა, რომლებიც ხეთა გაყვითლებულ ფოთლებში იმალებოდნენ. კაცობაში ფეხის შედგმაზე ფიქრებმა გადაუარა და დასჯერდა თავის ბიჭობასა და ბიჭურ იმპულსებს.

ერთ შაბათ დილას, როცა დევიდი შურდულით ჯიბეში და მხარზე ჩანთაგადაკიდებული ტყეში წასასვლელად გაემზადა, ბაბუამისმა გააჩერა. ბერიკაცს თვალებში ედგა ის დაძაბული და სერიოზული გამომეტყველება, რომელიც ყოველთვის ცოტათი აშინებდა დევიდს. ასეთ დროს ჯესი ბენტლის თვალები პირდაპირ კი არ იმზირებოდნენ, არამედ დახტოდნენ და თითქოს ვერაფერს ხედავდნენ;

იფიქრებდით, რომ რაღაც უხილავი ფარდა ჩამოეშვა მასა და დანარჩენ სამყაროს შორის. «მე უნდა გამომყვე», უთხრა მტკიცედ და ბიჭის თავზემოთ, ცას მიაშტერა მზერა. «დღეს ერთი მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. თუ გინდა, ეგ თხილის ტომარა თან წამოიღე. ხელს არ შეგვიშლის, გზა ხომ მაინც ტყეში გვიდევს».

ჯესი და დევიდი ბენტლების ფერმიდან ძველი, თეთრცხენშებმული ფაეტონით გამოვიდნენ. კარგა ხანს ხმის ამოუღებლად მოდიოდნენ გზაზე და შეჩერდნენ ერთი მინდვრის პირზე, სადაც ცხვრის ფარა ძოვდა. მასში ერთი ბატკანი ერია, უკვე დოლის მოთავების შემდეგ შობილი. ბიჭმა და ბაბუამ დაიჭირეს ეს ბატკანი და ისე მაგრად გათოკეს, რომ ის თეთრ პატარა გორგალს დაემსგავსა. გზა რომ გააგრძელეს, ჯესიმ ბატკანი დევიდს დააჭერინა ხელში. «ეს ბატკანი გუშინ ვნახე და უცებ დამარტყა თავში, თუ რის გაკეთება მინდოდა, უკვე დიდი ხანია», უთხრა ბიჭს და კვლავ მის თავზემოთ მიმართა თავისი გაფანტული, მერყევი მზერა.

მას მერე, რაც ბარაქიანი წლით მოგვრილმა აღფრთოვანებამ გადაუარა, ფერმერს ახლა სხვა განწყობილება დაეუფლა. რახანია, გულში დაატარებდა ღვთისმოსაობისა და კრძალვის გრძნობას, ღამღამობით კვლავინდებურად გადიოდა გარეთ, მარტო საბორიალოდ და ღმერთზე საფიქრელად; ამ დროს ისევ და ისევ იწყებდა საკუთარი პიროვნების შედარებას უძველესი დროის ადამიანებთან. ვარსკვლავიანი ცის ქვეშ, ნოტიო ბალახზე მუხლს იყრიდა და ხმამაღლა ლოცულობდა. ახლა კი გადაწყვიტა, რომ იმ კაცთა მსგავსად, რომელთა ამბებითაც სავსეა ბიბლია, მასაც უნდა მიეტანა მსხვერპლი ღმერთისთვის. «მე მეწყალობა ხვავრიელი მოსავალი და, ასევე, ღმერთმა მომივლინა ბიჭი, სახელად

დევიდი,» ბუტბუტებდა, «და ალბათ ეს საქმე უკვე დიდი ხნის გაკეთებული უნდა მქონოდა». ძალიან ნანობდა, რომ ეს აზრი თავისი ქალიშვილის, ლუიზას დაბადებამდე არ მოუვიდა თავში და, დარწმუნებული იყო, რომ მას მერე, რაც ფიჩხის გროვას აღმართავდა ტყის რომელიმე მყუდრო კუნჭულში და სამსხვერპლო კოცონზე ბატკანს მიიტანდა, ღმერთი უცილობლად გაუცხადდებოდა და რაიმე ცნობას აუწყებდა.

რაც მეტად ეძლეოდა ამ ფიქრებს, მით უფრო მეტს ფიქრობდა დევიდზეც, და ნაწილობრივ ავიწყდებოდა საკუთარი თავის მგზნებარე სიყვარული. «დროა, ბიჭმა დაიწყოს ფიქრი სამყაროში გასასვლელ გზებზე და ეს გამოცხადება ამის შესახებ იქნება», დაასკვნა მან. «ღმერთი მას ამ ბილიკს განუმზადებს. იგი მამცნობს მე, თუ რა ადგილი უნდა დაიმკვიდროს დევიდმა ცხოვრებაში და როდის უნდა შეუდგეს თავის მოგზაურობას. კარგია და საჭირო, რომ ბიჭიც დაესწროს ამას. თუ იღბალი მეწვევა და უფლის ანგელოზი გამომეცხადება, დევიდი იხილავს ღმერთის მშვენებასა და სიდიადეს, კაცისთვის გაცხადებულს. ეს მასაც ჭეშმარიტ ღვთის კაცად გადააქცევს».

ჯესი და დევიდი სიჩუმეში მიუყვებოდნენ გზას; ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ერთხელ ჯესიმ შეჰღაღადა ღმერთს და შეაშინა თავისი შვილიშვილი. დილა კაშკაშა და ხალისიანი გათენდა, ახლა კი უცებ ქარმა წამოუბერა და მზე ღრუბლებით დაიფარა. როცა დევიდმა ის ადგილი დაინახა, სადაც მივიდნენ, შიშით აცახცახდა, ხოლო როცა ფაეტონი გაჩერდა ხიდთან, სადაც ხეებს შორის ნაკადული მოჩუხჩუხებდა, ძირს გადმოხტომა და გაქცევა მოუნდა.

გაქცევის მრავალმა გეგმამ გაურბინა დევიდს გონებაში. თუმცა, როდესაც ჯესიმ ცხენი შეაყენა, ღობეს გადააბოტა და ტყეში შეაბიჯა, ბიჭი კვალდაკვალ აედევნა. «სისულელეა, აბა რის უნდა მეშინოდეს? არაფერიც არ მოხდება,» ფიქრობდა თავისთვის და ბატკნით ხელში ბილიკზე მიაბიჯებდა. პაწაწინა არსება გულში მაგრად ჩაკრული მოჰყავდა და იმისი უმწეობა რაღაცნაირად მხნეობით ავსებდა. გრძნობდა ცხოველის გულის აჩქარებულ ბაგაბუგს და ამის გამო მისი საკუთარი გული უკვე ისე ძლიერად აღარ ფართხალებდა; ბაბუას მარდი ნაბიჯით უკან მისდევდა, თან გზადაგზა ბაწარს ხსნიდა, რითაც ბატკანს ოთხივე ფეხი ჰქონდა გაკოჭილი. «რამე რომ მოხდეს, ერთად გავიქცეთ აქედან,» ჩურჩულით ეუბნებოდა. მთავარი გზიდან რომ გადაუხვიეს და კარგა მანძილი გამოიარეს ტყეში, ჯესი გაჩერდა ერთ პატარა ბუჩქნარიან მდელოზე, რომელიც ხეებსა და ნაკადულს შუა ვრცელდებოდა და ისე, რომ არც ამჯერად ამოუღია ხმა, ხმელი ფიჩხი მოაგროვა და ცეცხლი მოუკიდა. ბიჭი ბალახზე იჯდა ბატკნით ხელში. მისი წარმოსახვა ბერიკაცის თითოეულ მოძრაობას განსაკუთრებული მნიშვნელობით ავსებდა და ყოველ მომდევნო წუთს გული მეტად და მეტად ევსებოდა შიშით. ამასობაში ცეცხლის ალი ხარბად მოედო ფიჩხს, «კრავის სისხლი შუბლზე უნდა წავაცხო ყრმას», აბუტუბუტდა ჯესი, ჯიბიდან გრძელი დანა ამოიღო, შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა მდელოზე დევიდისაკენ.

ბიჭის სული ძრწოლამ აიტანა. ყელში გულისრევა მოაწვა. წამით თითქოს მოძრაობის უნარიც დაეკარგა. მაგრამ მერე სხეული დაეჭიმა და ფეხზე წამოიჭრა. სახეზე თეთრი ფერი ედო, იმ ბატკნის მატყლივით, რომელმაც უცებ იგრძნო, რომ აშვებულია და თავქვე დაეშვა გორაკზე. დევიდიც

გაიქცა. შიშმა თითქოს ფრთები გამოასხაო, გიჟივით მირბოდა, ახტებოდა დაბალ ბუჩქებსა და ხის მორებს. ამ სირბილში თან ჯიბეში ჩაიყო ხელი და ორკაპა ტოტისგან გაკეთებული ის შურდული ამოაძვრინა, ციყვებზე სანადიროდ რომ დაჰქონდა ხოლმე. ნაკადულთან რომ მიირბინა, რომელიც ქვებზე გადმოჩუხჩუხებდა, თავთხელ წყალში შეტოპა, შედგა და უკან მოიხედა; და როცა დაინახა, რომ ბაბუამისი ისევ მოსდევდა ხელში მაგრად ჩაბღუჯული გრძელი დანით, არ შეყოყმანებულა, დაიხარა, ქვა ამოარჩია, შურდულში ჩადო, დაუმიზნა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოზიდა რეზინის მძიმე ღვედებს. ქვამ ჰაერში გაიშხუილა და პირდაპირ თავში მოხვდა ჯესის, რომელიც ბატკანს მისდევდა და ბიჭი აღარც ახსოვდა. ბერიკაცმა ამოიგმინა, წინ გადავარდა და ბიჭის ფეხებთან მოადინა ზღართანი. როცა დევიდმა დაინახა, რომ კაცი უმოძრაოდ წევს და, როგორც ჩანს, მკვდარია, შიში ერთიორად გაეზარდა და გიჟური პანიკით შეეცვალა.

დევიდმა შეჰყვირა, მოტრიალდა და თავქუდმოგლეჯით გაიქცა ტყეში. გულამომჯდარი ქვითინებდა. «სულერთია ჩემთვის... ბაბუაჩემი მოვკალი, მაგრამ მაინც სულერთია!», ზლუქუნით იმეორებდა. ამ სირბილში უცბად გადაწყვიტა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა არც ბენტლების ფერმაში და არც ქალაქ უაინსბურგში. «მე მოვკალი ღვთის კაცი და ამიერიდან მე თვითონ გავხდები კაცი და გავალ სამყაროში», თქვა მტკიცედ, სირბილს მორჩა და სწრაფი ნაბიჯით გაუყვა გზას, რომელიც მიჰყვებოდა უაინ-კრიკის ხვეულებს, დასავლეთისკენ რომ მიედინებოდა მინდვრებში და ტყეებს შორის.

ნაკადულის პირას, მიწაზე გაშხლართული ჯესი ბენტლი ძლივძლივობით შეინძრა, დაიკვნესა და თვალები გაახილა. კარგა ხანს იწვა სრულიად წყნარად და ცას

მისჩერებოდა. როცა ბოლოს ფეხზე წამოდგა, გონებაარეულზე სულ არ გაჰკვირვებია ბიჭის გაუჩინარება. იქვე, გზის პირას, მორზე ჩამოჯდა და ღმერთზე ლაპარაკი დაიწყო. სულ ეს იყო, ამაზე მეტის ამოქაჩვა მისგან ვერავინ მოახერხა. როგორც კი ვინმე დევიდის სახელს უხსენებდა, ის დაბნეულად იყურებოდა ცაში და ამბობდა, რომ ბიჭი ღვთისგან გამოგზავნილმა შიკრიკმა წაიყვანა. «ეს მოხდა იმიტომ, რომ მე მეტისმეტად ხარბად ვეძებდი დიდებას,» განაცხადა და მეტად სიტყვაც აღარ დაუძრავს ამ საქმეზე.

[1] ბაულები – ბენგალელი მისტიკოსი პოეტი-მომღერლები.

[2] რაზაკარი – ბენგალელთაგან დაკომპლექტებული ძალა, რომელიც თანამშრომლობდა პაკისტანის მილიტარისტულ ძალებთან ბანგლადეშის 1971 წლის ომში ლიბერალურ და კონსერვატორულ მხარეთა შორის. რაზაკარის ქმედება ეწინააღმდეგებოდა ბანგლადეშის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. – მთარგმნ, შენ.

[3] ჯოვანი პიერ-ლუიჯი დე პალესტრინა (1525 - 1594), იტალიელი კომპოზიტორი, აღორძინების ხანის საეკლესიო გუნდური პოლიფონიის პიონერი.

[4] სიცოცხლის ბოლო წლებში ბეკერი ასეთი კატეგორიული აღარ იყო ისრაელის სახელმწიფოს მიმართ.

[5] იგულისხმება მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.